



# ბატონიშვილის ბიბლიოთეკა

ციტირებისთვის:

*ლომთათიძე, ე., ხანთაძე, ნ., ზედელაშვილი, დ., პირადი თავისუფლება და ავტონომია, თბილისი, 2018*

ელექტრონული იურიდიული ბიბლიოთეკა [www.princelibrary.ge](http://www.princelibrary.ge)

შექმნილია USAID/PROLoG-ის ფინანსური ხელშეწყობით



სულხან-საბა ორბელიანის  
უნივერსიტეტი



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE


კანონის უზენაესობის მხარდაჭერა  
საქართველოში (PROLoG)

ეკატერინე ლომთათიძე, ნათია ხანთაძე, დავით ზედელაშვილი

# პირადი თავისუფლება და ავტონომია

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს,  
გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს,  
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და  
აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მართლმსაჯულებაში

თბილისი  
2018



კვლევა მომზადებულია თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტის მიერ.

კვლევის ავტორები:

**ეკატერინე ლომთათიძე**

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტის  
ყოფილი აკადემიური დირექტორი

**ნათია ხანთაძე**

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტის დირექტორი

**დავით ზედელაშვილი**

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი და თავისუფალი უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

კვლევის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები. ის შეიძლება არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.



ISBN 978-9941-8-0685-8

© თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების გამომცემლობა, 2018

## სარჩევი

წინათქმა.....	9
<b>I. მთავარი მიზნებების მიმოხილვა .....</b>	<b>11</b>
თავისუფალი განვითარების უფლების რეზიდუალური ან რეზიდუალურ-შემავსებელი ბუნება .....	11
თავისუფალი განვითარების უფლებით დაცული სფერო და მისი განსაზღვრის სირთულეები.....	12
უფლებაში ჩარევის შემოწმების სტანდარტის სიმკაცრე: ერთგვაროვნება თუ გრადუაცია?.....	13
<b>II. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა .....</b>	<b>14</b>
1. შესავალი .....	14
2. უფლების შინაარსი.....	15
3. პირადი თავისუფლება და ავტონომია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში .....	24
ა. იდენტობის დაცვა .....	24
ბ. ანტიპატერნალისტური ხაზი .....	28
გ. პირადი სივრცის დაცვა .....	34
დ. დასკვნა .....	38
4. შეჯამება .....	39
წყაროები.....	43
<b>III. გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა .....</b>	<b>48</b>
1. შესავალი .....	48
2. უფლების შინაარსი.....	49

ა. უფლების ბუნება და უფლებით დაცული სფერო.....	49
ბ. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების აბსოლუტურად დაცული ბირთვი .....	56
გ. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების სუბსიდიარული ბუნება .....	61
<b>3. პირადი თავისუფლება და ავტონომია გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში.....</b>	<b>64</b>
ა. მოქმედების ზოგადი თავისუფლება და პიროვნულობის ზოგადი უფლება.....	64
ბ. პიროვნულობის ზოგადი უფლება.....	68
1. საკუთარი იდენტობის განსაზღვრა .....	69
1.1. საკუთარი წარმომავლობის დადგენა .....	69
1.2. სქესობრივი იდენტობის დაცვა .....	71
2. საკუთარი თვითგანსაზღვრის დაცვა.....	74
3. საკუთარი გამოსახულების განსაზღვრა .....	74
3.1. საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის განკარგვის ავტონომია .....	76
4. საინფორმაციო ტექნიკური სისტემების სანდობის და ერთიანობის უზრუნველყოფა.....	80
გ. პირადი სივრცის დაცვა და სფეროთა თეორია .....	82
<b>4. შეჯამება .....</b>	<b>89</b>
<b>წყაროები.....</b>	<b>92</b>
<b>IV. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია .....</b>	<b>94</b>
1. შესავალი .....	94
2. უფლების შინაარსი.....	96
ა. პირადი ცხოვრება და პიროვნული განვითარების თავისუფლება .....	97
ბ. პირადი და ოჯახური ცხოვრების გამიჯვნა.....	104
<b>3. პირადი თავისუფლება და ავტონომია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში .....</b>	<b>108</b>
ა. გენდერული იდენტობისა და ერთი და	

იმავე სქესის წყვილთა ოჯახური ცხოვრების დაცვა .....	108
ბ. თვითგამორკვევის უფლება.....	115
გ. პირადი სივრცის დაცვა.....	120
4. შეჯამება .....	125
წყაროები.....	127
<b>V. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს იური სპრუდენცია.....</b>	<b>129</b>
1. შესავალი .....	129
2. უფლების შინაარსი.....	130
ა. „ჯეროვანი პროცედურის“ არსებითი კონსტიტუციური გარანტია	130
3. პირადი თავისუფლება და ავტონომია აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში .....	131
ა. პირადი თავისუფლება	
„არსებითი ჯეროვანი პროცედურის“ ფარგლებში.....	131
ბ. თავისუფლებაში ჩარევის შეფასება	
გონივრულობის მკაცრი სტანდარტით .....	132
გ. მოსამართლე ჰოლმსის განსხვავებული აზრი	
ლოჰნერის საქმეში .....	134
დ. გონივრულობის მკაცრი ტესტის გამოყენება	
პატერნალიზმის წინააღმდეგ საოჯახო და აღზრდის სფეროში ....	136
ე. თავისუფლებისა და ავტონომიის დაცვა	
„ჯეროვანი პროცედურის“ კლაუზულის მიღმა .....	141
ვ. „ჯეროვანი პროცედურის არსებითი გარანტიის“	
საფუძველზე თავისუფლების გაფართოების დოქტრინული და	
პრაქტიკული პრობლემები.....	147
4. შეჯამება.....	155
წყაროები .....	156



## წინათქმა

ადამიანის უფლებათა ეროვნული თუ საერთაშორისო ინსტრუმენტები იცნობენ მთელ რიგ გარანტიებს ადამიანის თავისუფლებების სხვადასხვა ასპექტების დასაცავად, როგორცაა გამოხატვის თავისუფლება, გადაადგილების თავისუფლება, რელიგიის თავისუფლება, და სხვა. თუმცა, ამ უფლებების მიღმა, რომელთა განსაკუთრებული მნიშვნელობა კაცობრიობისთვის მძიმე გამოცდილებების წყალობით გახდა ნათელი, ადამიანები იღებენ გადაწყვეტილებებს შედარებით უმნიშვნელო ქმედებებთან დაკავშირებით, როგორცაა ცხენის ჯირითი ან მტრედების გამოკვება. ამგვარი ქმედებები შეიძლება არ ემსახურებოდნენ რაიმე მნიშვნელოვან სოციალურ მიზანს (როგორცაა მაგალითად გამოხატვის ღირებულება დემოკრატიული მმართველობისთვის), თუმცა მათი ღირებულება ინდივიდის პერსონალური განვითარებისთვის სრულიად შეუფასებელია რაიმე გარეგანი, ობიექტური კრიტერიუმებით.

რა იცავს ადამიანის თავისუფლების ამგვარ გამოვლინებებს, რომელიც კონკრეტული კონსტიტუციური უფლებების დაცულ სფეროში არ ხვდება? საქართველოს და გერმანიის კონსტიტუციებს და მათთან დაკავშირებულ სასამართლო პრაქტიკას ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი აქვთ: პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, რომელიც, სხვა ფუნქციებთან ერთად, იცავს ადამიანის მოქმედების ზოგად თავისუფლებას. პიროვნების განვითარების უფლებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში, პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებიდან კითხულობს დამოუკიდებელი სამართლებრივი საფუძვლის არ არსებობის გამო; ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო კი ჯეროვანი პროცედურის არსებითი გარანტიის საფუძველზე იცავს ინდივიდის ე.წ. რეზიდუალურ თავისუფლებას (აშშ-ს კონსტიტუციის მე-5 და მე-14 შესწორებების შესაბამისი კლავზულები).



წინამდებარე კვლევა სწორედ ამ იურისდიქციებს მიმოიხილავს და ისწრაფვის პასუხები მოიპოვოს ორ ძირითად კითხვაზე: 1. როგორ განსაზღვრავენ სასამართლოები პიროვნული ავტონომიის ფარგლებს? 2. რა ტესტების გამოყენებით ამონმბენ სასამართლოები პირად ავტონომიაში ჩარევისას სახელმწიფოს ქმედებებს და როგორ აღწევენ ბალანსს ინდივიდის თავისუფლებასა და კოლექტიურ საჭიროებებს შორის?

ამ შედარებით-სამართლებრივი კვლევის ფარგლებში უფლების შინაარსისა და შესაბამისი სტანდარტების სისტემური განხილვა თავის მხრივ ემსახურება საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცული უფლების პოტენციალის წარმოჩენას შემდგომი საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიზნებისთვის. აქ განხილული პრაქტიკა საკმაოდ თვალსაჩინოდ ახდენს იმის ილუსტრირებას, თუ რამდენად განსხვავებული, წინააღმდეგობრივი და რთული სოციალური საკითხები შეიძლება მოხვდეს ინდივიდის პირადი თავისუფლებისა და ავტონომიის დაცვის სფეროში, შთამომავლობის ყოლის ფუნდამენტური უფლებით დაწყებული მარიხუანას რეკრეაციული მიზნებით მოხმარებით დამთავრებული. იმედს ვიტოვებთ, რომ კვლევა დაეხმარება სამართალწარმოების ყველა მონაწილეს ამ რთულ კითხვებზე პასუხების ძიების პროცესში და შთაგონებაც იქნება მათთვის სამართალწარმოების ახალი მიმართულების განვითარებისთვის. სწორედ ეს წარმოადგენდა ამ კვლევის პირველად მიზანს.

## **I. მთავარი მიზნობების მიმოხილვა**

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების წინამდებარე შედარებით-სამართლებრივი კვლევა მიზნად ისახავდა როგორც უფლების შინაარსისა და შესაბამისი კონსტიტუციური სტანდარტების სისტემურ განხილვას, ასევე ამ უფლების პოტენციალის წარმოჩენას შემდგომი საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიზნებისთვის. ამ მხრივ მნიშვნელოვანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ დროისთვის შედარებით მწირი, თუმცა მზარდი პრაქტიკის ანალიზი და კონსტიტუციური დოქტრინისა თუ პრაქტიკის იმ პრობლემური საკითხების გამოკვეთა, რომელიც ახლა ან მომავალში შეიძლება ხელს უშლიდეს მოცემული უფლების სრულფასოვან რეალიზაციას საკონსტიტუციო სასამართლო კონტროლის გზით. კვლევის შედეგები შესაძლებელია შევაჯამოთ შემდეგ საკითხებთან მიმართებით:

### **თავისუფალი განვითარების უფლების რეზიდუალური ან რეზიდუალურ-შემავსებელი ბუნება**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არსებული პრაქტიკა იხრება თავისუფალი განვითარების უფლების რეზიდუალურ გარანტიად მიჩნევისკენ, კერძოდ კი აღნიშნული უფლების დაცულ სფეროში აქცევს მხოლოდ თავისუფლების იმ ელემენტებს, რომლებიც სხვა სპეციალური უფლებებით არ არის დაცული. გამონაკლისია პირადი ცხოვრების უფლება, რომელიც არასრულად არის დაცული კონსტიტუციის მე-20 მუხლით. აშშ-ს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაც თავისუფლების რეზიდუალურ გარანტიას არ იყენებს შემავსებელი მიზნით. ერთი მხრივ ეს მიდგომა ხელს უწყობს როგორც სამოსამართლო თვითშეზღუდვას ისე სტანდარტების სიცხადესა და სიმარტივეს. თუმცა, შესაძლებელია შემავსებელ ფუნქციაზე სრულად უარის თქმამ გააუარესოს უფლებების დაცვის სტანდარტი. ამ მხრივ, საგულისხმოა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა თავისუფალი განვითარების უფლების შემავსებელი ფუნქციით გამოყენების შესახებ სხვა კონსტიტუციურ უფლებებთან მიმართებით. თუმცა ხაზგასასმელია, რომ გერმანიის ძირითად კანონში თავისუფალი განვითარების უფლებას გაცილებით უფრო მყარი და გამოკვეთილი სტრუქტურული კავშირები აქვს სხვა კონსტიტუციურ უფლებებთან ვიდრე საქართველოს კონსტიტუციაში.

## თავისუფალი განვითარების უფლებით დაცული სფერო და მისი განსაზღვრის სირთულეები

ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს, ისევე როგორც გერმანიის და აშშ-ს რეზიდუალური თავისუფლების გარანტიები ძირითადად ღია სახითაა წარმოდგენილი. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ პირადი ცხოვრებისა და პირადი განვითარების უფლებებთან ერთად, ეს რეზიდუალური გარანტიები მოქმედების ზოგად თავისუფლებასაც მოიცავს, რაც მნიშვნელოვნად აფართოებს უფლებით დაცულ სფეროს. შედარებითი ანალიზიდან ვლინდება დაცული სფეროს შეზღუდვის ორი სტრატეგია: ერთი მათგანი მოცემულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში. იმის გამო, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი პირად და ოჯახურ ცხოვრებას იცავს, პიროვნული განვითარება პირადი ცხოვრების ასპექტადაა მიჩნეული და მოქმედების ზოგადი თავისუფლება ამგვარადაა გამორიცხული დაცვის სფეროდან. საქართველოს შემთხვევაში აღნიშნული ვერ იქნება გამოსადეგი თავისუფალი განვითარების სპეციალური დაცვის გამო. საქართველოსთვის პრობლემური იქნება ასევე აშშ-ს უზენაესი სასამართლოს ერთი მიდგომა რეზიდუალური თავისუფლებით დაცული სფეროს შემოსაზღვრაზე იმ უფლებებით, რომელიც „სამართლებრივი ისტორიითა და ტრადიციით“ არის განმტკიცებული, ასეთი ტრადიციის სიმწირის გათვალისწინებით.

საგულისხმოა ქართული პრაქტიკისთვის, თუმცა არანაკლებ პრობლემური შეიძლება იყოს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა, რომელიც უფლების დაცულ სფეროში მოქცევის მხრივ ნაკლები სიმკაცრით გამოირჩევა, თუმცა შემონიშნების სტანდარტების ინტენსივობის გრადაციის გზით აღწევს იმას, რომ დაცულ სფეროში მოქცეული თავისუფლების მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ იღებს სათანადო კონსტიტუციურ დაცვას, უფრო ზუსტად კი, საჯარო ხელისუფლება ადვილად ახერხებს მასში ჩარევის გამართლებას. აქ საგულისხმოა, რომ გერმანიაში უფლების კონსტიტუციური რეგლამენტაცია უფლებას ხაზგასმით კონსტიტუციური წესრიგის შესაბამის ჩარჩოში აქცევს, რომელიც სასამართლოს პრაქტიკაში ძალიან ფართოდ არის განმარტებული. საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი არ იცნობს მსგავს კონსტიტუციურ-სამართლებრივ შეზღუდვას და შესაბამისად მე-16 მუხლი უფრო ფართო დაცულ სფეროს უნდა გულისხმობდეს.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა თავისუფალი განვითარების უფლების „აბსოლუტურად დაცული ბირთვის“ და უფლებით დაცული პირადი, სოციალური

და ინტიმური ცხოვრების სივრცეების თეორია, ე.წ. „სფეროების თეორია“. აღნიშნული ერთი მხრივ მიუთითებს გერმანული პრაქტიკის დოქტრინულ დახვეწილობაზე, თუმცა მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ამ დეტალურობას ხშირად სულაც არ ახლავს პრაქტიკული სიცხადე და კონსტიტუციური დაცვის მიღმა ამ დოქტრინული მექანიზმების მეშვეობით დაცულ სფეროში მოქცეული მრავალი კომპონენტი რჩება.

### **უფლებაში ჩარევის შემოწმების სტანდარტის სიმკაცრე: ერთგვაროვნება თუ გრადაცია?**

არსებული მდგომარეობით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იყენებს თავისუფალი განვითარების უფლებაში ჩარევის შემოწმების ერთიანად მკაცრ პროპორციულობის სტანდარტს. მსგავსი მიდგომაა აშშ-ს კონსტიტუციურ იურისპრუდენციაშიც, იმდენად რამდენადაც ფუნდამენტური უფლებების (მათ შორის რეზიდუალური გარანტიიდან „ამოკითხულის“ მიმართაც) ერთიანი მკაცრი შემოწმების სტანდარტი მოქმედებს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც ერთიან ტესტს იყენებს, თუმცა სასამართლოს გააჩნია ტესტის შიგნით ინტენსივობის მარეგულირებელი იურისპრუდენციული და დოქტრინული მექანიზმები. როგორც უკვე ვახსენეთ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო დაცული სფეროს დიფერენცირების ადეკვატურად იყენებს შემოწმების განსხვავებული სიმკაცრის ტესტებს. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაში ჩარევის შეფასებისას თუ სასამართლო პრობლემას სოციალურ სფეროს მიაკუთვნებს გამოიყენება მარტივი ტესტი, პირადი სფეროსადმი პრობლემის მიკუთვნებისას და ჩარევის მაღალი ინტენსივობისას გამოიყენება მკაცრი ტესტი, ხოლოდ აბსოლუტურად დაცულ სფეროში კი ჩარევა დაუშვებელია და სასამართლო თანაზომიერების შესახებ მსჯელობას არ იწყებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში თავისუფალი განვითარების უფლებაზე პრაქტიკის ზრდასთან ერთად, თუ სასამართლო გააგრძელებს უფლების ფართო დაცული სფეროს და მკაცრი შემოწმების სტანდარტის ერთდროულ გამოყენებას, შესაძლოა თვითმზღუდვის პრობლემის წინაშე დადგეს. ამ მხრივ, როგორც ვახსენეთ წინამდებარე კვლევაში განხილული შედარებითი პრაქტიკა გამოკვეთს ორ გზას: ერთი უფლების დაცული სფეროს დავინროვება/დაცულ სფეროში მოქცევის წინასწარი ტესტის შექმნაა, ხოლო მეორე დაცული სფეროს დამატებითი დიფერენციაცია და შემოწმების სიმკაცრის განსხვავებულ სტანდარტებად გრადაციაა.

## II. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა

### 1. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი, რომელიც იცავს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას, ერთი შეხედვით, საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავის ყველაზე მოკლე და კატეგორიული უფლებაა. თუმცა სირთულეც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ლაკონური ტექსტი უხვ მითითებას არ იძლევა უფლების შინაარსთან დაკავშირებით. ამდენად, „პიროვნების თავისუფალი განვითარების“ მიღმა ნაგულისხმევი ღირებულების განსასაზღვრად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკის შესწავლა.

როგორც ქვემოთ განხილული საქმეები აჩვენებს, საკონსტიტუციო სასამართლო მე-16 მუხლს ალიქვამს როგორც ბუნებითი თავისუფლების იმ სემანტიკის დამცველ ნორმას, რომელიც კონსტიტუციის სხვა კონკრეტული უფლებების მარეგლამენტირებელი ნორმებით არ არის დაცული. შესაბამისად, მე-16 მუხლის შინაარსის გასაგებად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მისი მიმართების დადგენა კონსტიტუციით დაცულ სხვა უფლებებთან.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, საკითხები, რომლებიც სხვა მუხლებით არის დაცული, მაგ., არჩევნებში მონაწილეობის უფლება, საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლება, სახელმწიფოს ხელთ არსებული პერსონალური მონაცემების დაცვა, სასამართლოსთვის მიმართვის უფლება, ქონებრივი უფლებების გადაცემასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები და სასამართლოს ნებართვის გარეშე ჩანერილი პირადი საუბრების მტკიცებულებად გამოყენება პიროვნული განვითარების ის ელემენტებია, რომლებსაც კონსტიტუციის სხვა მუხლები უფრო დეტალურად არეგულირებს და, შესაბამისად, სასამართლოს არსებული მიდგომით, არ არსებობს ამ საკითხების კონსტიტუციის მე-16 მუხლის ფარგლებში შემოწმების საჭიროება.

ამ დროისთვის არსებული პრაქტიკის მიხედვით, კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით არსებითად შეფასებული ყველა ნორმა (7 გადაწყვეტილება) არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.<sup>1</sup> აღნიშნული ძალიან თვალ-

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ მე-16 მუხლთან მიმართებით, საკონსტიტუციო სასამართლოს ცხრა გადაწყვეტილებაშია მსჯელობა. თუმცა, აქედან ორ საქმეში – „მპს სამაჟნეცე-

საჩინოს ხდის მე-16 მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევისას საკონსტიტუციო სასამართლოს კონტროლის სიმკაცრეს და დაცვის მაღალ სტანდარტს.

ის ფაქტი, რომ საქართველოს კონსტიტუციაში არ არის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დამცავი ზოგადი ნორმა და ამ უფლების ცალკეული ასპექტები (თუმცა არა ყველა) გაბნეულია კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლებში, უფრო დიდ ალბათობას ქმნიდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მე-16 მუხლში ამოიკითხავდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შესაბამის კომპონენტებს. თუმცა კონსტიტუციის ახალი რედაქციის ამოქმედების შემდეგ, რადგან მასში მოცემულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დამცავი უფრო სრულყოფილი ნორმა, ამ მიზნით პიროვნული განვითარების უფლების გამოყენება მოიკლებს.

ამ მხრივ, ამ კვლევაში განხილული სხვა იურისდიქციების პრაქტიკა საშუალებას მოგვცემს, გამოვკვეთოთ პირის ავტონომიის ან ზოგადი თავისუფლების სფეროში დანახული ის საკითხები, რომელთაც საქართველოს კონსტიტუციის რომელიმე სპეციალური ნორმა არ არეგულირებს და, შესაბამისად, მე-16 მუხლის ფარგლებში მოექცევა. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს შესაბამის საკითხებზე სამართალწარმოების ინიცირებას და სასამართლო პრაქტიკის განვითარებას, რაც არის ამ კვლევის პირველადი მიზანი.

## 2. უფლების შინაარსი

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი აქცენტს პიროვნულობაზე აკეთებს „ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება“. კონსტიტუციის ადამიანის უფლებების თავში, ეს არის ყველაზე მოკლე და, ერთი შეხედვით, კატეგორიული უფლება, რადგან ტექსტი არანაირ მინიშნებას არ შეიცავს მისი შეზღუდვის შესაძლებლობის ან საფუძვლების შესახებ. თუმცა აღნიშნულ საქმეზე მიღებულ პირველ გადანყვეტილებაშივე ცალსახად აღინიშნა, რომ მე-16 მუხლის ტექსტის მიუხედავად, ის არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას: „ინდივიდის მიერ კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცული უფლების რეალიზაცია არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სხვათა უფლებებს, კონსტიტუციურ წესრიგსა და ლეგიტიმურ საზოგადოებრივ

---

ბლო კომპანია რუსთავი 2“ და „მპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ და „საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ“, სასამართლომ დაასკვნა, რომ სადავო ნორმები მე-16 მუხლთან მიმართებით არ უნდა შეფასებულიყო კონსტიტუციაში შესაბამის საკითხზე სპეციალური ნორმის არსებობის გამო.

ინტერესებს. აღნიშნული ღირებულებების დაცვის ინტერესი განაპირობებს ადამიანის კონკრეტული ქმედებების/უფლებების შეზღუდვის საჭიროებას“.<sup>2</sup>

შეზღუდვის საფუძვლების დადგენაზე უფრო რთული ამ უფლებასთან დაკავშირებით არის მისი დაცული სფეროს და მიმართების განსაზღვრა კონსტიტუციის სხვა უფლებებთან. ისევ მოვხდენთ აპელირებას მე-16 მუხლთან დაკავშირებულ პირველ გადაწყვეტილებაზე სისხლის დონაციასთან დაკავშირებით, სადაც სასამართლომ ჩამოაყალიბა მიდგომა, რომელიც ყველა მომდევნო საქმეში ჩანს: „კონსტიტუციის მე-16 მუხლის მიზანია, დაუცველი არ დარჩეს ცხოვრების ის სფეროები, რომლებიც პიროვნებასთან დაკავშირებული კონკრეტული უფლებებით არ არის მოცული. კონსტიტუციის მე-16 მუხლი ქმნის კონსტიტუციური დაცვის გარანტიას ურთიერთობებისთვის, რომლებიც არ თავსდება კონსტიტუციის სხვა ნორმებში, თუმცა შეადგენს პიროვნების თავისუფალი განვითარების აუცილებელ კომპონენტს“.<sup>3</sup>

აქედან შეგვიძლია გავაკეთოთ 2 დასკვნა: 1. კონსტიტუციის მე-16 მუხლი ერთგვარი „დამცავი ბადის“ ფუნქციას ასრულებს და მის ფარგლებში ის საკითხები მოწმდება, რაც კონსტიტუციის სხვა ნორმებში არ თავსდება. თუმცა ეს ტესტი ნომინალურად მაინც ორნაწილიანია და ეს საკითხები, იმავდროულად, პიროვნული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს; 2. კონსტიტუციით გათვალისწინებული სხვა უფლებებიც პიროვნების თავისუფალი განვითარების სხვადასხვა ასპექტს იცავენ და მათ დაცვას „პირველადი“ მნიშვნელობა ენიჭება მე-16 მუხლთან შედარებით.

შესაბამისად, ეს მიანიშნებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომის მიხედვით, პიროვნების თავისუფალი განვითარება საქართველოს კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლში ნაგულისხმევი ფუნდამენტური ღირებულებაა. აღნიშნული დაგვეხმარება მე-16 მუხლის ადგილის და მნიშვნელობის, ისევე როგორც „პიროვნების თავისუფალი განვითარების“ ღირებულების უკეთ გასაგებად საქმეების განხილვის კვალდაკვალ.

მე-16 მუხლთან მიმართებით მიღებულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებაში სასამართლომ ახსენა აგრეთვე მე-16 მუხლის „დამცავი ბადისგან“ განსხვავებული ფუნქცია – პიროვნული განვითარების უფლების გამოყენება, როგორც სხვა უფლებების განმარტების პრინციპისა. სასამართლომ მიუთითა

<sup>2</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, №2/1/536, 2014 წლის 4 თებერვალი, § II-66.

<sup>3</sup> იქვე, § II-57.

სხვა ფუნდამენტური უფლებების დაცული სფეროს განმარტების შესაძლებლობაზე პიროვნების თავისუფალი განვითარების შუქზე:

„ზედმეტია იმის მტკიცება, რომ პიროვნების თავისუფალი განვითარება ფუნდამენტური უფლებებით სრულყოფილად სარგებლობის შედეგად თვითრეალიზაციის შესაძლებლობაში გამოიხატება. ამ თვალსაზრისით, საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლს შეიძლება ჰქონდეს ფუნდამენტური უფლებების ფარგლების გააზრებისთვის დამატებითი დატვირთვა იმ გაგებით, რომ ის ხაზს უსვამს თითოეული უფლების მნიშვნელობას ადამიანის თავისუფალი განვითარებისთვის, მაშასადამე, აჩენს ვალდებულებას, თითოეული უფლება განმარტებულ იქნეს სწორედ ადამიანის თავისუფალი განვითარების უზრუნველყოფის პერსპექტივით“.<sup>4</sup>

თუმცა იმ გადანყვეტილებაში, სადაც მე-16 მუხლის ამგვარ დატვირთვაზე მიუთითა სასამართლომ, ამ ფუნქციით მისი გამოყენება არ მომხდარა. ეს დებულება უფრო *obiter dicta*-ს სახეს ატარებდა. შესაბამისად, ამ მხრივ როგორ განვითარდება პრაქტიკა რთული სათქმელია.

მე-16 მუხლთან დაკავშირებით საინტერესოა ისიც, რომ სასამართლო ამ უფლების სუბიექტად არ მიიჩნევს გარდაცვლილ პირებს. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში, მამა სადავოდ ხდიდა ნორმას, რომელიც ნათესავეებს უკრძალავდა გარდაცვლილი პირის არაქონებრივი უფლებების ცილისწამებისგან დაცვას სასამართლოსთვის მიმართვის გზით. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ სადავო ნორმა წინააღმდეგობაში მოდიოდა, სხვათა შორის, კონსტიტუციის მე-16 მუხლთანაც, რადგან არ იძლეოდა გარდაცვლილის პიროვნული განვითარების უფლების დაცვის შესაძლებლობას.<sup>5</sup> სასამართლომ საპასუხოდ აღნიშნა: „უფლების მიზანმიმართულებიდან გამომდინარე, პირის გარდაცვალების შემდეგ ეს უფლება ვერ გადავა სხვა პირებზე და ვერ გახდება მათი სარგებლობისა თუ დაცვის საგანი, ვინაიდან კონსტიტუციის მე-16 მუხლი

<sup>4</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 1/1/625, 640, 2016 წლის 14 აპრილი, § II-15.

<sup>5</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე – იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 1/7/561, 568, 2013 წლის 20 დეკემბერი



არის გარანტია თითოეული ადამიანისთვის, თავისუფლად განავითაროს საკუთარი პიროვნება“.<sup>6</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ერთიანობაში მე-16 მუხლის აღქმას საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილება არ განუცდია, საქმეების ზრდის პარალელურად, მე-16 მუხლთან დაკავშირებული თეორია შეივსო. თუ 2008-2009 წელს მიღებულ საქმეებში მე-16 მუხლზე მსჯელობისას მისი როგორც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ცალკეული ასპექტების დამცველი ნორმის აღქმა იყო წინა პლანზე, მოგვიანებით ხაზი მეტად გაესვა იმას, რომ მე-16 მუხლი მოქმედების ზოგადი თავისუფლების დამცავი ნორმაა. აღნიშნული ცვლილება შეიძლება ნაკლებად მნიშვნელოვანი იყოს პრაქტიკული თვალსაზრისით, მაგ., სასამართლო კონტროლის ინტენსივობაზე გავლენის კუთხით, მაგრამ მნიშვნელოვანია უფლების შინაარსის და მისი მიმართების განსაზღვრისთვის სხვა კონსტიტუციურ უფლებებთან, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ამ უფლების რესურსის უფრო სრულ გამოყენებას შემდგომ სამართალწარმოებაში.

კონსტიტუციის მე-16 მუხლის შინაარსის, დაცული სფეროს და მიმართების განსაზღვრად კონსტიტუციის მე-2 თავის სხვა უფლებებთან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2008-2009 წელს მიღებულ ორ განჩინებას,<sup>7</sup> სადაც დავა მიემართებოდა კონსტიტუციის მე-20 მუხლს.

მართალია, ეს საქმეები სხვადასხვა საკითხს ეხებოდა (არჩევნებში მონაწილე პირის ვიდეოგადაღებას და პატიმრების უფლებას ოჯახის წევრებთან ურთიერთობაზე), ორივე შემთხვევაში მოსარჩილეები მიიჩნევდნენ, რომ შესაბამისი სადავო ნორმები არღვევდა მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას და მოითხოვდნენ ამ ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას კონსტიტუციის მე-20 მუხლთან მიმართებით. კონსტიტუციის მე-20 მუხლი აცხადებს, რომ „ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების

<sup>6</sup> იქვე, § II-9.

<sup>7</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებები საქმეებზე: „საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 1/7/454, 2008 წლის 19 დეკემბერი; „საქართველოს მოქალაქეები – დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“, 1/2/458, 2009 წლის 10 ივნისი.

შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადანწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას“.

ამ განჩინებებში სასამართლომ ჩამოაყალიბა თავისი მიდგომა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციურ უფლებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ეს უფლება შედგება მრავალი უფლებრივი კომპონენტისგან და შეცდომა იქნებოდა ყველა კომპონენტის მე-20 მუხლში ამოკითხვა, მიუხედავად იმისა, რომ მე-20 მუხლი ახსენებს ზოგადად „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას“. სასამართლომ აღნიშნა, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების გარკვეულ ასპექტებს იცავენ კონსტიტუციის მე-16, 36-ე, 41-ე და სხვა მუხლებიც. ამასთან, თითოეულ ამ მუხლს გააჩნია განსხვავებული დაცული სფერო და შეზღუდვის საფუძვლები. მნიშვნელოვანია, რომ ყველა სადავო ნორმა შეფასდეს მხოლოდ მის მარეგულირებელ სპეციალურ კონსტიტუციურ დებულებასთან.<sup>8</sup>

აღნიშნულმა განჩინებებმა განაპირობეს მე-16 მუხლის ასოცირება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასთან. შესაბამისად, მე-16 მუხლის პირველადი თეორია, რაც განვითარდა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში, იყო მისი როგორც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ცალკეული ასპექტების, მათ შორის ოჯახის წევრებთან ურთიერთობების დამცველი ნორმის აღქმა.

მე-20 მუხლის ვიწრო დაცული სფეროსა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კონსტიტუციის ამ დროისთვის მოქმედ ვერსიაში არ არის მოცემული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების უფრო ფართო განმარტებითი დიაპაზონის მქონე მუხლი (მაგ., ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-8 მუხლის მსგავსი კონსტრუქციით),<sup>9</sup> სასამართლომ მე-16 მუხლში ამოიკითხა პირადი ცხოვრების მთელი რიგი მნიშვნელოვანი ასპექტების დაცვის კონსტიტუციური საფუძველი. ამან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაამყარა მე-16 მუხლის, როგორც პირადი ცხოვრების ხელშეუხე-

<sup>8</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 1/7/454, 2008 წლის 19 დეკემბერი, § II-4.

<sup>9</sup> ეს მდგომარეობა რადიკალურად შეიცვლება 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მერე, 2017 წლის 13 ოქტომბრის (1324-რს) კონსტიტუციური კანონის ამოქმედების შემდეგ. ახალ კონსტიტუციაში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მუხლი შეცვლილია და არსებითად გადანყობილია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის მოდელზე. შესაბამისად, მე-16 მუხლის გამოყენება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის იმ კომპონენტების დასაცავად, რომელიც ამჟამად მოქმედ კონსტიტუციაში პირდაპირ დაცული არ არის, მაღალი ალბათობით საჭირო აღარ იქნება.

ბლობის დამცველი დებულების აღქმა. თუმცა შემდგომი საქმეები აჩვენებს, რომ ეს არ არის მე-16 მუხლის არსის განმარტებისთვის „საკვანძო სიტყვა“.

ამის ილუსტრირებისთვის შეგვიძლია მივმართოთ 2013 და 2017 წლებში მიღებულ ორ საოქმო ჩანაწერს. საქმეში „საქართველოს მოქალაქე ნოდარ მუმლაური საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“<sup>10</sup> (შემდეგში „მუმლაურის საქმე“) მოსარჩელე კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით დავობდა „თავისუფლების ქარტიის“ იმ ნორმებზე, რომლებიც ყოფილი საბჭოთა კავშირის გარკვეული თანამდებობების პირებს უკრძალავდა საქართველოში ცალკეული სახელმწიფო თანამდებობის დაკავებას.

მსგავსი მოთხოვნა ჰქონდათ მოსარჩელებს 2017 წელს საქმეში „საქართველოს მოქალაქეები – კონსტანტინე ლაბარტყავა, მალხაზ ნოზაძე და ირაკლი გიგოლაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (შემდეგში „ლაბარტყავას და სხვების საქმე“).<sup>11</sup> ისინი დაობდნენ, რომ ნარკოტიკული დანაშაულების ჩამდენი პირებისთვის გათვალისწინებული დამატებითი შეზღუდვები სხვადასხვა საქმიანობის (პედაგოგიური, საექიმო, ა.შ.), აგრეთვე საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის და პასიური საარჩევნო უფლების აკრძალვა, სხვა უფლებებთან ერთად, არღვევდა მათი პიროვნული განვითარების უფლებასაც.

საკონსტიტუციო სასამართლომ ზუსტად გაიმეორა ორივე საქმეში წინა პრეცედენტებში ჩამოყალიბებული მიდგომა, რომელიც ამგვარ სქემაზეა აგებული:

- კონსტიტუციის მე-16 მუხლი იცავს იმ ურთიერთობებს, რომლებიც არ თავსდება კონსტიტუციის სხვა ნორმებში, თუმცა შეადგენს პიროვნების თავისუფალი განვითარების აუცილებელ კომპონენტს;
- ჩარევა უნდა შეფასდეს მხოლოდ მის მარეგულირებელ სპეციალურ ნორმასთან მიმართებით;

თუ არსებობს სპეციალური ნორმა, სადავო ნორმის კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით შემონღმების საჭიროება არ არსებობს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლება წარმოადგენს კონსტიტუციის 29-ე მუხლის დაცვის საგანს, არჩევნებში მონაწილეობის უფლება გარანტირებულია კონსტიტუციის 28-ე მუხლით, ხოლო კონსტიტუციის 30-ე მუხლი განამტკიცებს შრომის თავისუფლებას. მოსარჩელების მიერ დასახელებულ შეზღუდვებს სწორედ ამ სპეციალურ უფლებებთან ჰქონდათ შინაარსობრივი მიმართება.

<sup>10</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი №2/10/560, 2013 წლის 27 დეკემბერი.

<sup>11</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი №2/12/702, 2017 წლის 7 ივლისი.

შესაბამისად, მე-16 მუხლის როლიდან გამომდინარე, მასთან მიმართებით სადავო ნორმების შემონმების საჭიროება სასამართლომ ვერ დაინახა.

აღნიშნული საოქმო ჩანაწერები განსაკუთრებით საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ სასამართლოს მიდგომის მიხედვით, არჩევნებში მონაწილეობის პოლიტიკური უფლება ან საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლება, რაც სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის ფორმას წარმოადგენს, აგრეთვე დაკავშირებულია პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან. ერთადერთი, რის გამოც სასამართლომ მე-16 მუხლთან მიმართებით არ შეამოწმა ზემოთ დასახელებული სადავო საკითხები, იყო ის, რომ ამ საკითხებზე საქართველოს კონსტიტუციას უფრო დეტალური, სპეციალური რეგულაციები აქვს შესაბამის მუხლებში: „ბუნებრივია, სახელმწიფო თანამდებობის დაკვება, სხვა მიზნებთან ერთად, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების რეალიზაციასაც ემსახურება... პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ის ელემენტი, რომელიც იცავს პირის უფლებას, საკუთარი შეხედულებისა და უნარების შესაბამისად განსაზღვროს და ეცადოს დაიკავოს ესა თუ ის თანამდებობა სახელმწიფო უწყებებში, სპეციფიკურობის გათვალისწინებით დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით და არა მე-16 მუხლით...“<sup>12</sup>

აღნიშნული განჩინებების ერთობლივი ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მე-16 მუხლი, თავისი არსით, არის მოქმედების ზოგადი თავისუფლების დამცველი ნორმა, ან ნორმა, რომელიც „იცავს ადამიანის მიერ საკუთარი ცხოვრების საკუთარივე შეხედულებისამებრ წარმართვის თავისუფლებას“, <sup>13</sup> რაც თანაბრად ვრცელდება ადამიანის ფუნქციონირებაზე და გადაწყვეტილებებზე როგორც კერძო, ისე საჯარო სფეროში.

მნიშვნელოვანია, იმის ხაზგასმა, რომ მე-16 მუხლით დაცული სფერო არ შემოიფარგლება უშუალოდ ინდივიდის პირადი სფეროთი,<sup>14</sup> თუმცა ცალსახად მოიცავს მას, რასაც ქვემოთ განხილული პრაქტიკაც ადასტურებს. მეორე მნიშვნელოვანი სფერო არის გარე სამყაროსთან ურთიერთობის და სხვა პირებთან კომუნიკაციის სფერო, რომელიც თანაბრად მნიშვნელოვანია

<sup>12</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი №2/10/560 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე – ნოდარ მუმლაური საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2013 წლის 27 დეკემბერი, § 13-14.

<sup>13</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუნეებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, №3/7/679, 2017 წლის 29 დეკემბერი.

<sup>14</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2/4/532,533, 2014 წლის 8 ოქტომბერი, § II-3.

ინდივიდის პერსონალური განვითარებისთვის და, შესაბამისად, სარგებლობს კონსტიტუციური დაცვით. ამდენად, მე-16 მუხლის ანალიზისას მისი სივრცობრივი ანალიზი არ იქნებოდა მართებული. უფლების არსზე მსჯელობისას ორიენტირად ყველაზე შესაბამისი იქნება „მოქმედების ზოგადი თავისუფლების“ გამოყენება.

ბოლოდროინდელი ორი საქმეც: „შპს სამაუნწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ და „საქართველოს მოქალაქეები – ილია კოკია და გიორგი კაპანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“<sup>15</sup> კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ მე-16 მუხლი ადამიანის ავტონომიური არსებობის ზოგადი გარანტიაა, რომელსაც სასამართლო იყენებს მხოლოდ მაშინ, როდესაც კონსტიტუციის მე-2 თავით გათვალისწინებული სხვა მუხლები არ შეიცავენ უფრო კონკრეტულ დაცვას საქმეში წამოჭრილი თავისუფლების ასპექტის დასაცავად.

ორივე საქმე ეხებოდა საჯარო წესრიგისა და ზნეობის ნორმების სანინააღმდეგო ხელშეკრულებების ბათილობის წესს, როგორც ბუნდოვანს და არაგანჭვრეტადს. ორივე შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა უკავშირდებოდა კონკრეტულად ქონებრივი უფლებების გადაცემასთან დაკავშირებული გარიგებების ბათილობას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობები ზოგადად ფართო და მრავალფეროვან სფეროს მოიცავს და ცალკეულ სახელშეკრულებო ურთიერთობებთან დაკავშირებული სტანდარტები სხვადასხვა კონსტიტუციურ უფლებაში შეიძლება იყოს მოცემული. თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ქონებრივი უფლებების გადაცემასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებზე დასკვნა, რომ სადავო წესი კონსტიტუციის 21-ე მუხლთან (საკუთრების უფლება) მიმართებით უნდა შეფასებულიყო და არ წარმოადგენდა ჩარევას კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცულ სფეროში.

აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის მე-14 (კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი) და მე-16 მუხლების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით იგივე ლოგიკა, რომელიც სპეციალური და ზოგადი ნორმების გამიჯვნაზე დგას, არ გამოიყენება. მე-14 მუხლთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ კონსტიტუციის სხვა მუხლებისგან განსხვავებით, „მე-14 მუხლი

<sup>15</sup> იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: „შპს სამაუნწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, №3/7/679, 2017 წლის 29 დეკემბერი და „საქართველოს მოქალაქეები – ილია კოკია და გიორგი კაპანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 3/1/707, 2018 წლის 30 მარტი.

არ მიჯნავს საზოგადოებრივ ურთიერთობებს უფლებრივი კუთვნილებების თვალსაზრისით, იგი უზრუნველყოფს პირთა შორის თანასწორობის შენარჩუნებას ნებისმიერ სამართალურთიერთობაში<sup>16</sup>. შესაბამისად, მე-14 მუხლით დაცული თანასწორობის უფლებასთან მიმართებით საკითხის დაყენება, არ გამორიცხავს იმავე საკითხის დაყენებას მე-16 მუხლთან მიმართებით, იმ პირობით, რომ პრობლემას მიმართება აქვს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან.

ამ თავში განხილული საკითხების შეჯამებისთვის უნდა აღინიშნოს:

- მე-16 მუხლთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ჩამოყალიბებულია მიდგომა, რომ იგი იცავს პირადი ცხოვრების უფლების ცალკეულ კომპონენტებს, რომელიც არ არის დაცული კონსტიტუციის მე-20, 36-ე და 41-ე მუხლებით, განსაკუთრებით ურთიერთობებს ოჯახის წევრებთან და პირთა გარკვეულ წრესთან, რაც მნიშვნელოვანია ავტონომიურობისა და პიროვნული განვითარებისთვის.
- სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, უფლებები, რომლებიც დაცულია კონსტიტუციის სპეციალური ნორმებით, როგორებიცაა არჩევნებში მონაწილეობის, საჯარო სამსახურში საქმიანობის, შრომის, საკუთრების, ა.შ. უფლებები, არ შემოწმდება კონსტიტუციის მე-16 მუხლთან. კონსტიტუციის მე-16 მუხლთან შეფასებადია ის ურთიერთობები, რომლებიც არ თავსდება კონსტიტუციის სხვა ნორმებში, თუმცა შეადგენს პიროვნების თავისუფალი განვითარების აუცილებელ კომპონენტს.
- ის, ფაქტი, რომ სადავო საკითხი შეფასებადია კონსტიტუციის მე-14 მუხლთან (კანონის წინაშე თანასწორობა), არ გამორიცხავს მის შეფასებას კონსტიტუციის მე-16 მუხლთანაც, რადგან თანასწორობის პრინციპის მოქმედების ფარგლები ურთიერთობების კონკრეტული სფეროთი არ შემოიფარგლება. შესაბამისად, მე-14 და მე-16 მუხლებს შორის სპეციალური და ზოგადი ნორმების მიმართება არ არსებობს.
- კონსტიტუციის მე-16 მუხლი იცავს პირის ავტონომიურობისა და განვითარებისთვის მნიშვნელოვან უფლებრივ კომპონენტებს როგორც საჯარო სფეროში (რაც გულისხმობს ურთიერთობას გარესამყაროსთან და კავშირების განვითარებას სხვა ადამიანებთან), ისე კერძო სფეროში (რაც მოიცავს პირის პირად, ინტიმურ სივრცეს). ამდენად, მე-16 მუხლის

<sup>16</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, 2/1/536, 2014 წლის 4 თებერვალი, § II-58.

*მოქმედების ფარგლები, მხოლოდ პირადი სივრცით არ შემოიფარგლება და საჯარო სივრცეშიც უზრუნველყოფს ადამიანს ავტონომიური ფუნქციონირების გარანტიებით.*

### **3. პირადი თავისუფლება და ავტონომია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში**

როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, საკითხები, რომლებიც კონსტიტუციის სპეციალური მუხლებით არის დაცული, მაგ., არჩევნებში მონაწილეობის უფლება, საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლება, სახელმწიფოს ხელთ არსებული პერსონალური მონაცემების დაცვა, სასამართლოსთვის მიმართვის უფლება, ქონებრივი უფლებების გადაცემასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები პიროვნული განვითარების ის ელემენტებია, რომლებსაც კონსტიტუციის სხვა მუხლები უფრო დეტალურად არეგულირებენ და, შესაბამისად, სასამართლოს არსებული მიდგომით, არ არსებობს ამ საკითხების კონსტიტუციის მე-16 მუხლის ფარგლებში შემონმების საჭიროება.

თუმცა სასამართლოს პრაქტიკა მე-16 მუხლთან დაკავშირებით ნათელს ხდის, რომ არსებობს მთელი რიგი საკითხები, რომლებსაც სწორედ მე-16 მუხლთან მიმართებით აფასებს სასამართლო. ამ საქმეების ანალიზი საშუალებას გვაძლევს, მე-16 მუხლის პრაქტიკა დავყოთ სამ ჯგუფად: ა. იდენტობის დაცვა; ბ. სახელმწიფოს პატერნალისტური ზომებისგან დაცვა; გ. პირადი სივრცის დაცვა. სასამართლო პრაქტიკა ამ მიმართულებების მიხედვით იქნება ქვემოთ გაანალიზებული.

#### **ა. იდენტობის დაცვა**

კონსტიტუციის მე-16 მუხლთან დაკავშირებულ პირველივე გადანყვეტილებაში, რომელიც ეხებოდა სისხლის დონაციის აკრძალვას ჰომოსექსუალებისთვის,<sup>17</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პირის თავისუფალი განვითარებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის პიროვნულობას, ფიზიკურ და სოციალურ იდენტობას და, ამდენად, იდენტობის დაცვა მოაქცია მე-16 მუხლის დაცვის სფეროში.

<sup>17</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, 2/1/536, 2014 წლის 4 თებერვალი.

კონსტიტუციის მე-16 მუხლის განმარტებისას, სასამართლომ აღნიშნა, რომ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება მოიცავს მოსარჩე-  
ლების უფლებას გახდნენ სისხლისა და მისი კომპონენტების დონორები:

„საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის მიხედვით, ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს ადამიანის პიროვნული თვითგამორკვევისა და ავტონომიურობის უფლებას. სწორედ პიროვნულობა განსაზღვრავს ადამიანის არსს, მიუთითებს მის ინდივიდუალურ და სხვებისგან განმასხვავებელ მახასიათებლებზე.

საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს პიროვნების მოქმედების ზოგად თავისუფლებას. პიროვნების ავტონომიურობის, მისი თავისუფალი და სრულყოფილი განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც გარესამყაროსთან ურთიერთობის დამოუკიდებლად განსაზღვრის თავისუფლებას, ასევე ინდივიდის ფიზიკურ და სოციალურ იდენტობას, ინტიმური ცხოვრების ხელშეუვალობას, ადამიანთა გარკვეულ წრესთან პერსონალურ კავშირებს იმ ინტენსივობით, რაც აუცილებელია მისი პიროვნული სრულყოფისთვის.

ვინაიდან კონსტიტუციის მე-16 მუხლი უზრუნველყოფს პირის უფლებას, თავისუფლად მოახდინოს თვითიდენტიფიცირება, დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი იდენტობა, ცხოვრები წესი და სტილი, ინდივიდუალური განვითარების და სხვა პირებთან ურთიერთობის გზები და ფორმები, თავისი მორალური, სოციალური, ინტელექტუალური თუ სხვა მოთხოვნილებების და ინტერესების დაკმაყოფილების საშუალებები, ის, იმავდროულად, მოიცავს პირის ინტიმური ცხოვრების სფეროსაც, საკუთარი სქესის თუ სექსუალური ორიენტაციის განსაზღვრის უფლებას და სექსუალური ქცევის არჩევის თავისუფლებას“.<sup>18</sup>

მას შემდეგ, რაც შემოფარგლა მე-16 მუხლის მოქმედების სფერო და ის ძირითადი საკითხები, რაც ხდება ამ სფეროში, სექსუალური იდენტობის და სექსუალური ორიენტაციის ჩათვლით, სისხლის დონორობა გასამრჯელოს გარეშე სასამართლომ ჩათვალა, რომ სისხლის დონაციის აკრძალვა პიროვნების თვითრეალიზაციას უშლიდა ხელს.<sup>19</sup> სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას მე-16 მუხლთან მიმართებით სასამართლომ

<sup>18</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, 2/1/536, 2014 წლის 4 თებერვალი, § 54-56.

<sup>19</sup> იქვე, § 59, 63.



დაადგინა, რომ შეზღუდვა უნდა მიემართებოდეს არა პოტენციური დონორის კუთვნილებას სოციალური/დემოგრაფიული ჯგუფისადმი (როგორც იყო „ჰომოსექსუალიზმი“), არამედ სარისკო სექსუალურ ქცევას. ნორმის მეორე პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ შეზღუდვის დროში მოქმედება სცდებოდა ე.წ. „ფანჯრის პერიოდს“, ანუ იმაზე დიდხანს გრძელდებოდა, ვიდრე ქცევა ინარჩუნებდა რისკებს სისხლის დონაციის უსაფრთხოების თვალსაზრისით. შესაბამისად, სასამართლომ კონსტიტუციის მე-16 მუხლის დარღვევა დაადგინა.<sup>20</sup>

ორი წლის შემდეგ სასამართლომ იმსჯელა იდენტობის სხვა ასპექტზე – გვარის არჩევის უფლებაზე. მიუხედავად იმისა, რომ წინა გადაწყვეტილებისგან განსხვავებით საკითხი ბევრად ნაკლებად მტკივნეული და სოციალური დატვირთვის მატარებელი იყო, გადაწყვეტილების ტონი მიანიშნებს, რომ ზომები, რომლებიც ადამიანს ხელს უშლიან საკუთარი იდენტობის განსაზღვრისთვის, სასამართლოს მიერ განსაკუთრებული საფრთხის შემცველად აღიქმება და განსაკუთრებით მკაცრ კონტროლს დაექვემდებარება.

საქმეში „საქართველოს მოქალაქე ნუგზარ ჯაყელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“<sup>21</sup> მოსარჩელეს სურდა ეტარებინა საკუთარი და ბუბის გვარების შეერთების შედეგად მიღებული გვარი, მაგრამ „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის სადავო ნორმა ართმევდა ამის შესაძლებლობას.

სასამართლომ მე-16 მუხლის წინა პრაქტიკაზე დაყრდნობით აღნიშნა:

„მე-16 მუხლით დაცულია პირის ნებისა და ქმედების თავისუფლება როგორც კერძო, ისე საჯარო სივრცეში. მოსარჩელის სურვილიც პირდაპირ დაკავშირებულია პიროვნების თავისუფალ ნებასთან, სოციალური ცხოვრების ნებისმიერ ასპექტში, მათ შორის, ოფიციალურ დოკუმენტებშიც და სახელმწიფოსთან ნებისმიერ სხვა ურთიერთობაში ინოვაციურად როგორც ჯაყელი-ხუნდაძე. უფლება სახელის ან/და გვარის შეცვლაზე პირდაპირ დაკავშირებულია ადამიანის იდენტობასთან და მის პიროვნულ გრძნობებთან.

<sup>20</sup> 2017 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა იმავე ბრძანების ახალ ნორმაზე, რომელიც მამაკაცთან სქესობრივი კავშირის მქონე მამაკაცებს უკრძალავდა სისხლის დონაციას და არაკონსტიტუციურად ცნო ახალი ნორმაც. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გოჩა გაბოძე და ლევან ბერიანიძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, 1/13/878, 2017 წლის 13 ივლისი.

<sup>21</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნუგზარ ჯაყელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2/4/570, 2016 წლის 4 აგვისტო.

პირის უფლება, ჰქონდეს/შეიცვალოს ან ზოგადად აკონტროლოს სახელი/ გვარი პირის ზოგადი თავისუფლების განუყოფელი ნაწილია“.<sup>22</sup>

სასამართლომ ხაზი გაუსვა გვარის მნიშვნელობას ადამიანის იდენტობისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ გვარს ადამიანი ატარებს მთელი ცხოვრება, ზოგჯერ ის რეპუტაციის სინონიმადაც განიხილება და ემსახურება პირის იდენტობის გარეგან რეალიზებას. გადანყვეტილების თანახმად, სახელმწიფო განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდოს პირადი ცხოვრების იმ კომპონენტის შეზღუდვას, რომლითაც დაცულია პირის იდენტობა, რადგან ამგვარი ჩარევა, ერთი მხრივ, განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქმება ადამიანის მიერ, მეორე მხრივ კი, მისი პერსონალური განვითარების დაბრკოლების რისკის შემცველია.

ამ საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სასამართლოს დამოკიდებულება უფლებების შეზღუდვაზე ქვეყანაში არსებული ტრადიციებით. მოპასუხის მტკიცების პასუხად, რომ საქართველოში არსებული ტრადიციის მიხედვით, საკუთარი გვარი შეიძლება შეურთდეს მხოლოდ მეუღლის ან მშობლის გვარს, სასამართლომ უპასუხა:

„მნიშვნელოვანია იმის გათვითცნობიერება, რომ პირის თავისუფალ განვითარებას კანონი არ უნდა უქვემდებარებდეს საზოგადოებრივი განვითარების ერთ-ერთ ეტაპზე ჩამოყალიბებულ ტრადიციას, ნეს-ჩვეულებასა თუ ადათს, ვინაიდან აღნიშნული საფრთხის ქვეშ დააყენებდა თავად ადამიანის პიროვნული განვითარების ორ მნიშვნელოვან და სუბსტანციურ პრინციპს – თავისუფლებასა და ინდივიდუალიზმს, რაც რეალურად წარმოადგენს ადამიანის განვითარების საწყისს“.<sup>23</sup>

აღნიშნულის გათვალისწინებით გადანყდა, რომ დასახელებული ლეგიტიმური მიზანი არ წარმოადგენდა „უფლების შეზღუდვის სერიოზულ, წონად და მხედველობაში მისაღებ გარემოებას“ და სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.

ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლო პირის უფლებას, დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი იდენტობა, მათ შორის სექსუალური იდენტობა, სახელი და გვარი, მისი განვითარებისა და ავტონომიურობის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს. იმგვარ, შედარებით უმნიშვნელო შემთხვევაშიც კი, როგორცაა ბებიის გვარის შეერთება საკუთარ გვართან, სასამართლო არის მკაცრი და მომთხოვნის, რომ შეზღუდვა ემსახურობდეს რეალურ და გასაგებ საზოგადოებრივ საჭიროებას. მითითება ტრადიციაზე *per se*, თუ ეს ტრადიცია

<sup>22</sup> იქვე, § II-9.

<sup>23</sup> იქვე, § II-30.

რაიმე სიკეთეს არ ემსახურება, თავის მხრივ, არ გამოდგება პიროვნული განვითარების თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად. იდენტობის დაცვასთან დაკავშირებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ სასამართლოს ძალიან მაღალი და მკაცრი სტანდარტი აქვს მე-16 მუხლში იმ ჩარევაზე რეაგირებისთვის, რომელიც პირს საკუთარი იდენტობის განსაზღვრაში უშლის ხელს, რადგან ამგვარი შეზღუდვები განსაკუთრებით მტკივნეულად და მისი განვითარებისთვის საშიშად აღიქმება. შესაბამისად, ამ ნაწილში მე-16 მუხლი ძალიან მნიშვნელოვან და მძლავრ დაცვის გარანტიას შეიცავს.

## **ბ. ანტიპატერნალისტური ხაზი**

2014 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება ქმედუნაროდ ცნობილი და არანებაყოფლობით ფსიქიატრიულ მკურნალობას დაქვემდებარებულ პირთა უფლებებისა და სტატუსის შესახებ, რაც საფუძვლად დაედო სამართლის შესაბამისი სფეროების ფუნდამენტურ რეფორმას.<sup>24</sup> თუმცა ანალიზის მეთოდის და მე-16 მუხლის პრაქტიკის გრძელვადიანი განვითარების თვალსაზრისით კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო ამ გადაწყვეტილების მკაფიოდ ანტიპატერნალისტური ლეიტმოტივი: ადამიანის ავტონომიურობა ნიშნავს, რომ ის ზოგჯერ საკუთარ ინტერესებთან შეუთავსებელ გადაწყვეტილებებს მიიღებს, ანუ ინდივიდების „არასწორი“ გადაწყვეტილებებიც დაცულია კონსტიტუციის მე-16 მუხლით.

სასამართლომ მიუთითა, რომ ადამიანზე ზრუნვის მოტივით მის თავისუფლებაში ჩარევა მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება: „საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, როგორც ბუნებითი თავისუფლება, იმდენად ფუნდამენტურია, რომ პიროვნებაზე ზრუნვის მოტივით მასში ჩარევა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც ეს პირის ინტერესების დაცვის უკიდურესად აუცილებელ ღონისძიებას წარმოადგენს“.<sup>25</sup>

შესაბამისად, პატერნალისტურ ზომებთან მიმართებით, სასამართლოს ტონი კიდევ უფრო მკაცრია, ვიდრე იდენტობის დაცვის ნაწილში და უკიდურესად მძიმე ნიშნის გამართლება მოეთხოვება სახელმწიფოს ამგვარი ღონისძიების კონსტიტუციურობის საჩვენებლად.

<sup>24</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2/4/532,533, 2014 წლის 8 ოქტომბერი.

<sup>25</sup> იქვე, § II-26.

ამ საქმეში, მე-16 მუხლთან შესაფასებელი სადავო ნორმების ერთ ჯგუფთან მიმართებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ქმედუუნაროდ ცნობილი პირების მთელი კლასი სამოქალაქო ნების არმქონედ ცხადდებოდა კონკრეტული ურთიერთობის შინაარსის შეცნობის სირთულისა ან რისკების მიუხედავად. შესაბამისად, ადამიანი კარგავდა ავტონომიურობას სამოქალაქო ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროში განუსაზღვრელი ვადით. შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზანს, მოპასუხის მტკიცებით, წარმოადგენდა თავად შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირის უფლებების და ინტერესების დაცვა, თუმცა სასამართლომ ეს არ მიიჩნია თვითკმარ გამართლებად:

„ქმედუუნარიანობის აბსოლუტური და ბლანკეტური ჩამორთმევა უფლებაში მაღალი ინტენსივობით ჩარევას წარმოადგენს, რომელიც გულისხმობს პირის ავტონომიურობის დაკარგვას ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროში. პირი სრულად კარგავს დამოუკიდებელი და თავისუფალი მოქმედების უფლებას. მეტიც, ქმედუუნარიანობის ჩამორთმევა ხდება განუსაზღვრელი ვადით. შესაბამისად, პირის უფლებაში ასეთი ინტენსივობის ჩარევა განპირობებული უნდა იყოს უაღრესად მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნის არსებობით და უნდა წარმოადგენდეს ამ მიზნის მიღწევის ყველაზე ნაკლებად მზღუდველ საშუალებას...

პირადი ავტონომიიდან გამომდინარე, ადამიანს, თუ ეს გარკვეული ხარისხით მაინც აქვს გაცნობიერებული, სრული უფლება აქვს, თუნდაც საზოგადოების საშუალო წევრის ხედვასთან შეუთავსებელი ქმედებები განახორციელოს. პიროვნული ავტონომიის უფლების რეალიზებისას საკუთარ ინტერესებთან შეუთავსებელი უნებლიე გადანყვეტილებების მიღების გამორიცხვა შეუძლებელია. ასეთ „შეცდომებს“ მაღალი ხარისხის ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე პირებიც კი უშვებენ“.<sup>26</sup>

პირის ავტონომიურობის შეზღუდვის ხარისხის და ინტენსივობის გათვალისწინებით, სასამართლომ სადავო ნორმები არაკონსტიტუციურად ცნო და ამ სფეროსთვის ორი ფუნდამენტური სტანდარტი დაადგინა: 1. სასამართლო პირი ქმედუუნაროდ ცნობისას უნდა ითვალისწინებდეს პირის ნებელობითი უნარების დაზიანების ხარისხს და იმდენად შეზღუდოს პირის ავტონომია, რამდენადაც ეს ობიექტურად აუცილებელია მისი გონებრივი შესაძლებლობების შეზღუდვის ხარისხისა და საჭიროებების გათვალისწინებით; 2. მეურვის ფუნქცია უნდა იყოს ქმედუუნარო პირის დახმარება გადანყვეტილების მიღების საკითხში და არა მისი ნების ბლანკეტური ჩანაცვლება.

<sup>26</sup> იქვე, § II-26.

სადავო ნორმების მეორე ჯგუფთან მიმართებით, სასამართლომ იმსჯელა მე-16 მუხლის იმგვარ შეზღუდვაზე, როდესაც ქმედუუნაროდ ცნობილ პირს არ ჰქონდა შესაძლებლობა, აერჩია ფსიქიატრიული დანესებულება, ექიმი და მიელო გადაწყვეტილება მკურნალობის შესახებ და აქაც გაიმეორა პრინციპული მიდგომა, რომ ადამიანს უფლება აქვს, თავისთვის უარყოფითი შედეგების მომტანი გადაწყვეტილება მიიღოს:

„საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, საკუთარი შეხედულებით განკარგოს თავისი ფიზიკური თუ გონებრივი სფერო, იმისგან დამოუკიდებლად, მისი ასეთი გადაწყვეტილება იქნება დადებითი თუ უარყოფითი შედეგის მომტანი მისთვის. აღნიშნული უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, დაექვემდებაროს ამა თუ იმ მკურნალობის ღონისძიებას, მათ შორის, მიიღოს სამკურნალო საშუალებები, შეარჩიოს მკურნალი ექიმი და სამკურნალო დანესებულება. ამდენად, ზემოთ ხსენებული ნორმები წარმოადგენს ჩარევას კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცულ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაში“.<sup>27</sup>

არსებული საკანონმდებლო რეგულირების ფარგლებში პირი აბსოლუტურად და უპირობოდ იყო გამორიცხული საკუთარ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან, მაშინაც კი, როდესაც მას ჰქონდა უნარი, მიელო გადაწყვეტილება ამ საკითხებზე. შესაბამისად, აღნიშნული ნორმებიც არათანაზომიერ შეზღუდვას წარმოადგენდა და არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით.

ანტიპატერნალისტურ ზომებთან დაკავშირებით, სასამართლო პრაქტიკამ შემდგომი განვითარება ჰპოვა მარიხუანის მოყვანასა და მოხმარებასთან დაკავშირებულ საქმეებში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილების<sup>28</sup> მიღების შემდეგ უმნიშვნელოვანესი პრაქტიკა შექმნა ნარკოტიკული საშუალებების სისხლის-სამართლებრივი აკრძალვის სხვადასხვა ასპექტის (მშრალი და ნედლი მარიხუანის სხვადასხვა ოდენობის შექმნა, შენახვა, დათესვა, მოყვანა კულტივირება, ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება) კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით. თუმცა ბოლო დრომდე აღნიშნული პრაქტიკა განვითარდა არა პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან მიმართებით,

<sup>27</sup> იქვე, § II-47.

<sup>28</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 1/4/592 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2015 წლის 24 ოქტომბერი.

არამედ არაპროპორციული და ღირსების შემლახავი სასჯელების აკრძალვის კონსტიტუციური გარანტიის კონტექსტში (კონსტიტუციის მე-17 მუხლი).

თუმცა 2017 წლის გადაწყვეტილებით საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“<sup>29</sup> მარიხუანის მოხმარებამ როგორც რეკრეაციის საშუალებამ, განსაკუთრებით მძაფრი დაცვა მოიპოვა სწორედ მე-16 მუხლის საფუძველზე და სწორედ იმ იდეური პოზიციიდან, რომ სახელმწიფოს შეზღუდული მოქმედების თავისუფლება აქვს, როდესაც ადამიანს უკრძალავს ქმედებას, რომელიც მხოლოდ მისი ჯანმრთელობისთვის რისკის მატარებელია.

ამ საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობა, რომელიც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას ნარკოტიკული საშუალება მარიხუანის, ექიმის დანიშნულების გარეშე, განმეორებით მოხმარებისთვის.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პირის უფლება, თავად შეარჩიოს განტვირთვის მისთვის სასურველი, გასართობი და რეკრეაციული აქტივობები, მათ შორის მოიხმაროს მარიხუანა, უდავოდ წარმოადგენს პიროვნების პირადი ავტონომიით დაცულ სფეროს,<sup>30</sup> ანუ ხვდება მე-16 მუხლის ფარგლებში.

ჩარევის გამართლების ნაწილში სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფო უფლებამოსილია, არეგულიროს ნარკოტიკების ბრუნვა მათგან მომდინარე ჯანმრთელობის რისკების ან სხვა საზოგადოებრივი საფრთხეების გათვალისწინებით. თუმცა აგრეთვე ჩათვალა, რომ არ არსებობდა საკმარისი მეცნიერული მტკიცებულებები იმის დასასაბუთებლად, რომ მარიხუანის მოხმარება ზრდის მომხმარებლის მიერ დანაშაულის ჩადენის ან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის რისკს ან რომ ის წარმოადგენს ე.წ. „კარიბჭულ ნარკოტიკს“ და იწვევს სხვა ნარკოტიკულ საშუალებაზე მოთხოვნის ჩამოყალიბებას. შესაბამისად, მარიხუანის მოხმარების სისხლისსამართლებრივი აკრძალვა მიმართული იყო მხოლოდ თავად მომხმარებლის ჯანმრთელობის დაცვისკენ.

„მარიხუანის აკრძალვა მორალური თვითდებრადაციის მოტივით არ წარმოადგენს ღირებულ ლეგიტიმურ მიზანს. კონსტიტუცია უზრუნველყოფს პირის თავისუფლებას, თავად განსაზღვროს საკუთარი ცხოვრებისეული

<sup>29</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 1/13/732, 2017 წლის 30 ნოემბერი.

<sup>30</sup> იქვე, § II-12.

გეგმები და მიზნები, განახორციელოს ისეთი ქმედებები, რომლებიც არ ვნებს სხვას. მიუხედავად იმისა, რომ მარხუანის მოხმარება უკავშირდება გარკვეულ ნეგატიურ შედეგებს მომხმარებლისთვის, თუმცა მიიჩნევს, რომ ეს არჩევანი წარმოადგენს პირის პირად ავტონომიას, რაც დაცულია მისი თავისუფალი განვითარების უფლებით: შესაძლებლობა, საკუთარი პასუხისმგებლობით გადანყვიტოს, გამოსცადოს ამ საშუალებების ეფექტები, მიუხედავად იმისა, რომ ის გარკვეული დოზით ნეგატიურად ზემოქმედებს მის ჯანმრთელობაზე. ამრიგად, მარხუანის მოხმარების ისეთი შესაძლო შედეგები, როგორიცაა შრომისუნარიანობის დაქვეითება, აპათია და ჩაკეტილობა არ წარმოადგენს თავისუფალი განვითარების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნებს...“<sup>31</sup>

იმის სავალდებულოდ დადგენა, თუ რისი ჭამა, დაღევა, მოწვევა შეიძლება და ამ ქმედებისათვის სასჯელის დაწესება, წარმოადგენს პირადი ავტონომიით დაცულ სფეროში ჩარევის ისეთ ფორმას, რომლის განხორციელებაც შესაძლებელია მხოლოდ საჯარო ინტერესების დასაცავად. პიროვნების დასჯა მხოლოდ საკუთარი ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების გამო, წარმოადგენს სახელმწიფოსგან გამოვლენილი პატერნალიზმის ისეთ ფორმას, რომელიც არ არის თავსებადი თავისუფალ საზოგადოებასთან. „ცალსახაა, რომ სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს ადამიანის თავისუფლებაში მხოლოდ იმიტომ, რომ ის ირაციონალურ ქმედებას ახორციელებს“.<sup>32</sup>

ამ ციტირების ყველაზე საინტერესო ნაწილი არის აპელირება „პატერნალიზმის ისეთ ფორმაზე, რომელიც არ არის თავსებადი თავისუფალ საზოგადოებასთან“, რადგან ის გვაფიქრებინებს, რომ პატერნალიზმის ისეთი ფორმებიც არსებობენ, რომლებიც თავსებადი იქნება თავისუფალ საზოგადოებასთან და კონსტიტუციის მე-16 მუხლთან. ამ საკითხს დამატებით შეიძლება ნათელს ფენდეს გადანყვეტილების სხვა ნაწილი, რომლის თანახმადაც, მოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვა და ჯანსაღი ცხოვრების წესი მნიშვნელოვანია სახელმწიფოს განვითარებისთვის და მისი მხრიდან ხელშეწყობის სფეროს შეიძლება წარმოადგენდეს. თუმცა სასამართლომ იქვე აღნიშნა, რომ საჭიროა ისეთი მიდგომები, რომლებიც სწორ ბალანსს მიაღწევენ სისხლისსამართლებრივ მექანიზმებსა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების თუ საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის ზიანის შემცირების პრევენციულ მექანიზმებს შორის.

იგივე არგუმენტების საფუძველზე, 2018 წლის 30 ივლისს მიღებული გადანყვეტილებით,<sup>33</sup> სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო აგრეთვე

<sup>31</sup> იქვე, § II-55.

<sup>32</sup> იქვე, § II-50.

<sup>33</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება 1/3/1282 საქმეზე „სა-

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმა-ც, რომელიც მარიხუანას მოხმარებისთვის ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრებას ითვალისწინებდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ გარკვეულ გარემოებებში მარიხუანის მოხმარება შეიძლება უქმნიდეს საფრთხეს სხვა პირებს (მაგ., არასრულწლოვნებს). სასამართლომ აზრით, გამართლებული იქნებოდა მარიხუანის მოხმარების შეზღუდვა „სასწავლო, სააღმზრდელო თუ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არმიასში, სამედიცინო, სახელმწიფო (საჯარო) დაწესებულებებში, აგრეთვე, საზოგადოებრივი თავშეყრის ზოგიერთ ადგილას (მაგალითად, საზოგადოებრივ ტრანსპორტში), საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და საჯარო წესრიგის ინტერესების დასაცავად“.<sup>34</sup> თუმცა შესაფასებელი ნორმა ამოიწურებოდა მარიხუანის მოხმარების ფაქტით და, შესაბამისად, ამ მოცემულობიდან რაიმე რისკი მესამე პირების ჯანმრთელობისთვის არ ჩანდა. ამდენად, ნორმის ერთადერთ შესაძლო გამართლებად რჩებოდა, თავად მომხმარებლის ჯანმრთელობაზე ზრუნვა.

ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ სასამართლომ მიდგომის მიხედვით, გარკვეულ შემთხვევაში სახელმწიფო უფლებამოსილია, შეზღუდოს პირის უფლებები მისივე ინტერესების დასაცავად; მეტიც გარკვეულ შემთხვევაში სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება აქვს ამგვარად მოქცევისა. ანუ პირის დაცვა საკუთარი თავისგან – თავისთავად და ყოველთვის არაკონსტიტუციური პატერნალიზმი არ არის. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ზომა იყო არაკონსტიტუციური, რადგან მომხმარებლისთვის მიყენებულ ზარალსა და მის შეზღუდულ უფლებებს შორის სასამართლომ სამართლიანი ბალანსი/თანაზომიერება ვერ დაინახა:

„ვინაიდან მარუხუანის მოხმარება არ არის დაკავშირებული მომხმარებლის ჯანმრთელობისათვის სერიოზული ზიანის მიყენებასთან, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მოცემულ შემთხვევაში არ წარმოეშობა პოზიტიური ვალდებულება, პირი საკუთარი თავისათვის ასეთი ზიანის მიყენებისგან დაიცვას საკუთრივ ზიანის მიმყენებელი ქმედების სამართალდარღვევად გამოცხადებით. ეს წარმოადგენს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაში ისეთ ექსცესიურ ჩარევას, რომელიც არ არის გამართლებული დასახული კანონიერი ინტერესით“.

მარიხუანის მოხმარებისთვის ადმინისტრაციულსამართლებრივი ჯარიმის დაკისრება არაკონსტიტუციურად გამოცხადდა.

ქართველოს მოქალაქეები – ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2018 წლის 30 ივლისი.

<sup>34</sup> იქვე, § II-35.



ანტიპატერნალისტური ხაზის შეჯამებისთვის, ამ ნაწილში განვიხილეთ საქმეები, რომლებშიც სადავო ნორმები/ზომები ზღუდავდა ინდივიდის ავტონომიურობას და პიროვნული განვითარების თავისუფლებას მათივე ინტერესების დასაცავად. აღნიშნული, თავისთავად, მიუღებელი ლეგიტიმური მიზანი არ არის და როგორც სასამართლომ თქვა გარკვეული თვითმიყენებელი ზიანისგან ინდივიდის დაცვა სახელმწიფოს პოზიტიურ მოვალეობასაც შეიძლება წარმოადგენდეს. თუმცა ამგვარი პატერნალისტური ზომების გამოყენებისას სახელმწიფო შეიძლება ჩაერიოს მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობისას, უნდა გამოიყენოს მიზნის მისაღწევად ვარგისი საშუალება და უნდა მიაღწიოს სამართლიან ბალანსს დაცულ ინტერესსა და უფლების შეზღუდვას შორის.

ამ თავში განხილული საქმეების სულისკვეთება, რომ ადამიანს უფლება აქვს, თავისთვის საზიანო გადაწყვეტილებები მიიღოს და ეს უფლება მისი ავტონომიურობის მე-16 მუხლით დაცული ნაწილია, არის უპირობოდ დიდი მონაპოვარი საქართველოში კონსტიტუციური უფლებების დაცვისთვის და კონსტიტუციის მე-16 მუხლს განსაკუთრებით მომხიბლავ საფუძვლად აქცევს ამ ტიპის საქმეებზე სტრატეგიული სამართალწარმოების განსახორციელებლად.

### **გ. პირადი სივრცის დაცვა**

2016 წელს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ე.წ. „ფარული მოსმენების“ საკითხზე. ამ საკითხზე არსებული წინა გადაწყვეტილებებისგან განსხვავებით, ამ საქმეში სასამართლომ სადავო ნორმები შეაფასა არა მხოლოდ კონსტიტუციის მე-20 მუხლთან მიმართებით, არამედ, აგრეთვე კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებითაც. შესაბამისად, აღნიშნული საქმე მნიშვნელოვანია იმის გასარკვევად, პირადი სივრცის დაცვის საკითხებზე სად გადის ზღვარი მე-16 მუხლით და მე-20 მუხლით დაცულ სფეროებს შორის.

სასამართლომ განაცხადა, რომ მე-16 მუხლი „მოიცავს პირადი ცხოვრების, ადამიანის პირადი სივრცის ხელშეუხებლობის ყველა ასპექტს“; მე-20 მუხლით კი დაცულია „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შემდეგი უმნიშვნელოვანესი კომპონენტები: პირადი საქმიანობის ადგილის ხელშეუხებლობა; პირადი ჩანაწერის ხელშეუხებლობის უფლება; მიმონერის თავისუფლება; სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით საუბრის თავისუფლება; ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებების ხელშეუხებლობის უფლება; საცხოვრებელი ბინისა და სხვა მფლობელობის

ხელშეუხებლობის უფლება.“ აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ პირადი სივრცის დაცვასთან დაკავშირებით მე-16 და მე-20 მუხლებს შორისაც ზოგადი და სპეციალური დებულებების მიმართება არსებობს: მე-16 მოიცავს პირად სივრცეს, მე-20 კი მის კონკრეტულ კომპონენტებს. ეს დასკვნა თუ სწორია, მაშინ სასამართლოს სადავო ნორმები ორივე მუხლთან მიმართებით არ უნდა შეეფასებინა მისი ზოგადი მიდგომის გათვალისწინებით, თუმცა შეაფასა.

სასამართლოს მიდგომის ახსნა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში<sup>35</sup> შეიძლება იმაში მდგომარეობდეს, რომ მოცემულ საქმეში წამოჭრილი იყო არა მხოლოდ შეტყობინების და პირადი კომუნიკაციის ხელშეუხებლობის ასპექტი, არამედ აგრეთვე პირადი ცხოვრების გადანყვეტილებითი ასპექტი, რომლის დაცვის წყაროც მხოლოდ მე-16 მუხლში დაინახა სასამართლომ. ამას ადასტურებს სასამართლოს მსჯელობაც მე-16 მუხლის ნაწილში.

სასამართლომ მიიჩნია, რომ როდესაც ფარული საგამოძიებო მოქმედებების საკანონმდებლო რეგულირება იძლევა თვითნებობის ფართო საშუალებას და ადამიანებს უყალიბდებათ შიში, რომ სინამდვილეში მათი პირადი სივრცე არ სარგებლობს ხელშეუხებლობით და დაცულობით, ეს ადამიანების ავტონომიურობას და თავისუფალ განვითარებას ხდის მციფეს და საეჭვოს.<sup>36</sup> სასამართლოს განმარტებით, მე-16 მუხლი არ შემოიფარგლება მხოლოდ პირადი სივრცის რეალური და ფაქტობრივი ხელშეუხებლობის მოთხოვნით, არამედ აგრეთვე საჭიროა ხელშეუხებლობის მყარი შეგრძნებაც უფლების სუბიექტებისთვის:

„ასეთი მკაფიო შეგრძნებებისთვის მყარი სამართლებრივი საფუძვლების გარეშე ადამიანების მუდმივი ლელვა და დაფიქრების საჭიროება, არის კი მათი პირადი ცხოვრება ნამდვილად მხოლოდ მათი პირადი სივრცე, თავისთავად იწვევს მათი ქცევის თავისუფლების შეგნებულად ან ქვეცნობიერად კორექტირებას, მათი ნების შესაბამისად მოქმედების, განვითარების შესაძლებლობის შეზღუდვას ან უკეთეს შემთხვევაში საკუთარი ნების და გადანყვეტილების შესაბამისად მოქცევას იმასთან შეგუებით ან იმ ფაქტის იგნორირებით, რომ პირად სივრცეს იყოფს მისთვის უცნობ, არასასურველ პირებთან. ... პირველ შემთხვევაში არ არსებობს საკუთარი

<sup>35</sup> 2017 წელს მსგავსი სადავო ნორმები ისევ ორივე კონსტიტუციურ ნორმასთან მიიღო სასამართლომ შესაფასებლად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – ავთანდილ ბარამიძე, გივი მითაიშვილი, ნუგზარ სოლომონიძე და სხვები (სულ 326 კონსტიტუციური სარჩელი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2017 წლის 29 დეკემბერი.

<sup>36</sup> იქვე, § II-27.

ნების შესაბამისად მოქმედების, პიროვნების განვითარების თავისუფლება, ხოლო მეორე შემთხვევაში დარღვეულია ... თავად პირადი სივრცე, რადგან ადამიანი საკუთარი ნების შესაბამისად მოქმედებისთვის უპირატესობის მინიჭების გზით ფაქტობრივად თმობს პირადი სივრცის პრივატულობას, მასში სახელმწიფოს დაშვების გზით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის მოთხოვნებს“.<sup>37</sup>

რადგან სასამართლომ დაინახა, სასამართლოს კონტროლის გვერდის ავლით პირადი სივრცის ხელშეუხებლობის დარღვევის საფრთხეც, სადავო ნორმები არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი მე-20 მუხლთან მიმართებითაც.

აღსანიშნავია, რომ ამ გადაწყვეტილების თანახმად, ინტერნეტ-კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვება, როგორც საგამოძიებო მოქმედება, ზუსტად ისევე წარმოადგენდა მე-16 მუხლის დაცულ სფეროში ჩარევას და ისეთივე სიმკაცრით უნდა შემოწმებულიყო, როგორც სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება:

„ზედმეტია იმის მტკიცება, რომ პირებს შორის გაცვლადი ინფორმაციის ოდენობის, შინაარსის, თვისებრიობის, სახეობის თვალსაზრისით, ფაქტობრივად არ არსებობს სხვაობა ტელეფონითა და ინტერნეტით ინფორმაციის გაცვლისას. მეტიც, გამოყენების ინტენსივობის მიხედვით და, შესაბამისად, ინფორმაციულობის ხარისხის, მოცულობის მიხედვით, დღევანდელ დღეს ინტერნეტკომუნიკაცია ბევრად უფრო ინფორმაციული შეიძლება იყოს. შესაბამისად, ამ სივრცეში უკონტროლო შეღწევა, ბევრად უფრო ინტენსიურ ჩარევას შეიძლება იწვევდეს პრივატულ სფეროში და, შედეგად, არღვევდეს ადამიანების ფუნდამენტურ უფლებებს“.<sup>38</sup>

აღსანიშნავია, რომ ამ კვლევის მომზადების დროისთვის სასამართლომ კიდევ 2 გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც პირად სივრცეს/პირად ინფორმაციას უკავშირდებოდა და სადავო ნორმები გასაჩივრებული იყო როგორც მე-16, ისე მე-20 მუხლთან მიმართებით.<sup>39</sup> ორივე შემთხვევაში, სასამართლომ უარი თქვა ორივე კონსტიტუციურ ნორმასთან შეეფასებინა დავის საგანი.

<sup>37</sup> იქვე, § II-82.

<sup>38</sup> იქვე, § II-78.

<sup>39</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ედიშერ გოდუაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“, 1/2/622, 2017 წლის 9 თებერვალი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ“, 2/4/665,683, 2018 წლის 26 ივლისი.

პირველ საქმეში „საქართველოს მოქალაქე ედიშერ გოდუაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“,<sup>40</sup> რომელიც ეხებოდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაციის (მისი ჩამდენის საიდენტიფიკაციო მონაცემების ჩათვლით) სამუდამოდ შენახვას ერთიან საინფორმაციო ბანკში, სადავო ნორმა შეფასდა კონსტიტუციის მე-16, მაგრამ არა მე-20 მუხლთან.

საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ კონსტიტუციის მე-20 მუხლი იცავს პირადი ცხოვრების ცალკეულ ასპექტებს და პირად სივრცეს სახელმწიფოს მხრიდან იმგვარი ჩარევისგან, რომელიც გამოიხატება ინფორმაციის შეგროვებაში, ფარულ მიყურადებაში, ჩხრეკაში. ანუ მე-20 მუხლი არეგულირებს უშუალოდ პირად ინფორმაციასთან ან კომუნიკაციასთან წვდომას.<sup>41</sup> რამდენადაც სადავო მუხლი ეხებოდა არა ინფორმაციის მოპოვებას, არამედ უკვე მოპოვებული ინფორმაციის არქივში სამუდამოდ შენახვის წესს, სასამართლომ ჩათვალა, რომ აღნიშნული არ ხვდებოდა კონსტიტუციის მე-20 მუხლში. შესაბამისად, სადავო ნორმა მხოლოდ მე-16 მუხლთან მიმართებით შეაფასა და ცნო არაკონსტიტუციურად მისი ბლანკეტური ხასიათის გამო.

მეორე საქმეში „საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ“, რომელიც ეხებოდა პატიმრების სრულ პირად შემონმებას (სხეულის ნაწილების გაშიშვლებას), სასამართლომ მიუთითა, რომ კონსტიტუციის მე-20 მუხლი იცავს პიროვნების, მათ შორის მისი სხეულის ხელშეუხებლობას. შესაბამისად, პირადი შემონმება უნდა განხორციელდეს ამ მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. რადგან ამ საკითხზე არსებობდა სპეციალური კონსტიტუციური დებულება (მე-20 მუხლი), საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა, რომ სადავო ნორმა არ იყო შეფასებადი კონსტიტუციის მე-16 მუხლთან.<sup>42</sup>

ამდენად, „ფარულ მოსმენებზე“ 2016 წლის გადაწყვეტილება არის ერთადერთი არსებითი გადაწყვეტილება, რომელშიც სადავო ნორმები შეფასდა როგორც მე-16, ისე მე-20 მუხლთან მიმართებითაც. ეს, ერთი შეხედვით, წარმოადგენს გადახრას იმ ზოგადი მიდგომიდან, რომ, თუ კონსტიტუციას

<sup>40</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ედიშერ გოდუაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“, 1/2/622, 2017 წლის 9 თებერვალი.

<sup>41</sup> იქვე, § II-15.

<sup>42</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ“, 2/4/665,683, 2018 წლის 26 ივლისი, § II-97-99.

აქვს საკითხზე სპეციალური რეგულირება, ის მე-16 მუხლთან არ უნდა შეფასდეს. თუმცა ამ გადანყვეტილების მოტივაცია საფუძველს იძლევა ფიქრისთვის, რომ ამ შემთხვევაში მე-16 მუხლთან სადავო ნორმით გამოწვეული ის ჩარევა შეფასდა, რომელიც უკავშირდებოდა ადამიანებში პირადი სივრცის დაუცველობის განცდას და შესაბამისი თვითცენზურის განხორციელებას, მე-20 მუხლთან კი – სასამართლოს გვერდის ავლით პირად ინფორმაციაზე და სივრცეზე წვდომის საკითხი. ამდენად, არ იქნება სწორი იმის თქმა, რომ ეს საქმე ზოგადი მიდგომის შეცვლის მაგალითია.

აღსანიშნავია, არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების ნაცვლად მიღებული ახალი ნორმები ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ, ისევე სადავო საკონსტიტუციო სასამართლოში და არსებითი განხილვისთვის საქმე ისევე მე-16 და მე-20 მუხლებთან მიმართებით არის მიღებული. შესაბამისად, ეს გადანყვეტილება იქნება ამ ორ მუხლს შორის მიმართების განმსაზღვრელი პრეცედენტი სამომავლოდ.

#### დ. დასკვნა

ამ დროისთვის არსებული პრაქტიკის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლომ მე-16 მუხლთან მიმართებით შეაფასა და არაკონსტიტუციურად ცნო:

- სისხლის დონაციის უფლების შეზღუდვა ჰომოსექსუალებისთვის ან იმ მამაკაცებისთვის, რომლებსაც სექსი აქვთ მამაკაცებთან;
- ქმედუუნარო პირების ნების ჩანაცვლება მეურვის ნებით და მათი დამოუკიდებელი ფუნქციონირების იმაზე მეტად შეზღუდვა, ვიდრე ამას მოითხოვდა შესაბამისი პირების არსებული უნარები;
- ქმედუუნარო პირების ჩამოცილება მათი მკურნალობის თაობაზე მისაღები გადანყვეტილებებიდან;
- ბებუის გვარის არჩევის შესაძლებლობის შეზღუდვა;
- საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების იმგვარი რეგლამენტირება, რომ ადამიანები მუდმივი შიშის ქვეშ არიან მათ პირად სფეროში ჩარევასთან დაკავშირებით და, შესაბამისად, უწევთ თვითცენზურის განხორციელება.
- ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის პიროვნების და მის მიერ ჩადენილი დარღვევის შესახებ ინფორმაციის სამუდამოდ შენახვა საინფორმაციო ბანკში სახელმწიფოს მიერ;
- მარიხუანის მოხმარების, როგორც რეკრეაციის სისხლისსამართლებრივად ან ადმინისტრაციულსამართლებრივად დასჯა, თუ ის სხვა პირების ჯანმრთელობას არ უქმნის საფრთხეს.

აღნიშნული საკითხები დაეყავით 3 უფრო ფართო ჯგუფად: ა. იდენტობის დაცვა; ბ. ანტიპატერნალისტური ზომებისგან დაცვა; გ. პირადი სივრცის დაცვა. ყველა ამ მიმართულებით მსჯელობისას სასამართლოს მე-16 მუხლის ტექსტის მიუხედავად, არასდროს დაუშვია, რომ ეს უფლება შეიძლებოდა აბსოლუტური ყოფილიყო, თუმცა პიროვნების განვითარებას, ავტონომიას და ინდივიდუალიზმს ანიჭებს რა ფუნდამენტურ მნიშვნელობას, სასამართლოს მხრიდან ჩარევის შემოწმება არის უკიდურესად ზედმინევენითი და მკაცრი. ეს განასხვავებს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომას ამ კვლევაში განხილული სხვა სასამართლოებისგან, რომლებიც პიროვნული განვითარების უფლების უფართოესი დაცული სფეროს გათვალისწინებით, განსაკუთრებით დიდ დისკრეციას ანიჭებენ სახელმწიფოებს საზოგადოებების საჭიროებების მიხედვით ჩაერიონ ამ უფლებაში.

თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ ეტაპზე მე-16 მუხლთან დაკავშირებით ათზე ნაკლები გადანყვეტილება არსებობს. პრაქტიკის განვითარების შესაბამისად, სასამართლომ შეიძლება გაიზიაროს სხვა სასამართლოების გამოცდილება და ერთგვაროვნად მკაცრი ტესტის გამოყენების ნაცვლად, საკითხების სენსიტიურობისა და მნიშვნელობის მიხედვით, მეტი სისტემატიზება და გრადაცია მოახდინოს მე-16 მუხლის საფუძველზე განსახორციელებელი კონსტიტუციური კონტროლის სიმკაცრის თვალსაზრისით.

#### 4. შეჯამება

კონსტიტიციურად დაცული თავისუფლების საზღვრების დადგენა კონსტიტუციონალიზმის ერთ-ერთი მთავარი საკითხია. კონსტიტუციური წესრიგის ფარგლებში არსებული ადამიანის თავისუფლება დაცულია კონკრეტული კონსტიტუციური უფლებებით, როგორცაა გამოხატვის თავისუფლება, გადაადგილების თავისუფლება, შეკრებებისა და გაერთიანებების თავისუფლება და ა.შ. თუმცა ეს კონკრეტული მუხლები ადამიანის თავისუფლებას არ დავერ ამოწურავს.<sup>43</sup>

როცა კანონმდებლობა ზღუდავს ადამიანის თავისუფლებას ნებისმიერი ფორმით და ნებისმიერ სფეროში (მაგ., სპირტიანი სასმელის საჯაროდ მოხმარებისას, ნადირობისას ან შინაური ცხოველების არჩევისას), შეიძლება ეს თავისთავად პირის ღირსებას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას არ ეწინააღმდეგებოდეს, მაგრამ მისი თავისუფლების შეზღუდვას უდავოდ

<sup>43</sup> Frank I. Michelman, *Freedom by Any Other Name: A Comparative Note on Losing Battles While Winning Wars*, 2008 Acta Juridica 91 (2008), გვ. 99.

წარმოადგენს.<sup>44</sup> აქ ჩნდება კითხვა, რა არის ამგვარი ზოგადი თავისუფლების, ე.წ. „ნარჩენი თავისუფლების“ (*residual liberty*) კონსტიტუციურსამართლებრივი წყარო.

როგორც ამ კვლევაში ჩანს, სხვადასხვა სასამართლოები ამგვარ წყაროს შესაბამისი დოკუმენტების ტექსტის მიხედვით, სხვადასხვა დებულებებში პოულობენ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის ეს ცალსახად კონსტიტუციის მე-16 მუხლია – ადამიანის როგორც ავტონომიური, დამოუკიდებელი სუბიექტის თავისუფლების გარანტი:

„კონსტიტუციაში რეგლამენტირებულ კონკრეტულ უფლებებს მიღმა რჩება პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის აუცილებელი ბუნებითი თავისუფლებების მნიშვნელოვანი სეგმენტი. კონსტიტუციის მე-16 მუხლი ქმნის კონსტიტუციური დაცვის გარანტიას ურთიერთობებისთვის, რომლებიც არ თავსდება კონსტიტუციის სხვა ნორმებში, თუმცა შეადგენს პიროვნების თავისუფალი განვითარების აუცილებელ კომპონენტს“.<sup>45</sup>

მიუხედავად იმისა, თუ შინაარსობრივად რა ტიპის ქმედებას უკრძალავს სახელმწიფო ინდივიდს, როგორც კი ის ზღუდავს ინდივიდის თავისუფლებას, *qua* თავისუფლებას (თუნდაც არ მოდიოდეს შემხებლობაში, რომელიმე კონკრეტულ კონსტიტუციურ უფლებასთან), ის იჭრება სფეროში, რომელსაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავსად, უწოდებს „მოქმედების ზოგად თავისუფლებას“. ამ მომენტიდან სახელმწიფოს სჭირდება, სასამართლოს წარუდგინოს დამაჯერებელი გამართლება აღნიშნული ჩარევისთვის, რათა ზომა არაკონსტიტუციურად არ ჩაითვალოს.

აქვე აღსანიშნავია, რომ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომისგან განსხვავებით, რომელიც ძალიან ვიწრო სფეროში (უფლების ბირთვის ხელყოფისას) და ძალიან იშვიათად ანიჭებს პერსონალური განვითარების უფლებას „კბილს“ და რეალურ დაცვას, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონტროლი მე-16 მუხლის ფარგლებში ნორმების კონსტიტუციურობის შემოწმებისას არის უკიდურესად მკაცრი.

მე-16 მუხლთან დაკავშირებულ მთელ რიგ საქმეებში, სასამართლო პირდაპირ მიუთითებს, რომ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ღირებული ლეგიტიმური მიზანი და გამოყენებული საშუალება უნდა იყოს ყველაზე ნაკლებად მზღუდავი იმისთვის, რომ ჩარევა კონსტიტუციურად ჩაითვალოს. ყველა

<sup>44</sup> იქვე, გვ. 93.

<sup>45</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2/4/532,533, 2014 წლის 8 ოქტომბერი, § II-5.

აქამდე გადაწყვეტილ საქმეში სასამართლო ძალიან მკაცრი იყო იმის შემონ-  
მებისას, მიღწეული იყო თუ არა სამართლიანი ბალანსი დასახულ მიზანს და  
უფლების შეზღუდვას შორის. ამის საუკეთესო დადასტურებაა ისიც, რომ  
ყველა საქმე, რომელშიც სადავო ნორმა არსებითად შეფასდა კონსტიტუციის  
მე-16 მუხლთან მიმართებით, მოსარჩელეთა მოთხოვნის დაკმაყოფილებით  
და სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობით დასრულდა.<sup>46</sup>

რაც შეეხება პიროვნების განვითარების თავისუფლების მიმართებას  
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასთან, ეს ურთიერთობა  
მოითხოვს გამოკვლევას. როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, იმის გამო, რომ  
აქამდე მოქმედ საქართველოს კონსტიტუციაში არ არის პირადი ცხოვრების  
ხელშეუხებლობის ყოვლისმომცველი მუხლი და ამ უფლების ცალკეული  
ასპექტები დაცულია სხვადასხვა მუხლებით, საკონსტიტუციო სასამართლო  
აქამდე აქტიურად მიუთითებდა მე-16 მუხლზე, როგორც პირადი ცხოვრების  
უფლების იმ კომპონენტების დამცველზე, რასაც კონსტიტუციის სხვა სპე-  
ციალური მუხლები არ არეგულირებენ (ოჯახის ნევრებთან ურთიერთობა,  
პირად სივრცეში თვითცენზურის გარეშე ფუნქციონირება, სახელის და გვარის  
არჩევის უფლება, სექსუალური იდენტობის განსაზღვრის უფლება, ა.შ.).

თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ცალსახად მიუთითებს  
იმაზე, რომ მე-16 მუხლის მოქმედების ფარგლები არ ამოიწურება პირადი  
სფეროთი. ეს უფლება მოქმედებს საჯარო სფეროშიც და იცავს ადამიანის  
უფლებას, განავითაროს კავშირები გარესამყაროსთან.

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის ამოქმედების შემდეგ,  
რამდენადაც მასში ცალკეა მოცემული პირადი და ოჯახური ცხოვრების  
დაცვა,<sup>47</sup> სავარაუდოდ, საკონსტიტუციო სასამართლო პირადი ცხოვრების  
ხელშეუხებლობის უფლების შესაბამის კომპონენტებს (პირადი ცხოვრება,  
ოჯახური ცხოვრება, პირადი სივრცე და კომუნიკაცია) ამ სპეციალურ (მე-  
15 მუხლი) ნორმაში დაიცავს და მე-16 მუხლი (ახალი კონსტიტუციის მე-12  
მუხლი) დარჩება წმინდად რეზიდუალური თავისუფლების მუხლად, ანუ

<sup>46</sup> აქედან გამონაკლისად არ შეიძლება ჩავთვალოთ „რუსთავი 2“-ის საქმე და ნანა ფარ-  
ჩუკაშვილის საქმე, რომლებიც ზემოთ არის განხილული, რადგან არც ერთ შემთხვე-  
ვაში მე-16 მუხლთან მიმართებით სადავო ნორმების კონსტიტუციურობა არ შეფასე-  
ბულა სპეციალური ნორმების არსებობის გამო.

<sup>47</sup> საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილე-  
ბის შეტანის შესახებ“, №1324-რს, 2017 წლის 10 ოქტომბერი, მუხლი 15 (პირადი და  
ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლე-  
ბები).



ბუნებითი თავისუფლების იმ სეგმენტის დამცველად, რომელიც კონსტიტუციის კონკრეტულ მუხლებში არ არის რეგლამენტირებული და დაცული.<sup>48</sup>

ის ფაქტი, რომ პიროვნული განვითარების უფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის კავშირის ინტენსიურობა დიდწილად კონკრეტული სამართლებრივი ტექსტითაა განპირობებული, კარგად ჩანს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მაგალითზე. იმის გამო, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ ითვალისწინებს ცალკე პიროვნების განვითარების უფლებას და არ შეიცავს რეზიდუალური თავისუფლების დაცვისთვის ცალკე ნორმატიულ საფუძველს, სასამართლო უფლებას პიროვნულ განვითარებაზე კონვენციის მე-8 მუხლის პირადი და ოჯახური ცხოვრების გარანტიაში კითხულობს და იცავს. თუმცა როგორც კვლევის შესაბამის ნაწილში ჩანს, დამოუკიდებელი ნორმატიული საფუძვლის არარსებობის გამო, სასამართლოს საკმაოდ წინააღმდეგობრივი პრაქტიკა აქვს. მაგ., საჯარო სამსახურში დასაქმება (მაგ., მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნა) დაცულია კონვენციის მე-8 მუხლით, როგორც პიროვნული განვითარების უფლების ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ ცალსახად საჯარო ბუნების აქტივობასთან გვაქვს საქმე, ნადირობა კი არ არის დაცული პიროვნული განვითარების უფლებით, სწორედ იმ საბაბით, რომ თავისი არსით საჯარო აქტივობაა და იდეაში, მე-8 მუხლი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას იცავს.

რა თქმა უნდა, ნორმატიული ტექსტების თავისებურებების მიღმა არის უფრო ღრმა იდეური კავშირიც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასა და პიროვნული განვითარების თავისუფლებას შორის. ეს არის ავტონომიის ღირებულება, რომელიც ორივე უფლების არსს ქმნის. განსხვავება მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება იცავს ამ ავტონომიას პირად სფეროში ან პირად საკითხებთან დაკავშირებით (თუნდაც საჯარო სფეროში), ხოლო პიროვნული განვითარების თავისუფლება, როგორც ზოგადი მოქმედების თავისუფლება, ადამიანის ავტონომიური გადწყვეტილებების მიღების პროცესს იცავს როგორც კერძო, ისე საჯარო სფეროში.

რეზიდუალური თავისუფლების, როგორც ცალკე კონსტიტუციურად დასაცავი სიკეთის საჭიროების მტკიცებისას და იმის ხაზგასმისას, რომ რეზიდუალური თავისუფლება არ არის არც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება და არც ღირსება თავისთავად, თუმცა ორივესთან მჭიდროდ

<sup>48</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2/4/532,533, 2014 წლის 8 ოქტომბერი, § II-5.

დაკავშირებულია, ფრენკ მიქელმანი ციტირებს ისაია ბერლინს, „ყოველი მოვლენა არის ის რაც არის, და არა რაღაც სხვა“.<sup>49</sup>

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, ან მოქმედების ზოგადი თავისუფლება, ან რეზიდუალური თავისუფლება მოიცავს, თუმცა არ უტოლდება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. ამდენად, საქართველოს კონსტიტუციის უპირატესობაა ამ უფლების ცალკე უფლებად გატანა. აღნიშნული ცალსახად დადებითად აისახებოდა აქამდე ამ უფლების კონსტიტუციური დაცვის ხარისხზე. ახალი კონსტიტუციის ამოქმედების შემდეგაც ამ უფლებასთან დაკავშირებული პრაქტიკა განვითარებას გააგრძელებს სათანადო სამართალწარმოების პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ პირადი ცხოვრების ცალკეული კომპონენტების ამ უფლების ფარგლებში დაცვის საჭიროება აღარ იარსებებს. ამ მხრივ, აღნიშნული კვლევა და სხვა სასამართლოების იურისდიქციებში არსებული პარალელური პრაქტიკა სასარგებლო იქნება დაინტერესებული პირებისთვის.

## წყაროები

1. Frank I. Michelman, Freedom by Any Other Name: A Comparative Note on Losing Battles While Winning Wars, 2008 Acta Juridica 91 (2008);
2. Rubinfeld, Jed, “The Right of Privacy” (1989), ხელმისაწვდომია [http://digitalcommons.law.yale.edu/fss\\_papers/1569](http://digitalcommons.law.yale.edu/fss_papers/1569);
3. J. SOLOVE, A TAXONOMY OF PRIVACY DANIEL, january 2006 ხელმისაწვდომია [https://www.law.upenn.edu/journals/lawreview/articles/volume154/issue3/Solove154U.Pa.L.Rev.477\(2006\).pdf](https://www.law.upenn.edu/journals/lawreview/articles/volume154/issue3/Solove154U.Pa.L.Rev.477(2006).pdf).

### საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტები ა. გადანყვეტილებები

1. საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, 2/1/536, 2014 წლის 4 თებერვალი;

<sup>49</sup> Frank I. Michelman, Freedom by Any Other Name: A Comparative Note on Losing Battles While Winning Wars, 2008 Acta Juridica 91 (2008), გვ. 92.

2. საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №2/4/532,533, 2014 წლის 8 ოქტომბერი;
3. საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 1/1/625, 640, 2016 წლის 14 აპრილი;
4. საქართველოს მოქალაქე ნუგზარ ჯაყელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2/4/570, 2016 წლის 4 აგვისტო;
5. საქართველოს მოქალაქე ედიშერ გოდუაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ, 1/2/622, 2017 წლის 9 თებერვალი;
6. საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 1/13/732, 2017 წლის 30 ნოემბერი;
7. შპს სამაუნეებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“-ს საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, N3/7/679, 2017 წლის 29 დეკემბერი;
8. „საქართველოს მოქალაქეები – ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 1/3/1282, 2018 წლის 30 ივლისი;
9. „საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელალს-რულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ“, 2/4/665,683, 2018 წლის 26 ივლისი.

## **ბ. საოქმო ჩანაწერები**

1. საქართველოს მოქალაქე – იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 1/7/561, 568, 2013 წლის 20 დეკემბერი;
2. საქართველოს მოქალაქე ნოდარ მუმლაური საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2/10/560, 2013 წლის 27 დეკემბერი;
3. საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 1/1/592 2015 წლის 13 თებერვალი;

4. ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქეები გურამ იმნაძე და სოფიკო ვერძეული საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 1/19/690, 2016 წლის 25 ნოემბერი;
5. საქართველოს მოქალაქეები ჯამბულ გვიანიძე, დავით ხომერიკი და ლაშა გაგიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 1/21/701,722,725 ბათუმი, 2016 წლის 20 დეკემბერი;
6. საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ, 2/8/665,683, 2016 წლის 29 დეკემბერი;
7. საქართველოს მოქალაქე ლაშა ბახუტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 1/2/696, 2017 წლის 6 თებერვალი;
8. საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, 1/11/697, 2017 წლის 7 აპრილი;
9. საქართველოს მოქალაქეები – გელა ტარიელაშვილი, გიორგი კვირიკაძე, ვლადიმერ გასპარიანი, ივანე მაჭავარიანი და სხვები (სულ 9 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 1/13/733, 2017 წლის 22 ივნისი;
10. საქართველოს მოქალაქეები – კონსტანტინე ლაბარტყავა, მალხაზ ნოზაძე და ირაკლი გიგოლაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2/12/702, 2017 წლის 7 ივლისი;
11. საქართველოს მოქალაქე პაატა ჩერქეზიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 1/17/882, 2017 წლის 13 ოქტომბერი;
12. საქართველოს მოქალაქე ანა ფირცხალაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წინააღმდეგ, №1/18/1248, 2017 წლის 30 ნოემბერი;
13. საქართველოსა და კანადის მოქალაქე გიორგი სპარტაკ ნიკოლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №2/16/1212, 2017 წლის 28 დეკემბერი;
14. საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – ავთანდილ ბარამიძე, გივი მითაიშვილი, ნუგზარ სოლომონიძე და სხვები (სულ 326 კონსტიტუციური სარჩელი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2017 წლის 29 დეკემბერი.

### გ. განჩინებები

1. საქართველოს მოქალაქე ივანე პეტრიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 1/2/414, 2007 წლის 4 აპრილი;
2. საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 1/7/454, 2008 წლის 19 დეკემბერი;
3. საქართველოს მოქალაქეები – დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ, 1/2/458, 2009 წლის 10 ივნისი;
4. საქართველოს მოქალაქე ალექსანდრე ძიმისტარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2/6/475, 2009 წლის 19 ოქტომბერი;
5. შპს „ჩორიზონტი“ ქ. ბათუმის მერის და თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს წინააღმდეგ, 1/4/495, 2010 წლის 30 ივლისი;
6. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე მაია ხუციშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 1/4/515, 2011 წლის 22 დეკემბერი;
7. საქართველოს მოქალაქე მაია ასაკაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2/3/514, 2012 წლის 13 ივლისი;
8. საქართველოს მოქალაქე გერონტი აშორდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2/9/645, 2015 წლის 2 ივლისი;
9. საქართველოს მოქალაქეები – იმედა ქარქაშაძე, მეგლუდ ჯანჯღავა, ხათუნა ჩხაიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 1/4/870, 2017 წლის 7 აპრილი;
10. საქართველოს მოქალაქეები – გოჩა გაბოძე და ლევან ბერიანიძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, 1/13/878, 2017 წლის 13 ივლისი;
11. საქართველოს მოქალაქე ზურაბ ჩხეიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 1/18/731, 2017 წლის 12 ოქტომბერი;
12. საქართველოს მოქალაქე ერასტი ჯაკობია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2/17/7392017 წლის 28 დეკემბერი;

13. საქართველოს მოქალაქეები – თორნიკე ართემელაძე და ალექსანდრე ციცივიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2/3/12272018, წლის 22 თებერვალი;
14. საქართველოს მოქალაქე დავით ცისკარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2/6/1254, 2018 წლის 22 თებერვალი;
15. საქართველოს მოქალაქე ანა მისურაძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, 2/8/881, 2018 წლის 23 მარტი;
16. საქართველოს მოქალაქეები – ილია კოკია და გიორგი კაპანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 3/1/707, 2018 წლის 30 მარტი.

### III. გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა

#### 1. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი ერთი შეხედვით გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მსგავსია. პირადი თავისუფლების და ავტონომიის კონსტიტუციური გარანტია ორივე დოკუმენტში „პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაა“. ამ მსგავსებიდან გამომდინარე გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს საქართველოსთვის და საქართველოში სამართალწარმოების მონაწილეებისთვის. ამ პრაქტიკიდან უფლების ბუნების და შინაარსის შესახებ ჩამოყალიბებული არგუმენტები და სასამართლოს პრაქტიკაში დანახული პრობლემები შეიძლება საქართველოში ამ უფლებასთან დაკავშირებული სამართალწარმოების განვითარებასაც დაეხმაროს.

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება გერმანიაში საქართველოს მსგავსად ადამიანის პირადი თავისუფლების და ავტონომიის იმ ასპექტებს იცავს, რომლებსაც სხვა სპეციალური უფლებები არ იცავს. უფლების დაცვის ობიექტი ადამიანის მოქმედების ზოგადი თავისუფლება და მისი პირადი სივრცეა. უფლების ღია ბუნების გამო ის ადამიანის თავისუფლების ახალი სახის გამონვევებზე დამატებით კონსტიტუციურ გარანტიებს ქმნის. ამის მაგალითია ავტომობილის ნომრების ავტომატიზებული აღრიცხვის და საინფორმაციო ტექნიკური სისტემების სანდოობის და ერთიანობის შესახებ გადამწყვეტილებებით სასამართლოს მიერ განვითარებული დამატებითი თავისუფლების გარანტიები.

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება გერმანიის ძირითადი კანონის სტრუქტურით ადამიანის ღირსებასთან უშუალოდაა დაკავშირებული. ეს კავშირი უფლების დაცვას აძლიერებს. ამ კავშირის წყალობით პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება ხშირად დამატებით ძირითადი კანონის თავისუფლების სპეციალურ უფლებებს აძლიერებს, ამის მაგალითია დიდი მიყურადების საქმეზე სასამართლოს გადამწყვეტილება, სადაც საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის გარანტია ადამიანის პირა-

დი ცხოვრების განსაზღვრის აბსოლუტურად დაცული ბირთვის სფეროთი დამატებით გაძლიერდა.

ითვლება, რომ ადამიანს ღირსეული არსებობისთვის სახელმწიფოსთვის სრულიად დახურული საკუთარი, პირადი სივრცე, უნდა ჰქონდეს. უფლების არსებითი ბირთვი ასეთი სივრცის კონსტიტუციურ გარანტიას გულისხმობს, სადაც ადამიანს საკუთარი ცხოვრების დამოუკიდებლად განსაზღვრა შეუძლია და სადაც ის საჯარო ხელისუფლების ზემოქმედებისგან დაცულია. თუმცა უფლება ადამიანის პირადი ცხოვრების მხოლოდ ვიწრო სფეროს არ იცავს და მისი დაცვის ობიექტი ადამიანის ზოგადი თავისუფლებაა. ის ადამიანის მოქმედების თავისუფლების ინტიმურ, პირად და სოციალურ ასპექტებსაც იცავს.

ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების დაცული სფერო ადამიანის თავისუფლებაა, რომელსაც ის თავად მიიჩნევს პიროვნების განვითარებისთვის მნიშვნელოვნად. უფლებასთან დაკავშირებული მოცულობითი სასამართლო პრაქტიკა სწორედ უფლების დაცული სფეროს ასეთი ფართო განმარტების შედეგია. იმედს ვიტოვებთ, რომ ამ მრავალფეროვანი პრაქტიკის ანალიზი ხელს შეუწყობს სქართველოში შესაბამის საკითხებზე სამართალწარმოების განვითარებას.

## 2. უფლების შინაარსი

### ა. უფლების ბუნება და უფლებით დაცული სფერო

„ნებისმიერს აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, თუკი ის სხვათა უფლებებს არ ლახავს და კონსტიტუციის შესაბამის წესრიგს და ზნეობრივ კანონს არ ეწინააღმდეგება“.<sup>1</sup>

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება სხვა ძირითადი უფლებებისგან თვისობრივად იმით განსხვავდება, რომ მას არ აქვს უფლების ტექსტში განსაზღვრული დაცული სფერო. უფლების ასეთი ზოგადი ბუნების გამო უფლების შინაარსის და მისი ბუნების გასაგებად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან სასამართლო პრაქტიკაში

<sup>1</sup> გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი (ძირითადი კანონი) [https://www.gesetze-im-internet.de/gg/art\\_2.html](https://www.gesetze-im-internet.de/gg/art_2.html)



ისეთი სფეროები (ქვეუფლებები) ჩამოყალიბდა და განვითარდა, რომლებიც პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ნაწილად მოიაზრება.

ძირითადი კანონის ძირითადი უფლებების შესახებ თავში სისტემის და სტრუქტურის თვალსაზრისით, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება სახელმწიფოს მიერ ადამიანის ღირსების პატივისცემასთან უშუალოდ არის დაკავშირებული.<sup>2</sup> სტრუქტურულად უფლება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფლების და მთელი კონსტიტუციური წესრიგის მიერ, ადამიანის ღირსების დაცვის ვალდებულებას მოსდევს.

ადამიანის ღირსება ძირითადი კანონის ფასეულობათა წესრიგში უმაღლესი ფასეულობაა. ეს დეკლარირებული რწმენა ძირითადი კანონის ყველა უფლებას, მათ შორის მე-2 მუხლის პირველ პუნქტსაც, თანაბრად მოიცავს. სახელმწიფოს, მათ შორის კანონის საფუძველზე, ადამიანის ღირსების შელახვა ან მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ჩარჩოების მიღმა პიროვნების თავისუფლების არსებითი ბუნების შეხება არ შეუძლია.<sup>3</sup> ამით ძირითადი კანონი თითოეულ მოქალაქეს პირადი ცხოვრების განსაზღვრისთვის ხელშეუხებელ სფეროს ანიჭებს, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან ჩარევას არ ექვემდებარება.<sup>4</sup>

გერმანიის ფედერაციულმა საკონსტიტუციო სასამართლომ ე.წ. ელფესის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ბუნების შესახებ ვრცლად იმსჯელა და უფლების რამდენიმე მნიშვნელოვანი თვისობრივი მახასიათებელი განსაზღვრა.

- სასამართლომ უფლების შინაარსი ფართოდ განმარტა და დაადგინა, რომ ის

„ადამიანის მოქმედების ზოგად თავისუფლებას... ყველაზე ფართე გაგებით... იცავს, სამართლებრივი თვალსაზრისით ის (მე-2 მუხლის პირველი

<sup>2</sup> ძირითადი კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს „1. ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და მისი დაცვა და პატივისცემა სახელმწიფო ხელისუფლების ვალდებულებაა“. „3. შემდგომი ძირითადი უფლებები ავალდებულებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი“. შესაბამისად პირველი მუხლი ადამიანის ღირსებას, როგორც ფუნდამენტურ ფასეულობას განსაზღვრავს, რომელსაც ადამიანის „შემდგომი“ ცალკეული უფლებები ეფუძნება. ადამიანის სპეციფიკურ უფლებათა ჩამონათვალი კი მე-2 მუხლის პირველი პუნქტით, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით იწყება.

<sup>3</sup> Wesensgehalt თარგმანში – არსებითი ბუნება

<sup>4</sup> Unantastbare Bereich privater Lebensgestaltung თარგმანში პირადი ცხოვრების განსაზღვრისთვის ხელშეუხებელი სფერო

პუნქტი) დამოუკიდებელი ძირითადი უფლებაა, რომელიც ადამიანის მოქმედების ზოგად თავისუფლებას უზრუნველყოფს...“<sup>5</sup>

ეს განმარტება მნიშვნელოვანი იყო იმ საკითხის გასარკვევად, არის თუ არა უფლების დაცვის ობიექტი ნებისმიერი თავისუფლება, რომელსაც თავად ადამიანი მისი პიროვნების განვითარებისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს, თუ უფლება ადამიანის თავისუფლების მხოლოდ მინიმუმს იცავს, თავისუფლების იმ ძირითად ბირთვის, „რომელიც ადამიანს როგორც გონიერ-ზნობრივ პიროვნებას აყალიბებს“.<sup>6</sup> სასამართლომ უფლების დაცული სფეროს ფართო განმარტება გაიზიარა.<sup>7</sup>

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ბუნების ფართო განმარტებას მნიშვნელოვანი პროცესუალურ-სამართლებრივი შედეგები

<sup>5</sup> შეადარეთ BVerfG, Urteil des Ersten Senats vom 16. Januar 1957 – 1 BvR 253/56 Rn. (1 – 36), [http://www.bverfg.de/e/rs19570116\\_1bvr025356.html](http://www.bverfg.de/e/rs19570116_1bvr025356.html) „ელფესის გადაწყვეტილება“. ასევე შეადარეთ მოსამართლე დიტერ გრიმის განსხვავებული მოსაზრება ე.წ. ცხენით ჯირითის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში, ე.წ. „ტყეში ჯირითის“ შესახებ გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში – BVerfGE 80, S. 137- სასამართლომ პიროვნების თავისუფალი განვითარების, უფლება კიდევ ერთხელ, როგორც ფართო უფლება განმარტა, რომელიც პიროვნების განვითარებისთვის მისი მნიშვნელობის მიუხედავად, პიროვნების თავისუფლების ნებისმიერ სფეროს მოიცავს. მოსამართლე დიტერ გრიმი უფლების ასეთ ფართო განმარტებას არ იზიარებდა. ის ამტკიცებდა, რომ: „ერთი მხრივ ხელშეუვალ ბირთვს და მეორე მხრივ მოქმედების ზოგად თავისუფლებას შორის, თავისუფალი აქტივობის სივრცე არსებობს, რომელიც სპეციალური ძირითადი უფლებებით არ არის დაცული, მაგრამ პიროვნების განვითარებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს და ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის გამოყენების სფეროც სწორედ ესაა“. მისი მოსაზრებით პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება არა პიროვნების ნებისმიერ თავისუფლებას, მათ შორის ტყეში ჯირითს ან მტრედების გამოკვებას, არამედ, პიროვნების განვითარებისთვის მნიშვნელოვან თავისუფლებას იცავს. უფლების დაცული სფეროს ასეთი განმარტება უფლების უკიდურესად ვიწრო განმარტებას, რომელიც უფლების დაცულ სფეროდ მხოლოდ აბსოლუტურ ბირთვს მიიჩნევს და მის დღეს არსებულ ფართო განმარტების „შუალედური“ ვერსიაა, რომელიც პიროვნების ნებისმიერ თავისუფლებას უფლების დაცულ სფეროში აქცევს, იმის მიუხედავად „პიროვნების განსაზღვრისათვის ეს რამდენად მნიშვნელოვანია“. ე.წ. „ტყეში ჯირითის“ შესახებ გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში – BVerfGE 80, S. 137 <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv080137.html>

<sup>6</sup> შეადარეთ იქვე.

<sup>7</sup> სასამართლოს არგუმენტები საკანონმდებლო ისტორიას ეფუძნებოდა, კერძოდ შეადარეთ იქვე „კანონმდებელმა, პირველადი რედაქციის „ყველას აქვს საკუთარი ნებით მოქმედების ან მოქმედებაზე უარის თქმის უფლება“ ახლანდელი რედაქციით ჩანაცვლებისას არა სამართლებრივი, არამედ ენობრივი მიზეზებით იხელმძღვანელა“. შეადარეთ v. Mangoldt, *Parlamentarischer Rat*, 42. Sitzung des Cauptausschusses, S. 533). იხილეთ BVerfG, Urteil des Ersten Senats vom 16. Januar 1957 – 1 BvR 253/56 Rn. (1 – 36), [http://www.bverfg.de/e/rs19570116\\_1bvr025356.html](http://www.bverfg.de/e/rs19570116_1bvr025356.html) „Elfes-ის გადაწყვეტილება“.

ჰქონდა, კერძოდ სასამართლომ დაამკვიდრა პრაქტიკა, რომლის საფუძველზეც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია სარჩელით მიმართოს სასამართლოს და თავად დაასაბუთოს, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვა, მისი პიროვნების თავისუფალ განვითარებას ზღუდავს. თუ ადამიანის ზოგადი თავისუფლება უფლებით დაცულია, ადამიანი მისი პიროვნების თავისუფალი რეალიზაციისთვის რა სახისა და შინაარსის თავისუფლებას არსებითი თავად განსაზღვრავს.<sup>8</sup> ამ თვალსაზრისით იგი თავისუფლების ყველაზე ფართო გარანტიაა, რომელიც უფლებრივ დაცვას სუბიექტების ფართო წრეს სთავაზობს.<sup>9</sup>

ასეთი მიდგომით ამავე დროს უფლება „ღია ბუნების“ მქონედ განისაზღვრა, რაც ცვალებადი დროის და ადამიანების ცხოვრებისეული გამოწვევებისთვის დამატებით დამცავ სამართლებრივ მექანიზმს ქმნის, რომელიც ადამიანის თავისუფლების ადამიანის ძირითადი უფლებების სპეციალური დებულებებით დაუცველ გამოწვევებს ასახავს.

„ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით უზრუნველყოფილი მოქმედების ზოგადი თავისუფლების გარდა ძირითადი კანონი, სპეციალური ძირითადი უფლებების დებულებების საფუძველზე, ადამიანის აქტივობის თავისუფლებას განსაზღვრულ ცხოვრების სფეროებშიც იცავს, რომლებიც ისტორიული გამოცდილებით საჯარო ხელისუფლების ჩარევას განსაკუთრებით ექვემდებარებოდა; ... თუ ასეთი სპეციალური ცხოვრების სფეროები ძირითადი უფლებებით დაცული არ არის, თითოეულ (ადამიანს) შეუძლია საჯარო ხელისუფლების მიერ მის თავისუფლების შეზღუდვისას ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველ პუნქტს დაეყრდნოს“.<sup>10</sup>

ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ე.წ. ტყეში ჯირითის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ ე.წ. ელფესის გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული მიდგომა დააზუსტა და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება ისეთ უფლებად დაახასიათა, რომელსაც

<sup>8</sup> შეადარეთ Di Fabio, Kommentar, Maunz/Dürig/Di Fabio,78. EL September 2016, GG Art.2, Rn 12

<sup>9</sup> სუბიექტთა წრე მხოლოდ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეებით არ შემოიფარგლება და როგორც სხვა ქვეყნის მოქალაქეებს, ასევე მოქალაქეობის არმქონე პირებს გულისხმობს. უფლების ზოგადი ბუნებიდან გამომდინარე, რაც მოქმედების ეკონომიკურ თავისუფლებასაც მოიცავს, უფლების სუბიექტები კერძო სამართლის იურიდიულ პირები და არარეგისტრირებულ გაერთიანებებაც არიან. დეტალურად სუბიექტთა წრის შესახებ იხილეთ Di Fabio, Kommentar, Maunz/Dürig/Di Fabio,78. EL September 2016, GG Art.2, Rn 11.

<sup>10</sup> იხილეთ BVerfG, Urteil des Ersten Senats vom 16. Januar 1957 – 1 BvR 253/56 Rn. (1 – 36), [http://www.bverfg.de/e/rs19570116\\_1bvr025356.html](http://www.bverfg.de/e/rs19570116_1bvr025356.html) „Elfes-ის გადაწყვეტილება“.

სპეციალური თავისუფლების უფლებების „შემავსებელი ძირითადი უფლება მისი ღია ბუნების გამო უნდა“:

„ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი... პიროვნების დაცვის ცვალებად პირობებზე მორგებას ცდილობს და ამიტომ განსაკუთრებით ღიაა და ხარვეზების შევსებისთვისაა მოწოდებული, რადგან ისინი სპეციალური თავისუფლების უფლებებისთვის მიუწვდომელი რჩება. ამდენად ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ნამდვილად შეიძლება „შემავსებელ ძირითად უფლებად ჩავთვალოთ“.<sup>11</sup>

მეორე მნიშვნელოვანი განმარტება უფლების ბუნების შესახებ ძირითადი კანონით განსაზღვრულ უფლების ჩარჩოს უკავშირდება, კერძოდ სასამართლოს მიხედვით კონსტიტუციური წესრიგის ცნება, ფორმალურად და მატერიალურად კონსტიტუციის შესაბამის სამართლის ყველა ნორმას მოიცავს:

„მაგრამ მოქალაქის მოქმედების ზოგადი თავისუფლება არა მხოლოდ კონსტიტუციით ან „ელემენტარული კონსტიტუციური პრინციპებით“, არამედ ნებისმიერი ფორმალურად და მატერიალურად კონსტიტუციის შესაბამისი სამართლებრივი ნორმით ლეგიტიმურად იზღუდება“.<sup>12</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ე.წ. „ჩარჩოთა ტრიადის“ ორი დათქმა, კერძოდ „სხვათა უფლებების“ და „ზნეობის კანონის“ შესახებ დათქმა, ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში „კონსტიტუციის შესაბამისი წესრიგის“ დათქმამ თანდათან მთლიანად შთანთქა. რაც, კონსტიტუციური წესრიგის დათქმის სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ფართო ცნების გათვალისწინებით, ამგვარი მიდგომის ლოგიკური განვითარებაა:

„ეს (კონსტიტუციის შესაბამისი) წესრიგი სახელმწიფოებრივ გაერთიანებაში ადამიანის ღირსებას, დამოუკიდებლობას და საკუთარ პასუხისმგებლობას უზრუნველყოფს. ამ ფასეულობათა წესრიგის უზენაესი პრინციპები კონსტიტუციური ცვლილებებისგან დაცულია (ძირითადი კანონის პირველი და მე-20 მუხლები, და 79-ე მუხლის მე-3 პუნქტი). კონსტიტუციის უგულვებელყოფა გამორიცხულია. კანონმდებლის მიერ კონსტიტუციის დაცვას საკონსტიტუციო სასამართლო აკონტროლებს. მხოლოდ ფორმალურად წესრიგის შესაბამისად მიღებული კანონები „კონსტიტუციის შესაბამისი არ არის“. ისინი თავისუფალ, დემოკრატიულ ძირითად წესრიგს, როგორც კონსტიტუციურ სამართლებრივ ფასეულობათა წესრიგს, ასევე დაუწერელ

<sup>11</sup> იხილეთ გადაწყვეტილება ე.წ. ტყეში ჯირითის შესახებ BVerfGE 80, 137, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv080137.html>

<sup>12</sup> იხილეთ BVerfG, Urteil des Ersten Senats vom 16. Januar 1957 – 1 BvR 253/56 Rn. (1 – 36), [http://www.bverfge.de/e/rs19570116\\_1bvr025356.html](http://www.bverfge.de/e/rs19570116_1bvr025356.html) „Elfes-ის გადაწყვეტილება“.

საბაზისო კონსტიტუციურ პრინციპებს და კონსტიტუციის ძირითად გადანყვეტილებებს, კერძოდ კი სამართლებრივი სახელმწიფოს და სოციალური სახელმწიფოს პრინციპებს მატერიალურადაც უნდა შეესაბამებოდნენ“.<sup>13</sup>

სასამართლოს ასეთი ფართო განმარტების შედეგად უფლების შეზღუდვა როგორც ჩვეულებრივი კანონის ისე კანონის საფუძველზე მიღებული სამართლებრივი აქტებით არის დასაშვები.

მესამე მნიშვნელოვანი განმარტება უფლების ბუნების შესახებ უფლების აბსოლუტურად დაცულ ბირთვს უკავშირდება, რომლის შელახვის შემთხვევაშიც სასამართლოში გასაჩივრებული სამართლის ნორმა თანაზომიერების თვალსაზრისით არ მოწმდება და სასამართლო პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შელახვას იმთავითვე ადგენს.

„უპირველეს ყოვლისა კანონები ადამიანის ღირსებას, როგორც კონსტიტუციით დაცულ უზენაეს ფასეულობას არ უნდა ლახავდნენ, მაგრამ ამავე დროს არც ადამიანის გონებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ თავისუფლებას უნდა ზღუდავდნენ, რაც მათ არსებით ბუნებას (Wesensgehalt) შელახავდა (ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი, პირველი მუხლის მე-3 პუნქტი, მე-2 მუხლის პირველი პუნქტი). აქიდან გამომდინარეობს, რომ თითოეულ მოქალაქეს კონსტიტუციის ძალით უნდა ჰქონდეს პირადი ცხოვრების განსაზღვრის სფერო, შესაბამისად ადამიანის თავისუფლების სრულად ხელშეუხებელი, მთელი საჯარო ხელისუფლების ზემოქმედებისგან დაცული სფერო. ამ სფეროს შემლახავი კანონი, ვერასოდეს გახდება „კონსტიტუციის შესაბამისი წესრიგის“ ნაწილი და იგი ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ბათილად უნდა იქნას ცნობილი“.<sup>14</sup>

ე.წ. ელფესის საქმეზე მიღებულ გადანყვეტილებაში სასამართლომ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ძირითადი კანონის პირველი მუხლის პირველი წინადადებით დაცულ ადამიანის ღირსებასთან უშუალო კავშირს მისცა დასაბამი, მასთან სიახლოვე უფლებას დამატებით აძლიერებს. მეორე მხრივ კი ძირითადი კანონის მე-19-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე, რაც ძირითადი უფლებების არსებით ბუნებას იცავს, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასაც აქვს „არსებითი ბუნება“, რომელიც სახელმწიფოს ზემოქმედებისგან აბსოლუტურად არის დაცული. ამ კონტექსტში აღნიშვნას ძირითადი კანონის ე.წ. მუდმივობის დებულების სახელით ცნობილი 79-ე მუხლის მე-3 პუნქტიც იმსახურებს,

<sup>13</sup> შეადარეთ იქვე

<sup>14</sup> „იხილეთ BVerfG, Urteil des Ersten Senats vom 16. Januar 1957 – 1 BvR 253/56 Rn. (1 – 36), [http://www.bverfg.de/e/rs19570116\\_1bvr025356.html](http://www.bverfg.de/e/rs19570116_1bvr025356.html) „Elfes-ის გადანყვეტილება“

რომელიც ძირითადი უფლებების თავში (ძირითადი კანონის 1-20 მუხლები) დადგენილ პრინციპებს იცავს ცვლილებებისგან.

შესაბამისად პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების აბსოლუტურად დაცული სფეროს ცნება სასამართლოს პრაქტიკაში სამ ძირითად კონსტიტუციურ დებულებას ეფუძნება, ესენია ძირითადი კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი, მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი და 79-ე მუხლის მე-3 პუნქტი. პირველი მუხლის პირველ პუნქტს სასამართლოს მუდმივი პრაქტიკის თანახმად უშუალო კავშირი აქვს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან და აძლიერებს მას, რადგან ადამიანის მდგომარეობა მისი ღირსების შემლახავად მაშინ ჩაითვლება, როდესაც ადამიანის თავისუფალი მოქმედების არეალი სახელმწიფოს მიერ იმდენად იქნება რეგლამენტირებული, რომ მას საერთოდ აღარ დარჩება პირადი თავისუფლების სივრცე, სადაც ის საკუთარი ცხოვრების განსაზღვრას დამოუკიდებლად შეძლებდა.<sup>15</sup> მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ღია ბუნების მიუხედავად, ამ უფლებასაც აქვს მისი „არსებითი ბუნება“, რომელიც არ შეიძლება შეილახოს, ხოლო ძირითადი კანონის 79-ე მუხლის მე-3 პუნქტი კი წინა ორის უცვლელობის გარანტიას და დამატებით დაცვას განამტკიცებს.<sup>16</sup>

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ადამიანის მოქმედების ზოგად თავისუფლებას იცავს. ადამიანის თავისუფლების და ავტონომიის რა ნაწილია ადამიანის პიროვნების განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ადამიანი თავად განსაზღვრავს. უფლება არ იცავს თავისუფლების მხოლოდ მინიმუმს. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით დაცული თავისუფლება და პირადი ავტონომია დაცულია, რამდენადაც ის კონსტიტუციის შესაბამის წესრიგში ჯდება.

<sup>15</sup> ასევე იხილეთ ე.წ. მიკროაღწერის საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილება BVerfGE 27, 1;

<http://www.servat.unibe.ch/dfr/bv027001.html>

<sup>16</sup> შეადარეთ BVerfGE 80, 137, [Cttp://www.servat.unibe.cC/dfr/bv080137.Ctml](http://www.servat.unibe.cC/dfr/bv080137.Ctml); BVerfGE 27, 1, [Cttp://www.servat.unibe.cC/dfr/bv027001.Ctml](http://www.servat.unibe.cC/dfr/bv027001.Ctml); BVerfGE 6, 55 [Cttp://www.servat.unibe.cC/dfr/bv006055.Ctml](http://www.servat.unibe.cC/dfr/bv006055.Ctml); BVerfGE 27, 1, [Cttp://www.servat.unibe.cC/dfr/bv027001.Ctml](http://www.servat.unibe.cC/dfr/bv027001.Ctml); BVerfGE 27, 344, [Cttp://www.servat.unibe.cC/dfr/bv027344.Ctml](http://www.servat.unibe.cC/dfr/bv027344.Ctml); BVerfGE 32, 373, [Cttp://www.servat.unibe.cC/dfr/bv032373.Ctml](http://www.servat.unibe.cC/dfr/bv032373.Ctml); BVerfGE 34, 238, [Cttp://www.servat.unibe.cC/dfr/bv034238.Ctml](http://www.servat.unibe.cC/dfr/bv034238.Ctml); BVerfGE 35, 202, [Cttp://www.servat.unibe.cC/dfr/bv035202.Ctml](http://www.servat.unibe.cC/dfr/bv035202.Ctml); BVerfGE 80, 367, [Cttp://www.servat.unibe.cC/dfr/bv080367.Ctml](http://www.servat.unibe.cC/dfr/bv080367.Ctml); BVerfGE 54, 148, [Cttp://www.servat.unibe.cC/dfr/bv054148.Ctml](http://www.servat.unibe.cC/dfr/bv054148.Ctml).

უფლებას, ადამიანის ღირსებასთან მისი უშუალო კავშირის გამო, აქვს აბსოლუტურად დაცული ბირთვი, რომლის შეზღუდვაც დაუშვებელია.

### **ბ. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების აბსოლუტურად დაცული ბირთვი**

სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული მიდგომის თანახმად პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას აქვს აბსოლუტურად დაცული ბირთვი, რაშიც სახელმწიფო არ შეიძლება ჩაერიოს.

„თითოეულ მოქალაქეს კონსტიტუციის ძალით უნდა ჰქონდეს პირადი ცხოვრების მონყობის სფერო, შესაბამისად ადამიანის თავისუფლების სრულად ხელშეუხებელი, მთელი საჯარო ხელისუფლების ზემოქმედებისგან დაცული სფერო არსებობს. კანონი, რომელიც ამ სფეროს შელახავდა, ვერასოდეს იქნება „კონსტიტუციის შესაბამისი ნესრიგის“ ნაწილი და იგი ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ბათილად უნდა იქნას ცნობილი“.<sup>17</sup>

ე.წ. მიკროლენერის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული მსჯელობა ელფესის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების მსგავსია.<sup>18</sup>

„პიროვნების სფეროში ასეთი შეღწევა, მოქალაქის პირადი მდგომარეობის სახელმწიფოს მიერ ასეთი მოცულობითი ინსპექცია სახელმწიფოს იმიტომ ეკრძალება, რომ თითოეულს „მისი პიროვნების თავისუფალი და საკუთარი პასუხისმგებლობით განვითარებისათვის შიდა სივრცე“ სჭირდება, სადაც ის „თავად ფლობს საკუთარ თავს“ და „სადაც მას შეუძლია განმარტოვდეს, სადაც გარემოს არ აქვს წვდომა, სადაც მას შეუძლია მშვიდად იყოს და მარტო ყოფნის უფლებით დატკბეს“.<sup>19</sup>

ე.წ. ელფესის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში დამკვიდრებულ ფორმულირებას, რომ

„მთელი საჯარო ხელისუფლების ზემოქმედებისგან ადამიანის თავისუფლების სრულად ხელშეუხებელი, დაცული სფერო არსებობს“ ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველ პუნქტთან დაკავშირებულ სასამართლოს

<sup>17</sup> Elfes, BVerfGE 6, 32, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv006032.html>

<sup>18</sup> აღსანიშნავია, რომ ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილების ე.წ. obiter dictum-ში ფართოდაა განსაზღვრულია პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ბუნება და იმავე გადაწყვეტილებაში უფლების დარღვევა არ დგინდება. შეადარეთ BVerfGE 27, 1 <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv027001.html> aseve Elfes, BVerfGE 6, 32, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv006032.html>,

<sup>19</sup> BVerfGE 27, 1 <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv027001.html>

გადანყვეტილებებში ხშირად ახსენებენ. თუმცა სასამართლოს პრაქტიკაში რთულად მოიძებნება, სასამართლოს მიერ აბსოლუტურად დაცულ პირადი ცხოვრების ბირთვის სფეროში სახელმწიფოს ჩარევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება.<sup>20</sup>

ასეთია ე.წ. დიდი მიყურადების საქმეზე ძირითადი კანონის მე-13 მუხლის ცვლილებასთან დაკავშირებული 2004 წელს მიღებული გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილებაში სასამართლომ საკანონმდებლო ორგანოს მიერ ინიცირებული ცვლილებების საფუძველზე იმსჯელა, მე-13 მუხლის მე-3 პუნქტში საცხოვრებელ ბინაში აკუსტიკური თვალთვალის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლის შექმნით ხომ არ ილახებოდა მე-13 მუხლი, ძირითადი კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტთან კავშირში. სასამართლომ ასევე იმსჯელა ხომ არ ილახებოდა მე-19 მუხლის მე-2 პუნქტით დაცული უფლების არსებითი ბუნება, შესაბამისად ძირითადი კანონის 79-ე მუხლის მე-3 პუნქტი ხომ არ ირღვეოდა, რომელიც ძირითადი უფლების, ძირითადი კანონის 1-20 მუხლებით დაცული უფლებების პრინციპულ ცვლილებას კრძალავს.

სასამართლომ დაადგინა, რომ საკანონმდებლო ორგანოს მიერ შემოთავაზებული ცვლილებებით ძირითადი კანონის 79-ე მუხლის მე-3 პუნქტი არ ილახებოდა, ხოლო ძირითადი კანონის მე-13 მუხლის არსებითი ბუნების განხილვისას სასამართლომ დაადგინა, რომ აკუსტიკური თვალთვალი ადამიანის ღირსების შელახვის შესაძლებლობისას იმთავითვე დაუშვებელია, თუ ის პირადი ცხოვრების განსაზღვრის ხელშეუხებელი ბირთვის სფეროს ეხება. სასამართლომ ასევე განსაზღვრა, რომ პირადი ცხოვრების განსაზღვრის აბსოლუტურად დაცული ბირთვის სფეროსადმი მიკუთვნებული ინფორმაციის მოპოვებისას ის უნდა შეწყდეს, ხოლო მოპოვებული ინფორმაცია განადგურდეს:

<sup>20</sup> ასეთ სფეროს განსხვავებული სიტყვებით მოიხსენიებს სასამართლო:

„ადამიანის თავისუფლების ხელშეუხებელი სფერო“ BVerfG, Urteil des Ersten Senats vom 16. Januar 1957 – 1 BvR 253/56 Rn, [http://www.bverfge.de/e/rs19570116\\_1bvr025356.html](http://www.bverfge.de/e/rs19570116_1bvr025356.html)

„Elfes-ის გადაწყვეტილება“,

„პირადი ცხოვრების განსაზღვრის ხელშეუხებელი სფერო“ სასამართლოს გადაწყვეტილება ე.წ. მიკროალწერის საქმეზე BVerfGE 27, 1; <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv027001.html>,

„პირადი ცხოვრების განსაზღვრის აბსოლუტურად დაცული ბირთვის სფერო“ იხილეთ გადაწყვეტილება ე.წ. ტყეში ჯირითის შესახებ BVerfGE 80, 137, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv080137.html> „ხელშეუხებელი, აბსოლუტურად დაცული პირადი ცხოვრების განსაზღვრის ბირთვის სფერო“ ე.წ. დიდი მიყურადების შესახებ გადაწყვეტილება BVerfGE 109, 279, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv109279.html>



„ძირითადი კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი ისე უნდა გავიგოთ, რომ მისი საკანონმდებლო დაკონკრეტება, ინფორმაციის ბინის აკუსტიკური თვალთვალით მოპოვებას კრძალავს, როდესაც საგამოძიებო ღონისძიებები ძირითადი კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტით, პირველი მუხლის პირველ პუნქტთან კავშირში და მე-2 მუხლის პირველ პუნქტით დაცულ პირადი ცხოვრების ხელშეუხებელ სფეროში ხორციელდება“.<sup>21</sup>

„... შესაბამისად აუცილებელია საკანონმდებლო რეგულირება, რომელიც ნორმათა სიცხადის პრინციპის დაცვით, ბინის აკუსტიკური თვალთვალის სახე და ფორმა ადამიანის ღირსებას არ შელახავს. თვალთვალი იმთავითვე ისეთ სიტუაციაში არ უნდა განხორციელდეს, სადაც ღონისძიებით ადამიანის ღირსების შელახვის ინდიკატორები არსებობს. თუკი ბინის აკუსტიკურ თვალთვალს აბსოლუტურად დაცული ინფორმაციის მოპოვება მოყვება, ის უნდა შეწყდეს და ჩანანერები უნდა წაიშალოს. სისხლისსამართლის დევნისას ასეთი, აბსოლუტურად დაცული ნებისმიერი მონაცემის გამოყენება გამორიცხულია“.<sup>22</sup>

ამავე გადანყვეტილებაში ფედერაციულმა საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა გარემოებების შესახებ, რომლებიც მნიშვნელოვანია პირადი ცხოვრების განსაზღვრის აბსოლუტურად დაცული სფეროსადმი ინფორმაციის მიკუთვნებისათვის და რამოდენიმე მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა. კერძოდ, სასამართლომ განმარტა, რომ პირადი ცხოვრების განსაზღვრის აბსოლუტურად დაცული ბირთვის სფერო უკიდურესად პირადი ხასიათის ინფორმაციას და ასევე ადამიანის ურთიერთობას სხვებთან, განსაკუთრებით კი მაღალი ნდობით აღჭურვილ, პირებთან იცავს.

„საცხოვრებელ სახლში არასაჯაროდ, პრივატულად გამოთქმული სიტყვების მოსმენა დაუშვებელია, პირადი ცხოვრების განსაზღვრის ბირთვის სფეროში ჩარევის თავიდან არიდებისთვის, როდესაც პირი ბინაში მარტოა ან ექსკლუზიურად იმ პირებთან ერთად, რომლებთანაც მას ბირთვის სფეროსთან დაკავშირებული ნდობითი ურთიერთობა აქვს, მაგალითად ოჯახის წევრებთან ან სხვა ახლო ნდობით აღჭურვილ პირებთან და როდესაც არ არსებობს კონკრეტული ინდიკატორები, რომ მოსალოდნელი საუბარი მისი შინაარსით უშუალოდ სისხლისსამართლის მოქმედებას უკავშირდება. .... მოსმენითი ღონისძიებები გამორიცხულია, თუ სავარაუდოდ, ისინი აბსოლუტურად დაცულ საუბარს წარმოადგენს“.<sup>23</sup>

<sup>21</sup> ე.წ. დიდი მიყურადების შესახებ გადანყვეტილება BVerfGE 109, 279, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv109279.html>

<sup>22</sup> იქვე.

<sup>23</sup> იქვე.

სასამართლომ დაადგინა, რომ მოხდება ბირთვის სფეროში ჩარევა, თუ პირი საცხოვრებელ სახლში ისეთ ადამიანებთან ერთად იმყოფება, რომლებთანაც მას განსაკუთრებული ნდობითი ურთიერთობა აქვს და არ არსებობს კონკრეტული ინდიკატორები, რომ საუბრის შინაარსი უშუალოდ სისხლის სამართლის დანაშაულს უკავშირდება.

„ადამიანის ღირსების დაცვის ღონისძიებები აუცილებელია არა მხოლოდ მარტო ყოფნის, არამედ სხვებთან ურთიერთობის შემთხვევაშიც. ადამიანის, როგორც პიროვნების განხორციელება, გარდაუვალი სოციალური კავშირით მისი პირადი ცხოვრების განსაზღვრის ბირთვის სფეროშიც ხდება. საქმის, პირადი ცხოვრების განსაზღვრის ბირთვის სფეროს თუ სოციალური სფეროსადმი მიკუთვნება, სოციალური მნიშვნელობის ან ურთიერთობის მიხედვით არ უნდა მოხდეს. გადამწყვეტია თუ კონკრეტულ შემთხვევაში ის როგორი და რა სახისაა“.<sup>24</sup>

გადანწყვეტილებით სასამართლომ პირადი ავტონომიის უფრო მაღალი სტანდარტი განამტკიცა და უარჰყო ე.წ. პირადი დღიურის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების სტანდარტი სადაც სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის დღიურში პირადი ხასიათის ჩანაწერები სამართალწარმოების პროცესში პრევენციული პატიმრობის გახანგრძლივებაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით წაიკითხეს და განიხილეს, რასაც მოსარჩელე მისი პირადი ცხოვრების განსაზღვრის აბსოლუტურად დაცული ბირთვში ჩარევად მიიჩნევდა. ე.წ. პირადი დღიურის შესახებ საქმეში სასამართლომ პირად დღიურში ჩანაწერები არ მიაკუთვნა აბსოლუტურად დაცულ ბირთვის სფეროს და განმარტა, რომ სისხლისსამართლებრივ დანაშაულთან მათ უშუალო კავშირი არ ჰქონდათ, თუმცა პრევენციული პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილებისათვის პიროვნების პორტრეტი მნიშვნელოვანი იყო და შესაბამისად არსებობდა სახელმწიფოს უპირატესი ლეგიტიმური ინტერესი.<sup>25</sup> დიდი მიყურადების საქმეში სასამართლომ განმარტა, რომ პი-

<sup>24</sup> ე.წ. დიდი მიყურადების შესახებ გადაწყვეტილება BVerfGE 109, 279, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv109279.html>

<sup>25</sup> იხილეთ ე.წ. დღიურის საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილება BVerfGE 80, 367 <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv080367.html> ეს გადაწყვეტილება მოსამართლეების მოსაზრებების განსახვავებულობითაა მნიშვნელოვანი, კერძოდ ნაწილი მიიჩნევდა, რომ დამნაშავეს პირადი დღიური სისხლისსამართლის დანაშაულის გამოძიებისათვის არ უნდა ყოფილიყო ხელმისაწვდომი და პირადი დღიურების გამოძიებაში გამოყენებით პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება დაირღვა, კერძოდ პირადი ცხოვრების განსაზღვრის ყველაზე შიდა სფერო, რომელიც აბსოლუტურად დაცულია. შესაბამისად სასამართლო საერთოდ არ უნდა შესულიყო თანაზომიერების შესახებ მსჯელობაში. მეორე ნაწილი კი მიიჩნევდა, რომ იმის მიუხედავად, რომ დღიურის ჩანაწერები უშუა-

რადი ტიპის ინფორმაცია პირადი ცხოვრების განსაზღვრის აბსოლუტურად დაცულ სფეროდან მხოლოდ სისხლის სამართლის კონკრეტულ დანაშაულთან უშუალო კავშირის არსებობისას შეიძლება გამოირიცხოს.<sup>26</sup>

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ განსაკუთრებით ხანგრძლივი და მოცულობითი თვალთვალი დაუშვებელია, რადგან ასეთ დროს მაღალი ალბათობით პირადი ცხოვრების განსაზღვრის ბირთვის სფერო დაირღვევა.

„დროსა და სივრცეში „მუდმივი თვალთვალი“ როგორც წესი დაუშვებელია, რადგან ამ დროს უაღრესად პირადი საუბრის მოსმენის ალბათობა მაღალია. ადამიანის ღირსების შელახვას თვალთვალის დროის ხანგრძლივობა და მოცულობითობა განაპირობებს, რომლის დროსაც ადამიანის თითქმის ყველა გადაადგილება და ცხოვრებისეული გამოხატვა აღირიცხება და ეს პიროვნების პროფილის საფუძველი ხდება“.<sup>27</sup>

„შემთხვევის ხელშეუხებელი ბირთვის სფეროსადმი (Kernbereich) მიკუთვნება დამოკიდებულია მისი შინაარსის უკიდურესად პერსონალურ ბუნებაზე, ანუ სხვების სფეროსთან ან საზოგადოების ინტერესებთან მისი შეხების ინტენსივობაზე, რასაც შესაბამისი შემთხვევის გარემოებები განსაზღვრავს. არსებითია თუ მოცემული შემთხვევა, მაგალითად ყველაზე ინტიმური განცდების გამოხატვის ან სექსუალობის გამოხატვის ფორმების დაკვირვებისას, კონკრეტული ინდიკატორებით ან ტიპიურად და სანინალ-მდეგო რეალური ინდიკატორების გარეშე, პირადი ცხოვრების განსაზღვრის ბირთვის სფეროს რამდენად ეხება...“<sup>28</sup>

თუ საცხოვრებელი ბინის აკუსტიკური თვალთვალისას პირადი ცხოვრების განსაზღვრის ხელშეუხებელი ბირთვის სფეროსადმი მიკუთვნებული ინფორმაციის მოპოვება ხდება, ეს პროცესი დაუყონებლივ უნდა შეწყდეს და მოპოვებული ინფორმაცია წაიშალოს.<sup>29</sup>

---

ლოდ სისხლის სამართლის დანაშაულის დაგეგმვას ან დანაშაულის შესახებ ფაქტებს არ ეხებოდა, პირად დღიურში დამნაშავის პიროვნების პორტრეტი იკვეთებოდა, რაც გადამწყვეტი იყო პრევენციული პატიმრობის განსაზღვრისთვის და ამდენად ინტიმურ სფეროში ჩარევაც აღმატებული საჯარო ინტერესით იყო გამართლებული. შესაბამისად მოსამართლეთა მეორე ნაწილი მიიჩნევდა, რომ პირად დღიურში პირადი ჩანაწერები პიროვნების თავისუფალი უფლებით აბსოლუტურად დაცულ სფეროს არ განეკუთვნება.

<sup>26</sup> ე.წ. დიდი მიყურადების შესახებ გადაწყვეტილება BVerfGE 109, 279, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv109279.html>

<sup>27</sup> ე.წ. დიდი მიყურადების შესახებ გადაწყვეტილება BVerfGE 109, 279, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv109279.html>

<sup>28</sup> იქვე

<sup>29</sup> იხილეთ იქვე

სასამართლომ დაადგინა, რომ პირადი ცხოვრების განსაზღვრის აბსოლუტურად დაცული ბირთვის სფეროში აკუსტიკური თვალთვალი არ უნდა განხორციელდეს და რომ კანონმდებელს აკუსტიკური თვალთვალის აკრძალვები საკმარისად დაკონკრეტებული არ ჰქონდა, რომ თვალთვალი კონსტიტუციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით დაცული პირადი ცხოვრების განსაზღვრის აბსოლუტურად დაცული ბირთვის სფეროს არ შეხებოდა. სასამართლომ კანონმდებელს ამ სფეროში ჩარევის აღკვეთის და ადამიანის ღირსების დაცვისთვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება დაავალა.<sup>30</sup>

### **გ. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების სუბსიდიარული ბუნება**

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ე.წ. შემავსებელი ბუნებიდან გამომდინარე თუკი ძირითადი კანონის სპეციალური ძირითადი უფლებებით თავისუფლების ასპექტები დაცული არ არის, მე-2 მუხლის პირველი პუნქტი სუბსიდიარულად გამოიყენება.

მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესახებ ერთ-ერთი პირველი და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ე.წ. ELFES-ის საქმე გადაადგილების თავისუფლებას ეხებოდა, რომელიც ძირითადი კანონის მე-11 მუხლის ტექსტით ვინროდ იყო განსაზღვრული და ქვეყნიდან გასვლის უფლებას არ მოიცავდა. ის ქვეყნის შიგნით გადაადგილების თავისუფლებას, და ქვეყნის დატოვების უფლებას ანესრიგებდა, რაც საქმის ძირითადი პრობლემა იყო, და გადაადგილების თავისუფლების უფლებით დაცულ სფეროში არ ექცეოდა. სასამართლომ საქმეში განმარტა, რომ ამის მიუხედავად ასეთი უფლება ძირითადი კანონით იყო დაცული და ასეთ დროს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, როგორც ე.წ. ხარვეზის შემავსებელი უფლება, სუბსიდიარულად უნდა ამოქმედდეს. გადაწყვეტილებით განისაზღვრა, რომ ქვეყნის დატოვების თავისუფლება პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით დაცულ, მოქმედების ზოგადი თავისუფლების გარანტიაში ექცევა.

აკადემიურმა მკვლევარებმა განავითარეს მიდგომა, რომლის მიხედვით ძირითადი უფლების რეგულირების სფეროში და არა სპეციალური ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში მოქცევის შემთხვევაში, ინტერესი შესაძლებელია ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით იყოს დაცული.

<sup>30</sup> დიდი მიყურადების შესახებ გადაწყვეტილება BVerfGE 109, 279, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv109279.html>

ასეთი შეიძლება იყოს იარაღის გარეშე შეკრების შემთხვევა, რაც ძირითადი კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით არის დაცული. იარაღის გარეშე შეკრების თავისუფლების ძირითადი უფლება – იარაღის გარეშე მახასიათებელს შეიცავს, რომელიც იარაღით შეკრების უფლებას დაცული სფეროდან გამოორიცხავს. თუმცა იარაღით შეკრების უფლება შეიძლება მოქმედების ზოგადი თავისუფლებით იყოს დაცული. სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, რადგან მოქმედების ზოგადი თავისუფლება მხოლოდ კონსტიტუციური წესრიგის ჩარჩოში არსებობს, იარაღით შეკრების თავისუფლება შეიძლება გამართლებულად შეიზღუდოს, რაც ასეთი უფლების ზოგადი მოქმედების თავისუფლებით, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით დაცვას ხელს არ უშლის.

მე-2 მუხლის პირველი პუნქტის სხვა უფლებებთან მიმართების გასაგებად საინტერესოა ე.წ. მკურნალობის პრაქტიკის შესახებ ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. საქმეში სასამართლომ მე-2 მუხლის პირველი პუნქტით სხვა ქვეყნის მოქალაქის პროფესიის არჩევის თავისუფლების დაცვის თაობაზე იმსჯელა, იმის მიუხედავად, რომ ძირითადი კანონის სპეციალური ძირითადი უფლება, მე-12 მუხლის პირველი პუნქტი, მხოლოდ გერმანიის მოქალაქეებზე ვრცელდებოდა:

„მკურნალობის პრაქტიკის შესახებ კანონის საფუძველზე მიღებული აქტი, რომელიც სხვა ქვეყნის მოქალაქეზე ნებართვის გაცემას კრძალავს, ძირითადი კანონის მე-12 მუხლის პირველ პუნქტს არ ლახავს, რადგან ამ უფლებით დაცული პროფესიის არჩევის თავისუფლება მხოლოდ გერმანიის მოქალაქეებზე ვრცელდება“.<sup>31</sup>

სასამართლომ განმარტა, რომ მართალია ძირითადი უფლებები მათი ადამიანის უფლებათა ბირთვის ბუნების ნაწილში სხვა ქვეყნის მოქალაქეებზეც ვრცელდება, თუმცა ეს უფლება ძირითადი კანონის მკაფიო გადაწყვეტილებით მხოლოდ გერმანიის მოქალაქეებისთვის უზრუნველყოფს პროფესიის არჩევის თავისუფლების დაცვას.<sup>32</sup>

„თუმცა მე-20 მუხლის მე-3 პუნქტთან კავშირში მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ირღვევა. მე-12 მუხლის პირველი პუნქტის სხვა ქვეყნის მოქალაქეებზე არ გავრცელება, კონსტიტუციით მათ ამ სფეროში დაცვის გარეშე დატოვებას არ ნიშნავს. სისტემურად სწორი მიდგომა, ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით დაცული თავისუფლების ზოგადი უფლების სუბსიდიარულად გამოიყენებას გულისხმობს.

<sup>31</sup> BVerfGE 78, 179, ე.წ. მკურნალობის პრაქტიკის კანონის შესახებ გადაწყვეტილება <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv078179.html>;

<sup>32</sup> შეადარეთ იქვე.

თუმცა ეს, მე-12 მუხლის პირველი პუნქტით დაუცველი არაგერმანელების, მე-2 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე იმავე დაცვით სარგებლობას არ ნიშნავს. ასეთი შეხედულება მე-2 მუხლის პირველ პუნქტთან მე-12 მუხლის პირველი პუნქტის სპეციალურ მიმართებას უგულებელყოფდა.

თავისულების ზოგადი უფლება იმდენად არის გამოყენებადი, რამდენადაც იგი მისი ჩარჩოს გათვალისწინებით მოქმედების თავისუფლებას უზრუნველყოფს... მე-12 მუხლის პირველი პუნქტით სხვა ქვეყნის მოქალაქეების დაცვის სფეროდან გამორიცხვა, მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კონსტიტუციის შესაბამის“ ჩარჩოში ჯდება. მე-2 მუხლის პირველი პუნქტი დაცვას მხოლოდ მისი ჩარჩოს ფარგლებში უზრუნველყოფს.

შესაბამისად სასამართლომ მართალია ჩათვალა, რომ ასეთი უფლება მოქმედების ზოგადი თავისუფლებით იყო დაცული, თუმცა პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ზოგადი ჩარჩოს, კონსტიტუციის შესაბამისი წესრიგის ნაწილად მიიჩნია, სხვა ქვეყნის მოქალაქეს სამკურნალო პრაქტიკის აკრძალვა.

ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ადამიანის ღირსებასთან ახლო კავშირის გამო, ის ხშირად სხვა ძირითად უფლებებს აძლიერებს. ამის ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია ე.წ. დიდი მიყურადების საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ მე-13 მუხლის არსებით ბუნებაზე და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით დაცული „პირადი ცხოვრების განსაზღვრის ბირთვის სფეროზე იმსჯელა“ და ის, ადამიანის ღირსებასთან მისი უშუალო კავშირის გამო, მე-13 მუხლით დაცული საცხოვრებელი ბინის ხელშეუვალობის გაძლიერებისთვის გამოიყენა.<sup>33</sup>

სასამართლოს პრაქტიკაში ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით დაცული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება შინაარსობრივად ხშირად სხვა სპეციალური თავისუფლების გარანტიით დაცულ ძირითად უფლებებს ავსებს.

ასეთი შემთხვევები განსხვავდება ხარვეზის შევსებისგან, კერძოდ ასეთ დროს სპეციალური ძირითადი უფლებით დაცული სფერო დამატებით ძლიერდება მე-2 მუხლის პირველი პუნქტით. მაგალითად ე.წ. წინასწარი პატიმრის საქმეში მიღებულ გადაწყვეტილებაში ფედერაციულმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ:<sup>34</sup>

<sup>33</sup> ვრცლად იხ. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების აბსოლუტურად დაცული ბირთვის შესახებ მსჯელობა

<sup>34</sup> იხილეთ BVerfGE, 35,35 <http://sorminiser.v.unibe.ch:8080/tools/ainfo.exe?Command=Show-PrintText&Name=bv035035>

„წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირის მიმონერის კონტროლის განმახორციელებელმა მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს, რომ მეუღლესთან წერილობით კონტაქტს, ინტიმური სფეროს დაცვის კონსტიტუციური მოთხოვნის კუთხით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ქორწინების პირად სფეროში აზრის გამოხატვის თავისუფლების განსაკუთრებულ მნიშვნელობას წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირის მეუღლისადმი წერილის დაკავება არ შეესაბამება, წერილში მიმდინარე სისხლის სამართლის პროცესის მოსამართლის მიმართ არასაგნობრივი კრიტიკის გამო“.<sup>35</sup>

„...სასამართლომ ქორწინების პირად სფეროში მოსარჩელის აზრის გამოხატვის ძირითადი უფლების მნიშვნელობა ვერ დაინახა და ამიტომ მისი განჩინება გაუქმებას ექვემდებარება და საქმე განსახილველად სასამართლოს უნდა დაუბრუნდეს“.<sup>36</sup>

შესაბამისად თავისუფალი მოქმედების გარანტია არა მხოლოდ რეზერვის ფუნქციის მქონე თავისუფლების გარანტიაა, არამედ მას ძირითადი უფლებებით დაცული თავისუფლების სხვა გარანტიებისათვის ე.წ. შემავსებელი და გამაძლიერებელი ფუნქცია აქვს.

### **3. პირადი თავისუფლება და ავტონომია გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში**

#### **ა. მოქმედების ზოგადი თავისუფლება და პიროვნულობის ზოგადი უფლება**

ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება ორ ძირითად სფეროს – მოქმედების ზოგადი თავისუფლების უფლებას<sup>37</sup> და პიროვნულობის ზოგად უფლებას მოიცავს.<sup>38</sup>

<sup>35</sup> იქვე

<sup>36</sup> BVerfGE, 35, 35, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv035035.html>; ასევე შეადარეთ სასამართლოს გადაწყვეტილება სუნიტი ყასაბის საქმეზე BVerfGE 104, 337, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv104337.html>

<sup>37</sup> ფედერაციულმა საკონსტიტუციო სასამართლომ ე.წ. ელფესის გადაწყვეტილებაში პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შინაარსის შესახებ ვრცლად იმსჯელა რომლითაც უფლების ბუნება დადგინდა, კერძოდ მოქმედების ზოგადი თავისუფლება ადამიანის უფლების ნაწილად განისაზღვრა (allgemeine Candlungsfreiheit), იხილეთ Elfes, BVerfGE 6, 32, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv006032.html>, ასევე იხილეთ გადაწყვეტილება ე.წ. ტყეში ჯირითის შესახებ BVerfGE 80, 137, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv080137.html> (allgemeine Candlungsfreiheit – მოქმედების ზოგადი თავისუფლება)

<sup>38</sup> იხილეთ სასამართლოს გადაწყვეტილება ე.წ. მიკროალენერის საქმეზე BVerfGE 27, 1; <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv027001.html>, ასევე ე.წ. ეპლერის საქმეზე მიღებული გა-

მოქმედების ზოგადი თავისუფლება ადამიანის მოქმედების თავისუფლებას ფართო გაგებით იცავს. მოქმედების ზოგადი თავისუფლება ადამიანის მიერ მისი პიროვნების განვითარებისათვის მნიშვნელოვნად მიჩნეულ ნებისმიერ მოქმედებას, მათ შორის მოქმედებებს ყოველდღიურ ცხოვრებაში მაგ., მტრედების გამოკვებას,<sup>39</sup> ტყეში ჯირითს,<sup>40</sup> სუნიტი ყასაბის მიერ ცხოველების გაყურების გარეშე დაკვლის უფლებას იცავს.<sup>41</sup> იგი ასევე მოიცავს ეკონომიკური მოქმედების თავისუფლებასაც, კონკრეტულად კი ბაზრის ინსტიტუციურ თავისუფლებასა და ბაზარში მონაწილეობის თავისუფლებას.<sup>42</sup> უფლება მოიცავს ნებისმიერ აქტივობას, რომელსაც ადამიანი მისი პიროვნების განვითარებისათვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს.

პიროვნულობის ზოგადი უფლება ადამიანის ცხოვრების პირად სფეროს, მის ინტიმურ, სექსუალურ ცხოვრებას, ოჯახის წევრებთან მის ურთიერთობას, მის პირად მოსაზრებებს, რომლებსაც ადამიანი საჯარო ფორმით ან საჯარო სივრცეში არ გამოხატავს, განსაკუთრებული ნდობის მქონე პირებთან მის ურთიერთობას, მისი პირადი დღიურის ჩანაწერებს იცავს.

უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედების ზოგადი თავისუფლების და პიროვნულობის ზოგადი უფლების სფეროების გამიჯვნა სასამართლოს პრაქტიკაში პირობითია<sup>43</sup> და პიროვნულობის დაცვაც, ფართო გაგებით, მოქმედების ზოგადი თავისუფლების ნაწილია. კერძოდ, მოქმედების ზოგადი თავისუფლება და პიროვნების დაცვა იმდენადაა, ურთიერთ დაკავშირებული რამდენადაც ორივეს მიზანი სახელმწიფოს ჩარევისგან დაცული, ადამიანის საკუთარი, ავტონომიური სივრცეა. განსხვავება მათ შორის ადამიანის მოქმედების პირადულობის ხარისხზე გადის. ის ადამიანის პირადი ცხოვრების, როგორც არის ოჯახური ურთიერთობები, საკუთარ თავთან მარტო დარჩენა, საკუ-

---

დანყვეტილება BVerfGE 54, 148, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv054148.html>, ასევე ე.წ. კაროლინა, მონაკოს პრინცესას საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება BVerfGE 101, 361, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv101361.html> (allgemeines Persönlichkeitsrecht – პიროვნულობის ზოგადი უფლება)

<sup>39</sup> BVerf 54, 143 <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv054143.html>

<sup>40</sup> იხილეთ გადაწყვეტილება ე.წ. ტყეში ჯირითის შესახებ BVerfGE 80, 137, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv080137.html>

<sup>41</sup> იხილეთ BVerfGE 104, 337 <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv104337.html>

<sup>42</sup> კვლევის მიზნებიდან გამომდინარე მოცემულ კვლევაში ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს ეკონომიკური მოქმედების თავისუფლებასთან დაკავშირებული პრაქტიკა არ განიხილება, რადგან საქართველოს კონსტიტუციის თანახმად იგი მე-16 მუხლის მიღმა სხვა სპეციალური უფლებებით არის დაცული.

<sup>43</sup> შეადარეთ ე.წ. მანქანის ნომრების ავტომატური აღრიცხვის (Rasterfahndung) საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება BVerfG, Urteil des Ersten Senats vom 11. März 2008 – 1 BvR 2074/05 – Rn. (1 – 185), 63 აბზაცი [http://www.bverfg.de/e/rs20080311\\_1bvr207405.html](http://www.bverfg.de/e/rs20080311_1bvr207405.html)



თარი გამოსახულების და სიტყვის განკარგვის შესახებ გადანყვეტილებების მიღება, ადამიანის ინტიმური და სექსუალური ურთიერთობები, სფეროს რაც უფრო სცილდება<sup>44</sup> და ადამიანის მოქმედება მის საზოგადოებასთან ურთიერთობას რაც უფრო მეტად უკავშირდება, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება მოქმედების ზოგადი თავისუფლების სფეროში მით უფრო გადადის. ადამიანის პირადი სივრციდან გასვლის ხარისხთან ერთად, მე-2 მუხლის პირველი პუნქტის დაცვის ხარისხიც მცირდება.

ე.წ. მტრედების გამოკვების საქმეში, რომელიც მოქმედების ზოგადი თავისუფლების უფლებას შეეხებოდა, გერმანიის ფედერაციულმა საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ მართალია მტრედების გამოკვების უფლება მოქმედების ზოგად თავისუფლების სფეროს განეკუთნება ის „საჯარო ხელისუფლების ზემოქმედებისგან პირადი ცხოვრების განსაზღვრის აბსოლუტურად დაცულ ბირთვში არ მოიაზრება“. სასამართლომ განსაზღვრა, რომ ადამიანის მოქმედების ზოგადი თავისუფლების მიუხედავად ადამიანი საზოგადოებისგან შებოჭილი და მასზე დამოკიდებულია, რაც საზღვარს უწესებს მის მოქმედების თავისუფლებას.

*„პირადი ცხოვრების განსაზღვრის აბსოლუტურად ხელშეუხებელი ბირთვისას თითოეული, როგორც საზოგადოებაზე დამოკიდებული და მის მიერვე შებოჭილი მოქალაქე ვალდებულია იმ სახელმწიფო ღონისძიებებს შეეგუოს, რომლებიც საზოგადოების უპირატესი ინტერესების დაცვის მიზნით თანაზომიერების პრინციპის მკაცრი დაცვით ხორციელდება“.*<sup>45</sup>

მსგავსი ლოგიკა შეგვიძლია ე.წ. მიკროალრიცხვის საქმეზე სასამართლოს გადანყვეტილებაში ამოვიკითხოთ:

„პიროვნულობის და ცხოვრების მონაცემების შესახებ ყოველი სტატისტიკური აღწერა მის პიროვნულობაში გამოხატულ ადამიანის ღირსებას არ არღვევს ან/და მისი ცხოვრების ყველაზე შიდა ინტიმურ სფეროში თვითგანსაზღვრის უფლებას არ ეხება. როგორც საზოგადოებაზე დამოკიდებული და საზოგადოების მიერ შებოჭილი მოქალაქე, ნებისმიერი ადამიანი ვალდებულია, გარკვეული მოცულობით მისი პიროვნების შესახებ სტატისტიკური აღრიცხვის საჭიროებას, მაგალითად სახალხო აღწერას, როგორც გეგმაზომიერი სახელმწიფო მოქმედების წინაპირობას, დათანხმდეს. პიროვნებასთან დაკავშირებული სტატისტიკური გამოკითხვა შეიძლება ღირსების შემლახავ და

<sup>44</sup> შეადარეთ რომანი ეზრას საქმეზე გადანყვეტილება (Roman Ezra) BVerfGE, 119, 1 <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv119001.html>, შეადარეთ დიდი მიყურადების საქმეზე გადანყვეტილება (Grosser Lauschangriff), BVerfGE 109, 279 <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv109279.html>

<sup>45</sup> BVerfGE 54,143, მე-8 აბზაცი <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv054143.html>

პიროვნების თვითგანსაზღვრის უფლებისთვის საფრთხედ აღიქვან, სადაც ის თავისი ბუნებით ფარულ, ადამიანის პირად ცხოვრებას ეხება, და ამით ეს შიდა სფეროც სტატისტიკისათვის ღიად და გამოკვლევის საჭიროების მქონე მასალად ცხადდება. ამდენად ადმინისტრაციულ-ტექნიკური „განპიროვნებულობის“ წინააღმდეგობები თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების სახელმწიფოსთვისაც არსებობს. ამის საპირისპიროდ იქ სადაც სტატისტიკური აღრიცხვა ადამიანის მოქმედებას მხოლოდ გარე სამყაროში უკავშირდება, ის, როგორც წესი, ადამიანის პიროვნულობას მისი პირადი ცხოვრების განსაზღვრის ხელშეუხებელ სფეროში არ ლახავს. ეს წესი მონაცემების ანონიმური გადამუშავების გამო პიროვნულობის ელფერის დაკარგვისას მოქმედებს“.<sup>46</sup>

სასამართლომ ე.წ. ეპლერის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში მოქმედების ზოგადი თავისუფლების პიროვნულობის ზოგადი უფლებისგან გამიჯვნა სცადა. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ პიროვნულობის ზოგადი უფლება უფრო ვიწროდ განმარტა და განაცხადა, რომ მოქმედების ზოგადი თავისუფლება აქტიურ სტატუსს გულისხმობს, თუმცა აქტიური სტატუსის მნიშვნელობა არ განმარტა.<sup>47</sup>

შესაბამისად პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება ორ დიდ სფეროს, მოქმედების ზოგად თავისუფლებას და პიროვნულობის ზოგად უფლებას მოიცავს. ეს სფეროები სასამართლო პრაქტიკაში რამე თანმიმდევრული დოგმატური საფუძვლით არ არის გამიჯნული, ასეთი გამიჯვნის მცდელობა კი მათ ერთმანეთისგან იმით განასხვავებს, რომ მოქმედების ზოგადი თავისუფლება პიროვნების ზოგადი უფლებისგან განსხვავებით, აქტიურ სტატუსთან არის დაკავშირებული, და ის უფრო ვიწრო სფეროს მოიცავს. თუმცა ეს განსხვავებაც არ არის ვრცლად განმარტებული. მოქმედების ზოგადი თავისუფლების შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ეს უფლება ყველაფერს მოიცავს, რასაც პირი მისი პიროვნების განვითარებისათვის

<sup>46</sup> BVerfGE 27, 1 <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv027001.html>

<sup>47</sup> შეადარეთ ე.წ. ეპლერის საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილება, BVerfGE 54, 148, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv054148.html> „დასახელებული თავისებურების გამო, ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოსა და უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში დაცული უფლების შინაარსი ამომწურავად არ არის განსაზღვრული, არამედ მისი გამოვლინებები განსაზღვრება განსახილველი შემთხვევის საფუძველზე. ასე მაგალითად პიროვნულობის ზოგადი უფლებით დაცულად არის აღიარებული პირადი სფერო, საიდუმლო სფერო და ინტიმური სფერო (შეადარეთ BVerfGE 27, 1 (6) მიკროაღწერა, BVerfGE 27, 344 (350) განქორწინების აქტები, BVerfGE 32, 373 (379) ექიმის ჩანაწერი, BVerfGE 34, 238 (245) საიდუმლო დიქტოფონის ჩანაწერი, BVerfGE 47, 46 (73) სექსოლოგიის გაკვეთილი, BVerfGE 49, 286 (298) ტრანსსექსუალები), პირადი პატივი, საკუთარი პიროვნების გამოსახვის განკარგვის უფლება (BVerfGE 35, 202 (220) ლეხაზი), საკუთარ გამოსახულებასა და წარმოთქმულ სიტყვაზე უფლება (BVerfGE 34, 269 (282), სორაია).“

არსებითად მიიჩნევს. თუმცა ამ უფლების დაცვის ხარისხი მაღალი არ არის, რადგან სასამართლო თანაზომიერების მარტივ ტესტს იყენებს.

### **ბ. პიროვნულობის ზოგადი უფლება**

პიროვნულობის ზოგადი უფლება ადამიანის პიროვნების სხვა სპეციალური უფლებებით დაუცველ ასპექტებს იცავს. ე.წ. მიკრო აღწერის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში გამოკვეთილი ამ უფლების საფუძველზე, სასამართლომ უფლებათა ახალი კატეგორიები განავითარა, რომლებიც პიროვნულობის სხვადასხვა ასპექტებს მოიცავს. თუმცა პიროვნულობის თავისუფალი განვითარების უფლების ღია ბუნების გამო, პიროვნულობის ზოგადი უფლების დამცველი სფეროების აბსოლუტური ჩამონათვალი არ არსებობს.

„ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი, როგორც დაუსახელებელი თავისუფლების უფლება, ამავე კანონის პირველი მუხლის პირველ პუნქტთან კავშირში, პიროვნულობის ზოგად უფლებას იცავს, და ამით პიროვნების თავისუფლების სპეციალური უფლებების დაცვის გარკვეულ ასპექტებს ავსებს. მისი ამოცანა, ადამიანის ღირსების, როგორც უმაღლესი კონსტიტუციური პრინციპის პიროვნების განვითარების ძირითადი პირობების უზრუნველყოფაა, რომლებიც თავისუფლების სპეციალურ გარანტიებში არ არის ასახული. ამდენად მისი დაცული სფერო, როგორც არასრულყოფილად ჩამოყალიბებული, ღიაა პიროვნულობისათვის აქამდე უცნობი საფრთხეებისთვის.“<sup>48</sup>

პიროვნულობის ზოგადი უფლებით დაცული უფლებები პირობითად ოთხ კატეგორიად შეგვიძლია დავაჯგუფოთ:

1. საკუთარი იდენტობის განსაზღვრა;
2. საკუთარი თვითგანსაზღვრის დაცვა;
3. საკუთარი გამოსახულების განსაზღვრა;
4. საინფორმაციო ტექნიკური სისტემების სანდოობისა და ერთიანობის უზრუნველყოფა.

ასეთი დაყოფა პირობითია და მკითხველისათვის უფლების შინაარსის აღქმის გამარტივებას ემსახურება. ქვევით შერჩეული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი, თუმცა საქმეთა სიმრავლის გამო შედარებით ახალი და ამავე დროს საქართველოს კონტექსტისათვის შედარებით მნიშვნელოვანი საქმეები შეირჩა.

<sup>48</sup> იხილეთ სასამართლოს ე.წ. ჩანანერის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება BVerfGE 95, 220 <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv095220.html>

## 1. საკუთარი იდენტობის განსაზღვრა

იდენტობის განსაზღვრასთან დაკავშირებული საქმეები შვილის ან მშობლების მიერ საკუთარი წარმომავლობის ან მამობის გარკვევის უფლებას,<sup>49</sup> საკუთარი სქესობრივი იდენტობის დაცვას<sup>50</sup> თუ საკუთარი სქესობრივი იდენტობის შესაბამისი სახელის ტარებას შეეხება.<sup>51</sup>

### 1.1. საკუთარი წარმომავლობის დადგენა

საკუთარი წარმომავლობის დადგენის შესახებ საქმეში<sup>52</sup> მოსარჩელეს დნმ-ის ანალიზის საფუძველზე სურდა მისი ბიოლოგიური მამის ვინაობის დადგენა. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1600დ მუხლი მამის ვინაობის არმცოდნე შვილს აძლევს, სასამართლო პროცესის საფუძველზე მამობის ფაქტის დადგენის შესაძლებლობას. ეს მუხლი ე.წ. წარმომავლობის იზოლირებული დადგენის შესაძლებლობას არ იძლევა. წარმომავლობის იზოლირებული დადგენა თავის მხრივ წარმომავლობის ისეთ დადგენას გულისხმობს, რომ მას მამის სამართლებრივი სტატუსის წარმოშობა ავტომატურად არ უკავშირდება. შვილს, მხოლოდ სავარაუდო მამისთვის გენეტიკური ანალიზისთვის გამოსადეგი სინჯის გადაცემის მოთხოვნა და მისი საკუთარი წარმომავლობის დასადგენად გამოყენება შეუძლია.

დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით სამოქალაქო კოდექსის 1598ა მუხლი შვილს არ აძლევდა იზოლირებული წარმომავლობის დადგენის შესაძლებლობით სარგებლობის უფლებას. კერძოდ შვილს ასეთი უფლება მხოლოდ სამართლებრივი მამობის და არა მისი ბიოლოგიური მამობის დადგენის სურვილისას ჰქონდა.<sup>53</sup>

მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სასამართლო პრაქტიკით დამკვიდრებული მიდგომა, რომელიც მას სავარაუდო ბიოლოგიური მამის დადგენის შესაძლებლობას ართმევდა, გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი

<sup>49</sup> იხილეთ BVerfG, Urteil des Ersten Senats vom 13. Februar 2007 – 1 BvR 421/05 – Rn. (1 – 102), [http://www.bverfg.de/e/rs20070213\\_1bvr042105.html](http://www.bverfg.de/e/rs20070213_1bvr042105.html)

ასევე BVerfG, Urteil des Ersten Senats vom 19. April 2016 – 1 BvR 3309/13 Rn. (1 – 78), [http://www.bverfg.de/e/rs20160419\\_1bvr330913.html](http://www.bverfg.de/e/rs20160419_1bvr330913.html),

<sup>50</sup> BVerfG, Beschluss des Ersten Senats vom 10. Oktober 2017 1 BvR 2019/16 – Rn. (1 – 69), [http://www.bverfg.de/e/rs20171010\\_1bvr201916.html](http://www.bverfg.de/e/rs20171010_1bvr201916.html)

<sup>51</sup> BVerfGE 115,1 <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv115001.html>

<sup>52</sup> ვრცლად იხილეთ BVerfG, Urteil des Ersten Senats vom 19. April 2016 – 1 BvR 3309/13 , [http://www.bverfg.de/e/rs20160419\\_1bvr330913.html](http://www.bverfg.de/e/rs20160419_1bvr330913.html),

<sup>53</sup> BVerfG, Urteil des Ersten Senats vom 19. April 2016 – 1 BvR 3309/13 Rn. (1 – 78), [http://www.bverfg.de/e/rs20160419\\_1bvr330913.html](http://www.bverfg.de/e/rs20160419_1bvr330913.html),

პუნქტით, პირველი მუხლის პირველ პუნქტთან კავშირში, დაცული პირვნების თავისუფალი განვითარების უფლებას ლახავდა. იგი მიიჩნევდა, რომ საკუთარი მამის ვინაობის არცოდნა მის პიროვნებას ფქსიქიკურ ტვირთს აკისრებდა, რაც სხვა მძიმე გამოცდილებებთან ერთად (ბავშვობაში ძალადობა, მისი მზარდი ინტენსივობა, ურთიერთობების წყვეტა, დრამატული დანაკარგის გამოცდილება) მის მიმდინარე ფსიქოლოგიურ თერაპიაზე ნეგატიურად აისახებოდა.<sup>54</sup>

„ა. საკუთარი გენეტიკური წარმომავლობის შესახებ ხელმისაწვდომი ინფორმაციის დაბრკოლებით, საკუთარი პიროვნულობის განვითარება და მისი შენარჩუნება შეიძლება სპეციფიკურად შეიზღუდოს.

ბ. ამიტომ პიროვნულობის ზოგადი უფლება საკუთარი წარმომავლობის ცოდნასაც მოიცავს, რაც მუდმივი პრაქტიკის მიხედვით არა მის მოპოვებაზე მოთხოვნის უფლებას, არამედ, წარმომავლობის შესახებ ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიღების დაბრკოლებისგან პირის დაცვის სახელმწიფოს ვალდებულებას გულისხმობს“.<sup>55</sup>

სასამართლომ განმარტა, რომ საკუთარი წარმომავლობის ცოდნა პიროვნების განვითარებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

„პიროვნების განვითარებისთვის საკუთარი წარმომავლობის ცოდნა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ინდივიდის მიერ საკუთარი თავის სხვებთან როგორც სოციალურად, ისე გენეალოგიურად დაკავშირების შესაძლებლობამ თითოეული პიროვნების ცნობიერებაში მისი ინდივიდუალობის მოძიების და საკუთარი თავის გაგებაში ისევე როგორც სხვებთან ხანგრძლივი ოჯახური ურთიერთობების დამყარებაში შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს პირიქით, საკუთარი წარმომავლობის გაგების შეუძლებლობამ თითოეული პიროვნება შეიძლება მნიშვნელოვნად დააზარალოს და საკუთარი თავის მიმართ რწმენა შეურყიოს“.<sup>56</sup>

სასამართლომ განმარტა, რომ პიროვნულობის ზოგადი უფლება პირს „საკუთარი წარმომავლობის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის უფლებას არ ანიჭებს“,<sup>57</sup> რომ სახელმწიფოს აქვს პიროვნულობის ზოგადი უფლების „დაცვის ვალდებულება“ რაც „წარმომავლობის შესახებ არსებული ინფორმაციის

<sup>54</sup> შეადარეთ იქვე.

<sup>55</sup> BVerfG, Urteil des Ersten Senats vom 19. April 2016 – 1 BvR 3309/13 Rn. (1 – 78), [http://www.bverfg.de/e/rs20160419\\_1bvr330913.html](http://www.bverfg.de/e/rs20160419_1bvr330913.html),

<sup>56</sup> BVerfG, Urteil des Ersten Senats vom 19. April 2016 – 1 BvR 3309/13 Rn. (1 – 78), [http://www.bverfg.de/e/rs20160419\\_1bvr330913.html](http://www.bverfg.de/e/rs20160419_1bvr330913.html),

<sup>57</sup> იქვე.

მიღების დაბრკოლებისგან პირის დაცვას გულისხმობს“.<sup>58</sup> ასეთ შემთხვევაში სახელმწიფომ ანგარიში „პირის დაცვის საჭიროებას უნდა გაუწიოს“.

თუმცა სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ კანონმდებელს აღნიშნული უფლების დაბალანსების და სხვა პირების (სავარაუდო მამა, მისი ოჯახის წევრები) ძირითად უფლებებთან მისი შენონვის ვალდებულება აქვს. კერძოდ სასამართლომ დაადგინა, რომ:

„საკუთარი სავარაუდო ბილოგიური მამის დადგენა ან არდადგენა საკუთარი წარმომავლობის და თავისი პიროვნების, დადგენის მაძიებელი პირის ზოგადი უფლებით დაცულ სფეროში ექცევა.

საკუთარი წარმომავლობის ცოდნის დაცვა აბსოლუტური არ არის, არამედ კონფლიქტურ ძირითად უფლებებთან მიმართებით უნდა იყოს დაბალანსებული, რის გამოც კანონმდებელი (Gestaltungsspielraum) გარკვეულ დისკრეციას ფლობს.

წარმომავლობის გარკვევის შესაძლებლობების განსაზღვრისას, კანონმდებელს დისკრეციული უფლება აქვს და მან ამავე დროს წარმომავლობის გარკვევის მოთხოვნის უფლების განსხვავებულ, ურთიერთდაპირისპირებულ ძირითად უფლებებთან შემხებლობა უნდა გაითვალისწინოს. კანონმდებელმა ძირითად უფლებათა კონფლიქტი არ უნდა გადაჭრას სრულყოფილად ერთი ან მეორე მხარის სასიკეთოდ. კანონმდებლის მიერ შერჩეული გადაწყვეტილება კანონმდებლის დისკრეციის ფარგლებში რჩება“.<sup>59</sup>

მოცემულ საქმეში სასამართლომ საკუთარი წარმომავლობის ცოდნა პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით დაცულ ინტერესად მიიჩნია, თუმცა განსაზღვრა, რომ ეს არ გულისხმობს პოტენციური ბიოლოგიური მამის მიმართ დნმ-ის ანალიზის მოთხოვნის უფლებას და შესაბამისად მე-2 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე არ არსებობს პოტენციური მამის მიმართ მამობის დადგენის მოთხოვნის უფლება.

## 1.2. სქესობრივი იდენტობის დაცვა

სქესობრივი იდენტობის კუთხით საინტერესოა ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის ე.წ. ნეიტრალური სქესის შესახებ გადანყვეტილება.<sup>60</sup> კერძოდ სარჩელი პიროვნების (სამოქალაქო) სტატუსის შესახებ გერმანიის კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-3 ქვეპუნქტით, ამავე

<sup>58</sup> იქვე.

<sup>59</sup> იქვე.

<sup>60</sup> BVerfG, Beschluss des Ersten Senats vom 10. Oktober 2017 1 BvR 2019/16 – Rn. 42.  
[http://www.bverfge.de/e/rs20171010\\_1bvr201916.html](http://www.bverfge.de/e/rs20171010_1bvr201916.html)

კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტთან კავშირში, მოსარჩელის პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შელახვას ეხებოდა.

მოსარჩელეს დაბადებისას მდედრობითი სქესი მიაკუთვნეს, და დაბადების რეესტრში როგორც გოგონა შეიტანეს. მას ატიპიური ქრომოსომების კომბინაცია ჰქონდა (ე.წ. ტერნერის სინდრომი) და მუდმივად თავს არც მდედრობით და არც მამრობით სქესს მიაკუთვნებდა. მას დაბადების რეესტრში სქესის შესახებ პოზიტიური ჩანაწერის „inter/diverse“, შეტანა სურდა. შესაბამისმა სამოქალაქო რეესტრმა, რადგან პიროვნების (სამოქალაქო) სტატუსის შესახებ კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-3 ქვეპუნქტი ასეთ ჩანაწერს არ იცნობდა, მას რეგისტრაციაზე უარი უთხრა.

გერმანიის ფედერაციულმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-3 ქვეპუნქტი, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტთან კავშირში მოსარჩელის პიროვნულობის ზოგად უფლებას (ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებასთან კავშირში), კერძოდ მისი სქესობრივი იდენტობის დაცვის გამოხატულებას ლახავდა.

სასამართლომ განმარტა, რომ „პიროვნულობის ზოგადი უფლება, მდედრობითი თუ მამრობითი სქესისთვის არმიკუთვნებული პირების სქესობრივ იდენტობას იცავს“.<sup>61</sup>

სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის უფლება ილახებოდა, რადგან მოქმედი კანონი მოსარჩელეს სქესის მითითებას აიძულებდა, თუმცა მდედრობითი და მამრობითი სქესის გარდა, სხვა სქესის მითითების უფლებას არ აძლევდა.

„ცალკე აღებულ სქესობრივ მიკუთვნებას პიროვნების (სამოქალაქო) სტატუსის სამართლებრივი აღიარების გამო იდენტობის განმსაზღვრელი და გამომხატველი გავლენა აქვს, და მნიშვნელობა არ აქვს პიროვნული სტატუსის სამართლებრივ ჩანაწერს პიროვნული სტატუსის სამართლის მიღმა რა მატერიალურ სამართლებრივი შედეგები უკავშირდება. პიროვნების სქესობრივი იდენტობის სტატუსის სამართლებრივი არაღიარება პიროვნულობის თვითგანმსაზღვრელ განვითარებას და დაცვას სპეციფიკურად ლახავს“.<sup>62</sup>

„ერთობლივად სქესობრივი ჩანაწერის ვალდებულება და ასეთი ჩანაწერის გაკეთების შეზღუდული შესაძლებლობები, სქესობრივი თვალსაზრისით საჯარო სივრცეში პიროვნებად ყოფნას და სხვათა მიერ მის, როგორც პიროვნების აღქმას განსაკუთრებით ართულებს. ის თუ საჯარო სივრცეში

<sup>61</sup> BVerfG, Beschluss des Ersten Senats vom 10. Oktober 2017 1 BvR 2019/16 – Rn. (1 – 69), [http://www.bverfg.de/e/rs20171010\\_1bvr201916.html](http://www.bverfg.de/e/rs20171010_1bvr201916.html)

<sup>62</sup> BVerfG, Beschluss des Ersten Senats vom 10. Oktober 2017 1 BvR 2019/16 – Rn. (1 – 69), 47-ე აბზაცი, [http://www.bverfg.de/e/rs20171010\\_1bvr201916.html](http://www.bverfg.de/e/rs20171010_1bvr201916.html)

პიროვნება როგორ წარდგება და მას სხვები როგორ აღიქვამენ, პიროვნულობის განვითარების შესაძლებლობისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და შეიძლება (უფლების) სპეციფიური შელახვა გამოიწვიოს“.<sup>63</sup>

სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ძირითადი კანონით სქესის ბინარულობა დადგენილი არ არის, კერძოდ:

„ძირითადი კანონი სქესის თვალსაზრისით პიროვნული სტატუსის მხოლოდ ბინარულ მოწესრიგებას არ მოითხოვს. ის (კანონმდებელს) სქესის, როგორც პიროვნული სტატუსის ნორმირებას არ აიძულებს და არც მდედრობითი და მამრობითი სქესის მიღმა დამატებითი სქესობრივი იდენტობის პიროვნული სტატუსის სამართლებრივ აღიარებას ეწინააღმდეგება“.<sup>64</sup>

„მართალია ძირითადი კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადება „მამაკაცების“ და „ქალების“ შესახებ საუბრობს, მაგრამ აქედან სქესის ცნების ამომწურავი მხოლოდ მამაკაცებითა და ქალებით განსაზღვრა არ გამომდინარეობს. ძირითადი კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ მამაკაცებსა და ქალებს შორის არსებული საზოგადოებრივი დანაკლისები უნდა აღმოიფხვრას. ნორმა უპირველესად ქალების მიმართ სქესთან დაკავშირებული დისკრიმინაციის აღმოფხვრისკენ, მაგრამ არა პიროვნული სტატუსის სამართლებრივი სქესობრივი განაწილების ან „მამრობითი“ და „მდედრობითი“ სქესის მიღმა დამატებითი სქესობრივი კატეგორიის გამო-რიცხვისკენაა მიმართული.

...როგორც წარსულში გერმანიის ფედერაციულმა საკონსტიტუციო სასამართლომ განსაზღვრა, ჩვენი სამართლებრივი წესრიგი და ჩვენი სოციალური ცხოვრება იმ პრინციპიდან ამოდიოდა, რომ ყოველი ადამიანი „მამრობითი“ ან „მდედრობითი“ სქესის არის და სქესთა ბინარულობის კონსტიტუციით წინასწარ განსაზღვრულობა არც მაშინ იგულისხმებოდა, არამედ ეს იყო მხოლოდ იმ დროს გაბატონებული საზოგადოებრივი და სამართლებრივი სქესთა მიკუთვნების გაგების უბრალო აღწერა“.<sup>65</sup>

სასამართლომ ასევე განმარტა, რომ გარემოება, რომ პიროვნული (სამოქალაქო) სტატუსის კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტი დაბადების რეესტრში დამატებითი სქესის პოზიტიურად ჩანერისთვის, მესამე შესაძლებლობას არ

<sup>63</sup> BVerfG, Beschluss des Ersten Senats vom 10. Oktober 2017 1 BvR 2019/16 – Rn. (1 – 69), 48-ე აბზაცი, [http://www.bverfg.de/e/rs20171010\\_1bvr201916.html](http://www.bverfg.de/e/rs20171010_1bvr201916.html)

<sup>64</sup> BVerfG, Beschluss des Ersten Senats vom 10. Oktober 2017 1 BvR 2019/16 – Rn. (1 – 69), 50-ე აბზაცი, [http://www.bverfg.de/e/rs20171010\\_1bvr201916.html](http://www.bverfg.de/e/rs20171010_1bvr201916.html)

<sup>65</sup> BVerfG, Beschluss des Ersten Senats vom 10. Oktober 2017 1 BvR 2019/16 – Rn. (1 – 69), 50-ე აბზაცი, [http://www.bverfg.de/e/rs20171010\\_1bvr201916.html](http://www.bverfg.de/e/rs20171010_1bvr201916.html)



ითვალისწინებს, მესამე პირების ინტერესებით არ შეიძლება იყოს გამართლებული. ქალების და მამაკაცების პიროვნული სამართლებრივი სტატუსი დამატებითი შესაძლებლობის უზრუნველყოფით უცვლელი რჩება.<sup>66</sup>

სასამართლომ მიიჩნია, რომ საკანონმდებლო რეგულირება, რომლის საფუძველზეც სასამართლოებმა პირს უარი უთხრეს ნეიტრალური სქესის მითითებაზე და მას „მდედრობითი“ და „მამრობითი“ სქესის მიღმა, საკუთარი სქესის შესახებ პოზიტიური ჩანაწერის გაკეთების უფლება არ მისცეს, ლეგიტიმურ მიზანს არ ემსახურებოდა და რეგულირება არ იყო გამოსადეგი, აუცილებელი და თანაზომიერი.<sup>67</sup>

## 2. საკუთარი თვითგანსაზღვრის დაცვა

ავტონომიის დაცვა სხვა უფლებებთან ერთად პირადი დღიურის ჩანაწერებზე უფლებას<sup>68</sup> და ექიმის მიერ პირადი სამედიცინო ჩანაწერების საიდუმლოდ შენახვის ვალდებულებას მოიცავს,<sup>69</sup> თუმცა ფართო გაგებით პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული დავების უმრავლესობა ადამიანის თვითგანსაზღვრას უკავშირდება.

## 3. საკუთარი გამოსახულების განსაზღვრა

პიროვნულობის ზოგადი უფლება საკუთარ გამოსახულებაზე უფლებას და საკუთარი თავის სიტყვით, წერილობით და გამოსახულებით სწორად წარმოჩენის უფლებას მოიცავს.<sup>70</sup> ამიტომ მისი სიტყვის ჩანწერის უფლება ვის უნდა ჰქონდეს თითოეული თავად განსაზღვრავს და ასევე თუ ვის წინაშე შეიძლება დიქტოფონზე ჩანწერილი მისი ხმის მოსმენა.<sup>71</sup> სასამართლომ ე.წ. ლებახის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში ასევე განსაზღვრა, რომ

<sup>66</sup> იქვე.

<sup>67</sup> შეადარეთ იქვე 49-ე აბზაცი.

<sup>68</sup> BVerfGE 80, 367 <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv080367.html>

<sup>69</sup> BVerfGE 32, 373, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv032373.html>

<sup>70</sup> ვრცლად იხილეთ BVerfGE 63, 131 <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv063131.html> ფედერაციულმა საკონსტიტუციო სასამართლომ – ე.წ. დიქტოფონის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში განსაზღვრა, რომ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას „განსაზღვრულ ჩარჩოში, ასევე საკუთარ გამოსახულებაზე უფლება და შენს მიერ წარმოქმულ სიტყვებზე უფლება განეკუთვნება. ამიტომ როგორც წესი თითოეული მისი სიტყვის ჩანწერის უფლების და დიქტოფონზე ჩანწერილი ხმის მოსმენის უფლების მქონე პირებსაც თავად განსაზღვრავს. ვრცლად იხილეთ BVerfGE 34, 238 – Tonband <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv034238.html>.

<sup>71</sup> შეადარეთ ე.წ. დიქტოფონის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება BVerfGE 34, 238 – Tonband <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv034238.html>.

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, კერძოდ კი მისი პირადი ცხოვრების დაცვის ნაწილი, დამნაშავეს რესოციალიზაციაზე უფლებასაც მოიცავს, რის საფუძველზეც, თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებით, ის შეიძლება საკუთარი პიროვნების საჯარო გამოსახულებაზე უფლებას ფლობდეს.<sup>72</sup> პიროვნებას ასევე აქვს მისი სოციალური გამოსახულების განკარგვის უფლება.<sup>73</sup> რაც საკუთარი სახელის და პატივის დაცვის უფლებებს მოიცავს:

„პიროვნების კონსტიტუციურ სამართლებრივი დაცვა ტელევიზიას არ აძლევს, აქტუალური ინფორმაციის მინოდების პროცესის მიღმა, დროში შეუზღუდავად, დოკუმენტური ფილმის ფორმით, დამნაშავეს პიროვნების და მის პირადი სფეროს წარმოჩენის შესაძლებლობას. მოგვიანებით ინფორმაციის მინოდება ნებისმიერ შემთხვევაში დაუშვებელია, თუკი ამ, აქტუალურ ინფორმაციასთან შედარებით მნიშვნელოვნად ახალმა ან დამატებითმა ინფორმაციამ დამნაშავეს (პიროვნების) უფლებები შეიძლება შელახოს, და განსაკუთრებით საზოგადოებაში მისი რესოციალიზაცია შეაფერხოს, რაც მისი პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ ან მოსალოდნელ გათავისუფლებამდე მოკლე დროით ადრე მისი მძიმე დანაშაულის შესახებ დამნაშავეს მაიდენტიფიცირებელმა სატელევიზიო გადაცემამ შეიძლება გამოიწვიოს“.<sup>74</sup>

<sup>72</sup> ე.წ. Lebach-ის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, BVerfGE 35, 202 <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv035202.html>

<sup>73</sup> „თითოეულმა თავად უნდა გადანეციტოს, როგორ სურს საკუთარი თავის მესამე პირების მიმართ ან საჯაროდ გამოსახვა, რა იქნება მისი სოციალური გამოსახულება, შეუძლიათ თუ არა და რა მოცულობით მესამე პირებს მისი პიროვნების განკარგვა, როდესაც ისინი მის პიროვნებას საჯარო განხილვის საგნად აქცევენ. შესაბამისად, მედია საშუალებებით გამოსახვისას პიროვნებას სამართლებრივად დაცული შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, მედია საშუალებების გამოსახულებას დაუპირისპიროს საკუთარი გამოსახულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი პიროვნება მხოლოდ საჯარო განხილვის ობიექტად წარმოჩენისას დაკნინდება.“ ე.წ. ეპლერის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, BVerfGE 54, 148 <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv054148.html>

<sup>74</sup> პიროვნულობის ზოგადი უფლება ადამიანის სახელსაც, როგორც მისი იდენტობის ნაწილს იცავს. „ძირითადი კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტი პირველი მუხლის პირველ პუნქტთან კავშირში ადამიანის სახელს როგორც მისი იდენტობის პოვნის და იდენტობის განვითარების საშუალებას და ამავე დროს მის მიერ განცდილი ან მის მიერ მოპოვებული იდენტობის გამოხატულებას იცავს. ამასთან ადამიანის გარკვეული სქესისადმი მიკუთვნება მხოლოდ მისი ფიზიკური სქესობრივი თვისებებით არ განისაზღვრება, არამედ მის ფსიქიკურ კონსტიტუციასა და მის მიერ ხანგრძლივად განცდილ სქესობრივ მიკუთვნებულობაზე დამოკიდებული. პიროვნულობის უფლებით დაცული საკუთარი სქესობრიობის სახელში გამოხატვის სურვილი, განცდილი სქესობრიობის შესაბამისად სახელით მომართვალიარების და ყოველდღიურობაში მესამე პირების ან უწყებების წინაშე საკუთარი სქესუალობის არგამხელის უფლებასაც მოიცავს.“ BVerfGE 116, 243 <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv116243.html>

### 3.1. საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის განკარგვის ავტონომია

საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის ავტონომიურად განკარგვა სასამართლოს პრაქტიკაში ასევე საკუთარი გამოსახულების დაცვის ნაწილია, კერძოდ კი სასამართლო მას ინფორმაციული თვითგანსაზღვრის უფლებას უწოდებს.<sup>75</sup>

ფედერაციულმა საკონსტიტუციო სასამართლომ ინფორმაციული თვითგანსაზღვრის უფლების შესახებ ე.წ. მანქანის ნომრების ავტომატიზებული აღბეჭდვის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში იმსჯელა.

ამ საქმეში მოსარჩელები ჰესენისა და შლეზვიგ-ჰოლშტაინის ფედერაციული მიწების საპოლიციო სამართლებრივ დებულებებს ასაჩივრებდნენ, რომლებიც ფედერაციულ მიწებს ავტომობილების სახელმწიფო ნომრების ავტომატიზებული აღბეჭდვის სამართლებრივ უფლებამოსილებას ანიჭებდნენ.

კერძოდ გასაჩივრებული იყო 1. ჰესენის ფედერალური მიწის საჯარო უსაფრთხოებისა და წესრიგის შესახებ კანონის მე-14 მუხლის მე-5 აბზაცი და 2. შლეზვიგ-ჰოლშტაინის ფედერალური მიწის ზოგადი ადმინისტრაციის შესახებ კანონის 184-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

ავტომობილის ნომრების ავტომატიზებული აღბეჭდვა გამოსახულებიდან ნომრის ასოებისა და ციფრების არსებული ტექნიკის საფუძველზე ოპტიკურად, ვიდეოკამერით გამოსახულების აღბეჭდვის საფუძველზე პროგრამის საშუალებით ხდებოდა. ასეთი ფორმით აღბეჭდილი ნომერი, პოლიციის საძიებო დოკუმენტებს ავტომატურად ედრებოდა. საძიებო დოკუმენტებში ნომრის არსებობისას დამთხვევის შესახებ შეტყობინება გაიცემოდა. ხოლო ნომერი და დამატებითი ინფორმაციები, ანუ დამთხვევის დრო და ადგილი, ინახებოდა, რის საფუძველზეც პოლიციის მიერ ავტომობილის გაჩერება შეიძლებოდა. თუ ნომერი არ იყო საძიებო ბაზაში, გამოსახულება და აღბეჭდილი ნომერი ნაიშლებოდა. ნომრის აღბეჭდვა სტაციონალურად ან მობილურად ხდებოდა. სტაციონალური გამოყენებისას, ნომრის მოძრაობის ორივე მიმართულებით დანახვა და შესაბამისად უკანა ნომრის აღბეჭდვაც შეიძლებოდა. მობილური სისტემის შემთხვევაში კამერა მოძრავი პოლიციის მანქანიდან შეიძლება ჩართულიყო.<sup>76</sup>

<sup>75</sup> პირველად ფედერაციულმა საკონსტიტუციო სასამართლომ ინფორმაციული თვითგანსაზღვრის უფლება 1983 წელს მიღებულ ე.წ. სახალხო აღწერის გადაწყვეტილებაში დაადგინა (Volkszählung) BVerfGE 65, 1, იხილეთ: <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv065001.html>, ასევე იხილეთ გადაწყვეტილება ე.წ. მიკრო აღწერის შესახებ BVerfGE 27, 1 <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv027001.html>

<sup>76</sup> vrclad ixileT BVerfG, Urteil des Ersten Senats vom 11. März 2008 – 1 BvR 2074/05 – Rn. (1 – 185), [http://www.bverfg.de/e/rs20080311\\_1bvr207405.html](http://www.bverfg.de/e/rs20080311_1bvr207405.html)

სასამართლომ მიიჩნია, რომ საკანონმდებლო საფუძველი რომლითაც ინფორმაციული თვითგანსაზღვრის უფლებაში ჩარევა განხორციელდა, კონსტიტუციის ნორმებს არ პასუხობდა. კერძოდ სასამართლომ მიიჩნია, რომ დაცული ძირითად უფლებაში ჩარევის ბუნების და ინტენსივობის გათვალისწინებით, სამართლის უზენაესობის მოთხოვნები არ იყო დაცული, კერძოდ გასაჩივრებული ნორმები არ იყო შესაბამისად ცხადი და განსაზღვრული, და არც ჩარევა იყო თანაზომიერი.<sup>77</sup>

სასამართლომ დაადგინა, რომ ინფორმაციული თვითგანსაზღვრის უფლებით არა მხოლოდ შინაარსით განსაკუთრებით მგრძობიარე ტიპის, არამედ შესაძლოა ცალკე აღებული უმნიშვნელოდ მიჩნეული შინაარსის ინფორმაციაცაა დაცული, მაგრამ შესაბამისი მიზნით ამ შინაარსის გადამუშავების და დაკავშირების შესაძლებლობების გათვალისწინებით, შესაძლოა პირადულობასა და მოქმედების თავისუფლებაზე ძირითადი უფლების მნიშვნელობის ზეგავლენა ჰქონდეს. ამიტომ ინფორმაციის გადამუშავების პროცესში მისი გამოყენების კონტექსტის გათვალისწინების გარეშე უმნიშვნელო ინფორმაცია აღარ არსებობს.<sup>78</sup>

„არც ინფორმაციული თვითგანსაზღვრის უფლების დაცვა ქრება, თუკი მოცემულ შემთხვევაში, ინფორმაცია, ავტომობილის სახელმწიფო ნომერი, საჯაროდ ხელმისაწვდომი და ასევე კანონით სავალდებულოა. რადგან ინფორმაციული თვითგანსაზღვრის უფლება პირს საჯარო სივრცეშიც იცავს, მაგრამ პირადი ინფორმაცია შეიძლება ავტომატურად აღიბეჭდოს, შეინახოს, რათა ის შემდეგ სხვა მიზნებით გამოიყენონ“.<sup>79</sup>

„მონაცემების აღბეჭდვა ძირითადი უფლების შელახვის საფუძველს არ ქმნის, თუ მონაცემები, აღბეჭდვის შემდეგ, ანონიმურად და პიროვნებასთან მისი დაკავშირების შესაძლებლობის გარეშე, დაუყოვნებლივ ტექნიკურად უკვალოდ გამოიყოფა, ამიტომ ინფორმაციული თვითგანსაზღვრის უფლებაც ნომრის ელექტრონული აღრიცხვისას არ ირღვევა, თუ ინფორმაციის შედარება საძიებო ბაზასთან ხდება და „დამთხვევა“ არ ფიქსირდება, როდესაც, მონაცემების ანონიმურობა, და მისი მყისიერად, კვალის გარეშე განადგურება სამართლებრივად და ტექნიკურად უზრუნველყოფილია და პიროვნებასთან მათი დაკავშირების შესაძლებლობა არ არსებობს“.<sup>80</sup>

<sup>77</sup> BVerfG, Urteil des Ersten Senats vom 11. März 2008 – 1 BvR 2074/05 – Rn. (1 – 185), [http://www.bverfg.de/e/rs20080311\\_1bvr207405.html](http://www.bverfg.de/e/rs20080311_1bvr207405.html)

<sup>78</sup> იხილეთ BVerfG, Urteil des Ersten Senats vom 11. März 2008 – 1 BvR 2074/05 – Rn. (1-185), 66, 67 აბზაცი [http://www.bverfg.de/e/rs20080311\\_1bvr207405.html](http://www.bverfg.de/e/rs20080311_1bvr207405.html)

<sup>79</sup> იხილეთ იქვე.

<sup>80</sup> იხილეთ იქვე.

„პირიქით ძირითად უფლებაში ჩარევა, ალბეჭდილი ნომრის შენახვისას და მომავალში მისი სხვა ღონისძიებების საფუძვლად გახდომისას ხდება. ამისკენ არის ღონისძიება პირველ რიგში მიმართული, როდესაც ალბეჭდილი ნომერი საძიებო ბაზაში ფიქსირდება, როგორც „დამთხვევა“. ამ მომენტიდან ალბეჭდილი ნომერი სახელმწიფო უწყებებს აქვთ ხელთ შეფასებისათვის და იწყება მოქმედების თავისუფლებისა და პირადულობის სპეციფიური პიროვნულობის შელახვა, რომელიც ინფორმაციული თვითგანსაზღვრის ძირითადი უფლების დაცვას ააქტიურებს.“<sup>81</sup>

მოცემულ საქმეში ფედერაციულმა საკონსტიტუციო სასამართლომ განსაზღვრა კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც შეაფასა ინფორმაციული თვითგანსაზღვრის უფლებაში ჩარევის ინტენსივობა. კერძოდ, ფედერაციულმა საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ ძირითად უფლებაში ჩარევის ინტენსივობა მით უფრო მაღალია, რაც უფრო რელევანტურია პიროვნულობისათვის ინფორმაციის წონა; ასევე მნიშვნლოვანია პირი საკუთარი მოქმედებით ქმნის თუ არა უფლებაში ჩარევის მიზეზს; ინფორმაციის მოპოვებას აქვს თუ არა საიდუმლო ხასიათი, რადგან საიდუმლოდ მოპოვებული ინფორმაციის შემთხვევაში უფლებაშელახულ პირს არ შეუძლია უფლებათა დაცვის სამართლებრივი მექანიზმებით სარგებლობა არც წინასწარ, პრევენციისათვის და არც ჩარევის შემდგომ. რა ნაკლოვანებები წარმოექმნება პირს ინფორმაციის შეგროვებით ან რა ნაკლოვანებების წარმოქმნის შეიძლება ემინოდეს; მოპოვებული ინფორმაციის გამოყენებას თუ შეიძლება მოჰყვეს უფლებაში გამომდინარე ჩარევა ან თუ ინფორმაციის სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით თუ შეიძლება პირისთვის მოჰყვეს გამომდინარე ღონისძიებები.<sup>82</sup>

სასამართლომ აღნიშნა, რომ საკანონმდებლო უფლებამოსილებიდან უნდა ჩანდეს დასაშვებია თუ არა უფლებაში მძიმე ჩარევა, თუ ასეთი მძიმე ჩარევა არ არის გამორიცხული, უნდა იყოს დაცული სპეციალური (ვინრო) განსაზღვრულობის მოთხოვნები, რომლებიც ასეთ შემთხვევებს აქვთ.<sup>83</sup> სასამართლომ დაადგინა, რომ ნორმაში არ იყო დასახელებული ნომრის ალბეჭდვის არც საფუძველი და არც მიზანი და ამიტომ ინფორმაციის გამოყენება შესაძლებელი იყო ნებისმიერი მიზნით. შესაბამისად საკანონმდებლო დაკონკრეტება ბუნდოვანი იყო.<sup>84</sup>

<sup>81</sup> BVerfG, Urteil des Ersten Senats vom 11. März 2008 – 1 BvR 2074/05 – Rn. (1 – 185), [http://www.bverfg.de/e/rs20080311\\_1bvr207405.html](http://www.bverfg.de/e/rs20080311_1bvr207405.html)

<sup>82</sup> შეადარეთ იქვე.

<sup>83</sup> იხილეთ იქვე.

<sup>84</sup> იქვე.

ფედერაციულმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნებს გასაჩივრებული დებულებების განუსაზღვრელად ფართო ბუნება ვერ პასუხობდა. რადგან თუკი საშუალება საკმარისად განსაზღვრული არაა, რთულია მისი გამოსადეგობის და აუცილებლობის შეფასება და არათანაზომიერი ჩარევის რისკიც იზრდება.<sup>85</sup>

სასამართლომ, ე.წ. ვინრო გაგებით თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნების შელახვაც დაადგინა, რომელიც, ძირითადი უფლებების შეზღუდვის სიმძიმის შენონვისას მოითხოვს, ის საერთო ჯამში, გამართლების მიზეზის წონას რომ არ ასცდეს, კერძოდ:

„ვინრო გაგებით თანაზომიერების პრინციპთან დაკავშირებით განსაკუთრებით შეუსაბამოა, გარემოება, რომ გასაჩივრებული დებულებები მათი განუსაზღვრელი სიფართოვის გამო, მიზეზის გარეშე და ფართო სივრცითი არეალის მოცულობით, ნომრების ავტომატიზებულ აღბეჭდვას და შეფასებას შესაძლებელს ხდის....ორივე ფედერალურ მინაზე „ბრმად“ არის შესაძლებელი კონსტიტუციით დაუშვებელი, ძირითადი უფლების შემზღუდავი გამოძიება“.<sup>86</sup>

„ნომრების ავტომატიზებული აღბეჭდვა, რომელიც განსაკუთრებული მიზეზის, განსხვავების გარეშე ნებისმიერს მხოლოდ იმიტომ ეხება, რომ ის ავტომობილით ნომრების ავტომატიზებული აღბეჭდვისათვის ხანგრძლივი დროით მონყობილ ადგილს ჩაუვლის, ასევე მუდმივი კონტროლის განცდას ქმნის. წარმოქმნილი ზედამხედველობის ქვეშ ყოფნის განცდა შემამინებელ ეფექტს წარმოშობს და ძირითადი უფლებებით სარგებლობას უშლის ხელს. ეს არა მხოლოდ თითოეულის ინდივიდუალური განვითარების შესაძლებლობებს, არამედ ასევე საყოველთაო კეთილდღეობას ეხება, რადგან თვითგანსაზღვრავისუფალი დემოკრატიული საზოგადოების მოქალაქის მოქმედების და მონაწილეობის უნარის ელემენტარული ფუნქციონირების წინაპირობაა“.<sup>87</sup>

სასამართლომ ინფორმაციული თვითგანსაზღვრის ძირითადი უფლების (ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი, ამავე კანონის პირველი მუხლის პირველ პუნქტთან კავშირში) დარღვევა დაადგინა და გასაჩივრებული დებულებები გააუქმა.<sup>88</sup>

<sup>85</sup> შეადარეთ იქვე.

<sup>86</sup> BVerfG, Urteil des Ersten Senats vom 11. März 2008 – 1 BvR 2074/05 – Rn. (1 – 185), [http://www.bverfg.de/e/rs20080311\\_1bvr207405.html](http://www.bverfg.de/e/rs20080311_1bvr207405.html)

<sup>87</sup> იქვე.

<sup>88</sup> სასამართლომ მიუთითა კანონმდებელს, რომ მანქანის ნომრების ავტომატიზებული აღბეჭდვის რეგულირების კონსტიტუციასთან შესაბამისობა სხვადასხვა სახით შეიძლება რამდენიმე დონეზე ნორმირებული იყოს, „თანაზომიერება დაცული იქნება თუ ნომრების ავტომატიზებული აღბეჭდვის წინაპირობების რეგულირებას მიზნად ფართო გამოყენება ექნება, მაგრამ მაგალითად ვინრო ჩარევის წინაპირობებთან იქნება კომ-

#### 4. საინფორმაციო ტექნიკური სისტემების სანდოობის და ერთიანობის უზრუნველყოფა

გერმანიის ფედერაციულმა საკონსტიტუციო სასამართლომ 2008 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით თავისუფლების ახალი ტიპის გარანტია განსაზღვრა და „საინფორმაციო ტექნიკური სისტემის სანდოობასა და მთლიანობაზე უფლება“ შექმნა, რითიც პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება კიდევ უფრო გააფართოვა. გადაწყვეტილების საფუძველი იყო სარჩელი, რომელშიც გასაჩივრებული იყო ჩრდილოეთ რაინის ფედერაციული მიწის კონსტიტუციური დაცვის კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-11 ქვეპუნქტის პირველი წინადადება, რომელიც კონსტიტუციური დაცვის ორგანოს სხვადასხვა მონაცემების საინფორმაციო ტექნიკური სისტემებიდან ფარულად ამოღების უფლებამოსილებას ანიჭებდა და ამ მონაცემებთან მოპყრობას აწესრიგებდა.

სასამართლოს აზრით პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ფარგლებში მანამდე განვითარებული დაცვის გარანტიები თითოეულის პიროვნეულობის დაცვის უზრუნველყოფისთვის რომელიც მას საინფორმაციო ტექნიკურ სისტემებთან<sup>89</sup> მოპყრობისას სჭირდება, საკმარისი არ იყო. ასეთ სისტემებში ასახულია ადამიანის პირადი ცხოვრების შესახებ თავმოყრილი ინფორმაცია, საიდუმლო შეღწევის შემთხვევაში სახელმწიფოს ადამიანის პირადი ცხოვრების შესახებ ყოველსმომცველი წარმოდგენის შექმნა შეუძლია.

სასამართლომ ეს უფლება ინფორმაციული თვითგანსაზღვრის უფლებისგან გამიჯნა, რომელიც, როგორც წესი, დაკავშირებულია ინფორმაციის ამოღებასთან.

„ყველა საინფორმაციო ტექნიკური სისტემა, რომელიც აწარმოებს, ამუშავებს ან ინახავს პიროვნებასთან დაკავშირებულ მონაცემებს, პიროვნულ სამართლებრივი განცალკევებული გარანტიით სპეციალურ დაცვას არ საჭიროებს. თუ ასეთი სისტემა, მისი ტექნიკური კონსტრუქციით მხოლოდ პირის განსაზღვრული ცხოვრების სფეროსთან წერტილოვანი კავშირის მქონე მონაცემებს შეიცავს, მაგალითად სახლის ტექნიკის ელექტრონული

---

ბინირებული, როგორც ამას ბრანდენბურგის რეგულირებაში ვხვდებით. შესაძლებელია ასევე კომბინაცია, როდესაც ვინმე ჩამოყალიბებული მიზანი, ნომრის აღბეჭდვას ისეთი გამოყენების მიზნებით ზღუდავს, რომლებსაც ჩარევის მაღალი ინტენსიობა არ ახასიათებთ, შესაბამისი ნაკლები წინაპირობებით ძიების ბაზაში შეტანის და აღბეჭდვის მიზეზისთვის. BVerfG, Urteil des Ersten Senats vom 11. März 2008 – 1 BvR 2074/05 – Rn. (1 – 185), [http://www.bverfg.de/e/rs20080311\\_1bvr207405.html](http://www.bverfg.de/e/rs20080311_1bvr207405.html)

<sup>89</sup> იგულისხმება პირადი კომპიუტერი, ლეპტოპი, აიპედი, სმარტფონი და მსგავსი საინფორმაციო ტექნიკური სისტემები

მართვის მონყობილობები, რომლებიც ერთმანეთთან ქსელით არ არის დაკავშირებული, მაშინ არსებულ მონაცემთა ერთიანობაზე სახელმწიფოს წვდომა მონაცემთა ამოღებისგან ხარისხობრივად არ განსხვავდება. ასეთ შემთხვევაში პიროვნების ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის ინტერესი, პიროვნების ინფორმაციული თვითგანსაზღვრის უფლებითაა დაცული“.<sup>90</sup>

„საინფორმაციო ტექნიკური სისტემების სანდოობის და მთლიანობის ძირითადი უფლებით დაცული გარანტია ისეთ სისტემაზე ჩარევის ნებართვისას გამოიყენება, რომელიც ცალკე ან მისი ტექნიკური კავშირის (საშუალებით) პიროვნებასთან დაკავშირებულ მონაცემებს ისეთი მოცულობით ან ისეთი მრავალფეროვნებით შეიცავს, რომ ამ სისტემით პიროვნების ცხოვრების წესის არსებითი შემადგენელი ნაწილების შესახებ ინფორმაციის მოპოვება ან პიროვნების შესახებ მრავლისმეტყველი სურათის შექმნა შესაძლებელი“.<sup>91</sup>

„ასეთი შესაძლებლობა მაგალითად მყარად დამონტაჟებულ თუ მობილურ პერსონალურ კომპიუტერზე წვდომის შესაძლებლობის სახით არსებობს. პირადი თუ სამსახურეობრივი გამოყენების სისტემური ქცევით შესაძლებელია პიროვნული თვისებებისა თუ პრეფერენციების შესახებ წარმოდგენის შექმნა. სპეციალური უფლებრივი დაცვა მაგალითად ტელეფონებსა და ელექტრონულ შეხვედრათა კალენდრებზეც ვრცელდება, რომლებიც მრავალფუნქციურია და პიროვნებასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი მონაცემების აღბეჭდვა და შენახვა შეუძლიათ“.<sup>92</sup>

სისტემის სანდოობის დაცვას საინფორმაციო ტექნიკური სისტემების სანდოობის და ერთიანობის უფლება უზრუნველყოფს, კერძოდ სისტემის გამომყენებლის ინტერესს ძირითადი უფლება იმ კუთხით იცავს, რომ სისტემის მიერ შექმნილი, გადაამუშავებული და მასში შენახული მონაცემები სანდოდ რჩება.

უფლება ასევე საინფორმაციო ტექნიკური სისტემის ერთიანობის დაცვას უზრუნველყოფს. გამომყენებლის ინტერესს ძირითადი უფლება მისი ერთიანობის უზრუნველყოფით იცავს, კერძოდ მასზე წვდომა არ არსებობს და მისი ფუნქციები და შენახული შინაარსი მესამე პირების მიერ არ გამოიყენება და მონაცემებით მანიპულირება არ ხდება.

<sup>90</sup> BVerfG, Urteil des Ersten Senats vom 27. Februar 2008 – 1 BvR 370/07 – Rn. (1 – 333), აზნა-ცი 202 [http://www.bverf.de/e/rs20080227\\_1bvr037007.html](http://www.bverf.de/e/rs20080227_1bvr037007.html)

<sup>91</sup> იქვე

<sup>92</sup> იქვე



### გ. პირადი სივრცის დაცვა და სფეროთა თეორია

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ერთ-ერთი ძირითადი სირთულე, მისი ზოგადი და ღია ბუნებიდან გამომდინარეობს და იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლო პრაქტიკაში ერთი და თანმიმდევრულად დამკვიდრებული პასუხი კითხვაზე თუ რას მოიცავს განსაკუთრებით მაღალი ხარისხით დაცული ადამიანის პირადი სფერო, არ არსებობს.

სასამართლო პრაქტიკაში განვითარდა ე.წ. სფეროების თეორია, რომელიც დასახელებული სირთულის შედარებით გაადვილების მიზნით გარკვეული მიდგომის შემუშავებას ცდილობს. სფეროთა თეორიის თანახმად ერთი შეხედვით შესაძლებელია ადამიანის ცხოვრების სფეროების მიხედვით იმის განსაზღვრა თუ ადამიანის პიროვნულობის ზოგადი უფლება რა ხარისხით იცავს მის პიროვნებას. ამ თეორიის თანახმად ადამიანის პიროვნულობისთვის მნიშვნელოვანი ინტერესის სოციალურ, პირად თუ ინტიმურ სფეროსადმი მიკუთვნების მიხედვით, ის პიროვნულობის ზოგადი უფლების განსხვავებული დაცვით ისარგებლებს.

პიროვნულობის ზოგადი უფლების ფარგლებში ყველაზე მწირი დაცვის ხარისხით სარგებლობს ე.წ. სოციალური სფერო. სოციალური სფერო ადამიანის სხვა ადამიანებთან ურთიერთობის საჯარო ცხოვრების სფეროა. „ადამიანი, როგორც საზოგადოებაზე დამოკიდებული და საზოგადოების მიერ შებოჭილი მოქალაქე“<sup>93</sup> ვალდებულია მიიღოს გარკვეული შეზღუდვები, როგორც არის მაგალითად მისი შვებულების შესახებ პირადი მონაცემების, კერძოდ კი შვებულება როდის და ვისთან ერთად გაატარა, სახელმწიფოსთვის სტატისტიკის მიზნით გაზიარება.<sup>94</sup>

„იქ სადაც სტატისტიკური აღრიცხვა ადამიანის მოქმედებას მხოლოდ გარე სამყაროში უკავშირდება, იგი როგორც წესი ადამიანის პიროვნულობას მისი პირადი ცხოვრების განსაზღვრის ხელშეუხებელ სფეროში არ ლახავს.“<sup>95</sup>

პირადი სფერო სოციალურ სფეროსთან შედარებით უფრო მაღალი დაცვის ხარისხით სარგებლობს.

„მოცემული სატელევიზიო გადაცემა იმ გზით, რომლითაც დანაშაულის მომზადების, განხორციელების და დევნის პროცესს აღწერს, დამნაშავის დასახელებით, გამოსახვით და მისი პორტრეტის შექმნით, ძალაუნებურად ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით, ამავე კანონის პირველი მუხლის პირველ პუნქტთან კავშირში, განსაზღვრულ ადამიანის უფლებით

<sup>93</sup> BVerfGE 27, 1 <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv027001.html>

<sup>94</sup> შეადარეთ იქვე.

<sup>95</sup> იქვე

დაცულ სფეროს ლახავს. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება და ადამიანის ღირსება პირადი ცხოვრების განსაზღვრისთვის თითოეულის ავტონომიური სფეროს უზრუნველყოფს, რომელშიც მას საკუთარი ინდივიდუალობის განვითარება და დაცვა შეუძლია. ეს ამ სფეროში „სათავისოდ ყოფნის“ და „საკუთარი თავისთვის კუთვნილების“ და ამ სფეროდან სხვათა მონაწილეობის გამორიცხვის უფლებას მოიცავს. ეს საკუთარ გამოსახულებაზე და წარმოქმულ სიტყვაზე უფლებას, და უპირველესად პიროვნების გამოსახულების განკარგვის უფლებას გულისხმობს. ნებისმიერს შეუძლია, მის ცხოვრებასთან დაკავშირებული მოვლენების და პროცესების სრულად ან ნაწილობრივ საჯაროდ წარმოჩენის უფლება პრინციპულად დამოუკიდებლად და მარტომ განსაზღვროს“.<sup>96</sup>

პირადი სფეროს ცნება საკუთარი ბინისა და საცხოვრებელი სახლის სივრცით არ შემოიფარგლება. პირადი სფერო ასევე შეიძლება გარე სივრცეც იყოს, რომელიც მიუკერძოებელი მესამე პირის მიერ შეიძლება საჯაროობისგან განცალკევებულ სივრცედ იყოს აღქმული. ე.წ. კაროლინა, მონაკოს პრინცესას მე-II საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა, რომ თითოეულის საჯარო ცნობისმოყვარეობისგან საკუთარ სახლში გამიჯვნა პიროვნების თავისუფალ განვითარებას მნიშვნელოვნად შეაფერხებს:

„მედის თანხლებით გამსჭვალული საჯაროობიდან აუცილებელი დასვენება ხშირად მხოლოდ ბუნებრივ გარემოში განცალკევებით, მაგალითად კურორტზე, არის შესაძლებელი. ამიტომ თითოეულს პრინციპულად უნდა ჰქონდეს თავისუფალ, განცალკევებულ ბუნებაში ან ისეთ ადგილებში თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა, რომლებიც საჯაროობისგან მნიშვნელოვნად არის განცალკევებული“.<sup>97</sup>

სასამართლოს განმარტებით პირადი სფეროსადმი მიკუთვნებისათვის მნიშვნელოვანია შესაბამისი სივრცის ბუნების გათვალისწინება, სივრცის საჯაროობისგან საკმარისად განცალკევება კონკრეტული სიტუაციისა და გარემოებების საფუძველზე უნდა განისაზღვროს და ადგილის შემოსაზღვრულობას არ აქვს მნიშვნელობა. რაოდენობით ბევრი ადამიანის თავმოყრის ადგილები, იზოლაციას იმავითვეა მოკლებული.

პიროვნულობის ზოგადი უფლების ღია ბუნებიდან გამომდინარე პირადი სივრცეც არ არის ამომწურავად განსაზღვრული და ღია რჩება ახალი ტიპის

<sup>96</sup> ე.წ. Lebach-ის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, BVerfGE 35, 202 <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv035202.html>

<sup>97</sup> ე.წ. კაროლინა, მონაკოს პრინცესას მე-II საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება BVerfGE 101, 361, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv101361.html>

საფრთხეებისგან პიროვნულობის დაცვისთვის.<sup>98</sup> აქვე აღნიშვნას იმსახურებს, რომ სასამართლოს პრაქტიკაში ხშირად ხდება, რომ სასამართლო პიროვნულობის ზოგადი უფლების ფარგლებში პირადი სივრცის დაცვის შესახებ კრიტერიუმებს ადგენს და მოსარჩელისათვის ერთი შეხედვით მნიშვნელოვან განმარტებას აკეთებს, თუმცა მოსარჩელისათვის შესაბამისი სამართლებრივი შედეგი არ დგება და კონკრეტულ შემთხვევაში უფლება მას რეალურ დაცვას არ სთავაზობს. ამის მაგალითია ე.წ. ეპლერის საქმე, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ პიროვნულობის ზოგადი უფლების ნაწილი ასევე პირს ისეთი გამონათქვამებისგან იცავს, რომლებიც მას არ გაუკეთებია და ეს უფლება პირის მიერ განსაზღვრული სოციალური ვალიდურობის ხელშეუხებლობის უფლებას მოიცავს, თუმცა მოსარჩელისათვის საქმე სასურველი სამართლებრივი შედეგით არ დასრულდა.

აბსოლუტურად დაცულ ბირთვის არც პირადი სფერო განეკუთვნება არამედ შესაძლებელია მისი შეზღუდვა, თუმცა ეს თანაზომიერების პრინციპის მკაცრი დაცვით უნდა განხორციელდეს.

კაროლინა, მონაკოს პრინცესას მე-11 საქმეში სასამართლომ პიროვნულობის ზოგადი უფლების დარღვევა იმ ფოტოებთან მიმართებაში დაადგინა, რომელზეც პრინცესა კაროლინა მის შვილებთან ერთად იყო ასახული და სასამართლომ მიიჩნია, რომ სასამართლომ ის გარემოება, საკმარისად არ გაითვალისწინა, რომ პიროვნულობის ზოგადი უფლება ძირითადი კანონის მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით ძლიერდება და შესაბამისად უფრო ძლიერ დაცვას სთავაზობს.<sup>99</sup>

„მშობლის ან მშობლების პიროვნულობის ზოგადი უფლების დაცვას მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები აძლიერებს, თუ საქმე, მშობლის მზრუნველობის ქვეშ მყოფი შვილების გამოსახულების გამოქვეყნებას ეხება“.<sup>100</sup>

„უკანასკნელი, ადამიანის თავისუფლების ხელშეუხებელი სფერო ნამდვილად არსებობს, რომელიც საჯარო ხელისუფლების ზემოქმედებას არ ექვემდებარება და რომელში შეჭრაც კანონმდებელს აკრძალული აქვს. თუმცა თავისი მოქმედებით სხვის სფეროზე ზემოქმედებით ადამიანი ამ სფეროს მიღმა რჩება, გარდა ისეთი გარემოებებისა, როდესაც, მაგალითად, ოჯახური ურთიერთობები მოქმედების ამ საზოგადოებრივ ხასიათს მაინც ვინრო ინტიმურ სფეროს მიაკუთვნებს“.<sup>101</sup>

<sup>98</sup> იხილეთ სქოლიო N20

<sup>99</sup> იქვე

<sup>100</sup> ე.წ. კაროლინა, მონაკოს პრინცესას საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება BVerfGE 101, 361, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv/101361.html>

<sup>101</sup> ე.წ. ჰომოსექსუალების საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება BVerfGE 6, 389

ე.წ. მიმონერის ზედამხედველობის საქმეში სასამართლომ მიიჩნია, რომ განსაკუთრებული ნდობის მქონე პირებთან მიმონერა, პიროვნულობის ზოგადი უფლებით დაცულ პირად სფეროს განეკუთვნება. საქმეში პატიმრობაში მყოფ ძმას დამ მისწერა წერილი, სადაც საპატიმრო დანესებულების თანამშრომლებს შეურაცხყოფდა. მიმონერისას გამოთქმული მოსაზრებები სასამართლომ პირადი სფეროს ნაწილად მიიჩნია. სასამართლომ დაადგინა, რომ პიროვნების განვითარებისათვის განსაკუთრებული ნდობის მქონე პირებს შორის სანდო კომუნიკაციის დაცვა მნიშვნელოვანი იყო, კერძოდ:

„პიროვნების განვითარების პირობებისთვის აუცილებელია, რომ თითოეულს ჰქონდეს სივრცე, სადაც იგი დაკვირვების გარეშე თავის თავთან მარტო რჩება ან განსაკუთრებული ნდობის მქონე პირებთან შეუძლია ურთიერთობა, ისე რომ საზოგადოების ქცევის მოლოდინებს ანგარიშს არ უწევს და სახელმწიფო სანქციების არ ეშინია. ასეთი განმარტოების შესაძლებლობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, რომელიც მას პიროვნულობის განვითარებისთვის აქვს, გამომდინარეობს, რომ ძირითადი კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტი ამავე კანონის პირველი მუხლის პირველ პუნქტთან კავშირში ასევე პირად სფეროს მოიცავს. პირადი სფეროს დაცვის ნაწილია ასევე სანდო კომუნიკაცია. სწორედ ოჯახის წევრების და სანდო პირების მიმართ გამოთქმული მოსაზრებების შემთხვევაში აზრის გაცნობისა და მასთან დაკავშირებული მესამე პირების აზრის ჩამოყალიბებაზე ზემოქმედების სურვილზე მეტად საკუთარი განვითარების ასპექტია მნიშვნელოვანი.

თითოეულს სხვებისთვის ანგარიშის განწევის გარეშე საკუთარი ემოციების, საიდუმლო სურვილების ან შიშების გამოხატვა, ღიად საკუთარი ურთიერთობების და პიროვნებების შესახებ საკუთარი დასკვნების გამოთქმა, ან გამათავისუფლებელი თვითგამოსახვა მხოლოდ განსაკუთრებული ნდობის პირობებში შეუძლია. ასეთ გარემოებებში შეიძლება ისეთი გამოხატვის შინაარსი და ფორმები მივიღოთ, რომლებსაც თითოეული საჯაროდ ან გარე პირების წინაშე არ გამოხატავდა. თუმცა, ისინი როგორც პიროვნულობის გამოხატულება და მისი განვითარების პირობა ძირითადი უფლებით დაცვას იმსახურებს“.<sup>102</sup>

ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ ერთ-ერთ ადრეულ გადაწყვეტილებაში ე.წ. ჰომოსექსუალების საქმეზე, სადაც სისხლის სამართლის ის

---

<http://www.servat.unibe.ch/dfr/bv006389.html> აღსანიშნავია, რომ მოცემულ საქმეში ოჯახური ურთიერთობების საკითხი არ იყო ძირითადი განსახილველი საკითხი და შესაბამისად დებულება ე.წ. obiter dictum-ს განეკუთვნება.

<sup>102</sup> ე.წ. მიმონერის ზედამხედველობის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება BVerfGE 90, 255, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv090255.html>

ნორმები იყო გასაჩივრებული, რომლებიც ჰომოსექსუალურ კავშირს სისხლის სამართლის დანაშაულად აცხადებდა და შესაბამისად სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ანესებდა, სასამართლომ ასეთი კავშირი პირადი სფეროს ნაწილად არ ჩათვალა, კერძოდ:

„უკანასკნელი, ადამიანის თავისუფლების ხელშეუხებელი სფერო ნამდვილად არსებობს, რომელიც საჯარო ხელისუფლების ზემოქმედებას არ ექვემდებარება“ და რომელში შეჭრაც კანონმდებელს აკრძალული აქვს. თუმცა თავისი მოქმედებით სხვის სფეროზე ზემოქმედებით ადამიანი, ამ სფეროს მიღმა გადის, გარდა ისეთი გარემოებებისა, როდესაც მაგალითად ოჯახური ურთიერთობები მოქმედების ამ საზოგადოებრივ ბუნებას მაინც ვინწო ინტიმურ სფეროს მიაკუთვნებს. ძირითადად სხვა ადამიანის პიროვნულობის სფეროსთან შეხება ადამიანის მოქმედებას სოციალურ (სფეროსთან) კავშირის ხასიათს ანიჭებს, და ამით ეს სფერო სამართლისთვის შელწევადი ხდება. თუმცა შეიძლება მოვლენები, რომლებიც სხვასთან კომუნიკაციაში ხორციელდება, მე-2 მუხლის პირველი პუნქტის პერსპექტივიდან კანონმდებლისათვის ხელმისაწვდომი არ იყოს. ჩარევის დასაშვებობა მოქმედების „სოციალურ კავშირის ინტენსიურობაზე დამოკიდებული“.<sup>103</sup>

პიროვნულობის ზოგადი უფლება ადამიანს მის ინტიმურ სფეროში ყველაზე ძლიერ დაცვას სთავაზობს. ინტიმურ სფეროს ყველაზე პიროვნული ხასიათის საკითხები, მაგალითად პირადი დღიური მიეკუთვნება.<sup>104</sup>

<sup>103</sup> ე.წ. ჰომოსექსუალების საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება BVerfGE 6, 389 <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv006389.html>

<sup>104</sup> იხილეთ ე.წ. დღიურის საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილება BVerfGE 80, 367 <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv080367.html> ეს გადაწყვეტილება მოსამართლეების მოსაზრებების განსახვავებულობითაა მნიშვნელოვანი, კერძოდ ნაწილი მიიჩნევდა, რომ დამნაშავის პირადი დღიური სისხლისსამართლის დანაშაულის გამოძიებისათვის არ უნდა ყოფილიყო ხელმისაწვდომი და პირადი დღიურების გამოძიებაში გამოყენებით პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება დაირღვა, კერძოდ პირადი ცხოვრების განსაზღვრის ყველაზე შიდა სფერო, რომელიც აბსოლუტურად დაცულია. შესაბამისად სასამართლო საერთოდ არ უნდა შესულიყო თანაზომიერების შესახებ მსჯელობაში. მეორე ნაწილი კი მიიჩნევდა, რომ იმის მიუხედავად, რომ დღიურის ჩანაწერები უშუალოდ სისხლის სამართლის დანაშაულის დაგეგმვას ან დანაშაულის შესახებ ფაქტებს არ ეხებოდა, პირად დღიურში დამნაშავის პიროვნების პორტრეტი იკვეთებოდა, რაც გადაწყვეტი იყო პრევენციული პატიმრობის განსაზღვრისთვის და ამდენად ინტიმურ სფეროში ჩარევაც აღმატებული საჯარო ინტერესით იყო გამართლებული. შესაბამისად მოსამართლეთა მეორე ნაწილი მიიჩნევდა, რომ პირად დღიურში პირადი ჩანაწერები პიროვნების თავისუფალი უფლებით აბოლუტურად დაცულ სფეროს არ განეკუთვნება. სისხლის სამართლის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების გამოძიების მიზნით ინტიმურ სფეროში ჩარევის შესახებ ასევე იხილეთ ე.წ. დიდი მიყურადების საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც ძირითადი კანონის მე-13 მუხლის მე-3-6 პუნქტებში ცვლილებები იყო გასაჩივრებული, რომლებიც შესაბამის ორგანოებს განსაკუთრებით

თუმცა აღნიშნავს იმსახურებს, რომ პირადი ცხოვრების განსაზღვრის აბსოლუტურად დაცული სფეროს კუთხით სასამართლოს პრაქტიკის ანალიზს სასამართლოს მიდგომა ართულებს, რომლის თანახმადაც მყარი, წინასწარ განსაზღვრული პრინციპები ან კრიტერიუმები არ არსებობს, რომლებიც ზოგადად განსაზღვრავს იმ ყველაზე პირად სფეროს, რომელში შეღწევა ცხელისუფლებას აბსოლუტურად ეკრძალება.

„შემთხვევის ხელშეუხებელი ბირთვისთვის მიკუთვნება (Kernbereich) მისი უკიდურესად პერსონალური ბუნების შინაარსზეა დამოკიდებული, ანუ როგორ და რა ინტენსივობით ეხება სხვების სფეროს ან საზოგადოების ინტერესებს. განმსაზღვრელია შესაბამისი შემთხვევის გარემოებები. გადამწყვეტია, მოცემულია თუ არა სიტუაცია, რომელშიც კონკრეტული ინდიკატორებით ან ტიპიურად და საწინააღმდეგო რეალური ინდიკატორების გარეშე კონკრეტული შემთხვევა პირადი ცხოვრების განსაზღვრის ბირთვის სფეროს თუ ეხება, მაგალითად ყველაზე შინაგანი განცდების გამოხატვის ან სექსუალობის გამოხატვის ფორმების დაკვირვებისას...“

„ადამიანის ღირსების დაცვის ღონისძიებები აუცილებელია არა მხოლოდ სიტუაციაში, რომელშიც თითოეული საკუთარ თავთან მარტოა, არამედ მაშინაც, როდესაც იგი სხვებთან ურთიერთობს. ადამიანი, როგორც პიროვნება, მისი პიროვნულობის ბირთვის სფეროშიც, გარდაუვლად სოციალური კავშირით ხორციელდება. საქმის პირადი ცხოვრების განსაზღვრის ბირთვის სფეროსადმი მიკუთვნება, ან თუ იგი მას არ ეხება სოციალური სფეროსადმი მიკუთვნება, სოციალური მნიშვნელობის ან ურთიერთობის ფაქტის მიხედვით არ უნდა მოხდეს. გადამწყვეტია კონკრეტულ შემთხვევაში ის როგორი და რა სახისაა.“<sup>105</sup>

ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული მიდგომა ინდივიდუალური შემთხვევების გარემოებების გათვალისწინებით იმის განსაზღვრას გულისხმობს მოცემული სფერო „პირადი ცხოვრების

---

მძიმე დანაშაულების გამოძიების მიზნით კერძო ბინაში აკუსტიკურ თვალთვალის უფლებას ანიჭებდა. აღნიშნის ღირსია, რომ ამ გადაწყვეტილებაში ფედერაციულმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ „ძირითადი კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ადამიანის ღირსების ხელშეუვალობა პირადი ცხოვრების განსაზღვრისთვის აბსოლუტურად დაცულ ბირთვის სფეროს გულისხმობს. ამ სფეროში საცხოვრებელ ბინაში სისხლის სამართლებრივი დევნის მიზნით აკუსტიკური თვალთვალი და ამდენად თანაზომიერების პრინციპის საფუძველზე ბინის ხელშეუვალობის და სისხლის სამართლებრივი დევნის ინტერესების შეწინააღმდეგო დაუშვებელია.“ - ვრცლად იხილეთ ე.წ. დიდი მიყურადების შესახებ გადაწყვეტილება BVerfGE 109, 279, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv109279.html>

<sup>105</sup> ე.წ. დიდი მიყურადების შესახებ გადაწყვეტილება BVerfGE 109, 279, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv109279.html>

განსაზღვრის აბსოლუტურად დაცული ბირთვის სფეროს“ თუ განეკუთვნება. ამ მიდგომის მიუხედავად სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია გარკვეული კრიტერიუმების გამოყოფა, რომელიც აბსოლუტურად დაცული სფეროს განსაზღვრაში დაგვეხმარება. მაგალითად სოციალური კავშირის მტკიცებისათვის საკმარისი არ არის, რომ საქმე პირადი ხასიათის ინფორმაციას ეხებოდეს, რომელიც სისხლისსამართლის დანაშაულის ჩადენის მოტივებს ან მიზეზებს ემსახურება. აუცილებელია ინფორმაცია უშუალოდ კონკრეტულ დანაშაულს ეხებოდეს.<sup>106</sup> ეს გულისხმობს, რომ ინფორმაცია ჯერ უნდა აღბეჭდონ, შემდეგ შესაბამისმა პირებმა მოისმინონ და განსაჯონ ინფორმაცია აბსოლუტურად დაცულ სფეროს თუ განეკუთვნება იგი უნდა განადგურდეს, რადგან თვით ყველაზე მძიმე დანაშაულის გამოძიებისთვისაც მისი გამოყენება არ შეიძლება.<sup>107</sup>

ინტიმური სივრცის განსაზღვრისათვის ასევე მნიშვნელოვანია ჩარევის ინტენსივობა და ხანგრძლივობა. მაგალითად თუ მანქანის ნომრების ავტომატიზებული აღრიცხვა პიროვნების შესახებ პროფილის შედგენას ემსახურება, იგი შეიძლება აბსოლუტურად დაცული ბირთვის სფეროს განეკუთვნებოდეს.<sup>108</sup> თუ სასამართლო დაადგენს, რომ საქმე პირადი ცხოვრების განსაზღვრის ბირთვის სფეროს ეხება, ის აღარ იწყებს ინტერესების შეწონვის შესახებ მსჯელობას, რადგან ამ სფეროში ჩარევა დაუშვებელია.<sup>109</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირადი ცხოვრების განსაზღვრის აბსოლუტურად დაცული ბირთვის სფერო როგორც მოქმედების ზოგად თავისუფლებას ისე პიროვნულობის ზოგად უფლებას მოიცავს და შესაბამისად სფეროთა თეორიაში ის ე.წ. ინტიმური სფეროს იდენტური არ არის, არამედ ინტიმურ სფეროზე უფრო ვრცელი ცნებაა.<sup>110</sup>

<sup>106</sup> შეადარეთ ზევით ე.წ. დიდი მიყურადების საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ

<sup>107</sup> შეადარეთ იქვე.

<sup>108</sup> BVerfG, Beschluss des Ersten Senats vom 10. Oktober 2017 1 BvR 2019/16 – Rn. (1 – 69), [http://www.bverfg.de/e/rs20171010\\_1bvr201916.html](http://www.bverfg.de/e/rs20171010_1bvr201916.html)

<sup>109</sup> ე.წ. დიდი მიყურადების საქმეზე გადაწყვეტილება BVerfGE 109, 279, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv109279.html>

<sup>110</sup> შეადარეთ BVerfG, Beschluss des Ersten Senats vom 10. Oktober 2017 1 BvR 2019/16 – Rn. (1 – 69), [http://www.bverfg.de/e/rs20171010\\_1bvr201916.html](http://www.bverfg.de/e/rs20171010_1bvr201916.html)

#### 4. შეჯამება

შეჯამებისთვის შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში დამკვიდრებული მიდგომის შედეგად, რომლის თანახმადაც პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება პიროვნების განვითარებისთვის მისი მნიშვნელობის მიუხედავად, ნებისმიერ აქტივობას იცავს, სასამართლო პრაქტიკა უკიდურესად მოცულობითია. გადანყვეტილებათა სიმრავლის მიუხედავად, გადანყვეტილებები, რომლებშიც უფლება ადამიანს რეალურ დაცვას სთავაზობს საკმაოდ მწირია და უფლების შესახებ გაკეთებული სასამართლოს დიდსულოვანი და შთამაგონებელი განმარტებების დიდი ნაწილი შესაბამისი გადანყვეტილებების სამართლებრივ შედეგებში ნაკლებადაა ასახული.

შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო ინდივიდის პიროვნულობის ზოგად უფლებასთან მიმართებით ე.წ. სივრცითი თეორიის ლოგიკას იყენებს და სოციალურ სფეროში უფლებაში ჩარევისთვის შედარებით მსუბუქ სტანდარტს ადგენს, კერძოდ, უფლებაში ჩარევას მარტივი თანაზომიერების ტესტის საფუძველზე ამოწმებს. პირადი სფეროსადმი მიკუთვნებული საკითხების შემოწმებისას სასამართლო უფრო მაღალ სტანდარტს იყენებს და მას ე.წ. მკაცრი თანაზომიერების ტესტით ამოწმებს,<sup>111</sup> სასამართლო იმავე ტესტს უფლებაში განსაკუთრებით მაღალი ინტენსივობის ჩარევის შემთხვევაშიც იყენებს.<sup>112</sup> თუმცა სასამართლო პრაქტიკის ყველაზე კრიტიკული საკითხი ამ თვალსაზრისით სასამართლოს მიერ შესაბამისი სფეროსადმი საკითხის მიკუთვნებისთვის თანმიმდევრული და სისტემატურად გამოყენებული კრიტერიუმების არ არსებობაა. განსაკუთრებით ბუნდოვანი სოციალური და პირადი სფეროების გამიჯვნის კრიტერიუმებია, რაც საბოლოოდ სასამართლო პრაქტიკის თანახმად კონკრეტული გარემოებების მიხედვით უნდა გადანყდეს.<sup>113</sup>

ზოგადად სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ პიროვნულობის ზოგადი უფლების შესახებ სასამართლო პრაქტიკა უკიდურესად მოცულობითია, რაც ლოგიკურად შესაბამისი სპეციალიზებული სასამართლოების პრაქტიკაში წამოჭრილი ამ უფლებასთან დაკავშირებული საქმეების განხილვის სასამართლოს უფლებამოსილებიდანაც გამომდინარე-

<sup>111</sup> შეადარეთ ე.წ. კარლინა, მონაკოს პრინცესა II – სასამართლოს მსჯელობა ფოტოების შესახებ, რომლებზეც ბავშვებია აღბეჭდილი.

<sup>112</sup> შეადარეთ ე.წ. online – ჩხრეკის საქმე, სადაც სასამართლომ საინფორმაციო ტექნიკური სისტემის სანდობასა და ერთიანობის უფლება განავითარა.

<sup>113</sup> შეადარეთ შესაბამისი მსჯელობა ე.წ. დიდი მიყურადების საქმეზე მიღებულ გადანყვეტილებაში.



ობს, ასეთი საქმეები, განასკუთრებით კი პატივის, ღირსების და საკუთარი გამოსახულების განკარგვის სფეროში, საკმაოდ ხშირია.

აქვე უნდა აღნიშნოს, რომ პრაქტიკაში პიროვნულობის ზოგადი სფეროს და მოქმედების ზოგადი თავისუფლების მკაფიოდ გამიჯვნა ყოველთვის არ ხდება და შედარებით ახალ გადაწყვეტილებებში სასამართლო მოქმედების ზოგად თავისუფლებას და ინდივიდის ზოგად უფლებას ერთიან კონტექსტში განიხილავს.<sup>114</sup>

ასევე უნდა ითქვას, რომ უფლების უკიდურესად ზოგადი ფორმულირების და მისი ღია ბუნების მიუხედავად, მას ის ბირთვი აქვს, რომელშიც სახელმწიფო არ შეიძლება ჩაერიოს. ეს ე.წ. „პირადი ცხოვრების განსაზღვრის ბირთვის სფერო“ დაცვის ყველაზე მაღალი სტანდარტით სარგებლობს და თუკი სასამართლო მასში ჩარევას ხედავს, ის ინტერესების შეწონვასა და თანაზომიერების შესახებ მსჯელობას აღარ იწყებს. თუმცა აქაც უნდა აღინიშნოს, რომ მრავალრიცხოვანი გადაწყვეტილებების მიუხედავად, სასამართლომ ამ სფეროში ჩარევა<sup>115</sup> მხოლოდ რამდენიმე გადაწყვეტილებაში დაადგინა.

ასევე შეიძლება ითქვას, რომ პირადი ცხოვრების განსაზღვრის ბირთვის სფერო ექსკლუზიურად პიროვნულობის ზოგად უფლებასთან არ ასოცირდება და მოქმედების თავისუფლებასთან დაკავშირებულ სარჩელებშიც განიხილება.

ხოლო მოქმედების ზოგადი თავისუფლების ნაწილში არსებული სარჩელების სიმრავლის მიუხედავად შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო ხშირად ხელმძღვანელობს ფორმულით, რომ ადამიანი დამოკიდებულია „სოციუმზე და სოციუმით შებოჭილია“ და შესაბამისად მისი ავტონომიური მოქმედების სივრცის დაცვის ინტერესზე მეტად სასამართლოსთვის ამ ქცევიდან საზოგადოების წევრებისთვის გამომდინარე არაპირდაპირი საფრთხეები და ტვირთია მნიშვნელოვანი, იმის მიუხედავადაც, რომ ხშირად მესამე პირებს მოქმედება უშუალო საფრთხეს ან ტვირთს არ უქმნის.<sup>116</sup>

<sup>114</sup> მაგალითად ე.წ. მანქანის ნომრის ავტომატური აღბეჭდვის შესახებ გადაწყვეტილებაში.

<sup>115</sup> შეადარეთ ე.წ. ცხოველების დაკვლის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება BVerfGE 104, 337, <http://www.servat.unibe.ch/dff/bv104337.html>

<sup>116</sup> ასეთი მაგალითია ე.წ. მოტოციკლის ჩაფხუტის ტარების ვალდებულების შესახებ სასამართლოს მსჯელობა, სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ ჩაფხუტის ტარების სავალდებულობის განსაზღვრით სახელმწიფო ცდილობდა მოტოციკლის მძღოლი თავის მძიმე დაზიანებებისგან დაეზღვრა, დასაბუთებაში სასამართლომ აღნიშნა, რომ თავის მძიმე დაზიანების შემთხვევაში ეს არა მარტო ერთი ინდივიდის პრობლემა, არამედ საზოგადოებისაც იქნება, კერძოდ კი ასეთი შემთხვევა გაართულებს სასწრაფო დახმარების გამოძახებას, სახელმწიფოსგან ადამიანს დამატებითი ზრუნვა მის ჯანმრთელობაზე

თუმცა აქაც, მოქმედების თავისუფლების ზოგად უფლებაში მაღალი ინტენსივობით ჩარევის შემთხვევაშიც, სასამართლო მკაცრ ტესტს იყენებს. თუ უფლებაში ჩარევა ინტენსიური არაა, მოსარჩელესთვის სარჩელების დიდ ნაწილს წარმატება არ მოაქვს, რაც სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების „კონსტიტუციური წესრიგის შესაბამისობის“ ჩარჩოს უკიდურესად ფართო განმარტების და ზევით აღნიშნული მიდგომის გათვალისწინებით, არ უნდა იყოს მოულოდნელი.

ბოლოს კი უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პირველ პუნქტთან სიტყვიერი მსგავსების მიუხედავად, რამდენიმე მნიშვნელოვანი განსხვავებული გარემოება გასათვალისწინებელი, რაც გერმანიის ძირითადი კანონის სისტემისა და მისი დებულებების გათვალისწინებით, საქართველოს კონსტიტუციისგან მას არსებითად განასხვავებს. კერძოდ ეს ძირითადი კანონის ფარგლებში ადამიანის ღირსების პრინციპის მნიშვნელობას და მის უშუალო კავშირს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან ეხება, რასაც დამატებით გერმანიაში ე.წ. არსებითი ბუნების შესახებ დებულებით (მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი) და ე.წ. მუდმივობის შესახებ დებულებით (79-ე მუხლის მე-3 პუნქტი) განპირობებული გაძლიერება ახლავს. საქართველოს კონსტიტუციაში მე-16 მუხლის ადამიანის ღირსებასთან ასეთი სტრუქტურული კავშირი არ არსებობს და შესაბამისად სასამართლო პრაქტიკის პირდაპირ გადმოტანაც ჩვენს პრაქტიკაში ნაკლებად გონივრული იქნება. ასევე საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის ქრილში აღსანიშნავია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება, რომელიც გერმანიის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ტესტით არის განპირობებული. კერძოდ, ეს უფლების ე.წ. „კონსტიტუციური წესრიგის შესაბამისობის“ ჩარჩოს ეხება, რომელიც, უფლების სუბსიდიარული ბუნების გათვალისწინებით, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების გერმანიის კონსტიტუციის მიერ დადგენილ „ფასეულობათა წესრიგის“ ფონზე განმარტებას საჭიროებს. ეს „ფასეულობათა წესრიგი“ კი ადამიანის ძირითადი უფლებების გარდა ასევე ძირითადი კანონის მე-20 მუხლით განსაზღვრულ სახელმწიფო მოწყობის პრინციპებსაც ეხება. ამ კუთხითაც საქართველოს

---

და ასევე უმუშევრობის დროს სახელმწიფოს დახმარება დასჭირდება. ამ სირთულეების გათვალისწინებით, მოქმედების თავისუფლების შედარებით მსუბუქი სახის შეზღუდვას სასამართლოს შეხედულებით სათანადო გამართლება ჰქონდა და მოქმედების თავისუფლების შეზღუდვა თანაზომიერი იყო. ვრცლად იხილეთ. BVerfGE 59, 275 ასევე იხილეთ ე.წ. ჰომოსექსუალების საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილება BVerfGE 6, 389, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv006389.html>

კონსტიტუციის მე-16 მუხლით მსგავსი მიდგომის განვითარება ნაკლებად შესაძლებელია.

სხვა მხრივ ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს განსაკუთრებით მრავალფეროვანი და მდიდარი პრაქტიკიდან, როგორც ამ სფეროს მკვლევარებისა და სტუდენტებისათვის, ისე მომავალი მოსარჩელებისათვის ბევრის სწავლა და გააზრებაა შესაძლებელი.

## წყაროები

### კომენტარი

Di Fabio, Kommentar, Maunz/Dürig/Di Fabio, 78. EL September 2016, GG Art.2;

### გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

1. BVerfG, Urteil des Ersten Senats vom 16. Januar 1957 – 1 BvR 253/56, [http://www.bverfg.de/e/rs19570116\\_1bvr025356.html](http://www.bverfg.de/e/rs19570116_1bvr025356.html);
2. BVerfG, Urteil des Ersten Senats vom 13. Februar 2007 – 1 BvR 421/05, [http://www.bverfg.de/e/rs20070213\\_1bvr042105.html](http://www.bverfg.de/e/rs20070213_1bvr042105.html);
3. BVerfG, Urteil des Ersten Senats vom 19. April 2016 – 1 BvR 3309/13, [http://www.bverfg.de/e/rs20160419\\_1bvr330913.html](http://www.bverfg.de/e/rs20160419_1bvr330913.html);
4. 1. BVerfG, Beschluss des Ersten Senats vom 10. Oktober 2017 1 BvR 2019/16, [http://www.bverfg.de/e/rs20171010\\_1bvr201916.html](http://www.bverfg.de/e/rs20171010_1bvr201916.html);
5. BVerfG, Urteil des Ersten Senats vom 11. März 2008 – 1 BvR 2074/05, [http://www.bverfg.de/e/rs20080311\\_1bvr207405.html](http://www.bverfg.de/e/rs20080311_1bvr207405.html);
6. BVerfG, Urteil des Ersten Senats vom 27. Februar 2008 – 1 BvR 370/07, [http://www.bverfg.de/e/rs20080227\\_1bvr037007.html](http://www.bverfg.de/e/rs20080227_1bvr037007.html);
7. BVerfGE 80, 137, <http://www.servt.unibe.ch/dfr/bv080137.html>;
8. BVerfGE 27, 1, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv027001.html>;
9. BVerfGE 6, 55 [Cttp://www.servat.unibe.ch/dfr/bv006055.html](http://www.servat.unibe.ch/dfr/bv006055.html);
10. BVerfGE 27, 1, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv027001.html>;

11. BVerfGE 27, 344, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv027344.html>;
12. BVerfGE 32, 373, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv032373.html>;
13. BVerfGE 34, 238, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv034238.html>;
14. BVerfGE 35, 202, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv035202.html>;
15. BVerfGE 80, 367, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv080367.html>;
16. BVerfGE 54, 148, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv054148.html>;
17. BVerfGE 109, 279, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv109279.html>;
18. BVerfGE 78, 179, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv078179.html>;
19. BVerfGE 35, 35, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv035035.html>;
20. BVerfGE 104, 337, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv104337.html>;
21. BVerfGE 101, 361, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv101361.html>;
22. BVerfGE 54, 143, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv054143.html>;
23. BVerfGE 119, 1, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv119001.html>;
24. BVerfGE 95, 220, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv095220.html>;
25. BVerfGE 115, 1, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv115001.html>;
26. BVerfGE 63, 131, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv063131.html>;
27. BVerfGE 116, 243, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv116243.html>;
28. BVerfGE 61, 1, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv061001.html>;
29. BVerfGE 6, 389, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv006389.html>;
30. BVerfGE 90, 255, <http://www.servat.unibe.ch/dfr/bv090255.html>.

## IV. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

### 1. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ნაწილში არაერთხელ განვიხილეთ კავშირი პიროვნების თავისუფალ განვითარებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებებს შორის. შესაბამის თავში განვითარებული იყო თეორია, რომ მოქმედ კონსტიტუციურ სქემაში პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება რეზიდუალური თავისუფლების მუხლია, რომელიც იცავს ადამიანის ავტონომიას არა მარტო კერძო, არამედ საჯარო სფეროშიც. ამდენად, ის მოიცავს პირადი ცხოვრების ასპექტებს, რომლებიც სხვაგან არ არის რეგლამენტირებული კონსტიტუციაში, თუმცა არ შემოიფარგლება პირადი ცხოვრებით და უფრო ფართო და ფუნდამენტურ როლს ასრულებს კონსტიტუციური უფლებების დაცვის თვალსაზრისით.

ამ მხრივ, ერთგვარად, საპირისპირო სურათი გვაქვს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში (შემდეგში „კონვენცია“). კონვენცია არ ითვალისწინებს პიროვნული განვითარების უფლებას ცალკე. ამის ნაცვლად კონვენციაში მოცემულია საკმაოდ ფართოდ ჩამოყალიბებული მე-8 მუხლი:

„პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება:

1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალისა თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად“.

მე-8 მუხლით დაცული 4 უფლებრივი კომპონენტიდან (პირადი ცხოვრება, ოჯახური ცხოვრება, საცხოვრებელი და მიმოწერა) ერთი – პირადი ცხოვრების დაცული სფერო სასამართლოს, თავის მხრივ, დაყოფილი აქვს რამდენიმე მნიშვნელოვან კატეგორიად:

ფიზიკური, ფსიქოლოგიური და მორალური ხელშეუხებლობა; პირადი სივრცის დაცვა, იდენტობა და ავტონომია.<sup>1</sup> ისევე როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც ავტონომიასთან კავშირში განიხილავს პიროვნული განვითარების უფლებას, ანუ ეს უკანასკნელი პირადი ცხოვრების უფლების შემადგენელი ელემენტია.

შედარებისთვის მნიშვნელოვანია ხაზგასმა, რომ, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლში განმარტება ისე, რომ მოიცავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების მთელ რიგ ასპექტებს (და არამარტო) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, პიროვნული განვითარება პირიქით პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების ერთ-ერთი კომპონენტი. ამ კომპონენტის განმარტების დროს სასამართლო ხაზს უსვამს პირის უფლებას, განავითაროს კავშირები სხვა ადამიანებთან და გარესამყაროსთან, თუნდაც საჯარო სფეროში.

ქვემოთ განხილულ საქმეებში სხვა ადამიანებთან ურთიერთობის საკითხი არის გადამწყვეტი პიროვნულ განვითარებაზე მსჯელობისთვის. ურთიერთობა შინაურ ცხოველებთან ან ნადირობა, რომელიც შეიძლება ცხოვრების სტილის მნიშვნელოვანი ნაწილი იყოს, სასამართლომ არ ჩათვალა პიროვნული განვითარების ნაწილად. ეს მიდგომა ერთმნიშვნელოვნად განსხვავდება საქართველოს და გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოების მიდგომებისგან, რომლებიც პიროვნული განვითარების უფლებაში ზოგადი მოქმედების თავისუფლებას კითხულობენ და არა მხოლოდ სხვა ადამიანებთან კავშირში განვითარებას.

იმის გათვალისწინებით, რომ ამ კვლევის მიზანი არ არის კონცენტრირება უშუალოდ პიროვნული განვითარების უფლებაზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში და არც მთლიანად მე-8 მუხლთან დაკავშირებული პრაქტიკის მიმოხილვა, ქვემოთ განხილული საქმეები შევარჩიეთ ორი ძირითადი პრინციპით: ა. შინაარსობრივად ავარჩიეთ საკითხები, რომლებიც წინა თავის მიგნებებზე დაყრდნობით, კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებაში შეიძლება გახდეს შესაფასებელი, თუმცა აქამდე საკონსტიტუციო სასამართლოში ამ საკითხებზე დავა არ ყოფილა ან გრძელდება და, ამდენად, პრაქტიკის მომავალი განვითარებისთვის ამ საკითხების მიმოხილვა მნიშვნელოვანია. ბ. უახლეს საქმეებს მივანიჭეთ უპირატესობა,

<sup>1</sup> Council of Europe Directorate of Jurisconsult, Guide of Article 8 of the European Convention of Human Rights: The Rights for Respect of Private and Family Life, last update on 30 April, 2017, გვ. 17, 35.

იმ გამონაკლისით, როდესაც ძველ გადაწყვეტილებებში უფრო ვრცელი მსჯელობა მე-8 მუხლის ჩვენთვის საინტერესო დოქტრინალურ საკითხებზე.

ქვემოთ, პირველ რიგში, განხილულია პირადი ცხოვრების უფლებრივი კომპონენტები, მათ შორის, უფრო დეტალურად პიროვნული განვითარების უფლება, აგრეთვე პირადი და ოჯახური ცხოვრების გამიჯვნა. მომდევნო ქვეთავებში განხილულია სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები გენდერული იდენტობის, ერთი და იმავე სქესის პირთა თანაცხოვრების სამართლებრივი აღიარების და თვითგამორკვევის უფლებებთან დაკავშირებით. ბოლო ნაწილი ეთმობა ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებას, რომელიც წარმოადგენს ჩარევას არა მარტო კომუნიკაციის პატივისცემის უფლებაში, არამედ პირადი ცხოვრების კომპონენტშიც და მოცემულია სასამართლოს მიერ აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის ჩარჩო და ტესტები. საქმეების თემატიკასთან ერთად მნიშვნელოვანია ის ანალიტიკური კონცეფციები, რომელთა გამოყენებითაც წყვეტს სასამართლო საქმეს: კონვენციის მე-8 მუხლთან შესაბამისობის ტესტი, მე-8 მუხლიდან გამომდინარე პოზიტიური მოვალეობები, მიხედულების თავისუფლება და კანონის ხარისხის სტანდარტები.

კონვენციის მე-8 მუხლზე არსებობს უვრცელესი პრაქტიკა და ერთეული გადაწყვეტილებების მიმოხილვით ამ პრაქტიკის რაიმე საფუძვლიანი მიმოხილვა შეუძლებელია. თუმცა ეს არც არის აქ მიზანი. კვლევის მიზანია კონსტიტუციის მე-16 მუხლის რესურსის უფრო სრულყოფილ გამოყენებას შეეწყოს ხელი. აქ განხილული საქმეები სწორედ იმას ემსახურება, რომ მე-16 მუხლის იურისპრუდენცია ახალი მიმართულებით განვითარდეს. შესაბამისად, მიმოხილვა დაინტერესებულ მხარეებს დაეხმარება მე-16 მუხლთან მიმართებით პრობლემების შერჩევასა და სწორი არგუმენტების მოძიებაში სამომავლოდ წარმატებული სტრატეგიული წარმოებისთვის.

## 2. უფლების შინაარსი

როგორც შესავალში აღინიშნა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან აქ განხილული იქნება ის საკითხები, რომლებიც სამომავლოდ საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის განსაკუთრებული დაცული სფეროს გათვალისწინებით, მის ფარგლებში შეიძლება შეფასდეს. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი დამოუკიდებლად იცავს საცხოვრებელს და პირად შეტყობინებებს, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის სახლთან და კორესპონდენციასთან დაკავშირებულ იურისპრუდენციას აქ არ განვიხილავთ ბოლო

თავის გარდა, სადაც შეტყობინებების გადაჭერა განიხილება აგრეთვე პირად ცხოვრებაში ჩარევად (და არა მხოლოდ კომუნიკაციის ხელშეუხებლობის დარღვევად).

შესაბამისად, ამ განხილვისთვის რელევანტურია, როგორ განსაზღვრავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პირად ცხოვრებას და რას განიხილავს პროვინული განვითარების უფლებად, რომელსაც პირადი ცხოვრების კომპონენტში მოიაზრებს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების მიხედვით (პატიმრების საქმეში), ოჯახური კავშირები მე-16 მუხლის დაცულ სფეროში ხვდება. კონსტიტუციის ახალი ვერსიის ამოქმედების შემდეგ ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობას სპეციალური მუხლი დაარეგულირებს, თუმცა პრაქტიკაში ყველა შემთხვევაში საჭირო იქნება პირადი და ოჯახური ცხოვრების გამიჯვნა. შესაბამისად, პირადი და ოჯახური ცხოვრების გამიჯვნასთან დაკავშირებითაც იქნება განხილული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა.

#### **ა. პირადი ცხოვრება და პროვინული განვითარების თავისუფლება**

პირადი ცხოვრების შინაარსზე მსჯელობისას სასამართლო ხშირად იმეორებს, რომ ამ უფლების ამომწურავად განმარტება შეუძლებელია<sup>2</sup> და ჩამოთვლის იმ ძირითად ასპექტებს, რომელსაც მოიცავს უფლების დაცული სფერო.

მაგალითად, საქმეში, რომელიც ეხებოდა დახმარების მიღების უფლებას ვეტანაზიისთვის, სასამართლომ აღნიშნა:

„პირადი ცხოვრების ცნება ფართო ცნებაა და არ ექვემდებარება ამომწურავად განმარტებას. ის მოიცავს ადამიანის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ხელშეუხებლობას... ხანდახან ის მოიცავს ინდივიდის ფიზიკური და სოციალური იდენტობის ასპექტებს... ისეთი ელემენტები, როგორებიცაა, მაგალითად, გენდერული იდენტობა, სახელი და სექსუალური ორიენტაცია

<sup>2</sup> იდენტური ფრაზა მეორდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაზე მსჯელობისას როგორც მე-16, ისე მე-20 მუხლის ფარგლებში. მაგალითისთვის, იხ. საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 1/1/625, 640, 2016 წლის 14 აპრილი, § II-6, საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №2/4/532,533, 2014 წლის 8 ოქტომბერი, § II-4.



და სექსუალური ცხოვრება, ხდება პირად სფეროში, რაც დაცულია მე-8 მუხლით... მე-8 მუხლი აგრეთვე იცავს პიროვნული განვითარების უფლებას და უფლებას, პირმა დაამყაროს და განავითაროს კავშირები სხვა ადამიანებთან და გარე სამყაროსთან... მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ წინა გადაწყვეტილებაში არ დადგენილა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი იცავს თვითგამორკვევის უფლებას, როგორც ასეთს, სასამართლო მიიჩნევს, რომ პიროვნული ავტონომიის ცნება კონვენციის გარანტიების განმარტების ფუძემდებლური პრინციპია“.<sup>3</sup>

საქმეში, რომელიც ეხებოდა მონაკოს პრინცესა კაროლინას და მისი მეუღლის სურათების გამოქვეყნებას მასმედიაში, სასამართლომ აღნიშნა, რომ უფლება გამოსახულებაზე წარმოადგენს პიროვნული განვითარების უფლების ასპექტს:

„სასამართლო იმეორებს, რომ პირადი ცხოვრების ცნება მოიცავს ასპექტებს, რომელიც დაკავშირებულია პიროვნების იდენტობასთან, როგორებიცაა მისი სახელი, ფოტო, ფიზიკური ან მორალური ხელშეუხებლობა; კონვენციის მე-8 მუხლის გარანტიები, პირველ რიგში, მიზნად ისახავს უზრუნველყონ თითოეული ინდივიდის პიროვნების განვითარება სხვა ადამიანებთან ურთიერთობებში, გარედან ჩარევის გარეშე. ამდენად, არსებობს ზონა, რომელშიც ადამიანს ურთიერთობა აქვს სხვებთან, თუნდაც საჯაროდ, რაც შეიძლება მოხვდეს პირადი ცხოვრების მოქმედების სფეროში...“

96. რაც შეეხება ფოტოებს, სასამართლომ აღნიშნა, რომ პიროვნების გამოსახულება წარმოადგენს მისი პიროვნების ერთ-ერთ უმთავრეს ატრიბუტს, რადგან ის შეიცავს პიროვნების უნიკალურ მახასიათებლებს და განასხვავებს მას სხვა პირებისგან. ამდენად, გამოსახულების დაცვის უფლება პიროვნული განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია“.<sup>4</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სისტემატურად ახსენებს პიროვნული განვითარების უფლებას როგორც მე-8 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების კომპონენტს, თავად პიროვნული განვითარების დაცული სფეროს განსაზღვრისა და ამ კვლევაში მოყვანილ სხვა იურისდიქციებთან შედარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის საქმეები, რომლებშიც სასამართლომ ვერ დაინახა ამ უფლებაში ჩარევა.

<sup>3</sup> ფრთი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (CASE OF PRETTY v. THE UNITED KINGDOM), განაცხადი № 2346/02, 29 აპრილი, 2002, § 61.

<sup>4</sup> ფონ ჰანოვერი გერმანიის წინააღმდეგ (2) (Case of Von Hannover v. Germany (No. 2)), განაცხადი № 40660/08 და 60641/08, § 95-96.

ამ მხრივ განსაკუთრებით ღირებულია საქმე „ფრენდი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“.<sup>5</sup> განმცხადებელი ფიზიკური პირები და აგრეთვე მონადირეთა არასამთავრობო ორგანიზაცია ასაჩივრებდნენ სხვადასხვა ძუძუმწოვრებზე, განსაკუთრებით კი მელაზე ნადირობის აკრძალვას ინგლისში, უელსში და შოტლანდიაში. მათი მტკიცებით, აღნიშნული არღვევდა კონვენციის სხვადასხვა უფლებას, მათ შორის მე-8 მუხლით გარანტირებულ პიროვნული განვითარების თავისუფლებას. მათი მტკიცებით, აღნიშნული აკრძალვა წარმოადგენდა ჩარევას მათ ავტონომიაში და მათი ცხოვრების სტილში, რადგან ნადირობა იყო ის საქმიანობა, რომელიც ქმნიდა მათი პირადი ცხოვრების ბირთვს.

გაერთიანებულ სამეფოში ძუძუმწოვრებზე ნადირობის ხანგრძლივი ისტორიის, ტრადიციებისა და რიტუალების გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ნადირობას მართლაც ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა განმცხადებლების ცხოვრებაში. ამისდა მიუხედავად, სასამართლომ ჩათვალა, რომ ნადირობის აკრძალვა არ წარმოადგენდა მე-8 მუხლში ჩარევასაც კი:

„41... [კონვენციის მე-8 მუხლი] მოიცავს, მაგალითად, სხვა ადამიანებთან ურთიერთობების დამყარებისა და განვითარების უფლებას, იდენტობის და პიროვნული განვითარების უფლებებს... თუმცა მე-8 მუხლის ფართო განმარტება არ ნიშნავს, რომ ის იცავს ნებისმიერ საქმიანობას, რითაც ადამიანებს სურთ, დაკავდნენ, სხვა ადამიანებთან ერთად, იმისთვის, რომ დაამყარონ და განავითარონ მათთან ურთიერთობები...“

42. ... სასამართლომ აღნიშნა, რომ არსებობდა „ინტერაქციის ზონა სხვა ადამიანებთან, მათ შორის საჯარო კონტექსტში, რომელიც შეიძლება განეკუთვნებოდეს პირად ცხოვრებას“. თუმცა პეკსა თუ სხვა საქმეებში, სადაც სასამართლომ დაადგინა პირადი ცხოვრების დარღვევა მაშინ, როდესაც განმცხადებელი იმყოფებოდა საჯარო სივრცეში, სასამართლო ყოველთვის მსჯელობდა იმაზე, ჰქონდა თუ არა განმცხადებელს იმ მომენტში პირადი ცხოვრების დაცულობის მოლოდინი... მონანილეობდა თუ არა პირი საჯარო ღონისძიებაში აგრეთვე გასათვალისწინებელია... თუმცა არაფერია სასამართლოს პრაქტიკაში იმგვარი, რაც გვაფიქრებინებს, რომ პირადი ცხოვრების მოქმედების სფერო მოიცავს არსებითად საჯარო ბუნების მქონე საქმიანობებს [სასამართლომ აღნიშნა, რომ დავის განმხილველი ბრიტანელი მოსამართლე მართალი იყო, როცა განასხვავა პერსონალური თვითრეა-

<sup>5</sup> ფრენდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Friend v. the UK) (განაცხადი №16072/06) და „Countryside Alliance“ და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (განაცხადი № 27809/08), 15 დეკემბერი, 2009.

ლიზაციისთვის განხორციელებული მოქმედებები და საჯარო მიზნისთვის განხორციელებული მოქმედებები, როდესაც პირი მხოლოდ პერსონალური თვითრეალიზაციისთვის არ მოქმედებს].

43. სასამართლო იზიარებს ლორდთა პალატის მოსაზრებას, რომ ნადირობა, თავისი არსით საჯარო საქმიანობაა. ის ხორციელდება ღია ცისქვეშ, დიდ ტერიტორიაზე. ის იზიდავს დიდი რაოდენობით მონაწილეებს, მხედრებით დაწყებული ძაღლების ქვეითი თანმხლებლებით დამთავრებული და ხშირად მაყურებლებსაც. მიუხედავად ტკობის და პიროვნული თვითრეალიზაციის აშკარა განცდისა, რასაც განმცხადებლები იღებენ ნადირობისგან, ისევე როგორც ადამიანებს შორის ურთიერთობებისა, რაც ვითარდება მისი მემკვიდრით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ნადირობა ზედმეტად დაცლებულია განმცხადებლების პერსონალური ავტონომიის სფეროს და ადამიანებს შორის ურთიერთობები, რომლებსაც ისინი ეყრდნობიან, ძალიან ფართო და განუსაზღვრელი ფარგლების მქონეა იმისთვის, რომ ნადირობის აკრძალვა მე-8 მუხლში ჩარევას წარმოადგენდეს.

44... ბოლოს, მეორე განმცხადებლების არგუმენტების საპირისპიროდ, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო არ მიიჩნევს ნადირობას კონკრეტული ცხოვრების სტილად, რომელიც იმდენად განუშორებლად არის დაკავშირებული მონადირეების იდენტობასთან, რომ ნადირობის აკრძალვა მათი იდენტობის არსს შეუქმნიდა საფრთხეს...”

ამ მსჯელობაში გაუგებარია, სად გაავლო სასამართლომ ზღვარი პიროვნების თვითრეალიზაციის მიზნებისთვის განხორციელებულ ქმედებასა და იგივე ქმედების საჯარო მიზნებისთვის განხორციელებას შორის ან როგორ გადაწყვიტა, რომ ნადირობა უფრო მეტად მეორე იყო და არა პირველი.

ეს მსჯელობა კიდევ უფრო უცნაურია იმის გათვალისწინებით, რომ პროფესიულ და ბიზნეს საქმიანობასაც, ანუ თავისი არსით უფრო მეტად საჯარო საქმიანობას, ვიდრე ნადირობაა, მე-8 მუხლის ფარგლებში იცავს სასამართლო. მაგალითად, საქმეში, რომელიც მოსამართლის გათავისუფლებას ეხებოდა დაკავებული თანამდებობიდან, სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა. სასამართლომ აღნიშნა:

„... მე-8 მუხლი იცავს პიროვნული განვითარების უფლებას და უფლებას ურთიერთობები დაამყარო და განავითარო სხვა ადამიანებთან და გარე სამყაროსთან. „პირადი ცხოვრების“ ცნება არ გამორიცხავს პროფესიულ საქმიანობას. სწორედ თავიანთ სამსახურებრივ ცხოვრებაში ეძლევა ადამიანთა უმეტესობას მნიშვნელოვანი შესაძლებლობა, ურთიერთობები დაამყაროს გარესამყაროსთან. შესაბამისად, პროფესიასთან წვდომის შეზღუდვა გავლენას ახდენს „პირად ცხოვრებაზე“...”

166. განმცხადებლის გათავისუფლებამ მოსამართლის თანამდებობიდან გავლენა მოახდინა მის მთელ რიგ ურთიერთობებზე სხვა ადამიანებთან, მათ შორის პროფესიული ხასიათის ურთიერთობებზე. იმავდროულად, ამან გავლენა მოახდინა მის „შიდა წრეზე“, რადგან სამსახურის დაკარგვას ხელშესახები შედეგები უნდა ჰქონოდა განმცხადებლის და მისი ოჯახის მატერიალური კეთილდღეობისთვის. ის ფაქტი, რომ მისი გათავისუფლება მოხდა მოსამართლის ფიცის დარღვევის საფუძველზე, დამატებით ლახავს მის პროფესიულ რეპუტაციასაც“.<sup>6</sup>

თუ მიზეზი იმისა, რომ ნადირობა არ არის დაცული მე-8 მუხლის ფარგლებში, მისი საჯარო ხასიათია, რა თქმა უნდა, მოსამართლის საქმიანობა კიდევ უფრო საჯაროა. შესაბამისად, ცალსახაა, რომ ამ კრიტერიუმს თანმიმდევრულად არ იყენებს სასამართლო. თუ პროფესიული საქმიანობის მე-8 მუხლში მოქცევისას ამოსავალია მისი მნიშვნელობა ადამიანის პირადი ცხოვრებისთვის (გავლენა ოჯახზე, რეპუტაციაზე, მატერიალურ კეთილდღეობაზე), მართებული იქნებოდა, რომ ნადირობაც იგივე კრიტერიუმებით შეეფასებინა სასამართლოს.

საჯაროობის კრიტერიუმი, რომელიც ნადირობის საქმეში გამოიყენა სასამართლომ, თავისთავად გამომდინარეობს იქიდან, რომ მსჯელობა მე-8 მუხლის ფარგლებში ვითარდება, რომელიც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას იცავს. გერმანიის ფედერალური და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოები კი ავტონომიაზე და პერსონალურ განვითარებაზე მსჯელობენ დამოუკიდებელი მუხლის საფუძველზე, რომლის ფარგლები არ იზღუდება პირადი სფეროთი. რამდენადაც პიროვნული განვითარების უფლების მკაცრად პირად სფეროში მოქცევა შეუძლებელია, რადგან განვითარებისთვის მნიშვნელოვანი აქტივობების ნაწილი გარესამყაროსთან კომუნიკაციის პროცესში და საჯარო სივრცეში ხორციელდება, აქტივობის საჯაროობის კრიტერიუმს მხოლოდ არათანმიმდევრულობა შემოაქვს ამ ანალიზში. ამდენად, პიროვნული განვითარების უფლების დამოუკიდებელი ნორმატიული საფუძველი, რომელიც არ არის მიბმული პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე, უფრო თანმიმდევრული დოქტრინის განვითარების საშუალებას იძლევა.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, კონვენციის პერსონალური განვითარების უფლების პრაქტიკაში არის ხაზგასმა ადამიანებს შორის ურთიერთობაზე, რომელიც ამ უფლებისთვის სასამართლოს გაგებით განმსაზღვრელია.

<sup>6</sup> CASE OF OLEKSANDR VOLKOV v. UKRAINE, განაცხადი №21722/11, 09/01/2013, §165-166, ხელმისაწვდომია: <http://hudoc.echr.coe.int/eng/?i=001-115871>

მაგალითისთვის უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს მთელი რიგი ადამიანის უფლებათა (ყოფილი) ევროპული კომისიის გადანყვეტილებები განაცხადების დასაშვებობაზე, (რასაც სასამართლოც იზიარებს), რომლის მიხედვითაც, შინაური ცხოველების, მათ შორის ძაღლის ყოლის უფლება არ წარმოადგენს პერსონალური განვითარების ნაწილს და არ ხვდება მე-8 მუხლის დაცულ სფეროში:

„მთელ რიგი ანგლო-საქსონი და ფრანგი ავტორებისთვის „პირადი ცხოვრების“ პატივისცემის უფლება გულისმობს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას [right to privacy], უფლებას იცხოვროს, რამდენადაც ეს პირს უნდა, საზოგადოების თვალისგან მოცილებულად...“

თუმცა, კომისიის აზრით, პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება აქ არ მთავრდება. ის მოიცავს, აგრეთვე, გარკვეულწილად, უფლებას, სხვა ადამიანებთან დაამყარო და განავითარო ურთიერთობები, განსაკუთრებით საკუთარი პიროვნების განვითარებისა და რალიზაციის ემოციურ სფეროში.

თუმცა კომისია ვერ გაიზიარებს აზრს, რომ კონვენციის მე-8 მუხლის დაცვა ვრცელდება ინდივიდის ურთიერთობებზე ყველაფერთან, რაც უშუალოდ გარს ახვევია, როდესაც საქმე არ ეხება ადამიანურ ურთიერთობებს, მიუხედავად ინდივიდის სურვილისა, რომ ეს ურთიერთობები კერძო სფეროში დატოვოს.

უდავოა, რომ ძაღლებს მჭიდრო კავშირი აქვთ ადამიანებთან უხსოვარი დროიდან.

თუმცა ზემოაღნიშნული მოსაზრების გათვალისწინებით, მხოლოდ ეს ელემენტი არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ძაღლის ყოლა პატრონის პირადი ცხოვრების სფეროში შევიყვანოთ. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ძაღლის ყოლა, ამ ცხოველების ბუნების გათვალისწინებით, გარდაუვლად დაკავშირებულია სხვა ადამიანების და თავად საჯარო ცხოვრებაში ჩარევასთან“.<sup>7</sup>

ამ განხილვიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ პიროვნების განვითარებისთვის აუცილებელ ელემენტად მიჩნეულია ურთიერთობები სხვა ადამიანებთან და არა სხვა ურთიერთობები, რომლებიც აგრეთვე ძალიან ემოციური შეიძლება იყოს პირისთვის და განეკუთვნებოდეს კერძო სფეროს.

თუმცა სხვა ადამიანებთან ურთიერთობის მოთხოვნა აუცილებელ და არასაკმარის პირობად უნდა მივიჩნიოთ პიროვნული განვითარების უფლების ამოქმედებისთვის. როგორც 2014 წელს მიღებულ გადანყვეტილებაში აღნიშნა სასამართლომ, ყველაფერი რაც პერსონალური ურთიერთობების

<sup>7</sup> X ისლანდიის წინააღმდეგ (X v. Iceland) განაცხადი № 6825/74, 18 მაისი, 1976.

განვითარებას ემსახურება, მე-8 მუხლით დაცული ვერ იქნება.<sup>8</sup> საქმე ეხებოდა პირს, რომელიც შეგნებულად ჩნდებოდა სრულიად შიშველი საჯარო ადგილებზე და ღონისძიებებზე, რათა გაეგრძელებინა თავისი რწმენა იმასთან დაკავშირებით, რომ ადამიანის სხეული არ არის შეურაცხმყოფელი. ამ სამართალდარღვევის გამო, სასჯელთა შეკრების შედეგად, მას შეეფარდა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასამართლომ იმსჯელა შეზღუდვაზე მე-8 მუხლის კონტექსტში:

„182. პირადი ცხოვრების ცნება ფართოა და არ ექვემდებარება ამომწურავ განმარტებას. ზოგადად, ის უზრუნველყოფს ინდივიდს იმ სფეროში, სადაც მას შეუძლია, თავისუფლად მოახდინოს თავისი პიროვნების განვითარება და რეალიზაცია... საქმეში ს.ა.ს. საფრანგეთის წინააღმდეგ, 43835/11, § 107, 1 ივლისი, 2014, დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ პირის არჩევანი, თუ როგორ სურს, რომ გამოჩნდეს საზოგადოებაში, საჯარო თუ კერძო ადგილებში, წარმოადგენს მისი პიროვნების გამოვლინებას და, ამდენად, ხვდება კერძო ცხოვრების ცნებაში. „პირადი ცხოვრების“ ცნება აგრეთვე იცავს პირის იდენტობას და უფლებას, პირმა დაამყაროს და განავითაროს კავშირი სხვა ადამიანებთან და გარესამყაროსთან. ამდენად, არსებობს სხვა ადამიანებთან ინტერაქციის ზონა, საჯაროდაც კი, რომელიც ექცევა პირადი ცხოვრების მოქმედების სფეროში...

183. მეორე მხრივ, ყველა საქმიანობა, რაც პირს სურს, რომ განახორციელოს სხვა ადამიანებთან ერთად, რათა დაამყაროს და განავითაროს ურთიერთობები, არ იქნება დაცული მე-8 მუხლით...

184. განმცხადებელი შეგნებულად და თანმიმდევრულად ჩნდებოდა შიშველი სრულიად საჯარო ადგილებში, ქალაქის ცენტრებში, სასამართლოში, ციხეში... [სასამართლომ დაადგინა, რომ ეს წარმოადგენდა მე-10 მუხლით დაცული გამოხატვის ფორმას]... რაც შეეხება კონკრეტულად ინდივიდის არჩევანს, თუ როგორ სურს, რომ გამოჩნდეს საზოგადოებაში..., მე-8 მუხლი არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს იცავს ყველა წარმოსადგენ პიროვნულ არჩევანს ამ სფეროში: სავარაუდოდ, სასურველი წარმოჩენის არჩევანს უნდა ახასიათებდეს სერიოზულობის მინიმალური დონე... განმცხადებლის არჩევანს – სრულად შიშველი გამოჩენილიყო ყოველ ჯერზე, განურჩევლად, ყველა საჯარო ადგილზე, ჰქონდა თუ არა სერიოზულობის საჭირო ხარისხი, ძალიან საეჭვოა, იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოს არც ერთ ცნობილ დემოკრატიულ საზოგადოებაში ამგვარ არჩევანს არ ჰქონია მხარდაჭერა“.<sup>9</sup>

<sup>8</sup> გაფი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Gough v. The UK) განაცხადი № 49327/11, 28 ოქტომბერი, 2014.

<sup>9</sup> იქვე, § 182-184.

სასამართლომ განაცხადა, რომ, თუნდაც მე-8 მუხლში ჩარევად ჩათვლილიყო განმცხადებლის დასჯა მისი არჩევანის გამო, ეს მაინც გამართლებული იქნებოდა დანაშაულის და არეულობის პრევენციის ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად და, ამდენად, დარღვევას ადგილი არ ჰქონდა.

ამ ნაწილში განხილული საქმეები ცხადყოფს, რომ პირად ცხოვრებაში ან უფრო კონკრეტულად პიროვნული განვითარების უფლებაში, სასამართლო ხედავს ავტონომიის ფუნდამენტურ ღირებულებას, თუმცა ამ უფლებას არ განმარტავს მოქმედების ზოგად თავისუფლებად, გერმანიის და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოებისგან განსხვავებით. ამასთან, სასამართლო ცდილობს, დამატებითი კრიტერიუმების შემოტანას, რათა ინდივიდის ყველა შესაძლო არჩევანი მე-8 მუხლით დაცული არ აღმოჩნდეს, თუმცა რამდენად თანმიმდევრულად იყენებს ამ კრიტერიუმებს, სადავოა.

### **ბ. პირადი და ოჯახური ცხოვრების გამიჯვნა**

როგორც ზემოთ აღინიშნა, პირადი ცხოვრება და ოჯახური ცხოვრება არის კონვენციის მე-8 მუხლით დაცული ორი სფერო, რომელთა შორის განსხვავება შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს საქმის ბედისთვის. ამ ორ შორის განსხვავება და შესაბამისი ტესტები შეჯამებულია 2017 წლის დიდი პალატის გადანწყვეტილებაში საქმეზე „პარადისო და კამპანელი იტალიის წინააღმდეგ“.<sup>10</sup>

საქმე ეხებოდა იტალიაში მცხოვრებ წყვილს, რომელთაც დადეს ხელშეკრულება სუროგატთან მოსკოვში არსებული კლინიკის მეშვეობით და ბავშვის გაჩენიდან ორი თვის შემდეგ ბავშვი ჩამოიყვანეს იტალიაში. არასრულწლოვანთა სასამართლომ იტალიაში დნმ-ის ტესტის საფუძველზე დაადგინა, რომ ბავშვს არ ჰქონდა ბიოლოგიური კავშირი არც პირველ და არც მეორე განმცხადებელთან. შესაბამისად, ჩაითვალა, რომ განმცხადებლებმა დაარღიეს იტალიის კანონმდებლობა, როგორც საერთაშორისო შვილად აყვანასთან დაკავშირებით, ისე კონკრეტული რეპროდუქციული ტექნოლოგიის აკრძალვასთან დაკავშირებით (რომელიც გულისხმობდა ბატონი კამპანელის და უცხო ქალის გენეტიკური მასალის გამოყენებით ემბრიონის შექმნას და გამოყენებას). კანონმდებლობის დარღვევის და ბავშვთან გენეტიკური კავშირის არარსებობის გამო, ბავშვი დაუყოვნებლივ ჩამოერთვა წყვილს და გადაეცა სოციალურ სამსახურს გასაშვილებლად. წყვილი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში დავობდა მე-8 მუხლის ფარგლებში ოჯახური და პირადი ცხოვრების დარღვევის გამო.

<sup>10</sup> პარადისო და კამპანელი იტალიის წინააღმდეგ (Paradiso and Campanelli v. Italy), განაცხადი № 25358/12, 24 იანვარი, 2017.

დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ საქმეში ადგილი ჰქონდა ჩარევას არა ოჯახურ, არამედ განმცხადებლების პირად ცხოვრებაში:

„140. „ოჯახური ცხოვრების“ არსებობა ან არარსებობა არსებითად ფაქტობრივი კითხვაა და დამოკიდებულია ახლო პიროვნული კავშირების არსებობაზე... „ოჯახის“ ცნება მე-8 მუხლში ეხება ქორწინებაზე დაფუძნებულ ურთიერთობებს, და ასევე სხვა, de facto „ოჯახურ კავშირებს“, სადაც მხარეები ცხოვრობენ ერთად ქორწინების გარეშე და სადაც სხვა ფაქტორები ადასტურებს, რომ ურთიერთობას გააჩნია საკმარისი მდგრადობა...“

141. მე-8 მუხლის დებულებები არ შეიცავს არც ოჯახის შექმნის და არც შეილად აყვანის გარანტიას... „ოჯახური ცხოვრების“ პატივისცემის უფლება არ იცავს მხოლოდ ოჯახის შექმნის სურვილს; ოჯახის... ან სულ მცირე პოტენციური ურთიერთობის არსებობა, მაგალითად, ბიოლოგიურ მამას და მის ქორწინების გარეშე გაჩენილ ბავშვს შორის, მე-8 მუხლის გამოყენებას წინ უნდა უსწრებდეს. იგივე ეხება ურთიერთობასაც, რომელიც გამომდინარეობს ნამდვილი ქორწინებიდან, თუნდაც ოჯახური ცხოვრება ჯერ კიდევ არ იყო სრულად ჩამოყალიბებული... ან ურთიერთობას მამასა და მის კანონიერ შვილს შორის, თუნდაც წლების მერე აღმოჩნდეს, რომ მათ შორის ბიოლოგიური კავშირი არ არსებობდა... ან ურთიერთობას, რომელიც გამომდინარეობს კანონიერი შეილად აყვანიდან...“

აღნიშნული პრინციპების და წინა საქმეების შეჯამების საფუძველზე, სასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებლების მიერ იტალიის კანონმდებლობის დარღვევის გამო სამართლებრივად ოჯახური ცხოვრების არსებობა არ დგინდებოდა. ამგვარად, სასამართლოს უნდა შეემონებინა, ხომ არ არსებობდა განმცხადებლებსა და ბავშვს შორის de facto ოჯახური ცხოვრება იმ პირობებში, როდესაც სახეზე არ იყო არც აღიარებული სამართლებრივი კავშირები და არც ბიოლოგიური კავშირები. ამის დასადგენად, სასამართლოს უნდა ემსჯელა ბავშვსა და განმცხადებლებს შორის არსებული კავშირების ხარისხზე – იმ როლზე, რომელსაც განმცხადებლები ასრულებდნენ ბავშვის ცხოვრებაში და მათი თანაცხოვრების ხანგრძლივობაზე. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ განმცხადებლები და ბავშვი ერთად ცხოვრობდნენ იტალიაში 6 თვის განმავლობაში. სამართლებრივი და ბიოლოგიური კავშირების არარსებობის და ხანმოკლე თანაცხოვრების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ de facto ოჯახურ ცხოვრებასაც არ ჰქონდა ადგილი.

სასამართლომ პირადი ცხოვრების კომპონენტზე მსჯელობისას აღნიშნა, რომ პირადი ცხოვრება მოიცავს პირის არჩევანს, ყავდეს ან არ ყავდეს შვილი, აგრეთვე გამოიყენოს სამედიცინო დახმარება რეპროდუქციისთვის, რადგან



ასეთი არჩევანი წარმოადგენს პირადი და ოჯახური ცხოვრების გამოხატულებას. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ არ არსებობს მიზეზი, რომლის გამოც, პირადი ცხოვრებიდან შეიძლება გამოვრიცხოთ სრულწლოვანი პირის კავშირი ბავშვთან, რომელთანაც ნათესაობა არ აკავშირებს.

ამ საქმეში იდგა განმცხადებლების გადაწყვეტილების პატივისცემის საკითხი, გამხდარიყვნენ მშობლები და ჰქონოდათ პერსონალური განვითარება მშობლების როლის მეშვეობით. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ბავშვის ჩამორთმევით და მისი გაშვილებით ადგილი ჰქონდა განმცხადებლების პირად ცხოვრებაში ჩარევას.

სასამართლომ, პირველ რიგში, შეამონმა ჩარევის კანონიერება და მიიჩნია, რომ კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებდა სახელმწიფოთა შორის შვილად აყვანას და ხელოვნური განაყოფიერების კონკრეტული მეთოდის აკრძალვას, იყო განჭვრეტადი კანონმდებლობა. ამდენად, ჩარევა კანონიერი იყო.

სასამართლომ გაიზიარა სახელმწიფოს მიერ დასახელებული მიზანიც, რომ ჩარევა ემსახურებოდა უწესრიგობის აღკვეთას და ბავშვების უფლებების დაცვას, რაც მიიღწეოდა მშობლებსა და ბავშვებს შორის სამართლებრივი კავშირის აღიარებით მხოლოდ ორ შემთხვევაში: ბიოლოგიური კავშირის არსებობისას ან კანონიერად შვილად აყვანისას.

ბოლოს, სასამართლომ შეაფასა, რამდენად საჭირო იყო ჩარევა დემოკრატიულ საზოგადოებაში. პირველ რიგში, ხაზი გაესვა იმას, რომ ხელოვნური განაყოფიერების და სუროგაციის სფეროში სახელმწიფოებს შორის კონსენსუსის არარსებობის გამო, სახელმწიფო ორგანოებს ჰქონდათ მიხედულების თავისუფლება აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას. ადგილობრივმა სასამართლოებმა ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ განმცხადებლებმა დაარღვიეს კანონი და ისინი არ იყვნენ ბავშვის ბიოლოგიური მშობლები. ამასთან, ზომები თუ არ იქნებოდა სასწრაფოდ მიღებული, მოხდებოდა უკანონო სიტუაციის ფაქტობრივი ლეგალიზება. აქედან ერთადერთი გამოსავალი იყო ბავშვის დაუყოვნებლივ ჩამორთმევა განმცხადებლებისთვის, რაც ადგილობრივი სასამართლოების აზრით, ბავშვის პატარა ასაკის და ერთად ცხოვრების მოკლე პერიოდის გამო არ მიაყენებდა მას შეუქცევად ზიანს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნული არგუმენტები რელევანტურად მიიჩნია, რადგან ბავშვის ჩამორთმევა უშუალოდ უკავშირდებოდა ლეგიტიმურ მიზანს – უკანონობის აღკვეთას და შვილად აყვანასთან დაკავშირებული კანონმდებლობის დაცვას. რამდენადაც ადგილი არ ჰქონდა ჩარევას ოჯახურ ცხოვრებაში და საჭირო არ იყო მსჯელობა

ოჯახის ერთიანობის შენარჩუნებაზე, ეროვნული სასამართლოების მიერ მოყვანილი არგუმენტები ბავშვის ჩამორთმევისთვის საკმარისადაც ჩაითვალა.

საბოლოოდ, სასამართლომ შეაფასა პროპორციულობა მიზანსა და საშუალებას შორის. მან მიიჩნია, რომ საჯარო ინტერესს უნდა მინიჭებოდა მეტი მნიშვნელობა, განმცხადებლების ინტერესთან შედარებით მიეღწიათ პიროვნული განვითარებისთვის ბავშვთან ურთიერთობის მეშვეობით. ამდენად, სასამართლომ ჩათვალა, რომ ეროვნულმა ორგანოებმა სამართლიან ბალანსს მიაღწიეს კონფლიქტურ ინტერესებს შორის და მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლება არ დარღვეულა.

ამ ნაწილში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შეჯამებისთვის, მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხების ხაზგასმა:

- მე-8 მუხლის პირადი ცხოვრების კომპონენტი ძალიან ფართოა, არ ექვემდებარება ამომწურავად განსაზღვრას, თუმცა მოიცავს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და მორალურ ხელშეუხებლობას, ფიზიკური და სოციალური იდენტობის ასპექტებს, მათ შორის გენდერულ იდენტობას, სახელს, სექსუალურ ორიენტაციას და სექსუალურ ცხოვრებას, თვითგამორკვევის უფლებას, უფლებას პიროვნულ განვითარებაზე სხვა ადამიანებთან ურთიერთობის მეშვეობით, არა მხოლოდ პრივატულად („შიდა წრეს“), არამედ საჯაროდაც, აგრეთვე უფლებას, გააკეთოს არჩევანი შვილის ყოლასთან დაკავშირებით და გამოიყენოს ამისთვის რეპროდუქციული სამედიცინო დახმარება. თავის მხრივ, პიროვნული განვითარების უფლების ასპექტებია უფლება საკუთარ გამოსახულებაზე, პროფესიული და ბიზნეს ხასიათის ურთიერთობების განვითარების უფლება და უფლება, გადაწყვიტოს, როგორ სურს გამოჩნდეს საზოგადოებაში.
- ოჯახური ცხოვრება იცავს უკვე არსებულ სამართლებრივ ოჯახურ კავშირებს ან de facto ოჯახურ კავშირებს, რომლებიც გარკვეული მდგრადობით ხასიათდება. შეიძლება ეს უკავშირდებოდეს ბიოლოგიური კავშირების არსებობას ადამიანებს შორის ან ხანგრძლივი თანაცხოვრებით ჩამოყალიბებულ კავშირებს. ოჯახის შექმნის ან ოჯახური კავშირების დამყარების მხოლოდ განზრახვა ოჯახური ცხოვრების დაცვით არ სარგებლობს.
- პირად ცხოვრებაში ჩარევის არსებობისას სასამართლო ამონმებს: ჩარევის კანონიერებას; ლეგიტიმური მიზნის არსებობას; საჭიროებას დემოკრატიულ საზოგადოებაში, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს: ა. აქვს თუ არა სახელმწიფოს რელევანტური და საკმარისი არგუმენტები ჩარევის გასამართლებლად; ბ. არსებობს თუ არა პროპორციულობა ლეგიტიმურ მიზანსა და უფლების შეზღუდვას შორის.

- პიროვნული განვითარების უფლება არ მოიცავს არსებითად საჯარო ბუნების მქონე აქტივობებს, როგორცაა ნადირობა, მაგრამ, იმავდროულად მოიცავს საჯარო სამსახურში საქმიანობის, მათ შორის მოსამართლის თანამდებობაზე საქმიანობის უფლებას. აგრეთვე პიროვნული განვითარების უფლება არ ვრცელდება ურთიერთობებზე შინაურ ცხოველებთან, რადგან ამ უფლებისთვის გადამწყვეტია სხვა ადამიანებთან ურთიერთობის ასპექტი. სასამართლომ დამატებით შეზღუდა ამ უფლების მოქმედების ფარგლები და აღნიშნა, რომ ინდივიდის ყველა არჩევანი, თუ რა საქმიანობით დაკავება სურს ან როგორ სურს წარმოჩინდეს საზოგადოების თვალში, არ არის დაცული მე-8 მუხლით და არჩევანი უნდა ხასიათდებოდეს სერიოზულობის მინიმალური დონით (რაც საექვო იყო ნუდიზმის დემონსტრირების შემთხვევაში).

### 3. პირადი თავისუფლება და ავტონომია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში

#### ა. გენდერული იდენტობისა და ერთი და იმავე სქესის წყვილთა ოჯახური ცხოვრების დაცვა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არსებული პრაქტიკის მიხედვით, გენდერული იდენტობა და სექსუალური ორიენტაცია მე-16 მუხლის დაცვის სფეროში ხვდება, თუმცა საქმე, რომელიც უშუალოდ ამ უფლებებს შეზღუდავდა აქამდე განხილული არ ყოფილა. ამასთან, კონსტიტუციის ახალი რედაქციის ძალაში შესვლის შემდეგ, ქორწინების უფლების ფორმულირების გამო, ერთი და იმავე სქესის წყვილთა ოჯახური ცხოვრების აღიარება ამ სპეციალური მუხლით ვეღარ მოხდება და მოსარჩელებისთვის ამ მხრივ იმედის მომცემი ნორმატიული ბაზა შეიძლება კვლავ მე-16 მუხლი აღმოჩნდეს.

ამის გათვალისწინებით, ქვემოთ განხილული იქნება გენდერულ იდენტობასთან და ერთი და იმავე სქესის წყვილთა თანაცხოვრების აღიარებასთან დაკავშირებული გადამწყვეტილებები, რომლებიც გამოყოფს ამ საკითხებზე მსჯელობისთვის მნიშვნელოვან ფაქტორებს და, ამდენად, მომავალი სამართალწარმოებისთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს.

საქმეში „ა. პ., გალსო და ნიკო საფრანგეთის წინააღმდეგ“<sup>11</sup> სამივე განმცხადებელი დავობდა იმის გამო, რომ სურდათ სქესის შესახებ დაბადების

<sup>11</sup> ა.პ., გალსო და ნიკო საფრანგეთის წინააღმდეგ (A.P., GARÇON ET NICOT v. FRANCE) განაცხადები № 79885/12, 52471/13 და 52596/13, 6 აპრილი, 2017.

მონობებში მოცემული ინფორმაციის შეცვლა, რისთვისაც მოეთხოვებოდათ დაემტკიცებინათ, რომ მათ ჰქონდათ გენდერული იდენტობის დარღვევა და რომ ცვლილება მათ გარეგნობაში (სქესის ცვლილება) იყო შეუქცევადი. პირველმა განმცხადებელმა გაიკეთა ოპერაცია ტაილანდში, თუმცა სასამართლო დოკუმენტებში სქესის აღნიშვნის შესაცვლელად მოითხოვდა დამატებითი სამედიცინო შემონმების გავლას. დანარჩენი ორი განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ კანონის აღნიშნული მოთხოვნა მათ აიძულებდა, გადაეტანათ ოპერაცია ან მკურნალობა, რომელიც იწვევდა შეუქცევად სტერილურობას. აგრეთვე, მათთვის გენდერული იდენტობის დარღვევის მტკიცების მოთხოვნა იწვევდა მათ სტიგმატიზებას, რის საფუძველზეც, ისინი დაობდნენ კონვენციის მე-8 და მე-3 (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის ან წამების აკრძალვა) მუხლების დარღვევაზე.

მე-8 მუხლთან მიმართებით დავის საგნის შეფასებისას სასამართლომ, პირველ რიგში, გაიმეორა, რომ პირადი ცხოვრება მოიცავს არა მარტო ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ხელშეუხებლობას, არამედ აგრეთვე ინდივიდის ფიზიკური და სოციალური იდენტობის ასპექტებს. „ისეთი ელემენტები, როგორებიცაა გენდერული იდენტობა ან იდენტიფიკაცია, სახელები, სექსუალური ორიენტაცია და სექსუალური ცხოვრება ხვდება პირად სფეროში, რომელსაც იცავს კონვენციის მე-8 მუხლი...“<sup>12</sup>

სასამართლომ აგრეთვე იმსჯელა პერსონალური ავტონომიის ცნებაზე, რომლიდანაც გამომდინარეობს თვითგამორკვევის უფლება.<sup>13</sup> აღნიშნული უფლების არსებით ელემენტს კი შეადგენს საკუთარი სექსუალური იდენტობის განსაზღვრა.<sup>14</sup> სასამართლომ, წინა პრაქტიკაზე დაყრდნობით, საზი გაუსვა, რომ მე-8 მუხლი იცავს ტრანსგენდერი პირების უფლებას პიროვნულ განვითარებაზე და ფიზიკურ და მორალურ ხელშეუხებლობაზე.<sup>15</sup> მიუხედავად იმისა, რომ წინა პრაქტიკაში დადგენილი იყო ტრანსგენდერი პირების უფლება, მოეთხოვათ მათი გენდერული იდენტობის აღიარება სქესის შეცვლის ოპერაციის შემდეგ, ეს არ ნიშნავდა, რომ მე-8 მუხლი არ იცავდა იმ ტრანსგენდერი პირების უფლებას სქესის სამართლებრივ აღიარებაზე, რომლებსაც არ გადაუტანიათ ან არ სურდათ გადაეტანათ სქესის შეცვლის ოპერაცია.<sup>16</sup>

საქმის განხილვის დროისთვის საფრანგეთი აკმაყოფილებდა კონვენციის საფუძველზე არსებულ პოზიტიურ მოვალეობას, ელიარებინა ტრანსგენდე-

<sup>12</sup> იქვე, § 92.

<sup>13</sup> იქვე, § 93.

<sup>14</sup> იქვე, § 93.

<sup>15</sup> იქვე, § 93.

<sup>16</sup> იქვე, § 94.

რი პირების იდენტობა სამოქალაქო აქტებში ცვლილებების შეტანის გზით, თუმცა ამის პირობად აცხადებდა იმის დამტკიცებას, რომ შესაბამის პირებს ჰქონდათ გენდერული იდენტობის დარღვევა და რომ ცვლილება გარეგნობაში იყო შეუქცევადი. შესაბამისად, ამ საქმეში დასადგენი იყო გენდერული იდენტობის სამართლებრივი აღიარებისთვის ამგვარი პირობების დადგენა, თუ აღწევდა სამართლიან ბალანსს ინდივიდისა და საზოგადოების კონფლიქტურ ინტერესებს შორის.

სასამართლომ ცალკე შეაფასა სქესის აღიარების თითოეული პირობის შესაბამისობა კონვენციის მე-8 მუხლთან. გარეგნობის შეუქცევადი ცვლილების მოთხოვნასთან დაკავშირებით სასამართლომ მიიჩნია, რომ საფრანგეთის კანონმდებლობა მოითხოვდა სტერილიზაციის ოპერაციას ან მკურნალობას, რომელიც მისი ხასიათისა და ინტენსიურობის გათვალისწინებით, მაღალი ალბათობით გამოიწვევდა სტერილიზაციას.

სასამართლომ მსჯელობა დაიწყო სახელმწიფოების მიხედულების ფარგლების შეფასებით მე-8 მუხლიდან გამომდინარე პოზიტიური მოვალეობების შესრულებისას:

„121... რიგი ფაქტორებია გასათვალისწინებელი იმის განსაზღვრისას, რამდენად ვრცელია ეს მიხედულება. ამგვარად, როდესაც არ არსებობს კონსენსუსი ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებ შორის, შესაბამისი ინტერესების მნიშვნელობაზე ან მისი დაცვის საუკეთესო საშუალებაზე, განსაკუთრებით, როდესაც საქმე წამოჭრის მნიშვნელოვან მორალურ ან ეთიკურ საკითხებს, მიხედულება არის ფართო. მიხედულების ფარგლები ასევე იქნება ფართო, თუ სახელმწიფოს მოეთხოვება ბალანსის მიღწევა კონკურირებად საჯარო ან კერძო ინტერესებს და კონვენციის უფლებებს შორის. მიუხედავად ამისა, როცა ინდივიდის არსებობის ან იდენტობის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ასპექტი დგება კითხვის ქვეშ, სახელმწიფოს რჩება ვიწრო მიხედულება.

[122. აღნიშნულ საქმეში კონსენსუსი არ არსებობდა სტერილიზაციის მოთხოვნის საკითხზე სახელმწიფოებს შორის. თუმცა ბოლო წლებში ევროპაში გაჩნდა ტენდენცია ამ მოთხოვნის გაუქმებისა ტრანსგენდერიზმის უკეთ შესწავლასთან ერთად. სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ საქმე ეხებოდა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს, როგორცაა სამოქალაქო სტატუსის განუსხვისებლობის და სამოქალაქო აქტების სანდოობისა და თანმიმდგრეულობის პრინციპების დაცვა. ამასთან, საქმე ეხებოდა სენსიტიურ მორალურ და ეთიკურ საკითხებს.]

123. ამისდა მიუხედავად, სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ განაცხადებაში დგას ინდივიდის ინტიმური იდენტობისთვის, თუ არა მათი არსებობისთვის

გადამწყვეტი საკითხი. ეს ასეა, პირველ რიგში, იმის გამო, რომ სტერილიზაციის საკითხი უშუალოდ ეხება ინდივიდის ფიზიკურ ხელშეუხებლობას და მეორე იმიტომ, რომ განაცხადი ეხება ინდივიდის გენდერულ იდენტობას. ამ მხრივ, სასამართლომ ადრეც გაუსვა ხაზი, რომ „პირადი ავტონომიის ცნება არის მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს მე-8 მუხლის გარანტიების განმარტებას“... და რომ „გენდერული იდენტობა და პიროვნული განვითარება პირადი ცხოვრების პატივისცემის ფუნდამენტური ასპექტია...“<sup>17</sup>

ამდენად, სასამართლომ ჩათვალა, რომ განსახილველ საქმეში სახელმწიფოს შეფასების თავისუფლება იყო ვინრო.

ამის შემდეგ, სასამართლო გადავიდა სტერილიზაციის მოთხოვნის შეფასებაზე მე-8 და მე-3 მუხლებთან, რადგან ამ ტიპის მკურნალობა და ოპერაციები ეხება ინდივიდის ფიზიკურ ხელშეუხებლობას, რასაც ორივე დასახელებული მუხლი იცავს (განსხვავებული ინტენსივობით).

„128... სხვადასხვა კონტექსტში სასამართლომ დაადგინა ამ დებულებების დარღვევა საქმეებში, რომლებიც ეხებოდა ქმედუნარიანი სრულწლოვნების სტერილიზაციას იმ პირობებში, როდესაც მათ არ გაუციათ ინფორმირებული თანხმობა. კერძოდ, სასამართლოს დადგენილი აქვს, რომ, რამდენადაც სტერილიზაცია ეხება ადამიანის სხეულის ძირითად ფუნქციას, ის ახდენს გავლენას ინდივიდის ხელშეუხებლობის მრავალ ასპექტზე, მისი ფიზიკური და ფსიქიკური კეთილდღობის და ემოციური, სულიერი და ოჯახური ცხოვრების ჩათვლით. სასამართლომ დააკონკრეტა, რომ სტერილიზაცია შეიძლება იყოს ლეგიტიმური და დაინტერესებული პირის მიმართვის საფუძველზე გაკეთდეს, მაგალითად, კონტრაცეფციის ან თერაპევტული მიზნებისთვის, ან როდესაც სამედიცინო საჭიროება დამაჯერებლად დადასტურებულია. თუმცა სიტუაცია განსხვავდება, როდესაც ამ პროცედურას თავს ახვევენ ფსიქიკურად ქმედუნარიან სრულწლოვან პაციენტს მისი თანხმობის გარეშე. სასამართლოს აზრით, ამგვარი ქცევა შეუთავსებელია ადამიანის თავისუფლების და ღირსების პატივისცემასთან, რაც წარმოადგენს კონვენციის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს...“

129. უფრო ფართოდ, სასამართლოს დადგენილი აქვს, რომ სამედიცინო დახმარების სფეროში, მაშინაც კი, როდესაც კონკრეტულ მკურნალობაზე უარმა შეიძლება გამოიწვიოს ფატალური შედეგი, ფსიქიკურად კომპეტენტური სრულწლოვანი პაციენტის იძულება, იმკურნალოს, წარმოადგენს მისი ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევას...

<sup>17</sup> იქვე, § 121-123.

130. მკურნალობა ვერ ჩაითვლება ნამდვილი თანხმობის საფუძველზე განხორციელებულად, როდესაც მასზე უარის თქმა ართმევს დაინტერესებულ პირს მისი გენდერული იდენტობის და პიროვნული განვითარების სრულად რეალიზების შესაძლებლობას. გენდერული იდენტობა და პიროვნული განვითარება კი, როგორც უკვე აღინიშნა, პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების ფუნდამენტური ასპექტებია...“

სასამართლომ მიიჩნია, რომ საფრანგეთის მიერ დასახელებული საჯარო მიზნები – სამოქალაქო სტატუსის განუსხვისებლობა, სამოქალაქო აქტების სტაბილურობა, სანდოობა და, ზოგადად, სამართლებრივი განსაზღვრულობა ნამდვილად წარმოადგენდა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს. თუმცა საფრანგეთის კანონმდებლობა ტრანსგენდერ ადამიანებს აყენებდა მძიმე დილემის წინაშე – მათ ან უნდა გაეველოთ სტერილიზაციის გამომწვევი ოპერაცია/ მკურნალობა საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, რითაც უარი უნდა ეთქვათ მე-8 მუხლით დაცულ ფიზიკურ ხელშეუხებლობაზე ან უარი უნდა ეთქვათ მათი გენდერული იდენტობის სამართლებრივ აღიარებაზე, რაც აგრეთვე დაცული იყო მე-8 მუხლით. გარეგნობის შეუქცევადი ცვლილების მოთხოვნა – ანუ იმის დემონსტრირების დაკისრება, რომ მათ გაიარეს სტერილიზაციის ოპერაცია ან მკურნალობა წარმოადგენდა მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან პირადი ცხოვრების პატივისცემის პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობას და, შესაბამისად, კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.

რაც შეეხება მეორე მოთხოვნას, რომელიც უკავშირდებოდა გენდერული იდენტობის დარღვევის არსებობის დამტკიცებას, სასამართლომ კიდევ ერთხელ გაითვალისწინა თითქმის სრული (4 წევრი სახელმწიფოს გამოკლებით) კონსენსუსი ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც მოითხოვდნენ ტრანსგენდერი ადამიანის სქესის აღიარებისთვის ამგვარი დიაგნოზის არსებობას. სასამართლომ გაითვალისწინა აგრეთვე, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაცია იცნობდა გენდერული იდენტობის დარღვევების ქვეკატეგორიას. გადანყდა, რომ სტერილიზაციის მოთხოვნისგან განსხვავებით, წინასწარი ფსიქიატრიული დასკვნის მოთხოვნა არ ლახავდა ინდივიდის ფიზიკურ ხელშეუხებლობას. სასამართლომ გაითვალისწინა აგრეთვე მოპასუხე სახელმწიფოს არგუმენტი, რომ ფსიქიატრის დიაგნოზის მოთხოვნა ემსახურებოდა იმის უზრუნველყოფას, რომ ინდივიდის ტანჯვა ნამდვილად მისი გენდერული დისფორიიდან მომდინარეობდა და იცავდა მათ რისკისგან, რომ კონსულტაციის გარეშე არ დაეწყოთ მათი იდენტობის სამართლებრივი ცვლილების პროცესი. ამასთან, აღნიშნული პროცედურა იცავდა აგრეთვე საჯარო ინტერესს, უწყობდა რა ხელს გენდერის შესახებ ჩანაწერების სტა-

ბილურობას სამოქალაქო აქტებში. ამდენად, ამ ნაწილში სასამართლომ არ ჩათვალა, რომ ადგილი ჰქონდა მე-8 მუხლის დარღვევას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე, პოზიტიური ვალდებულებების ქრილში განიხილა ერთი და იმავე სქესის პირთა უფლება, სახელმწიფოს მხრიდან მომხდარიყო მათი კავშირის სამართლებრივი აღიარება. საქმეში *ოლიარი და სხვები იტალიის წინააღმდეგ*<sup>18</sup> მე-8 მუხლის დარღვევა დადგინდა.

ერთი და იმავე სქესის სამმა წყვილმა მიმართა იტალიის ადგილობრივ ორგანოებს ქორწინების ნებართვისთვის, თუმცა მათ უარი მიიღეს, რადგან სამოქალაქო კოდექსი არ უშვებდა ერთი და იმავე სქესის პირებს შორის ქორწინებას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ კონვენციის მე-12 მუხლი (ქორწინების უფლება) არ აკისრებდა ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ჰომოსექსუალური წყვილებისთვის ქორწინების შესაძლებლობის უზრუნველყოფის ვალდებულებას. წინა გადაწყვეტილებებში სასამართლოს აგრეთვე ჰქონდა დადგენილი, რომ კონვენციის მე-8 მუხლი მე-14 მუხლთან კავშირში არ აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს ერთი და იმავე სქესის წყვილები ქორწინების შესაძლებლობით. თუმცა განსახილველ საქმეში, საკითხი ეხებოდა სამართლებრივი ჩარჩოს არარსებობას, ჰომოსექსუალი წყვილების კავშირის სამართლებრივი აღიარებისა და დაცვისთვის და ეს უნდა შეეფასებინა სასამართლოს მე-8 მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების მიმართ: „სასამართლო იმეორებს, რომ როგორც უკვე დადგინდა, ერთი და იმავე სქესის წყვილებს ისევე შეუძლიათ სტაბილურ და მიძღვნილ ურთიერთობაში შესვლა, როგორც განსხვავებული სქესის წყვილებს და ისინი განსხვავებული სქესის მქონე წყვილებთან შედარებით მსგავს მდგომარეობაში არიან მათი ურთიერთობის სამართლებრივი აღიარების და დაცვის საჭიროების თვალსაზრისით“.<sup>19</sup>

სასამართლომ განიხილა იტალიაში არსებული შესაძლებლობები – სამოქალაქო კავშირის რეგისტრაცია, კერძო კონტრაქტის დადება და ორივე მათგანი არასაკმარისად მიიჩნია, რადგან ისინი არ უზრუნველყოფდნენ წყვილის უფლებების და მოვალეობების განსაზღვრას მატერიალური და მორალური მხარდაჭერის ჩათვლით, ურთიერთრჩენის ვალდებულებას და მემკვიდრეობის უფლებას.

სადავო საკითხზე იტალიის კონტექსტის გამოკვლევის საფუძველზე

<sup>18</sup> *ოლიარი და სხვები იტალიის წინააღმდეგ (Oliari and Others v. Italy)* განაცხადები №18766/11 და 36030/11, 21 ივლისი, 2015.

<sup>19</sup> იქვე, § 165.



სასამართლომ აღნიშნა:

„არსებობს კონფლიქტი იმ სოციალურ რეალობას შორის, რომელშიც განმცხადებლები ცხოვრობენ იტალიაში, სადაც მათი ურთიერთობა დამალული არ არის და კანონს შორის, რომელიც მათ ამ ტერიტორიაზე არ აღიარებს. სასამართლოს აზრით, ერთი და იმავე სქესის წყვილებისთვის აღიარების და დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულება და სამართალში განმცხადებლების მდგომარეობის ასახვა არ იქნება რაიმე ტვირთი იტალიის სახელმწიფოსთვის, საკანონმდებლო, ადმინისტრაციული ან სხვა თვალსაზრისით...“

174. ... სასამართლო მიიჩნევს, როდესაც ქორწინება არ არის ხელმისაწვდომი, ერთი და იმავე სქესის წყვილებს, განმცხადებელთა მსგავსად, აქვთ სამოქალაქო კავშირის ან რეგისტრირებული პარტნიორობის დამყარების განსაკუთრებული ინტერესი. ეს იქნებოდა ყველაზე შესაფერისი გზა, რომლითაც ისინი შეძლებდნენ თავიანთი ურთიერთობის სამართლებრივ აღიარებას და რაც მისცემდა მათ სათანადო დაცვას – სტაბილურ და მიძღვნილ ურთიერთობაში მყოფი წყვილებისთვის მნიშვნელოვანი ძირითადი უფლებების სახით, ზედმეტი დაბრკოლებების გარეშე. ამასთან, სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ სამოქალაქო პარტნიორობას აქვს თავისთავადი ღირებულება განმცხადებლების მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირებისთვის, მათი ვინაობა თუ ფართო სამართლებრივი შედეგების მიუხედავად... ეს აღიარება დამატებითი ლეგიტიმურობის განცდას სძენს ერთი და იმავე სქესის წყვილებს“.

სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს შორის არსებობდა ტენდენცია ერთი და იმავე სქესის წყვილების ურთიერთობის სამართლებრივი აღიარებისა. ამასთან, თავად იტალიის უმაღლესმა სასამართლოებმა მიუთითეს კანონმდებელს ამგვარი აღიარების და დაცვის საჭიროებაზე და როგორც ბოლო დროის კვლევები ადასტურებდა, იტალიის მოსახლეობის უმეტესობაც მხარს უჭერდა ჰომოსექსუალი წყვილების სამართლებრივ აღიარებას. შესაბამისად, გაუგებარი იყო, რა საზოგადოებრივი სიკეთის დასაცავად ამბობდა უარს იტალიის მთავრობა ამგვარ სამართლებრივ აღიარებაზე. ზემოთქმულის საფუძველზე ჩაითვალა, რომ იტალიამ ვერ შეასრულა თავისი ვალდებულება, შეექმნა სამართლებრივი ჩარჩო ამგვარი კავშირების აღიარებისა და დაცვისთვის, რითაც დაარღვია მე-8 მუხლი.

ამ ნაწილში, რომელიც ეხება ტრანსგენდერი პირების უფლებას მათი გენდერული იდენტობის სამართლებრივ აღიარებაზე და ერთი და იმავე სქესის წყვილების უფლებას მათი კავშირის სამართლებრივ აღიარებაზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება ორ კონცეფციაზე: მე-8 მუხლიდან გამომდინარე პოზიტიურ მოვალეობებზე და მიხე-

დულების თავისუფლებაზე. პოზიტიური ვალდებულებების არსი გულისხმობს, რომ სახელმწიფომ უნდა მიიღოს კონკრეტული ზომები მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლებების დასაცავად; განხილულ შემთხვევაში საქმე ეხებოდა კანონმდებლობის მიღებას.

ამ ნაწილში მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ ჩარევის კონვენციასთან შესაბამისობის ტრადიციული სამწევრიანი ტესტი (კანონიერება, ლეგიტიმური მიზანი, აუცილებლობა დემოკრატიულ საზოგადოებაში) რამდენადმე სახელცვლილი და შემოკლებულია. სასამართლო დარღვევის არსებობას ადგენს იმ კითხვაზე პასუხის გაცემით, მიღწეული იქნა თუ არა სამართლიანი ბალანსი ლეგიტიმურ მიზანსა და ინდივიდის უფლების შეზღუდვას შორის. თუმცა ამ ანალიზშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მიხედულების ფარგლებს. ეს უკანასკნელი მით უფრო ვიწროა, რაც უფრო მეტად არის ჩამოყალიბებული კონსენსუსი ნევრ სახელმწიფოებს შორის სადავო უფლებების მნიშვნელობაზე და მათი დაცვის საუკეთესო საშუალებებზე.

## ბ. თვითგამორკვევის უფლება

როგორც ზემოთ აღინიშნა, თვითგამორკვევის უფლება კონვენციის მე-8 მუხლით დაცული პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების შემადგენელი ელემენტია. აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება დაინახა კონსტიტუციის მე-16 მუხლში, თუმცა ამ უფლების შინაარსის შემდგომი განმარტებისთვის შესაბამისი საქმე აქამდე არ განუხილავს. ქვემოთ განხილული იქნება თვითგამორკვევის უფლება ორ წინააღმდეგობრივ და რთულად დასაბალანსებელ კონტექსტში: სიცოცხლის დასრულებისა და მამობის დადგენის საკითხზე.

ზემოთ ციტირებულ საქმეში ფრითი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ სასამართლომ მე-8 მუხლის ფარგლებში თვითგამორკვევის უფლება დააკავშირა პირის უფლებასთან, დაესრულებინა სიცოცხლე საკუთარი გადანყვეტილებით.<sup>20</sup> ამ საქმეში საკითხი იყო იმ პირის სისხლისსამართლებრივი დასჯის შესაბამისობა კონვენციის მე-8 მუხლთან, ვინც დახმარებას გაუწევდა პირს ევთანაზიაში.

უფრო გვიანდელი გადანყვეტილება საქმეზე ჰაასი შვეიცარიის წინააღმდეგ<sup>21</sup> ეხებოდა ადამიანის მე-8 მუხლიდან გამომდინარე უფლებას, სიცოცხლის

<sup>20</sup> ფრითი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (CASE OF PRETTY v. THE UNITED KINGDOM), განაცხადის №2346/02, 29 აპრილი, 2002, § 61.

<sup>21</sup> ჰაასი შვეიცარიის წინააღმდეგ (Haas v. Switzerland) განაცხადი №31322/07, 20 იანვარი, 2011.

დასრულების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე. კერძოდ, განმცხადებელი, რომელიც 20 წლის განმავლობაში ბიპოლარული აშლილობით იტანჯებოდა, ცდილობდა მოეპოვებინა ნივთიერება – სოდიუმის ფენტობარბიტალი უმტიკვენეულო და ღირსეული თვითმკვლელობისთვის. თუმცა, რეცეპტის გარეშე აღნიშნული წამალი მას არ მიჰყიდეს, მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე განმცხადებელმა მიმართა სხვადასხვა ხელისუფლების ორგანოს და სასამართლოს შვეიცარიაში. დამატებით, მან მისწერა 170 ფსიქიატრს თხოვნით, მიეცათ მისთვის დასკვნა და რეცეპტი ფენტობარბიტალის შესაძენად, თუმცა არც ერთმა ფსიქიატრმა არ დააკმაყოფილა მისი თხოვნა. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მე-8 მუხლი შეიცავდა სახელმწიფოების პოზიტიურ მოვალეობას იმგვარი პირობების შექმნისათვის, რაც შესაძლებელს გახდიდა თვითმკვლელობას მარცხის, რისკისა და ტკივილის გარეშე.

სასამართლომ გაიმეორა თავის წინა პრაქტიკაში დადგენილი წესი, რომლის თანახმადაც არჩევანი, რომ უარი თქვა ღირსებასთან შეუთავსებელ და ტკივილით სავსე სიცოცხლის დასასრულზე (მე-8 მუხლით დაცული „ხარისხიანი სიცოცხლის“ კონცეფცია) ხვდებოდა კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში: „ინდივიდის უფლება, გადაწყვიტოს რა საშუალებით და რა მომენტში დასრულდება მისი ცხოვრება, იმ პირობით, რომ ის უნარიანია, თავისუფლად მიიღოს გადაწყვეტილება ამ საკითხზე და, შესაბამისად, იმოქმედოს, არის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების ასპექტი...“<sup>22</sup>

თუმცა ამ საქმეში, *ფრითის (Pretty)* საქმისგან განსხვავებით, საქმე არ ეხებოდა სიკვდილის თავისუფლებას ან ევთანაზიაში დამხმარე პირის იმუნიტეტს პასუხისმგებლობისგან. ამ საქმეში საკითხი იყო სოდიუმის ფენტობარბიტალით პირის უზრუნველყოფა შეადგენდა თუ არა სახელმწიფოს პოზიტიურ მოვალეობას, უზრუნველყოფა ღირსეული სიკვდილი. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას სასამართლომ ხაზი გაუსვა კონვენციის მე-2 მუხლს, რომელიც წარმოშობს პოზიტიურ მოვალეობას სახელმწიფოებისთვის, დაიცვას ინდივიდების სიცოცხლე მათივე ქმედებებისგან, როდესაც ეს გადაწყვეტილება არ არის მიღებული თავისუფლად და ქმედების მნიშვნელობის სრული გაგებით. ამასთან, ევთანაზიის საკითხზე სახელმწიფოებს შორის კონსენსუსი არ არსებობდა და ქვეყნების უმრავლესობა უფრო მეტ წონას ანიჭებს ინდივიდის სიცოცხლის დაცვას, ვიდრე მისი მოსპობის დაშვებას. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოებს ამ სფეროში მნიშვნელოვანი მოქმედების თავისუფლება ჰქონდათ.

ინტერესთა დაბალანსებისას სასამართლომ მიუთითა, რომ განმცხადე-

<sup>22</sup> იქვე, § 51.

ბლის სურვილი, უსაფრთხოდ და ღირსეულად მომკვდარიყო, იმსახურებდა სიმპატიას, თუმცა შვეიცარიის კანონმდებლობა, რომელიც მოითხოვდა სამედიცინო რეცეპტს მომაკვდინებელი ნივთიერების შესაძენად, ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს, დაეცვა პირები ნაჩქარევი გადანყვეტილებებისგან, თავიდან აეცილებინა მანიპულირება და უზრუნველყო, რომ პაციენტი, რომელსაც არ შეეძლო მდგომარეობას აღქმა, ვერ მოიპოვებდა სოდიუმის პენტოთარბიტალის სასიკვდილო დოზას. როდესაც ქვეყანას ისეთი ლიბერალური მიდგომა ჰქონდა თვითმკვლელობაში დახმარებასთან დაკავშირებით, როგორც შვეიცარიას, ამგვარი სიფრთხილის ზომები მნიშვნელოვანი და საჭირო იყო უკანონობის და ბოროტად მოპყრობის ასარიდებლად. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სამედიცინო რეცეპტის მოთხოვნა, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა ფსიქიატრიულ შეფასებაზე, იძლეოდა ამ მიზნის მიღწევის საშუალებას. საშუალების შეფასებისას სასამართლომ ისიც გაითვალისწინა, რომ ფსიქიატრები, რომლებსაც ამ თხოვნით მიმართავდნენ, არ იქნებოდნენ მონდომებული, დაეკმაყოფილებინათ სასიკვდილო დოზის მოთხოვნა და, ამასთან, გარკვეულ შემთხვევაში, ექიმების შიში, არ დაკისრებოდათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არასწორად გაცემული რეცეპტის გამო, აგრეთვე დააბრკოლებდა მათ განცმხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებაში.

მეორე მხრივ, განმცხადებლის საქმის კონკრეტულ გარემოებებზე მსჯელობისას სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელმა ვერ დაამტკიცა, რომ მან ვერ შეძლო ეპოვა შვეიცარიაში ფსიქიატრი, რომელიც მასთან იმუშავებდა და დაეხმარებოდა სიცოცხლის დასრულების საკითხის გადანყვეტაში. ამდენად, შვეიცარიაში უზრუნველყოფილი უფლება, პირს აერჩია სიკვდილის დრო და გზა არ იყო თეორიული ან ილუზიური.

შესაბამისად, უშუალოდ ამ საქმის კონკრეტულ გარემოებებზე დაყრდნობით, სასამართლომ მიიჩნია, რომ, თუნდაც სახელმწიფოს ჰქონოდა პოზიტიური მოვალეობა, მიეღო ზომები ღირსეული თვითმკვლელობის ხელშესაწყობად, შვეიცარიის ხელისუფლების ორგანოებს არ განუცდიათ მარცხი ამ მოვალეობის შესრულების თვალსაზრისით ამ საქმეში. შესაბამისად, მე-8 მუხლის დარღვევა არ დადგინდა.

მე-8 მუხლით დაცული თვითგამორკვევის თავისუფლების მეორე უმნიშვნელოვანესი ასპექტია უფლება, იცოდე ვინ არიან შენი მშობლები, რაც განმსაზღვრელი შეიძლება იყოს ადამიანის იდენტობისა და პიროვნებისთვის. მამობის დადგენასთან დაკავშირებით არსებული მთელი რიგი საქმეებიდან

ქვემოთ განვიხილავთ საქმეს „მიკულიჩი ხორვატიის წინააღმდეგ“, <sup>23</sup> სადაც სასამართლომ ვრცლად იმსჯელა შვილის და სავარაუდო მამის კონფლიქტურ ინტერესებს შორის ბალანსის მიღწევის საჭიროებაზე.

საქმე ეხებოდა ქორწინების გარეშე გაჩენილი გოგონას და მისი დედის დავას სავარაუდო მამის წინააღმდეგ, რომელიც უარს ამბობდა დნმ-ის ტესტის ჩატარებაზე. პირველი ინსტანციის სასამართლომ ორჯერ მიიჩნია მოპასუხე გოგონას მამად, თუმცა ევროსასამართლოს მიერ საქმის განხილვის მომენტში დავა კვლავ გრძელდებოდა სააპელაციო სასამართლოში.

რადგან განმცხადებელსა და სავარაუდო მამას შორის რაიმე მდგრადი ოჯახური კავშირები არ არსებობდა, სასამართლომ საქმე განიხილა მე-8 მუხლით დაცული „პირადი ცხოვრების“ კომპონენტის ფარგლებში. სასამართლომ წინა პრაქტიკაზე დარყდნობით მიუთითა, რომ „პირადი ცხოვრების პატივისცემა მოითხოვს, ყველას შეეძლოს თავისი, როგორც ინდივიდის იდენტობის დეტალების დადგენა და რომ ინდივიდის უფლება ამგვარ ინფორმაციაზე მნიშვნელოვანია, რადგან მას აქვს ინდივიდის პიროვნებისთვის განმსაზღვრელი შედეგები...“

განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფომ არა მხოლოდ თავი უნდა შეიკავოს ჩარევისგან, არამედ უნდა მიიღოს ზომები, რათა უზრუნველყოს ადეკვატური რეაგირება მამობის დადგენის კონტექსტში და ეფექტურად გადაწყვიტოს გაურკვევლობა მის პირად იდენტობასთან დაკავშირებით.

სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ხორვატიის კანონმდებლობა არ იძლეოდა დნმ-ის ტესტის ჩატარების იძულებას, თუ სავარაუდო მამა თავისი ნებით არ ჩაიტარებდა ტესტს. ამასთან, კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა არანაირ ალტერნატიულ პროცედურულ მექანიზმს, რომელიც საშუალებას მისცემდა სასამართლოს დროულად გადაეწყვიტა საკითხი და აეცილებინა სავარაუდო მამის მიერ პროცესის გაჭიანურება.

კონფლიქტური ინტერესების დაბალანსებისას სასამართლომ აღნიშნა: „ადამიანებს, განმცხადებლის სიტუაციაში, გააჩნიათ კონვენციით დაცული სასიცოცხლო ინტერესი, მიიღონ საჭირო ინფორმაცია, რომელიც ფარდას ახდის ჭეშმარიტებას მათი პიროვნული იდენტობის უმნიშვნელოვანესი ასპექტის შესახებ. მეორე მხრივ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მესამე პირების დაცვა შეიძლება გამორიცხავდეს მათ იძულებას, გამოცხადდნენ ნებისმიერი სამედიცინო ანალიზის ჩასატარებლად დნმ-ის ჩათვლით“.

ამდენად, სასამართლოს მოსაზრებით, კონვენცია არ მოითხოვს მაინც-

<sup>23</sup> მიკულიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (MIKULIĆ v. CROATIA), განაცხადი №53176/99, 2 ივლისი, 2002.

დამინც დნმ-ის ტესტის იძულებას. სასამართლომ გაითვალისწინა ისიც, რომ მამობის დადგენასთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყანას სხვადასხვა მიდგომა აქვს და განსხვავებულად უზრუნველყოფენ სავარაუდო მამების მიერ სასამართლო გადანყვეტილებების შესრულებას დნმ-ის ტესტთან დაკავშირებით.

„ხორვატიის მსგავსი სისტემა, რომელსაც არ გააჩნია სავარაუდო მამის იძულების რაიმე მექანიზმი, რათა მან შეასრულოს სასამართლოს ბრძანება და ჩაიტაროს დნმ-ის ტესტი, შეიძლება, პრინციპში, შესაბამისად ჩაითვალოს მე-8 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებებთან სახელმწიფოს შეფასების თავისუფლების გათვალისწინებით. თუმცა სასამართლო მიიჩნევს, რომ ამგვარ სისტემაში დაცული უნდა იქნეს იმ ინდივიდის ინტერესები, რომელსაც სურს, გაარკვიოს ვინ არის მისი მამა და ეს ვერ ხერხდება დნმ-ის ტესტის მეშვეობით. რაიმე პროცესუალური ზომის ნაკლებობა, სავარაუდო მამის იძულებისთვის შეესრულებინა სასამართლოს ბრძანება, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაბამისობაში პროპორციულობის პრინციპთან, თუ ის გაითვალისწინებდა ალტერნატიულ მექანიზმს, რაც საშუალებას მისცემდა დამოუკიდებელ ორგანოს, დროულად გადაეწყვიტა მამობის დადგენის მოთხოვნა. ამგვარი პროცედურა არ ყოფილა ხელმისაწვდომი განმცხადებლისთვის ამ საქმეში...“

იმის გამო, რომ განმცხადებელს არ ჰქონდა საშუალება, არასაჭირო გაჭიანურების გარეშე დაესრულებინა გაურკვეველობა თავის პიროვნულ იდენტობასთან დაკავშირებით, სასამართლომ ჩათვალა, რომ ბავშვის და სავარაუდო მამის ინტერესებს შორის არ გაეწეო დნმ-ის ტესტი, სამართლიანი ბალანსი არ იყო მიღწეული. განმცხადებლის დატოვება დიდი ხნის განმავლობაში გაურკვეველობის მდგომარეობაში, შესაბამისად, არღვევდა მის მე-8 მუხლით დაცულ უფლებას.

თვითგამორკვევის უფლება ცალსახად მნიშვნელოვანია პიროვნების ავტონომიის დაცვისთვის და მისი იდენტობის განსაზღვრისთვის. თავისი იდენტობის ასპექტებზე ინფორმაციის ნაკლებობა და გაურკვეველობაში ყოფნა ცალსახად მძიმე ტვირთია ინდივიდისთვის. თუმცა თვითგამორკვევის უფლების დაცვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კონფლიქტურ საჯარო და ინდივიდუალურ ინტერესებს და მე-8 მუხლის დაცვის შესაბამისად სასამართლო ისევ ბალანსის ანალიზს ეყრდნობა. წინა თავის მსგავსად, ამ მსჯელობაშიც ძალიან მნიშვნელოვანია, რამდენად არსებობს საკითხის რეგულირებაზე სახელმწიფოებს შორის კონსენსუსი და რამდენად ფართოა სახელმწიფოების მიხედულება პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით.

### გ. პირადი სივრცის დაცვა

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონვენციის მე-8 მუხლი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ოთხ კომპონენტს გამოყოფს: პირადი ცხოვრება, ოჯახური ცხოვრება, სახლი და კორესპონდენცია. ავტონომიის ასპექტზე ამ კვლევის ფოკუსიდან გამომდინარე, სახლთან და კორესპონდენციასთან დაკავშირებული ვრცელი იურისპრუდენცია არ იქნება აქ განხილული. ლოგიკურად სწორედ იურისპრუდენციის ამ ნაწილს განეკუთვნება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან, მაგალითად, თვალთვალთან, სატელეფონო მოსმენებთან ან კომუნიკაციის სხვა საშუალებებით განხორციელებული შეტყობინებების გადაჭრასთან დაკავშირებული საქმეებიც. თუმცა როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლზე მსჯელობისას გამოიკვეთა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სატელეფონო და ინტერნეტის მეშვეობით განხორციელებულ შეტყობინებებზე ხელისუფლების ორგანოების შეუზღუდავი წვდომა მოწმდება როგორც კონსტიტუციის მე-20 მუხლთან, ისე მე-16 მუხლთან მიმართებით.

აღნიშნულ საკითხზე მსგავსი მდგომარეობაა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაშიც. რაიმე თეორიული დასაბუთების გარეშე სასამართლო საგამოძიებო მოქმედებების და, მათ შორის ფარული თვალთვალის საქმეების მე-8 მუხლთან შეფასებისას იყენებს ორივე კონცეფციას, „პირად ცხოვრებასაც“ და „კორესპონდენციასაც“ და არ აზუსტებს კონკრეტულად რომელ ინტერესს ეხება საქმე.<sup>24</sup> საქმეში ჩადიმოვა ჩეხეთის წინააღმდეგ (*Chadimova v. The Czech Republic*),<sup>25</sup> სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლის მიერ გასაჩივრებული ფაქტი – სატელეფონო ჩანაწერების განადგურებაზე უარი წარმოადგენდა ჩარევას კონვენციის მე-8 მუხლში, „რადგან სატელეფონო კომუნიკაცია მოცულია ისეთი ცნებებით, როგორიცაა „პირადი ცხოვრება“ და „კორესპონდენცია“ ამ მუხლის მიზნებისთვის“. რამდენადაც სატელეფონო მოსმენები პირადი ცხოვრების ცნების ფარგლებშიც განიხილება, ქვემოთ განხილული იქნება ერთ-ერთი ბოლო გადაწყვეტილება „Centrum för Rättvisa“ შვედეთის წინააღმდეგ.<sup>26</sup>

განმცხადებელი არასამთავრობო ორგანიზაცია ასაჩივრებდა შვედეთში ელექტრონული სიგნალების მოცულობითი გადაჭერის (bulk interception) სისტემას. სიგნალების დაზვერვა გულისხმობდა ელექტრონული სიგნალები

<sup>24</sup> European Court of Human Rights, Guide on Article 8 of the European Convention of Human Rights, 30 April 2017, გვ. 17.

<sup>25</sup> ჩადიმოვა ჩეხეთის წინააღმდეგ (*Chadimova v. The Czech Republic*), განაცხადი №50073/99, 18 ივნისი, 2006, § 143 ხელმისაწვდომია: <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-73378>.

<sup>26</sup> „Centrum för Rättvisa“ შვედეთის წინააღმდეგ, განაცხადი №35252/08, 19 ივნისი, 2018.

ბის და მათ შესახებ მეტადატის (გაგზავნის ადგილი, დრო, გამგზავნის და მიმღების ვინაობები, ა.შ.) გადაჭერას, დამუშავებას, ანალიზსა და წარდგენას შესამისი სამსახურებისთვის. სიგნალების დაზვერვა წარმოადგენდა საგარეო დაზვერვის ფორმას და შეიძლებოდა განხორციელებულიყო მხოლოდ ტრანსსაზღვრო კომუნიკაციის წინააღმდეგ, ტერორიზმთან და საგარეო საფრთხეებთან დაკავშირებული ინფორმაციის პროაქტიულად მოპოვებისა და უკეთესი პრევენციის მისაღწევად. სიგნალების დაზვერვას ახორციელებდა ეროვნული თავდაცვის რადიო დანესებულება (შემდეგში „FRA“), საგარეო დაზვერვის სასამართლოს ნებართვის საფუძველზე. სასამართლოს საქმიანობა სრულად გასაიდუმლოებულია, თუმცა მასზე ზედამხედველობას ახორციელებს საგარეო დაზვერვის ინსპექტორატი და მონაცემთა დაცვის ორგანო.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სიგნალების დაზვერვის შესახებ სადავო კანონმდებლობა ქმნიდა ფარული თვალთვალის სისტემას, რომელიც პოტენციურად გავლენას ახდენდა სატელეფონო მომსახურებებისა და ინტერნეტის ყველა მომხმარებელზე, ისე რომ, მათ არ იცოდნენ და ვერც შეიტყობდნენ თვალთვალის შესახებ. შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ ამგვარი კანონმდებლობის არსებობა გადაჭერის კონკრეტული ღონისძიების შესახებ ინფორმაციის გარეშე უკვე წარმოადგენდა ჩარევას კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ უფლებაში. ამის შემდეგ სასამართლო გადავიდა შეზღუდვის გამართლების შემოწმებაზე და, პირველ რიგში, შეაფასა, იყო თუ არა შეზღუდვა „კანონით გათვალისწინებული“. სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ეს ტესტი გულისხმობს არა მხოლოდ იმას, რომ ჩარევას საფუძველი უნდა ჰქონდეს ეროვნულ კანონმდებლობაში, არამედ ე.წ. „კანონის ხარისხის“ მოთხოვნებსაც. ეს უკანასკნელი გულისხმობს, რომ „კანონი“ უნდა იყოს ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირისთვის და მისი შედეგები უნდა იყოს განჭვრეტადი.

ბოლო მოთხოვნასთან დაკავშირებით, სასამართლომ გაიმეორა წინა საქმეებში ჩამოყალიბებული მიდგომა:

„განჭვრეტადობა“ იმ კონტექსტში, რომელიც უკავშირდება სატელეფონო კომუნიკაციების გადაჭერას ვერ იქნება იგივე, რაც სხვა სფეროებში. ფარული თვალთვალის ღონისძიებების სპეციალურ კონტექსტში განჭვრეტადობა არ ნიშნავს, რომ ინდივიდს უნდა შეეძლოს განჭვრეტა, სავარაუდოდ, როდის გადაწყვეტენ ხელისულების ორგანოები მისი კომუნიკაციის გადაჭერას, რათა მან შეეძლოს თავისი ქცევის შესაბამისად შეცვლა. თუმცა, როდესაც აღმასრულებელი ორგანოების ხელთ არსებული ძალაუფლება ხორციელდება ფარულად, აშკარაა თვითნებობის რისკი. შესაბამისად, არსებითია, რომ არსებობდეს ნათელი და დეტალური წესები სატელეფონო კომუნიკაციების



გადაჭერასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შესაბამისი ტექნოლოგიები მუდმივად უფრო კომპლექსური ხდება. ეროვნული სამართალი საკმარისად ნათელი უნდა იყოს იმისთვის, რომ მოქალაქეებს ადეკვატური მინიშნება მისცეს, თუ რა გარემოებებში და პირობებში ექნებათ საჯარო ორგანოებს ამგვარი ღონისძიებების გამოყენების უფლებამოსილება...

102. ამასთან, რამდენადაც კომუნიკაციების ფარული მიყურადების ღონისძიებების გამოყენება პრაქტიკაში არ ექვემდებარება დაინტერესებული კერძო პირების ან საზოგადოების მხრიდან კონტროლს, სამართლებრივ სახელმწიფოსთან შეუთავსებელი იქნებოდა აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის ან მოსამართლისთვის იმგვარი დისკრეციის მიცემა, რომელიც შეუზღუდავი უფლებამოსილების სახეს მიიღებდა. შესაბამისად, კანონმა უნდა განსაზღვროს უფლებამოსილი ორგანოებისთვის მინიჭებული დისკრეციის ფარგლები და მისი განხორციელების წესი საკმარისი სიზუსტით, რათა ინდივიდებს ჰქონდეთ ადეკვატური დაცვა თვითნებური ჩარევის წინააღმდეგ...

103. თავის პრაქტიკაში სისხლის სამართლის პროცესში ფარული საგამოძიებო ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით სასამართლომ განავითარა შემდეგი მინიმალური დაცვის გარანტიები, რომელიც მოცემული უნდა იყოს კანონში იმისთვის, რომ არ მოხდეს ხელისუფლების ბოროტად გამოყენება: იმ დანაშაულების განსაზღვრა, რომლებიც საფუძვლად შეიძლება დაედოს გადაჭერის შესახებ ბრძანებას; იმ პირთა კატეგორიის განსაზღვრა, რომელთა კომუნიკაციაც შეიძლება დაექვემდებაროს გადაჭერას; ღონისძიებების გამოყენების შეზღუდვა დროში; პროცედურა, რომლის გამოყენებითაც უნდა მოხდეს მოპოვებული მონაცემების შემოწმება, გამოყენება და შენახვა; სიფრთხილის ზომები, როდესაც ეს მონაცემები გადაეცემა მესამე მხარეებს; და გარემოებები, როდესაც ეს ჩანაწერები უნდა წაიშალოს ან განადგურდეს...

...

107. ... იმ შემთხვევაში, როდესაც დავის საგანია კანონმდებლობა, რომელიც უშვებს ფარულ მიყურადებას, ჩარევის კანონიერების საკითხი მჭიდროდ უკავშირდება იმ საკითხს, „აუცილებელი“ იყო თუ არა ჩარევა და, შესაბამისად, მართებული იქნება ამ ორ საკითხზე ერთობლივად მსჯელობა. „კანონის ხარისხი“ ამ გაგებით გულისხმობს, რომ ეროვნული სამართალი არა მხოლოდ ხელმისაწვდომი და განჭვრეტადი უნდა იყოს მისი გამოყენებისას, არამედ, აგრეთვე უნდა უზრუნველყოფდეს, რომ ფარული მიყურადების ღონისძიებები მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც ისინი „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“, რაც მიიღწევა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ადეკვატური და

ეფექტური დაცვის ღონისძიებებისა და გარანტიების გათვალისწინებით...“<sup>27</sup>

დემოკრატიულ საზოგადოებაში ჩარევის აუცილებლობაზე მსჯელობისას, სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ფარული მეთვალყურეობის სისტემის შემუშავებისას სახელმწიფოებს აქვთ შეფასების თავისუფლება, თუმცა სასამართლო უნდა დარწმუნებულიყო, რომ სისტემა ითვალისწინებდა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ადეკვატურ და ეფექტურ გარანტიებს. „შეფასება დამოკიდებულია საქმის ისეთ გარემოებებზე, როგორცაა შესაძლო ღონისძიებების ხასიათი, ფარგლები და ხანგრძლივობა, მათი გამოყენების საფუძველი, ამ ღონისძიებების გამოყენებაზე ნებართვის გაცემის, განხორციელების და ზედამხედველობის უფლებამოსილების მქონე ორგანოები და დაცვის საშუალებები, რაც გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით“.<sup>28</sup>

სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებებზე კონტროლისა და ზედამხედველობის საკითხი სამ ეტაპად განიხილება: როდესაც თვალთვალზე პირველად გაიცემა ბრძანება, როდესაც ის ხორციელდება და მას შემდეგ, რაც ის შეწყდება. პირველ ორ ეტაპზე, თავისთავად, თვალთვალის ობიექტმა არ შეიძლება იცოდეს ფარული მეთვალყურეობის შესახებ და ამდენად, ეფექტურ ღონისძიებასაც ვერ გამოიყენებს თავის დასაცავად. შესაბამისად, არსებითად მნიშვნელოვანია, რომ თავად დადგენილი პროცედურა ითვალისწინებდეს საკმარის გარანტიებს მისი უფლებების დასაცავად. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ, თუმცა არ არის აუცილებელი ზედამხედველობას სასამართლო ახორციელებდეს, სასამართლო კონტროლი მეთვალყურეობის სისტემაზე ყველაზე კარგად უზრუნველყოფს დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ და სათანადო პროცედურას.

რაც შეეხება მესამე ეტაპს, როდესაც მეთვალყურეობა შეწყდება, ამ ფარული ღონისძიებების შესახებ შესაბამისი პირის ინფორმირების საკითხი განუყოფლად არის დაკავშირებული დაცვის საშუალებების ეფექტურობასთან და, ამდენად, თვალთვალის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ეფექტური დაცვის ღონისძიებებთან. „პრინციპულად მცირეა დაცვის საშუალების გამოყენების შესაძლებლობა დაინტერესებული ინდივიდის მიერ, თუ მას არ აცნობეს მისგან ფარულად მის მიმართ გატარებული ღონისძიებების შესახებ და მას არ მიეცა რეტროსპექტულად მათი გასაჩივრების შესაძლებლობა ან ალტერნატიულად, თუ ნებისმიერ პირს, რომელსაც ეჭვი აქვს, რომ მის კომუნიკაციას იჭერდნენ, არ შეუძლია მიმართოს

<sup>27</sup> იქვე, § 101-103 და 107.

<sup>28</sup> იქვე, § 104.

შესაბამის ორგანოს, რომლის იურისდიქციაც არ იქნება დამოკიდებული ამ პირის მიერ შეტყობინების მიღებაზე, რომ მის კომუნიკაციას იჭერდნენ“.<sup>29</sup>

ამ ზოგადი პრინციპების შესაბამისად, სადავო კანონმდებლობის შეფასებისას სასამართლომ გადაწყვიტა, რომ სისტემის სტრუქტურას და მოქმედებას რაიმე მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები არ ჰქონდა. კერძოდ, სასამართლომ იმსჯელა სისტემის მოქმედების ფარგლებზე და დაადგინა, რომ გადაჭერის სისტემა მოქმედებდა მხოლოდ ტრანსსასაზღვრო კომუნიკაციაზე და ამ მონაცემების მოპოვების მიზნები და გამოყენების წესი ნათლად იყო განერილი კანონში. აგრეთვე კანონი განსაზღვრავდა ღონისძიების მოქმედების მაქსიმალურ დროს და მისი გაგრძელების შესაძლებლობას. ნებართვის გაცემას ახორციელებდა სპეციალური სასამართლო, რომელსაც თავმჯდომარეობდა მოსამართლე, დანარჩენი წევრები კი აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დანიშნული პირები იყვნენ. აგრეთვე პროცესზე ზედამხედველობას ახორციელებდა მონაცემთა დაცვის ორგანო და სპეციალურ ინსპექტორატს, საპარლამენტო ომბუდსმენს და იუსტიციის კანცლერს შეეძლოთ, დაეწყობოთ ძიება გადაჭერასთან დაკავშირებით ინდივიდუალური განაცხადების საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ პოსტფაქტუმ დაინტერესებული პირებისთვის ამ ღონისძიებების შესახებ შეტყობინება პრაქტიკაში არასდროს მომხდარა, სასამართლომ არსებული ზედამხედველობის მექანიზმები საკმარისად ჩათვალა და მიიჩნია, რომ სისტემა ერთიანობაში პროპორციული იყო დასახული ლეგიტიმური მიზნისა. შესაბამისად, მე-8 მუხლის დარღვევა არ დადგინდა.

ამდენად, ფარული საგამოძიებო მოქმედებებისგან პირადი ცხოვრების დაცვისას რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოებაა გასათვალისწინებელი:

- კანონის განჭვრეტადობა, რომლის საფუძველზეც ხორციელდება საგამოძიებო მოქმედება, გულისხმობს აღმასრულებელი ხელისუფლების ძალაუფლების შეზღუდვას და თვითნებობის რისკების მინიმუმზებას. აღნიშნული მიიღწევა კანონში დისკრეციის ფარგლების და განხორციელების წესის ნათლად განერით. განჭვრეტადობისთვის მნიშვნელოვანია, რომ ღონისძიებების გამოყენების საფუძველები და პირობები იყო გამოკვეთილი კანონში: რა დანაშაულებისთვის და რომელი პირების პირად ცხოვრებაში ჩარევა შეიძლება, რამდენი ხნით და რა პროცედურით. მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების, შენახვის, მესამე პირებისთვის გადაცემის და განადგურების წესი დეტალურად იყოს რეგულირებული კანონში.
- საკმარისი ბერკეტები არსებობს თუ არა აღმასრულებელი ხელისუფლების

<sup>29</sup> იქვე, § 106.

თვითნებობის წინააღმდეგ, ფასდება შემდეგი გარემოებების მიხედვით: შესაძლო ღონისძიებების ხასიათი, ფარგლები და ხანგრძლივობა, მათი გამოყენების საფუძველი, ამ ღონისძიებების გამოყენებაზე ნებართვის გაცემის, განხორციელების და ზედამხედველობის უფლებამოსილების მქონე ორგანოები და დაცვის საშუალებები, რაც გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით.

- ფარული საგამოძიებო ღონისძიების განხორციელების პროცესში, რა თქმა უნდა, თვალთვალის ობიექტის ინფორმირება ვერ მოხდება და, შესაბამისად, ზედამხედველობა სხვა სათანადო ინსტიტუტებმა (ოპტიმალურ შემთხვევაში, სასამართლომ) უნდა განახორციელოს. თუმცა ღონისძიების დასრულების შემდეგ ან პირს უნდა ეცნობოს მის მიმართ განხორციელებული ზომების შესახებ ან უნდა არსებობდეს ორგანო, რომელიც ამგვარი შეტყობინების გარეშე გამოიძიებს პირის საჩივარს შესაძლო მოსმენის შესახებ და, ამდენად, ეფექტური დაცვის საშუალება იქნება პირისთვის ფარული საგამოძიებო მოქმედებებისგან თავის დასაცავად.

#### 4. შიჯამება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის პრაქტიკა უაღრესად მოცულობითი და მრავალფეროვანია. სუროგაცია, რეპროდუქციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, ევთანაზია, ერთი და იმავე სქესის პირთა თანაცხოვრების სამართლებრივი აღიარება და ტრანსგენდერი პირების გენდერული იდენტობის ასახვა დოკუმენტებში ის საკითხებია, რომლებზეც თანამედროვე საზოგადოებებში ახლა ყალიბდება კონსენსუსი. ამ საკითხებზე მსჯელობა საქართველოში მიმდინარეობს, თუმცა მათ დიდ ნაწილს საკონსტიტუციო სასამართლომდე ამ დროისთვის არ მიუღწევია, როგორც წინა თავში განხილულ საქმეებში ვნახეთ.

ამ მხრივ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას ორგვარი ღირებულება შეიძლება ჰქონდეს საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის პრაქტიკის შემდეგი განვითარებისთვის: 1. პოტენციურ მსხვერპლებს ან მათ წარმომადგენლებს ხელმძღვანელობა გაუწიოს შესაბამის პრობლემებზე სამართალწარმოების დაწყებისათვის; 2. სამართალწარმოების ყველა მხარე უზრუნველყოს შესაბამის საკითხზე საკმაოდ დეტალური ანალიზით და იმ ფაქტორების იდენტიფიცირებით, რომელიც შესაბამისი საკითხის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია. ამგვარი, განვითარებული ანალიტიკური ჩარჩოს კარგი მაგალითია ფარული საგამოძიებო მოქმედებების კონტროლის სფერო და მასთან დაკავშირებული ჩარევის კანონიერების ტესტები.

შედარების თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს, რომ პიროვნული განვითარების უფლება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ცალსახად უფრო ფართოა, ვიდრე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის პრაქტიკის მიხედვით. საკონსტიტუციო სასამართლო სისტემატურად იმეორებს, რომ მე-16 მუხლი იცავს მოქმედების ზოგად თავისუფლებას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კი ხაზს უსვამს, რომ ადამიანის პირად სფეროსთან დაკავშირებული ყველა არჩევანი მე-8 მუხლში დაცული არ არის. სასამართლო მიუთითებს ღონისძიებების საჯარო ხასიათზე, ასევე სხვა ადამიანებთან ურთიერთობის ასპექტზე, იმისთვის, რომ გარკვეული აქტივობები, მაგ., ნადირობა პიროვნული განვითარების უფლების ნაწილად არ იქნეს აღქმული.

ეს, ერთი მხრივ, გასაგებია, რადგან საქართველოს კონსტიტუციისგან განსხვავებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ცალკე მუხლს არ ითვალისწინებს პიროვნული განვითარების თავისუფლების დასაცავად და პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების საერთო სულისკვეთება ლოგიკურად შეიძლება გამორიცხავდეს უფლების დაცული სფეროდან გარკვეულ საჯარო აქტივობებს. თუმცა ისევ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით, შეიძლება იმის თქმა, რომ გამიჯვნა იმისა, რომელი საჯარო აქტივობები ხვდება ან არ ხვდება პირადი ცხოვრების და, კერძოდ, პიროვნული განვითარების უფლების სფეროში, ყოველთვის თანმიმდევრული არ არის.

კონტროლის ტესტთან დაკავშირებითაც უნდა აღინიშნოს, რომ ტესტი ორივე იურისდიქციაში ლოგიკურად ერთნაირი საფეხურებისგან შედგება (ჩარევა/გამართლება: ლეგიტიმური მიზანი/საშუალების ვარგისობა, ანუ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ტერმინებით, რელევანტური და საკმარისი მიზეზების ტესტი/პროპორციულობა მიზანსა და საშუალებას შორის). თუმცა ზოგ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლო აპელირებს ნაკლებად მზლუდავი საშუალების ტესტზე, რაც იდეაში სადავო შეზღუდვის უფრო მეტი სიმკაცრით შემოწმებას გულისხმობს, ვიდრე ჩვეულებრივი პროპორციულობის ტესტი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მე-16 მუხლთან დაკავშირებულ რამდენიმე გადაწყვეტილებაში („ქმედუნარობის საქმე“, „მოსმენების საქმე“) ახსენა სახელმწიფოს პოზიტიური მოვალეობები, თუმცა ჯერ არც ერთი საქმე არ გადაუწყვეტია, სადაც უფლების შეზღუდვა სახელმწიფოს პოზიტიურ მოვალეობებთან მიმართებით შეფასდებოდა. ამ მხრივაც, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ანალიტიკური ჩარჩო საინტერესო და გამოსადეგი იქნება.

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის პრაქტიკის ეს მცირე მიმოხილვაც კი დამაჯერებელი დემონსტრირებაა იმისა, თუ რამდენად რთული, წინააღმდეგობრივი და ღრმა სოციალური პრობლემები შეიძლება მოხვდეს პირადი ცხოვრების და კონკრეტულად პიროვნული განვითარების უფლების მოქმედების სფეროში. აღნიშნული ასევე მიანიშნებს იმაზე, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა მე-16 მუხლთან დაკავშირებით მომავალში მრავალფეროვანი გახდება და ამ პროცესში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები მნიშვნელოვან რესურსს გვთავაზობს ხელმძღვანელობისთვის.

## წყაროები

Council of Europe Directorate of Jurisconsult, Guide of Article 8 of the European Convention of Human Rights: The Rights for Respect of Private and Family Life (ბოლო განახლება 30 აპრილი, 2017).

### ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები

1. ფრითი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (CASE OF PRETTY v. THE UNITED KINGDOM), განაცხადის №2346/02;
2. ფონ ჰანოვერი გერმანიის წინააღმდეგ (2) (Case of Von Hannover v. Germany (№2)), განაცხადი №40660/08 და 60641/08;
3. ფრენდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Friend v. the UK) (განაცხადი №16072/06);
4. "Countryside Alliance" და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (განაცხადი №27809/08);
5. CASE OF OLEKSANDR VOLKOV v. UKRAINE, განაცხადი №21722/11;
6. იქსი ისლანდიის წინააღმდეგ (X v. Iceland) (განაცხადი №6825/74);
7. გაფი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Gough v. The UK) (განაცხადი №49327/11);
8. პარადისო და კამპანელი იტალიის წინააღმდეგ (Paradiso and Campanelli v. Italy), (განაცხადი №25358/12);

9. ა.პ. გალსო და ნიკო საფრანგეთის წინააღმდეგ (A.P., GARÇON ET NICOT v. FRANCE)(განაცხადები №79885/12, 52471/13 და 52596/13);
10. ოლიარი და სხვები იტალიის წინააღმდეგ (Oliari and Others v. Italy) (განაცხადები №18766/11 და 36030/11);
11. ჰაასი შვეიცარიის წინააღმდეგ (Haas v. Switzerland) (განაცხადი №31322/07);
12. მიკულიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (MIKULIĆ v. CROATIA), განაცხადი №53176/99;
13. ჩადიმოვა ჩეხეთის წინააღმდეგ (Chadimova v. The Czech Republic), განაცხადი №50073/99;
14. „Centrum für Rättvisa“ შვედეთის წინააღმდეგ, განაცხადი №35252/08.

## V. აშშ-ის უზენაესი სასამართლოს იურისპრუდენცია

### 1. შესავალი

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია უძველესი მოდერნული კონსტიტუციური დოკუმენტია, რომლის დამფუძნებელთა გაცხადებული მიზანი თავისუფლების დაცვა გახლდათ. შესაბამისად, როდესაც პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაზე და ამ უფლებით მოცულ პირადი თავისუფლებისა და ავტონომიის ელემენტების შედარებით გამოკვლევაზე ვსაუბრობთ, შეერთებული შტატები მნიშვნელოვან, შეიძლება ითქვას პარადიგმატულ იურისდიქციადაც კი გვევლინება.

კვლევის წინამდებარე ნაწილის მიზანია, შეერთებული შტატების საკონსტიტუციო იურისპრუდენციაში თავისუფლების რეზიდუალური გარანტიის ანალიზი. რამდენადაც საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცული თავისუფალი განვითარების უფლებაც რეზიდუალური გარანტიის ფუნქციას ასრულებს, მნიშვნელოვანი იქნება შედარება თუ პირადი თავისუფლებისა და ავტონომიის რა ელემენტებს იცავენ აღნიშნული რეზიდუალური გარანტიები და რა კონსტიტუციური საფუძველი/გამართლება აქვს ამ დაცვას.

კვლევის კიდევ ერთი ფოკუსი იქნება რეზიდუალური გარანტიით უზრუნველყოფილი პირადი თავისუფლებითა და ავტონომიით დაცული სფეროს ფარგლების შემოსაზღვრა. კერძოდ ის იურისპრუდენციული თუ დოქტრინული მექანიზმები, რომლებიც გამოიყენება დაცული სფეროს განსაზღვრისთვის. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება დაცული სფეროს შეზღუდული განსაზღვრის საშუალებებზე კონკრეტული ტესტისა თუ სტანდარტის სახით.

კვლევის მოცემული ნაწილი ასევე ყურადღებას გაამახვილებს აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოყენებული სტანდარტის ინტენსივობაზე და იმ მიზეზებზე, რომელიც განაპირობებს მკაცრი შემონების სტანდარტის გამოყენების მეტ-ნაკლებად ერთიან პრაქტიკას ფუნდამენტურ კონსტიტუციურ უფლებებთან მიმართებით.

შეჯამებაში, მოკლედ ვიმსჯელებთ აშშ-ს პრაქტიკის შესაძლო რელევანტურობაზე და გამოყენებადობის პოტენციალზე საქართველოს პრაქტიკაში.



## 2. უფლების შინაარსი

### ა. „ჯეროვანი პროცედურის“ არსებითი კონსტიტუციური გარანტია

აშშ-ის კონსტიტუციის უფლებათა ბილი, კონსტიტუციის მე-5 შესწორების სახით, ითვალისწინებს ე.წ. „ჯეროვანი პროცედურის“ უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ გარანტიას, რომლის მიხედვითაც: „არავის შეიძლება წაერთვას სიცოცხლე, თავისუფლება და საკუთრება სამართლის ჯეროვანი პროცედურის გარეშე“.<sup>1</sup> სამოქალაქო ომის შემდგომი რეკონსტრუქციის ეპოქამდე აღნიშნული გარანტია მხოლოდ ფედერალურ ხელისუფლებაზე ვრცელდებოდა. მე-14 შესწორებამ კი იგივე მოთხოვნა შტატების ხელისუფლებებზეც გაავრცელა. „ინკორპორაციის დოქტრინის“ მიხედვით, მე-14 შესწორებამ შტატებისთვის სავალდებულო გახადა არა მხოლოდ „ჯეროვანი პროცედურის“ გარანტია, არამედ უფლებათა ბილში მოცემული ყველა კონსტიტუციური უფლება. უკვე მე-19 საუკუნეშივე, აშშ-ის უზენაესი სასამართლოს იურისპრუდენციაში გაჩნდა პოზიცია, რომ მე-14 შესწორების „ჯეროვანი პროცედურის“ გარანტია, პროცედურულ მოთხოვნებთან ერთად, არსებით უფლებრივ გარანტიებსაც ითვალისწინებდა.<sup>2</sup> თუმცა აღნიშნული პოზიცია მოქმედი კონსტიტუციური დოქტრინა მხოლოდ მე-20 საუკუნის დასაწყისში გახდა. „ჯეროვანი პროცედურის არსებითი გარანტიის“ კონსტიტუციური დოქტრინის პირველი თანმიმდევრული არტიკულაცია *ლოჰნერი ნიუ-იორკის შტატის წინააღმდეგ* აშშ-ის უზენაესი სასამართლოს 1905 წლის ცნობილ გადაწყვეტილებაშია მოცემული.<sup>3</sup>

„ჯეროვანი პროცესის“ არსებითი გარანტია ეფუძნება კლაუზულის სიტყვა „თავისუფლების“ შინაარსობრივ კონსტიტუციურ განმარტებას და იცავს თავისუფლების ისეთ ელემენტებს, რომლებიც აშშ-ის კონსტიტუციის უფლებათა ბილის სხვა გარანტიებით არ არის დაცული. ამრიგად, „ჯეროვანი პროცესის“ არსებითი გარანტია თავისუფლების რეზიდუალური გარანტიის

<sup>1</sup> ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მე-5 შესწორება.

<sup>2</sup> იხ. *The Slaughter-Couse Cases, The Butchers' Benevolent Association of New Orleans v. The Crescent City Live-Stock Landing and Slaughter-Couse Company*; Paul Esteben, L. Ruch, J. P. Rouede, W. Maylie, S. Firmberg, B. Beaubay, William Fagan, J. D. Broderick, N. Seibel, M. Lannes, J. Gitzinger, J. P. Aycock, D. Verges, *The Live-Stock Dealers' and Butchers' Association of New Orleans, and Charles Cavaroc v. The State of Louisiana, ex rel. S. Belden, Attorney-General*; *The Butchers' Benevolent Association of New Orleans v. The Crescent City Live-Stock Landing and Slaughter-Couse Company*, 83 U.S. (16 Wall.) 36 (1873), მოსამართლე ფილდსის განსხვავებული აზრი.

<sup>3</sup> *Lochner v. New York*, 198 U.S. 45 (1905) „Lochner“

ფუნქციას ასრულებს. მიუხედავად იმისა, რომ „ჯეროვანი პროცედურის“ არსებითი გარანტიის დოქტრინა საკმაო ხნის განმავლობაში უარყოფილი იყო და დღესაც დიდი კრიტიკის ობიექტია, მხოლოდ ის ახერხებს თავისუფლების რეზიდუალური გარანტიის ფუნქციის წარმატებით შესრულებას. მისი ყველაზე ახლო კონკურენტი ამ მხრივ კონსტიტუციის მე-9 შესწორებაა, რომლის რეზიდუალურ გარანტიად გამოყენებამ ვერასდროს მოიპოვა სათანადო მხარდაჭერა ვერც უზენაესი სასამართლოს იურისპრუდენციაში და ვერც ამერიკულ აკადემიურ დოქტრინაში.<sup>4</sup>

აღნიშნული ფუნქციიდან გამომდინარე, „ჯეროვანი პროცედურის“ არსებითი გარანტია უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს აშშ-ის კონსტიტუციურ იურისპრუდენციაში, განსაკუთრებით კი პირადი თავისუფლების და ავტონომიის, პირადი და ოჯახური ცხოვრების ფართო დაცვის უზრუნველყოფაში.

### **3. პირადი თავისუფლება და ავტონომია აშშ-ის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში**

#### **ა. პირადი თავისუფლება „არსებითი ჯეროვანი პროცედურის“ ფარგლებში**

აშშ-ის კონსტიტუციურ ისტორიაში „ჯეროვანი პროცედურის არსებითი გარანტიის“ პირველი თანმიმდევრული დოქტრინა უზენაესი სასამართლოს გადანყვეტილებას „ლოჰნერი ნიუ-იორკის წინააღმდეგ“ უკავშირდება, შესაბამისად, გასაკვირი არაა, რომ ამერიკული კონსტიტუციური ისტორიის რამდენიმე დეკადას ლოჰნერის პრეცედენტის დაძლევაზე „ლოჰნერის ერას“ უწოდებენ. ჯოზეფ ლოჰნერი ნიუიორკის შტატის ქალაქ უტისაში სახაბაზოს მეპატრონე გახლდათ. ის სისხლის სამართლის წესით გაასამართლეს ნიუ-იორკის შტატის შრომის კანონმდებლობის დარღვევისთვის. შტატის შრომის კანონის 110-ე სექცია კრძალავდა თანამშრომლებისთვის „მოთხოვნას ან ნებართვას“ სახაბაზოში კვირაში 60 საათზე ან დღეში 10 საათზე მეტ მუშაობას.

ლოჰნერის საქმეში ჩამოყალიბებული სტანდარტი მნიშვნელოვანია, რამდენადაც კონსტიტუციური თავისუფლება ერთიან ცნებად წარმოუდგენია და პირადი თავისუფლების ელემენტებს არ მიჯნავს ეკონომიკური

<sup>4</sup> იხ. Barnett Randy E., The Ninth Amendment: It Means What It Says, 85 Tex. L. Rev 1-82 (2006).

თავისუფლების ელემენტებისგან. ლოჰნერის საქმის სტანდარტისთვის ეკონომიკური თავისუფლება არ არის ძირითადი ფოკუსი. თავად ლოჰნერის გადაწყვეტილებაში მნიშვნელოვანია პირადი ავტონომიის ისეთი ელემენტები, როგორცაა ადამიანის გადაწყვეტილებითი ავტონომია, თავად შეაფასოს არჩეული პროფესიიდან/შერჩეული სამუშაოდან მომდინარე ჯანმრთელობის შესაძლო რისკი. პირსის საქმეში<sup>5</sup> კი მშობლების თავისუფლება, აღზარდონ შვილები, დაკავშირებულია კერძო სკოლების ეკონომიკურ ინტერესებთან. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური თავისუფლების ასპექტების ანალიზი ამ კვლევის მიზანი არ არის, ლოჰნერის სტანდარტის განხილვა მაინც აუცილებელია პირადი თავისუფლებისა და ავტონომიის ზოგადი კონსტიტუციური სტანდარტების გამოკვლევის აუცილებლობიდან გამომდინარე, რომელიც ამ საქმის გადაწყვეტაშია მოცემული.

### **ბ. თავისუფლებაში ჩარევის შეფასება გონივრულობის მკაცრი სტანდარტით**

ლოჰნერის საქმეზე გავრცელებული აზრი მას წარმოგიდგენს როგორც გაისხეზ-ფაირე ეკონომიკური თეორიის კონსტიტუციონალიზაციას „არსებითი ჯეროვანი პროცედურის“ განმარტების მეშვეობით. ამის საფუძველს, ერთი შეხედვით, იძლევა სასამართლოს დასაბუთების ის ნაწილი, რომელიც სახაბაზოში დასაქმებულისა და დამსაქმებლის ხელშეკრულების თავისუფლებას მოაქცევს მე-14 შესწორებით დაცულ „თავისუფლებაში“ და მასში ხელისუფლების „არაგონივრულ“ და „თვითნებურ“ ჩარევას, დასაქმების საათების რეგულირების სახით, აუქმებს. თუმცა სასამართლოს უმრავლესობის გადაწყვეტილება, მოსამართლე პეკამის ავტორობით, წინადადებასაც კი არ მოიცავს ეკონომიკური თეორიის არგუმენტებისა. გადაწყვეტილება საუბრობს ხელშეკრულების თავისუფლებაზე პიროვნების ზოგადი თავისუფლების კონტექსტში და მასთან ერთად. სასამართლოს სტრატეგია ამ თავისუფლების არა პოზიტიური შინაარსის, არამედ მისი სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევისგან თავისუფალი საზღვრების დემარკაციაა. ეს საზღვრები კი ხელისუფლების უფლებამოსილებების ცხადად განსაზღვრითა და მათი განხორციელების ცხადი საფუძვლებისა და შეზღუდვების დადგენით გაივლება.

ამ თეორიის ჩამოყალიბებას სასამართლო ე.წ. „საპოლიციო უფლებამოსილებების“ განსაზღვრის დროს ახერხებს. სასამართლოს მიხედვით:

<sup>5</sup> Pierce, Governor of Oregon, et al. v. Society of the Sisters of the Coly Names of Jesus and Mary, 268 U.S. 510 (1925) „Pierce“

„კავშირის წევრი ყველა შტატის სუვერენიტეტი მოიცავს, გარკვეულწილად, ბუნდოვან „პოლიციურ უფლებამოსილებებს“, რომელთა ზუსტი განსაზღვრა და შემოსაზღვრა სასამართლოებს არც კი უცდიათ. ამჯერადაც, ზოგადად და ყოველგვარი სპეციფიკური შეზღუდვის განზრახვის გარეშე რომ ჩამოვაყალიბოთ, ეს უფლებამოსილებები უკავშირდება საზოგადოების უსაფრთხოებას, ჯანმრთელობას, მორალს და საზოგადო კეთილდღეობას. როგორც თავისუფლება ისე საკუთრება ადამიანებს აქვთ მხოლოდ იმ გონივრული პირობებით, რომელიც შეიძლება ამ უფლებამოსილებების საფუძველზე შტატის ხელისუფლებამ დაანესოს. მეთოთხმეტე შესწორება ამ გონივრულ პირობებში ჩარევისთვის არ შექმნილა“.<sup>6</sup>

გასაჩივრებული კანონი შრომის კანონია, რომლის გონივრული შესაბამისობა „პოლიციური უფლებამოსილების“ რომელიმე მიზანთან სასამართლოსთვის სრულად არაადამაჯერებელია. ერთადერთი მიზანი, რომელსაც სასამართლო გასაჩივრებულ კანონში ხედავს, დასაქმებულის ჯანმრთელობის დაცვის პატერნალისტური მიზანია. რატომაც სასამართლოსთვის კატეგორიულად მიუღებელი პატერნალისტური მიზანი „პოლიციური უფლებამოსილების“ გასამართლებლად? სასამართლოს აზრით:

„არ არსებობს გონივრული საფუძველი პირის ხელშეკრულების თავისუფლების უფლებაში ან თავისუფლებაში ჩარევისა, ხაბაზის პროფესიაში სამუშაო საათების განსაზღვრის გზით. შეუძლებელია მტკიცება, რომ ხაბაზები, როგორც კლასი, სხვა საქმიანობის ან ხელით მომუშავე ადამიანებთან შედარებით უნარებით ან გონებით თანასწორნი არ არიან, არც იმის დამტკიცებაა შესაძლებელი, რომ მათ არ შეუძლიათ საკუთარი უფლებების მოთხოვნა ან თავის მოვლა სახელმწიფოს მზრუნველი ხელის, სხვისი განსჯისა და მოქმედებაში ჩარევის გარეშე. ისინი არც ერთი გაგებით სახელმწიფოს მოსავლელები არ არიან“.<sup>7</sup>

როგორც ვხედავთ, იმისათვის, რომ მოექცეს „საპოლიციო უფლებამოსილების“ ფარგლებში, კანონის მიზანს გონივრული მიმართება უნდა გააჩნდეს ამ უფლებამოსილებების ზოგად მიზნებთან. სასამართლოს სტანდარტით ეს მიმართება, ყველა შემთხვევაში, ვერ დემონსტრირდება, განსაკუთრებით კი, თუ ეს კავშირი არაპირდაპირი და შორეულია. კანონის მიზანი თავად უნდა იყოს სათანადო და ლეგიტიმური და პირდაპირ უნდა თავსდებოდეს „საპოლიციო უფლებამოსილების“ ზოგად მიზნებში. ამავე დროს, კანონი ამ მიზნების მიღწევის საშუალება უნდა იყოს.

<sup>6</sup> *Supra*, „Lochner“

<sup>7</sup> იქვე.

ხაბაზების სამუშაო დროის რეგულირებას, სასამართლოს აზრით, არც საჯარო წესრიგისა და უსაფრთხოების, არც საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის მიზნები არ აქვს. ერთადერთი, რასაც არაპირდაპირ უკავშირდება, დასაქმებულის ჯანმრთელობაა. სასამართლომ მიიჩნია, რომ „რეალური და არსებითი“ კავშირი ხაბაზის შრომის საათებსა და მის ჯანმრთელობას შორის არ არსებობდა.

სასამართლო არ შედის კანონმდებლის მიერ რისკის შეფასების გონივრულობის შეფასებაში, თუმცა, მისი აზრით, ხაბაზობის ხელობასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის რისკი იმდენად ნაკლებად განირჩევა სხვა პროფესიული რისკებიდან, რომ მისი შეფასება მხოლოდ ინდივიდის საქმე შეიძლება იყოს. სხვა შემთხვევაში, სასამართლოს აზრით, ჩვენ არა მხოლოდ მივიღებთ მზრუნველ სახელმწიფოს, არამედ მას მივცემთ შეუზღუდავ უფლებამოსილებას, ჩვენს ნაცვლად შეაფასოს და მოანერგოს ყველა შესაძლო ჯანმრთელობის რისკი, რაც შეიძლება ჩვენს ჯანმრთელობას უკავშირდებოდეს, რაც არ უნდა არაპირდაპირი და არაარსებითი იყოს შესაძლო ზიანი.

სასამართლოს აზრით, ამგვარი მანდატი არათუ არ ჯდება „საპოლიციო უფლებამოსილების“ ცნებაში, არამედ პრინციპულად შეუთავსებელია ადამიანის კონსტიტუციურ თავისუფლებასთან. მას შემდეგ, რაც კანონმდებელს მივანიჭებთ შეუზღუდავ უფლებამოსილებას, შეაფასოს ჩვენს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული არაპირდაპირი და არაარსებითი რისკებიც, განუზომლად იზრდება ამ უფლებამოსილების არაგონივრულად და თვითნებურად გამოყენების საფრთხეც. ამგვარ მაგალითს სასამართლო იმავე საქმეში პოულობს. კერძოდ, ხაბაზის შრომის საათების რეგულირების გამართლებად ხაბაზების სისუფთავის ხელშეწყობის არგუმენტის მოყვანას. სასამართლოს მიაჩნია, რომ ამგვარი პირდაპირი კავშირის დადგენა შეუძლებელია და იმისთვის, რომ ასეთი შედეგი ან დადგეს ან კანონით მიღწევადად მივიჩნიოთ, კანონმდებელი უნდა გახდეს ადამიანის „ზედამხედველი ან „ოჯახის მამა“, რომელიც ინდივიდის ყველა ქცევას გააკონტროლებს და საშუალება ექნება, ჩაერიოს მისი მუშაობისა და ვარჯიშის საათების, ასევე, ზოგადად მისი ხასიათის განსაზღვრაში“.

### **გ. მოსამართლე ჰოლმის განსხვავებული აზრი ლოჰნერის საქმეში**

მოსამართლე ჰოლმის განსხვავებული აზრი იწყება საყვედურით, რომ ლოჰნერის უმრავლესობა საქმეს წყვეტს ეკონომიკური თეორიის საფუძველზე, რომელსაც ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი არ იზიარებს. ჰოლმის ეს მიდგომა ამკვიდრებს მოსაზრებას, რომ ლოჰნერის უმრავლეს-

ობის გადაწყვეტილებაში თავისუფლების შინაარსი მხოლოდ ეკონომიკური/ხელშეკრულების თავისუფლებაა, რომელიც პიროვნების თავისუფლებიდან გამოცალკევებადია.

მოსამართლე ჰოლმსს სჯერა, რომ ხალხის დემოკრატიულმა წარმომადგენლებმა უკეთ იციან საზოგადო სიკეთის შესახებ და მათი მოსაზრება აუცილებლად კანონად უნდა იქცეს:

„თუ საკითხი ისე იდგებოდა, რომ ჩემი გადაწყვეტილება დამოკიდებული ყოფილიყო ამ თეორიასთან ჩემს თანხმობაზე, მე ვისურვებდი ეს თეორია უკეთ შემესწავლა ვიდრე მასზე აზრს შევიქმნიდი. თუმცა მე ეს ჩემს ვალდებულებად არ წარმომიდგენია, რადგან მტკიცედ მწამს, რომ ამ თეორიასთან ჩემს თანხმობას ან უთანხმოებას არაფერი აქვს საერთო, უმრავლესობის უფლებასთან საკუთარი აზრები კანონებად განასხეულოს“.<sup>8</sup>

ჰოლმსი თავად გვთავაზობს თავისუფლების ალტერნატიულ კონსტიტუციურ თეორიას. ჰოლმსის აზრით: „...[აშშ-ის კონსტიტუციის] მე-14 შესწორებაში სიტყვა თავისუფლების მნიშვნელობა გაუკუღმართდება, თუ მივიჩნევთ, რომ მას შეუძლია აღკვეთოს დომინანტი აზრის ბუნებრივი შედეგი“.<sup>9</sup> თუ რა არის დომინანტი აზრის ბუნებრივი შედეგი დემოკრატიის ჰოლმსისეულ თეორიაში, სულ ერთი წინადადებით, ადრე არის ნათქვამი: „ყველა აზრი მიისწრაფის იქცეს კანონად“. რა თქმა უნდა, კანონად ქცევა მხოლოდ დომინანტი აზრის ხვედრია. თუმცა მას შემდეგ, რაც ეს აზრი კანონად იქცევა დემოკრატიული კანონმდებლის მიერ, მისი გაუქმება სასამართლოს მიერ დაუშვებელია, მაშინაც კი, თუ მოსამართლეებს ეს კანონები „უსამართლოდ, თუ გნებავთ ტირანულადაც კი“ ეჩვენებათ. ეს პერსპექტივა, ჰოლმსის აზრით, მოსამართლეს მხოლოდ მაშინ უჩნდება, თუ თავს კანონმდებლის ადგილას დააყენებს, ეს კი ის ადგილია, რომელიც მხოლოდ დემოკრატიულ წარმომადგენლობით ორგანოებს უნდა ეკავოთ.

მაშ რაღაში ხედავს ჰოლმსი მოსამართლის როლს დემოკრატიაში, სადაც დომინანტი იდეები უმრავლესობის მიერ კანონად იქცევა? რა შინაარსი რჩება, მე-14 შესწორების სიტყვა თავისუფლებას, თუ მას არ შეუძლია დომინანტი აზრის ბუნებრივი შედეგი აღკვეთოს? ჰოლმსის პასუხი აქაც ლაკონურია, კონსტიტუციური თავისუფლება ვერ დაძლევს კანონად ქცეულ დომინანტ აზრს, გარდა იმ შემთხვევისა: „თუ გონიერი და სამართლიანი ადამიანი აუცილებლად არ იტყოდა რომ [გასაჩივრებული] კანონი შეზღუდავდა ჩვე-

<sup>8</sup> *Supra*, „Lochner“, მოსამართლე ჰოლმსის განსხვავებული აზრი.

<sup>9</sup> იქვე.

ნი ხალხის ტრადიციებითა და ჩვენი სამართლით მიღებულ ფუძემდებლურ პრინციპებს“.<sup>10</sup>

მითითებამ ტრადიციასა და სამართალზე არ უნდა დაგვაბნოს, რამდენადაც ჰოლმსის აქცენტი „გონიერ და სამართლიან“ ადამიანზეა. ოლონდ, ჰოლმსისთვის ეს ადამიანი ვერ იქნება დომინანტი აზრის მიღმა. პირიქით, დომინანტი აზრი ამ ადამიანის ქმნილებაა. მასობრივი დემოკრატიის ადამიანის გონიერების მასშტაბი სწორედ კანონად ქცეული დომინანტი აზრია. ლორნერის საქმეშიც, ჰოლმსისთვის გონიერი ადამიანი გასაჩივრებულ კანონს ჯანმრთელობის დაცვის შესაფერ საშუალებად დაინახავდა. ჰოლმსის მოსამართლედ დემოკრატიული პროცესის მცველია, მხოლოდ მაშინ აუქმებს კანონს, როდესაც ცალსახაა, რომ ის არ ასახავს „დომინანტ აზრს“ და, შესაბამისად, არაგონიერულია.

#### **დ. გონიერულობის მკაცრი ტესტის გამოყენება პატერნალიზმის წინააღმდეგ საოჯახო და აღზრდის სფეროში**

ლოჰნერის გადაწყვეტილების კონტრპატერნალისტური ბირთვის მოქმედება ყველაზე კარგად დემონსტრირდება 1920-იანი წლების რამდენიმე გადაწყვეტილებაში. ეს განხილვა 1923 წლის 2 კომპანიონი გადაწყვეტილების ანალიზის საფუძველზე უნდა დავიწყოთ. როგორც მაიერის<sup>11</sup> ისე ბარტელსის<sup>12</sup> საქმეში გასაჩივრებული იყო კანონი, რომელიც კრძალავდა ინგლისურის გარდა სხვა ენაზე სწავლებას, ასევე უცხო ენის სწავლებას მოსწავლისთვის, რომელიც მერვე კლასს ქვემოთ სწავლობდა. მოსარჩელებს აღნიშნული კანონის გამო პასუხისმგებლობა ჰქონდათ დაკისრებული მერვე კლასს ქვემოთ მოსწავლეებისთვის გერმანული ენის სწავლებისთვის და მის კონსტიტუციურობას ასაჩივრებდნენ მე-14 შესწორებით დაცულ თავისუფლებასთან მიმართებით.

სასამართლომ გამოიკვლია, რომ კანონმდებლის მიზანი იმიგრანტი მოსწავლეების სამოქალაქო ინტეგრაცია იყო. კანონმდებლები მიიჩნევდნენ, რომ, თუ იმიგრანტ მოსწავლეებს ადრეულ ასაკშივე მათი მშობლების ენას ასწავლიდნენ, ისინი ამერიკული საზოგადოების ერთგული წევრები ვერ გახდებოდნენ და ამით ეროვნულ უსაფრთხოებას შეუქმნიდნენ საფრთხეს.

მაიერის საქმეში სასამართლომ განმარტა მე-14 შესწორებით დაცული თავისუფლების შინაარსი:

<sup>10</sup> *Supra*, „Lochner“, მოსამართლე ჩოლმსის განსხვავებული აზრი.

<sup>11</sup> *Meyer v. Nebraska*, 262 U.S. 390 (1923), „Meyer“

<sup>12</sup> *Bartels v. Iowa*, 262 U.S. 404 (1923).

„მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს არასდროს უცდია ამომწურავად განემარტა [მე-14 შესწორებით] გარანტირებული თავისუფლება, სასამართლომ ამ ცნების განსჯას მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო, ცხადად განმარტა ზოგიერთი მისით მოცული თავისუფლება. ეჭვგარეშეა, რომ თავისუფლება არ გულისხმობს მხოლოდ სხეულებრივი შეზღუდვებისგან თავისუფლებას, არამედ ინდივიდის უფლებას, დადოს ხელშეკრულება, განახორციელოს ნებისმიერი ჩვეულებრივი ცხოვრებისეული საქმიანობა, შეიძინოს სასარგებლო ცოდნა, დაქორწინდეს, შექმნას ოჯახი და აღზარდოს ბავშვები, ილოცოს ღმერთთან საკუთარი სინდისის კარნახით და, ზოგადად, ისარგებლოს იმ პრივილეგიებით, რომელიც საერთო სამართლის მიერ დიდი ხანია აღიარებულია როგორც არსებითად აუცილებელი, თავისუფალი ადამიანების მიერ წესრიგის ფარგლებში ბედნიერების ძიებისთვის“.<sup>13</sup>

თავისუფლების ცნება, რომელსაც სასამართლო მე-14 შესწორებაში ამოიკითხავს, ე.წ. „წესრიგით უზრუნველყოფილი თავისუფლების“ („Ordered liberty“) ტრადიციული გაგება.<sup>14</sup> გავრცელებული კარიკატურული კრიტიკის საწინააღმდეგოდ, თავისუფლების ეს ცნება იზოლირებულ ინდივიდს საზოგადოებისა და ხელისუფლების რადიკალურ წინააღმდეგობაში არ მოიაზრებს. პირიქით, თავისუფლების გონივრულ ჩარჩოდ სამართალი მოიაზრება. სამართალი, განსაკუთრებით კი საერთო სამართალი, არა აუცილებლად თავისუფლების შემზღუდავ, არამედ თავისუფლების უზრუნველყოფ ჩარჩოდ მიიჩნევა. თუმცა, ამავე დროს, სამართალმა ეს ფუნქცია რომ შეასრულოს, ის გონივრულობის ჩარჩოებიდან არ უნდა გავიდეს. გონივრულობის სტანდარტი განსაკუთრებით მაღალია, როდესაც რომელიმე საჯარო სიკეთის მისაღწევად თავისუფლებაში ჩარევა ხდება.

მაიერის საქმეში სასამართლო, კიდევ ერთხელ, აყალიბებებს ამ სტანდარტის ელემენტებსა და შინაარსს. „დამკვიდრებული დოქტრინის მიხედვით, თავისუფლებაში ჩარევა დაუშვებელია საჯარო ინტერესის დაცვის საფარველით, თვითნებური ან ისეთი საკანონმდებლო მოქმედებით, რომელსაც გონივრული კავშირი არ აქვს ხელისუფლების უფლებამოსილებიდან გამომდინარე რომელიმე მიზანთან. საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ საპოლიციო უფლებამოსილების განხორციელების შესაბამისობის საკითხის გადაწყვეტა არ არის საბოლოო და სასამართლო ზედამხედველობას ექვემდებარება“.<sup>15</sup>

<sup>13</sup> *Supra*, „Meyer“.

<sup>14</sup> *ob. Charles M. Mathias Jr., Ordered Liberty: the Original Intent of the Constitution, 47 Md. L. Rev. 174 (1987).*

<sup>15</sup> *Supra*, „Meyer“.



ამ სტანდარტით, სასამართლომ ვერ დაინახა გონივრული ახსნა საფრთხისა, რომელიც შეიძლება უცხო ენის ცოდნას მოეტანა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ამერიკული იდეალების ჰომოგენური გავრცელება და მათ საფუძველზე საზოგადოების მჭიდრო სამოქალაქო ინტეგრაცია, თავისთავად, მიუღებელი არ არის, თუმცა წარმომავლობის ენის იმიგრანტი ბავშვებისათვის სწავლების აკრძალვაში სასამართლომ საერთოდ ვერ დაინახა აღნიშნულ იდეალთან გონივრული მიმართება.

მაიერის საქმეში სასამართლოს უმრავლესობა მოსამართლე მაკრეინოლდის აზრში აკავშირებს საერთო იდეალების გარშემო საზოგადოების გაერთიანების სასურველ მიზანს და ამ მიზნის სახელმწიფოს იძულებით მიღწევის შედეგებს. სასამართლოს მიაჩნია, რომ ხელისუფლება შესაძლოა, მართლაც „ძალზედ შორს წავიდეს“ საკუთარი მოქალაქეების „ფიზიკური, მენტალური თუ მორალური გაჯანსაღების“ მიზნით. სასამართლო ციტირებს პარაგრაფს პლატონის სახელმწიფოდან, სადაც სოკრატე მსჯელობს იდეალურ სახელმწიფოში აღზრდის მეთოდებზე, კერძოდ, მშობლებისთვის შვილის წართმევაზე და ისე აღზრდაზე. „ინდივიდის კიდევ უფრო დასამორჩილებლად და იდეალური მოქალაქის აღსაზრდელად“ სასამართლო ასევე მიუთითებს სპარტანული აღზრდის პრაქტიკაზე.

„მიუხედავად იმისა რომ ამ ზომებს გააზრებულად იზიარებდნენ დიდი გენიის მქონე ადამიანები – ვკითხულობთ მაიერის გადაწყვეტილებაში, პლატონზე აშკარა მითითებით – მათი იდეები ინდივიდისა და სახელმწიფოს მიმართების შესახებ სრულად განსხვავდება იმისგან რასაც ჩვენი ინსტიტუტები ეფუძნება. შეუძლებელია ვამტკიცოთ, რომ კანონმდებელს შეუძლია ასეთი შეზღუდვების დანესება შტატის მოსახლეობაზე, ჩვენი კონსტიტუციის ტექსტსა და სულისკვეთებაზე ძალადობის გარეშე“.<sup>16</sup> კონსტიტუციის ტექსტი და სულისკვეთება კი ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს ეფუძნება, რომელიც არ შეიძლება შეენიროს მხოლოდ იმ მიზანს, რომ საზოგადოებაში ყველა ერთ ენაზე თავისუფლად საუბრობდეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს სასურველი მიზანია, როგორც სასამართლო ამბობს, „სასურველი მიზანი კონსტიტუციურად აკრძალული საშუალებებით არ მიიღწევა“.<sup>17</sup> მაიერის საქმეში სასამართლოს მიერ კონსტიტუციური თავისუფლებიდან მომდინარე ფუნდამენტური უფლება, რომელსაც გასაჩივრებული კანონი არაგონივრულად ზღუდავს, მშობლის მიერ შვილის აღზრდისა და განათ-

<sup>16</sup> *Supra*, „Meyer“.

<sup>17</sup> იქვე.

ლების ფუნდამენტური უფლებაა, საკუთარი სინდისისა და ცხოვრებისეული მდგომარეობის მიხედვით.

სწორედ ფუნდამენტური უფლებების ლოგიკა ქმნის გონივრულობის იმ მასშტაბს, რომელიც თავისუფლების არსებით გარანტიასთან კანონის შესაბამისობის შემოწმების ლოჭნერისეულ სტანდარტში გხვდება. საპოლიციო უფლებამოსილებების ზოგადი მიზნები შეზღუდული და ამომწურავია, ხოლო თავისუფლების შეზღუდვის მიმართება ამ მიზნის მიღწევასთან ცხადი და პირდაპირი. მაიერის საქმეში სასამართლომ ვერ დაინახა საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროებისთვის საფრთხე იმაში, რომ იმიგრანტთა შვილები ისაუბრებდნენ მშობლების ენაზე და, შედეგად, შესაძლოა უარესად იქნებოდნენ ინტეგრირებული ამერიკულ საზოგადოებაში. რამდენადაც საფრთხე არაპირდაპირი და ჰიპოთეტურია, იმიგრანტებისთვის ინგლისურის სწავლებისა და ინტეგრაციის მიზანი გადაუდებლიდან სასურველად იქცევა და ვერ უძლებს შემოწმების ინტენსიურ სტანდარტს. კონსტიტუციური თავისუფლება არ შეიძლება მხოლოდ სასურველი მიზნებისთვის შეიზღუდოს, მათი შეზღუდვა მხოლოდ გადაუდებელი საჯარო მიზნებითაა შესაძლებელი.

მაიერის საქმეში სასამართლოს მიერ პერფექციონისტული და პატერნალისტური სახელმწიფოს კონსტიტუციური მიუღებლობა უფრო გვერდით, დაკავშირებულ შენიშვნებში ხდება. თუნდაც პლატონისა და სპარტელების ნახევრად შეფარვითი კრიტიკა შეუმცდარად წარმოაჩენს სასამართლო გადაწყვეტილების პათოსს. ალბათ იმის გათვალისწინებითაც, რომ მშობლის მიერ შვილისთვის განათლების მიცემის უფლებას შეეხება, მაიერი ლოჭნერზე უკეთესად უჩვენებს კონსტიტუციაში მოაზრებული თავისუფლების ღერძს – ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სახით. ადამიანის თავისუფლება საკუთარ ცხოვრებაზე მისივე მთავარ პასუხისმგებლობას გულისხმობს. თუმცა როგორც მაიერის, ისე „პირსი დების საზოგადოების წინააღმდეგ“ გვიჩვენებს განათლების უფლების მაგალითზე, რომ ინდივიდუალური პასუხისმგებლობა ატომიზებას არ გულისხმობს. მაიერის საქმეში მშობლის უფლება, „აკონტროლოს“ არასრულწლოვანი შვილის ცხოვრება და შეხედულებისამებრ აღზარდოს ის, არა მხოლოდ მშობლის უფლება, არამედ „ბუნებითი ვალდებულებაცაა“. „წესრიგით უზრუნველყოფილი თავისუფლების“ ამ კლასიკურ ცნებაში წესრიგი არა მხოლოდ დემოკრატიული კანონმდებლის მიერ მიღებული კანონებით იქმნება, არამედ უფრო ფართო საზოგადოებრივ წესრიგსაც გულისხმობს, სადაც ადამიანები და საზოგადოებრივი ინსტიტუტები უფლებებსა და მოვალეობებს ინაწილებენ. ნაწილი ამ უფლება-მოვალეობებისა ნებაყოფილობითი თანხმობითაა შექმნილი, ნაწილი

კი „ბუნებითად“ განიხილება – როგორც, მაგალითად, ოჯახში მშობლისა და შვილის უფლება-მოვალეობები.

პირსის საქმეში კიდევ ერთი ასეთი საზოგადოებრივი ინსტიტუტი, რელიგიური გაერთიანება ან მასთან დაკავშირებული ორგანიზაცია ჩნდება. საქმეში მხარედ წარმოდგენილი კორპორაცია ობოლთა თავშესაფრებს და კერძო სკოლებს ამუშავებს, სადაც მოსწავლეებს სისტემატურ მორალურ და რელიგიურ განათლებასაც აძლევს კათოლიციზმის სწავლების შესაბამისად. ორეგონის კანონი კი ავალდებულებს ყველა მშობელს, შვილი საჯარო სკოლას მიაბაროს. ამ კანონის მოქმედების შედეგად, საზოგადოების სკოლებს დახურვა, ბიზნესს და ქონებას კი განადგურება ემუქრება.

სასამართლოს სახელით გადაწყვეტილებას ისევ მოსამართლე მაკრეინოლდსი წერს:

„მაიერი ნებრასკას წინააღმდეგ საქმის დოქტრინის მიხედვით, ჩვენ სავესბით ცხადად მიგვაჩნია, რომ 1922 წლის აქტი არაგონივრულად ერევა მშობლებისა და მეურვეების თავისუფლებაში, წარმართონ საკუთარი ბავშვების აღზრდა და განათლება. როგორც აქამდე არაერთხელ აღგვინიშნავს, კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები არ უნდა შეიზღუდოს კანონმდებლობით, რომელსაც გონივრული კავშირი არ აქვს ხელისუფლების უფლებამოსილებაში შემავალ რომელიმე მიზანთან. თავისუფლების ფუნდამენტური თეორია, რომელსაც შეერთებულ შტატებში შემავალი ყველა ხელისუფლება უნდა შეესაბამებოდეს, გამორიცხავს ხელისუფლების ზოგადი უფლებამოსილების არსებობას, რომლითაც ის ბავშვების სტანდარტიზებას შეძლებს მათთვის მხოლოდ საჯარო მასწავლებლებისგან განათლების მიღების დაძალებით. ბავშვი არ არის ხელისუფლების უბრალო ქმნილება. მათ ვინც აღზრდიან მას და მის ბედს წარმართავენ, აქვთ უფლება, დაწყვილებულ უმალლეს მოვალეობასთან ერთად, რომ ასწავლონ მათ და მოამზადონ დამატებითი მოვალეობებისთვისაც“.<sup>18</sup>

პირსის საქმეში სასამართლო გადაწყვეტილების ეს პარაგრაფი ალბათ ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი დაგმობაა სახელმწიფო პატერნალიზმისა, რომელიც სასამართლოს გამოუთქვამს. თავისუფლების საყრდენი და საპირწონე „მონესრიგებული თავისუფლების“ ამ ცნებაში არა მხოლოდ ცალკე აღებული ინდივიდი, არამედ თავისუფალი ინდივიდებისა და ინსტიტუტებისგან (გაერთიანებებისგან) შემდგარი სოციალური წესრიგია. ინდივიდის თავისუფლებას მყარი საყრდენი აქვს გონივრულ საზოგადოებრივ წესრიგში და სწორედ ამ

<sup>18</sup> *Supra*, „Pierce“.

ადგილიდან უპირისპირდება ხელისუფლების მიერ თავისუფლებაზე დანესებულ არაგონივრულ შეზღუდვებს.

სწორედ საზოგადოებრივი წესრიგის და ამ წესრიგით უზრუნველყოფილი თავისუფლების ასეთ ფართო გაგებას უპირისპირდება მოსამართლე ჰოლმის განსხვავებულ აზრებში განვითარებული კრიტიკის ხაზი. მაიერის და მისი თანმხლები ბარტელსის საქმეში ჰოლმის განსხვავებული აზრი აგრძელებს ლოჩნერის განსხვავებულ აზრში დანყებულ საქმეს. ერთი შეხედვით, ამ განსხვავებულ აზრშიც ლოჩნერის განსხვავებული აზრის მსგავსად, ჰოლმის იმავე სტანდარტს იყენებს – თავისუფლების შეზღუდვის გონივრულობას ამოწმებს. თუმცა გონივრულობის სტანდარტის ჩოლმისიეული ვერსია არსებითად გამოფიტულია და დემოკრატიული კანონმდებლის, უფრო კი მისი მამოძრავებელი დომინანტი საზოგადოებრივი აზრისადმი მოკრძალებითაა გამსჭვალული. ბარტელსისა და მაიერის საქმეში ჰოლმისთვის მთავარია, რომ ნებრასკას კანონს უცხო ენების სწავლების აკრძალვაზე მიზანი გააჩნია. მიზნის არსებობა ჰოლმისთვის გადამწყვეტია. მას არ აინტერესებს ამ მიზნის შეფასება კონსტიტუციური ღირებულებების სკალაზე, ეს, მისი აზრით, დემოკრატიული კანონმდებლის საქმეა.

### **ე. თავისუფლებისა და ავტონომიის დაცვა „ჯეროვანი პროცედურის“ კლაუზულის მიღმა**

1970-იან წლებამდე, სანამ აშშ-ის უზენაესი სასამართლო კვლავ ღიად არ დაუბრუნდებოდა „ჯეროვანი პროცედურის“ არსებით გარანტიას როგორც თავისუფლების რეზიდუალურ კონსტიტუციურ ნორმას, სასამართლოს რამდენიმე არათანმიმდევრული მცდელობა ჰქონდა განსხვავებული სტრატეგიით დაეცვა პირადი ცხოვრებისა და ავტონომიის კონკრეტული კონსტიტუციური უფლებებით დაუცველი გარანტიები. ერთი ასეთი სტრატეგია გახლდათ კანონის წინაშე თანასწორობის კლაუზულის გამოყენება არსებითი უფლების დასაცავად, ხოლო მეორე უფრო ცნობილი, „გრისვოლდი კონექტიკუტის წინააღმდეგ“ საქმეზე გადანყვეტილების სტრატეგია, თავისუფლების ახალი გარანტიის ამოკითხვა სხვა კონსტიტუციური უფლებების „ჩრდილოვანი ნაწილებიდან“.<sup>19</sup>

პირადი თავისუფლებისა და ავტონომიის კონსტიტუციური ადგილის ამგვარი ამბივალენტურობის ცხადი მაგალითი არის 1942 წლის გადანყვეტილება საქმეზე „სკინერი ოკლაჰომას წინააღმდეგ“.<sup>20</sup> საქმეში გასაჩივრებული იყო

<sup>19</sup> Griswold v. Connecticut, 381 U.S. 479 (1965) „Griswold“

<sup>20</sup> Skinner v. State of Oklahoma, ex rel. Williamson, 316 U.S. 535 (1942).

ოკლაჩომას კანონი, რომელიც ე.წ. „ჩვევით დამნაშავეების“, ანუ ცალკეულ დანაშაულებში რეციდივის მქონე პირების სავალდებულო სტერილიზაციას ითვალისწინებდა.

მოსამართლე დუგლასის მიერ გამოტანილი სასამართლოს უმრავლესობის გადანყვეტილება კანონს არაკონსტიტუციურად მიიჩნევს და აუქმებს, ოღონდ არა კონსტიტუციურ თავისუფლებასთან, არამედ კანონის წინაშე თანასწორი დაცვის კლაუზულასთან მიმართებით. მოსარჩელე პირველად ქათმების ქურდობისთვის, ხოლო შემდეგ, ორჯერ კი, ძარცვისთვის იყო ნასამართლელი და კანონით სავალდებულო სტერილიზაციას ექვემდებარებოდა. მოსამართლე დუგლასისა და სასამართლოს უმრავლესობისთვის გაუგებარი იყო გონივრული გამართლება ცალკეული დანაშაულების, მაგალითად გაფლანგვის გამორიცხვისა კანონის მოქმედებიდან. კანონის მიხედვით, 20 დოლარის მითვისება დანაშაულის რეციდივს შექმნიდა სხვა დანაშაულებთან ერთად, მაშინ როდესაც 20 დოლარზე მეტის გაფლანგვა არა. ერთ შემთხვევაში სტერილიზაციის გამოყენება, ხოლო მეორე შემთხვევაში კი არა, სასამართლოსთვის აშკარად არღვევდა მე-14 შესწორებით განმტკიცებულ თანასწორობის გარანტიას.

სკინერის გადანყვეტილების დასაბუთება შემდეგ ელემენტებზეა აგებული – ქორწინება და გამრავლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა (თუმცა მოსამართლე დუგლასი თავს იკავებს მიუთითოს, თუ კონსტიტუციის რომელი ნორმა იცავს ამ ფუნდამენტურ უფლებას); შესაბამისად, სასამართლომ უნდა გამოიყენოს მკაცრი შეფასების ტესტი განსხვავებული მოპყრობის შემონმებისას; მკაცრი შემონმების სტანდარტის მიხედვით, დაუშვებელია, სახელმწიფომ არსებითად მსგავსი დანაშაულის ჩამდენ პირებთან მიმართებით, ერთ შემთხვევაში უარი თქვას, ხოლო მეორე შემთხვევაში მიიღოს სტერილიზაციის გადანყვეტილება.

მიუხედავად სასამართლოს აქცენტისა, რომ გასაჩივრებული კანონი ფუნდამენტურ თავისუფლებაში ერევა, რომლის ბოროტად გამოყენებასაც შეიძლება ადამიანისა და საზოგადოების თავისუფლებისთვის გამოუსწორებელი შედეგები მოჩვენებს, სასამართლო გვერდს უვლის არსებითი საკითხის შეფასებას – მოიცავს თუ არა შტატების „საპოლიციო უფლებამოსილება“ ადამიანის თავისუფლებაში ისეთ ჩარევას, როგორიც სტერილიზაცია და ადამიანისთვის გამრავლების შანსის სამუდამო მოსპობაა. მოსამართლე დუგლასის მინიშნებით, სასამართლო საქმეს თანასწორობის გარანტიის საფუძველზე წყვეტს, რამდენადაც, მისი დარღვევა იმდენად აშკარა და მძიმეა, რომ უფრო ღრმა არსებით არგუმენტზე გადასვლა აღარ არის საჭირო.

თუმცა სასამართლოს თავმჯდომარე სტოუნისა და მოსამართლე ჯექსონის თანმხვედრი აზრები ცხადს ხდის ამ დასაბუთების არამყარობას.

პირველ რიგში, გასაჩივრებული კანონით შეზღუდული თავისუფლების ფუნდამენტურ უფლებად აღიარება უხსნის გზას მკაცრი ტესტის გამოყენებას და შესაძლებელს ხდის თანასწორობის ინტენსიურ ანალიზს. ფუნდამენტური უფლების შეზღუდვის გარეშე, ხელისუფლების მიერ დანაშაულების მიხედვით განსხვავებული კლასიფიკაცია ადვილად გადალახავდა გონივრული საფუძვლის ტესტს. ამას თავად მოსამართლე დუგლასის მიერ შესაბამისი იურიპრუდენციის მიმოხილვაც ადასტურებს. მეორეც, როგორც მოსამართლე სტოუნი ამბობს: „თუ ოკლაჰომას შეუძლია, მიმართოს დამნაშავეების სტერილიზაციას იმ დაშვებით, რომ მათი მიდრეკილებები მემკვიდრეობით გადაეცემა მომავალ თაობებს, მე სერიოზულად ვეჭვობ, რომ თანასწორი დაცვის კლაუზულა მოითხოვს, ეს ზომა ან ყველა დამნაშავის მიმართ იყოს გამოყენებული ან არც ერთის“.<sup>21</sup>

ფუნდამენტური კითხვა აქ სახელმწიფოს მიერ ადამიანების სტერილიზაციის უფლებამოსილებაა ზოგადად და არა ის, სახელმწიფო ყველა დამნაშავეს სტერილიზაციას დაუქვემდებარებს თუ არა. უთანასწორო მოპყრობა აქ პრობლემის მხოლოდ ერთი მცირე ნაწილია, რომელიც თავისუფლების ფუნდამენტურ პრობლემებს პასუხგაუცემელს ტოვებს. უფრო მჭიდრო გამოკვლევის შემთხვევაში თავად ეუგენიკის ფსევდო-სამეცნიერო გამართლება არის იმდენად არაგონივრული, რომ მის საფუძველზე გონივრული კლასიფიკაცია საერთოდ შეუძლებელია.

როგორც სასამართლოს თავმჯდომარე სტოუნი წერს, სულ მცირე, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას იმის დაშვებად მიღება, რომ კონკრეტული დანაშაულის ჩამდენი კონკრეტული ადამიანები საზოგადოებისთვის საშიშ მიდრეკილებებს მემკვიდრეობით გადასცემენ. თუ ამის სათანადო სიცხადით საკანონმდებლო დონზე გადაწყვეტა შეუძლებელია, მაშინ როგორც მოსამართლე სტოუნი აცხადებს, „ჯეროვანი პროცედურის გარანტიის“ პროცესუალური ნაწილი უფლებას აძლევს დამნაშავეს, ამტკიცოს, რომ მის კონკრეტულ გარემოებებში სტერილიზაციის გამოყენება გაუმართლებელია. ამრიგად, მოსამართლე სტოუნი ოკლაჰომას კანონს არა თანასწორობის კლაუზულის, არამედ „ჯეროვანი პროცედურის“ კლაუზულის პროცესუალური ფრთის ქვეშ გააუქმებდა. თუმცა ესეც პრობლემის სანახევრო გადაწყვეტაა, რამდენადაც „ჯეროვანი პროცესის“ პროცესუალური გარანტია იცავს მხოლოდ კონსტიტუციურად იდენტიფიცირებად „თავისუფლების, სიცოცხლის ან საკუთრების“ ინტერესს.

<sup>21</sup> იქვე. მოსამართლე სტოუნის თანმხვედრი აზრი.

აღნიშნული ინტერესის პოვნა კი სტერილიზაციის შემთხვევაში რთულია უფლებათა ბილის რომელიმე ადგილას, თუ ისევე ჯეროვანი პროცედურის გარანტიაში სიტყვა „თავისუფლებას“ არ მივადევით.

პრობლემის სრული მასშტაბი სრულად მხოლოდ მოსამართლე ჯექსონს აქვს წარმოდგენილი. ის ეთანხმება როგორც მოსამართლე დუგლასს, ისე სასამართლოს თავმჯდომარე სტოუნს, რომ კანონი არღვევს თანასწორობის და „ჯეროვანი პროცედურის“ კლავზულის პროცესუალურ ნაწილს. თუმცა მოსამართლე ჯექსონს მიაჩნია, რომ ეს საფუძველები ურთიერთგამომრიცხავი არ არის, პირიქით, ისინი აქტის არაკონსტიტუციურობას ერთად ქმნიან. მოსამართლე ჯექსონს მიაჩნია, რომ ეს წინააღმდეგობანი პრობლემის მხოლოდ ნაწილია. მოსამართლე ჯექსონის აზრით: „არსებობს ზღვარი, რომელშიც საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილმა უმრავლესობამ შეიძლება ჩაატაროს ბიოლოგიური ექსპერიმენტები უმცირესობის ბუნებითი შესაძლებლობების, ღირსებისა და პიროვნების ხარჯზე, მათ ხარჯზეც კი, ვინც ჩაიდინეს უმრავლესობის მიერ დანაშაულად დადგენილი ქმედებები. იმის მიუხედავად, რომ ამ საქმეში გასაჩივრებული აქტი ბათილდება მანამ, სანამ ამ მთავარი საკითხის განხილვას მივალწევთ, ამ საკითხს წამოვჭრი იმიტომ, რომ თავიდან ავირიდო შედეგი – თითქოს ეს კითხვა საერთოდ არ იდგეს, იმის გამო რომ ის არ განხილულა“.<sup>22</sup>

საქმეში „გრისვოლდი კონეკტიკუტის წინააღმდეგ“<sup>23</sup> სასამართლოს უმრავლესობა წინ აღუდგა ზენოლას, დაებრუნებინა ლოჰნერის სტანდარტი კონსტიტუციური თავისუფლების მასშტაბად. გრისვოლდის საქმეში გასაჩივრებული იყო კონეკტიკუტის შტატის კანონი, რომელიც დაქორწინებულ წყვილებს კონტრაცეპციას უკრძალავდა. მოსარჩელე გრისვოლდი ოჯახის დაგეგმვის პრაქტიკას მისდევდა, წყვილებისთვის კონტრაცეპციის მიწოდების ჩათვლით და ამ საქმიანობისთვის გაასამართლეს.

მსჯელობის დასაწყისშივე მოსამართლე დუგლასმა უარყო ლოჰნერის სტანდარტის გამოყენების შესაძლებლობა. „ჩვენ არ ვმუშაობთ როგორც სუპერსაკანონმდებლო ორგანო, რომ განვსაზღვროთ იმ კანონების სიბრძნე, საჭიროება და სათანადოობა, რომლებიც ეკონომიკურ პრობლემებს, ბიზნეს საქმიანობას ან სოციალურ პირობებს შეეხება. თუმცა ეს კანონი მოქმედებს პირდაპირ ცოლისა და ქმრის ინტიმურ ურთიერთობაზე და მათი ექიმის როლზე ამ ურთიერთობის ერთ ასპექტზე“.<sup>24</sup>

<sup>22</sup> იქვე. მოსამართლე ჯექსონის თანმხვედრი აზრი.

<sup>23</sup> *Supra*, „Griswold“.

<sup>24</sup> იქვე.

აქაც მოსამართლე დუგლასი იმეორებს ლოჰნერის საქმეზე ჰოლმის განსხვავებული აზრიდან მომდინარე არგუმენტს, ლოჰნერის სტანდარტის ეკონომიკური თავისუფლებით შემოზღუდვის შესახებ. თავისი არგუმენტის შემდეგ სტადიაზე დუგლასს მოჰყავს მაიერის და პირსის საქმეები, ოღონდ არა როგორც სასამართლოს მიერ ლოჰნერის სტანდარტის გამოყენების შემთხვევები, არამედ როგორც მაგალითები, თუ როგორ ამოიკითხა სასამართლომ კონსტიტუციაში ტექსტუალურად პირდაპირ არნახსენები ფუნდამენტური უფლებები. მოსამართლე დუგლასი გვათავაზობს მაიერისა და პირსის საქმის პრეცედენტების იმგვარ კონსტრუქციას, რომელიც მის არგუმენტაციულ სტრატეგიას გაამართლებს. ის ამტკიცებს, რომ ამ საქმეებში სასამართლომ მშობლის მიერ შვილების აღზრდისა და განათლების უფლება არა მე-14 შესწორების ჯეროვანი პროცედურის კლაუზულის სიტყვა „თავისუფლებიდან“, არამედ პირველი შესწორებით დაცული სიტყვის თავისუფლებიდან აწარმოა.

მოსამართლე დუგლასი აგრძელებს პირველი შესწორების იურისპრუდენციაზე მსჯელობას და განიხილავს მათ შორის გაერთიანების თავისუფლების ელემენტებს, სადაც გაერთიანებისთვის სახელმწიფოს მიერ ნევრთა სიების გადაცემის მოთხოვნა ამ თავისუფლების არაკონსტიტუციურ შეზღუდვად ჩაითვალა. მოსამართლე დუგლასი ასკვნის, რომ „[აშშ-ის კონსტიტუციის] პირველ შესწორებას აქვს ჩრდილოვანი ნაწილი, სადაც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა („პრივატულობა“) სახელმწიფო ჩარევისგან არის დაცული“.<sup>25</sup>

მოსამართლე დუგლასს მიაჩნია, რომ ასეთი „ჩრდილოვანი ნაწილი“ აქვს არა მხოლოდ პირველ, არამედ უფლებათა ბილში შემავალ დანარჩენ შესწორებებსაც: „უფლებათა ბილის სპეციფიკურ გარანტიებს აქვთ ჩრდილოვანი ნაწილები, რომლებიც იქმნებიან ამ გარანტიებიდან გამომდინარე და ეს გარანტიები აძლევენ მათ შინაარსსა და სიცოცხლეს. მრავალი ასეთი გარანტია ქმნის „პრივატულობის (ხელშეუხებელი პირადი ცხოვრების) ზონებს“.<sup>26</sup>

<sup>25</sup> იქვე.

<sup>26</sup> იქვე. „როგორც ვნახეთ, ერთი ასეთი უფლება გაერთიანების თავისუფლებაა, რომელიც პირველი შესწორების ჩრდილოვან ნაწილშია მოცემული. მესამე შესწორება, რომელიც კრძალავს ჯარისკაცთა სავალდებულო დაბინავებას მშვიდობიანობის დროს პატრონის თანხმობის გარეშე, ასეთი ხელშეუხებელი პირადი სივრცის კიდევ ერთი ასპექტია. მეოთხე შესწორება ნათლად განამტკიცებს „ადამიანების უფლებას მათი პიროვნება, სახლი, მიმოწერა და ქონება დაცული იყოს არაგონივრული ჩხრეკისგან ან ჩამორთმევისგან.“ მეხუთე შესწორება საკუთარი თავის წინააღმდეგ ბრალის აღიარებით, ჩვენებაზე უარის გარანტიით, მოქალაქეს შესაძლებლობას აძლევს, შექმნას ხელშეუხებელი პირადი ზონა, სადაც მთავრობას არ შეუძლია, აიძულოს იგი, დანებდეს საკუთარი თავის საზიანოდ. მეცხრე შესწორება კი ითვალისწინებს: „კონსტიტუციაში ცალკეული უფლებების გან-



გრისვოლდის საქმეზე სასამართლოს უმრავლესობა ასკვნის, რომ „წინამდებარე საქმე, მაშასადამე, შეეხება ურთიერთობას, რომელიც რამდენიმე ფუნდამენტური კონსტიტუციური გარანტიით შექმნილ ხელშეუხებელ პირად ზონაში მდებარეობს და შეეხება კანონს, რომელიც კრძალავს რა კონტრაცეპტივების გამოყენებას და არა მათ წარმოებას ან გაყიდვას, ესწრაფვის, მიაღწიოს საკუთარ მიზნებს ამ ურთიერთობისთვის ყველაზე გამანადგურებელი საშუალებებით. ამგვარ კანონს არ შეუძლია ძალაში დარჩეს ნაცნობი პრინციპის შუქზე, რომელსაც ეს სასამართლო ასე ხშირად იყენებს და რომლის მიხედვითაც, ხელისუფლების მიზანი, გააკონტროლოს ან აღკვეთოს მოქმედებები, რომლებიც კონსტიტუციურად შტატის რეგულირებას ექვემდებარება, არ შეიძლება მიღწეული იყოს ისეთი საშუალებებით, რომლებიც უსარგებლოდ ფართოა და დაცული თავისუფლებების არეალში იჭრება. დავუშვებდით კი, პოლიციას გაეჩხრიკა საოჯახო საძინებლების წმინდა სივრცეები იმისთვის, რომ კონტრაცეპტივების გამოყენების ნიშნები აღმოეჩინა? ამის გაფიქრებაც კი შეურაცყოფს ქორწინებასთან დაკავშირებული ხელშეუხებელი პირადი სივრცის ცნებას“.

გრისვოლდის საქმის მოცემული მსჯელობა ნათლად წარმოაჩენს რადიკალურ გამიჯვნას პირსის საქმეში გამოყენებული სტანდარტისგან. გავიხსენოთ, რომ პირსის საქმეში სასამართლო ერთიანობაში ხედავს მშობლის უფლებას, აღზარდოს შვილი თავისი შეხედულებებით, მოსარჩელე ორგანიზაციის ეკონომიკურ ინტერესთან მშობლებისთვის შეექმნათ განათლების ამგვარი პლატფორმა. გრისვოლდს თავისი, როგორც ექიმის საქმიანობის ეკონომიკურ ასპექტზე რომ გაემახვილებინა ყურადღება, წარმატებას ვერ მიაღწევდა. სასამართლოსთვის გადამწყვეტი ის იყო, რომ გრისვოლდის საქმიანობა დაქორწინებული წყვილის პირადი და ოჯახური სივრცის განსაკუთრებით ინტიმურ ნაწილს უკავშირდებოდა, რომელში ჩარევაც თითქმის კატეგორიულად გამორიცხა.

გრისვოლდის საქმეში სასამართლომ პირადი და ოჯახური ცხოვრების მნიშვნელოვანი სივრცე გამოყო და განსაკუთრებული კონსტიტუციური დაცვა გაითვალისწინა. აღნიშნული დაცვის კონსტიტუციური საფუძველი იმდენად ბუნდოვანად და „მისტიკურად“ ჩამოაყალიბა „ჩრდილოვანი ნაწილების“ არგუმენტაციაში, რომ „ჯეროვანი პროცესის“ არსებითი გარანტიის კონსტიტუციურ დოქტრინაში რეაბილიტაციის აუცილებლობა გააჩინა.

---

საზღვრა არ შეიძლება გაგებულ იქნეს ისე, რომ დაკნინდეს ან უარყოფილ იქნეს ხალხის მიერ შენარჩუნებული სხვა უფლებები“.

**ვ. „ჯეროვანი პროცედურის არსებითი გარანტიის“  
საფუძველზე თავისუფლების გაფართოების დოქტრინული და  
პრაქტიკული პრობლემები**

„ჯეროვანი პროცედურის“ კლაუზულის არსებითი გარანტიის ფარგლებში დაცული პირადი თავისუფლებისა და ავტონომიის იურისპრუდენციაში უთანხმოების მთავარი ხაზი თავისუფლების ინდივიდუალისტურ და სოციალურ წესრიგზე ორიენტიერებულ ცნებებს შორის დაპირისპირებაზე გადის. აღნიშნული დავა არა მხოლოდ კონსტიტუციური იურისპრუდენციის დონეზე არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი, არამედ ფართო პოლიტიკური და ინსტიტუციური უთანხმოების საგანია აშშ-ის საზოგადოებაში.

პირადი თავისუფლებისა და ავტონომიის ყველაზე რადიკალურად ინდივიდუალისტური ხედვა 1992 წლის ქეისის გადაწყვეტილებაში არის წარმოდგენილი,<sup>27</sup> რომლის ყველაზე უფრო ხშირად გაკრიტიკებული ნაწილი მოსამართლე ენტონი კენედის ეკუთვნის (სასამართლოს უმრავლესობის აზრს სამი ავტორი ჰყავს. კენედისთან ერთად ესენი არიან მოსამართლეები სანდრა დეი ო'კონორი და დევიდ სუტერი). ქეისის საქმეში სასამართლოს 5 წევრიანმა უმრავლესობამ გაუქმებას გადაარჩინა 1973 წლის პრეცედენტი როუ ვეიდის წინააღმდეგ საქმეზე,<sup>28</sup> რომელმაც ორსულობის პირველ ტრიმესტრში ქალის არჩევანი აბორტზე მისი კონსტიტუციურად დაცული თავისუფლების ნაწილად გამოაცხადა.

ქეისის საქმეში სასამართლომ შეინარჩუნა და განამტკიცა ის, რასაც თავად უწოდა როუს საქმის „არსებითი გადაწყვეტა“.<sup>29</sup> სასამართლოს უმრავლესობის თანახმად, ქალის ეს უფლება „ჯეროვანი პროცედურის“ კლაუზულით გათვალისწინებული თავისუფლებითაა დაცული. სასამართლო მიმოიხილავს

<sup>27</sup> Planned Parenthood v. Casey, 505 U.S. 833 (1992) „Casey“

<sup>28</sup> Roe v. Wade, 410 U.S. 113 (1973).

<sup>29</sup> Supra, „Casey“, სასამართლოს მიხედვით, „როუს არსებითი გადაწყვეტა“ ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: „პირველი, ესაა ქალის უფლების აღიარება, ჩაიტაროს აბორტის პროცედურა ნაყოფის დამოუკიდებელ სიცოცხლისუნარიანობამდე სახელმწიფოს მხრიდან „არაჯეროვანი ტვირთის დაწესების“ გარეშე. ნაყოფის დამოუკიდებელ სიცოცხლისუნარიანობის მიღწევამდე შტატის ინტერესები საკმარისად ძლიერი არაა, რომ აბორტის აკრძალვის ან ქალის მხრიდან ამ პროცედურის არჩევაზე არსებითი წინააღობის დაწესების არგუმენტად გამოდგეს. მეორე, არის დადასტურება შტატის უფლებამოსილებისა, შეზღუდოს აბორტი ნაყოფის დამოუკიდებელი სიცოცხლისუნარიანობის მიღწევის შემდეგ, თუ კანონი მოიცავს გამონაკლისებს ორსულობისთვის, რომელიც საფრთხეს უქმნის ქალის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და მესამე პრინციპის მიხედვით, შტატს ორსულობის დასაწყისიდან აქვს ლეგიტიმური ინტერესი, დაიცვას ქალის ჯანმრთელობა და ნაყოფის სიცოცხლე, რომელიც შეიძლება ბავშვი გახდეს. ეს პრინციპები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება და ჩვენ თითოეულ მათგანს მივყვებით“.

შესაბამის იურისპრუდენციას და უარს ამბობს თავისუფლების აღნიშნული გარანტიის შეზღუდვითი განმარტების ორ ყველაზე გავრცელებულ არგუმენტზე – პირველი, რომ მე-14 შესწორების ჯეროვანი პროცედურის გარანტიით დაცული თავისუფლება მოიცავს მხოლოდ უფლებათა ბილით დაცულ სპეციფიკურ გარანტიებს, ახდენს მათ „ინკორპორაციას“ და სავალდებულოს ხდის არა მხოლოდ ფედერალური ხელისუფლებისთვის, არამედ შტატებისთვისაც და მეორე გარანტია იცავს მხოლოდ იმ თავისუფლებებს, რომლებიც შესწორების რატიფიკაციის დროს იყო აღიარებული შტატების სამართლებრივი სისტემების მიერ.

ინკორპორაციის დოქტრინა სასამართლოს მიერ შტატებზე უფლებათა ბილის გავრცელების მთავარი კონსტიტუციური საფუძველია, თუმცა ჯეროვანი პროცედურის კლაუზულის თავისუფლების გარანტიის შემთხვევაში ის ზედმეტად შემზღუდველი ხდება დაცული თავისუფლების სფეროს განსაზღვრისას და, შესაბამისად, არ გამოიყენება. ამის სანაცვლოდ, სასამართლოს უმრავლესობა ქეისის საქმეში ციტირებს მოსამართლე ჰარლანის მიდგომას პო ულმანის წინააღმდეგ საქმის განსხვავებული აზრიდან. ჩარლანის აზრით, კონსტიტუციური თავისუფლების შინაარსის განსაზღვრა მე-14 შესწორების მიხედვით, სასამართლოს „დასაბუთებული გადანყვეტილების“ შედეგად ხდება.<sup>30</sup>

მიმოიხილავს რა სასამართლოს წინა გადანყვეტილებებს, უმრავლესობის აზრი ასკვნის, რომ აბორტი მიეკუთვნება პერსონალური თავისუფლების ყველაზე უფრო ინტიმურ სფეროს, რომელსაც თავისუფლების დაცვის ქვეშ მოაქცევს. სასამართლოს არგუმენტაციის მთავარი ხაზი ეყრდნობა მტკიცებას, რომ პერსონალური თავისუფლების ამ უაღესად ინტიმურ სფეროში, სადაც ადამიანებს შორის შესაძლოა არსებობდეს კეთილსინდისიერი და გულწრფელი მორალური უთანხმოება, სახელმწიფომ არ უნდა აიძულოს ესა თუ ის არჩევანი. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო სახელმწიფო ჩარევის წონად გამართლებას მხოლოდ იმ მომენტიდან ხედავს როცა ფეტუსი დამოუკიდებელ სიცოცხლისუნარიანობას მიაღწევს.<sup>31</sup>

<sup>30</sup> იქვე. ჰარლანის აზრით, რომელსაც ქეისის საქმის უმრავლესობა ციტირებს: „ჯეროვანი პროცედურის დაყვანა რაიმე ფორმულაზე არ მომხდარა, მისი შინაარსი არ შეიძლება რაიმე კოდექსზე მითითებით განისაზღვროს. ყველაზე უკეთესი, რაც შეიძლება ითქვას, არის ის, რომ სასამართლო გადანყვეტილებების მეშვეობით ჯეროვანი პროცედურის იურისპრუდენცია ქმნიდა ბალანსს, რომელსაც ჩვენი ინდივიდის თავისუფლების პატივისცემის პოსტულატზე დაფუძნებული ერი, თავისუფლებასა და ორგანიზებული საზოგადოების მოთხოვნებს შორის პოულობდა“.

<sup>31</sup> იქვე. სასამართლოს დასაბუთება ქალის თავისუფლებისა და ავტონომიის ფარგლებზე აბორტის დროს შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: „ქალები და კაცები კეთილსინ-

სხვა მხრივ, პირადი თავისუფლების ეს სფერო მნიშვნელოვნად შეუვალია: „ეს საკითხები მოიცავენ ყველაზე უფრო ინტიმურ პიროვნულ არჩევანს, რომლებიც ადამიანმა შეიძლება ცხოვრების მანძილზე გააკეთოს, არჩევანს რომლებიც ცენტრალურია პიროვნული ღირსებისა და ავტონომიისთვის, ასევე ცენტრალურია თავისუფლებისთვის, რომელიც დაცულია მეთოთხმეტე შესწორების მიხედვით. თავისუფლების გულს ქმნის უფლება, განსაზღვრო ყოფის, არსის, სამყაროსა და ადამიანის სიცოცხლის საიდუმლოს საკუთარი ცნებები. ამ საკითხებთან დაკავშირებული რწმენები ვერ განსაზღვრავდნენ პიროვნების ატრიბუტებს, თუ ისინი სახელმწიფოს იძულებით იქნებოდნენ ჩამოყალიბებული“.<sup>32</sup>

ეს უკანასკნელი პარაგრაფი მოსამართლე კენედის ავტორობით არის ყველაზე ხშირად გაკრიტიკებული – ინდივიდუალისტური ელემენტი კონსტიტუციური თავისუფლების ამ განსაზღვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო აღიარებს აბორტის მორალურ და პიროვნულ შედეგებს არა მხოლოდ ქალზე, არამედ მის ოჯახზე, აბორტის პროცედურის შემსრულებლებზე თუ სხვა მონაწილეებზე, ისე ზოგადად საზოგადოებაზე, საბოლოო

---

დისიერად ვერ თანხმდებიან და ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ყოველთვის ვერ შეთანხმდებიან ორსულობის შეწყვეტის ღრმა სულიერ და მორალურ შედეგებზე, თვით ორსულობის ყველაზე ადრეულ სტადიაზეც კი. ზოგიერთი ჩვენგანი როგორც ადამიანი აბორტს ჩვენი მორალის ყველაზე ბაზისური პრინციპების შეურაცყოფად მიიჩნევს, თუმცა ამას არ შეუძლია განსაზღვროს ჩვენი დღევანდელი გადანყვეტილება. ჩვენი ვალდებულებაა, განვსაზღვროთ თავისუფლება ყველასთვის და არა ჩვენი საკუთარი მორალური კოდექსი მოვახვიოთ თავს. ძირითადი კონსტიტუციური საკითხი შეეხება იმას, შეუძლია თუ არა ხელისუფლებას, გადაჭრას ეს ფილოსოფიური კითხვები იმდენად საბოლოოდ, რომ ქალს ნაართვას ყველა არჩევანი ამ საკითხზე, გარდა ალბათ იმ იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ორსულობა თავად ქალის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს, ან გაუპატიურების, ან ინცესტის შედეგია. ჩვეულებითი კონსტიტუციური დოქტრინაა, რომ იქ, სადაც გონიერი ხალხი ვერ თანხმდება ხელისუფლებას, შეუძლია ნებისმიერი პოზიციის არჩევა. თუმცაღა ეს თეორემა ისეთ მდგომარეობას იღებს ნაგულისხმევად, როცა არჩევანი არ იჭრება დაცულ თავისუფლებაში. ამრიგად, მაშინ როდესაც ზოგი ადამიანი შეიძლება ვერ თანხმდებოდეს, მისეალმოს თუ არა დროშას, ან შეურაცყოს თუ არა დროშა, ჩვენ დავდგინეთ, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია ამათგან ერთი ან მეორე შეხედულების იძულება ან აღსრულება. ჩვენი სამართალი კონსტიტუციურად იცავს პიროვნულ გადანყვეტილებებს, რომლებიც შეეხება ქორწინებას, გამრავლებას, კონტრაცეფციას, საოჯახო ურთიერთობებს, ბავშვის აღზრდას და განათლებას. ჩვენი გადანყვეტილებები აღიარებენ „როგორც მარტოხელა ისე დაქორწინებული ინდივიდის უფლებას, თავისუფალი იყოს გაუმართლებელი სახელისუფლებლო ჩარევისგან ისეთ საკითხებზე, რომელიც იმგვარ ფუნდამენტურ გავლენას ახდენს მის პერსონაზე, როგორცაა გადანყვეტილება, ჰყავდეს თუ არა შვილი. ჩვენი პრეცედენტები პატივს სცემენ „ოჯახის კერძო სფეროს, სადაც სახელმწიფოს შესვლა არ შეუძლია“.

<sup>32</sup> იქვე.

ანგარიშში წონასწორობის წერტილის ძიება მხოლოდ ქალის ავტონომიასა და ხელისუფლების იძულების უფლებამოსილებას შორის ხდება.

კონსერვატორი კრიტიკოსებისთვის განსაკუთრებით ანათემის ტოლფასია ამ პარაგრაფში აღიარებული ინდივიდის სინდისის თავისუფლების ისეთი გაგება, რომელიც ადამიანს სიცოცხლეზე და მის ღირებულებაზე მორალური არჩევანის გაკეთების თავისუფლებას აძლევს. ამ კრიტიკოსებისთვის თავისუფლება, სულ მცირე, „მონესრიგებული თავისუფლების“ ცნებაშია მოქცეული, სადაც ადამიანს როგორც საზოგადოებრივი წესრიგის სუბიექტს, გარკვეული მორალური სტატუსი და ვალდებულებები გააჩნია, რომელიც მისი სინდისის თავისუფლების ფარგლებში გადასინჯვას არ ექვემდებრება.

კონსერვატორული რეაქცია ქეისის გადაწყვეტილების ამ ყველაზე უფრო წინააღმდეგობრივ ნაწილზე მალევე გამოჩნდა სასამართლოს მიერ რამდენიმე წლის შემდეგ ევთანაზიის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში, საქმეში „ვაშინგტონი გლუკსბერგის წინააღმდეგ“.<sup>33</sup> ამ საქმეში გასაჩივრებული იყო ვაშინგტონის შტატის კანონმდებლობა, რომლითაც აქტიური ევთანაზია სისხლის სამართლის წესით ისჯებოდა. ფედერალურმა პირველი ინსტანციის და სააპელაციო სასამართლოებმა, ქეისის და კრუზანის<sup>34</sup> (პასიური ევთანაზიის – პაციენტისთვის სიცოცხლის შემანარჩუნებელი მკურნალობის შეწყვეტის დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილება) გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით დაადგინეს, რომ ჯეროვანი პროცედურის კლაუზულის არსებითი გარანტიით დაცული თავისუფლება მოიცავდა როგორც სიკვდილის უფლებას, ასევე თვითმკვლელობაში დახმარების უფლებასაც.

სასამართლოს თავმჯდომარე რენქვისტისთვის მთავარი იყო ქეისის პრეცედენტის დაძლევის გარეშე არ გამოეყენებინა მისი დასაბუთების მთავარი ელემენტები, განსაკუთრებით კი ის ნაწილი, რომელიც ადამიანის ავტონომიის სფეროში მოაქცევს სიცოცხლის ღირებულების შესახებ გადაწყვეტილებებს. რენქვისტის სტრატეგიაში არა მხოლოდ მსჯელობის ამ ხაზის უგულებელყოფა იყო მნიშვნელოვანი, არამედ ჯეროვანი პროცედურის არსებითი ნაწილის ანალიზის შემზღუდავი ინტერპრეტაციის ტექნიკის განმტკიცებაც.

შესაბამისად, სასამართლოს თავმჯდომარე რენქვისტის მოსაზრებით, ჯეროვანი პროცედურის ანალიზისას, როდესაც დგინდება, არის თუ არა კონკრეტული ფუნდამენტური უფლება ან თავისუფლების ინტერესი მე-14 შესწორებით დაცული, მთავარი და წარმმართველი არის ისტორიისა და სამართლებრივი ტრადიციების ანალიზი. ამ მიდგომის მიხედვით, სასამართლო მხოლოდ მაშინ აღიარებს ფუნდამენტურ უფლებას ან თავისუფლების

<sup>33</sup> Washington v. Glucksberg, 521 U.S. 702 (1997) „Glucksberg“

<sup>34</sup> Cruzan v. Director, Missouri Department of Health, 497 U.S. 261 (1990).

ინტერესს მე-14 შესწორებით დაცულად, თუ დადასტურდა, რომ ის ისტორიულად აღიარებულია სამართლებრივად ან სამართლებრივი ტრადიციით.

ამ ანალიზის საფუძველზე, გადანყვეტილების დიდი ნაწილი ეძღვნება ისტორიულ განხილვას საერთო სამართლიდან თანამედროვე ამერიკულ კანონებამდე, როგორც თვითმკვლელობის, ისე თვითმკვლელობაში დახმარების სამართლებრივი აკრძალვის თაობაზე. ამ ვრცელი ისტორიული მიმოხილვის საბოლოო შედეგი არის დასკვნა, რომ თვითმკვლელობაში დახმარების სამართლებრივი აკრძალვა იმდენად ღრმად არის გამჯდარი აშშ-ის შტატების სამართალსა და ტრადიციებში, რომ მისი დაშვება ვერ იქნება კონსტიტუციური უფლება დაცული თავისუფლების არსებითი კონსტიტუციური გარანტიით.

აღნიშნული ანალიზისას ფუნდამენტურია განსხვავება, რომელსაც სასამართლო ავლებს პასიური ევთანაზიის კონსტიტუციურ დაშვებასა და აქტიური ევთანაზიის აკრძალვას შორის. პასიური ევთანაზია, მკურნალობაზე უარი მომდინარეობს საერთო სამართალში აღიარებული უფლებიდან, მაშინ როდესაც მსგავსივე სამართლებრივი უფლება თვითმკვლელობაში დახმარების შემთხვევაში არ არსებობს, პირიქით, ერთმნიშვნელოვნად არის კრიმინალიზებული. როგორც სასამართლო აღნიშნავს:

„ჯეროვანი პროცედურის არსებითი გარანტიის სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ ანალიზს ორი ნაწილი აქვს: პირველი, სასამართლო რეგულარულად აღნიშნავდა, რომ კლაუზულა იცავს იმ ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც ობიექტურად ღრმად არიან ფესვგადგმული ერის ისტორიასა და ტრადიციაში; მეორე, სასამართლო მოითხოვდა „ფრთხილ აღწერას“ მოთხოვნილი თავისუფლების ინტერესისა. მოპასუხეებისა და მეცხრე სააპელაციო სასამართლოს მიერ ამ ინტერესის მრავალი აღწერა, კერძოდ „უფლება, განსაზღვრო საკუთარი სიკვდილის დრო და მანერა“, „სიკვდილის უფლება“, „თავისუფლება, აირჩიო როგორ მოკვდე“, „უფლება, აკონტროლო საკუთარი უკანასკნელი დღეები“, „უფლება, აირჩიო ადამიანური და ღირსეული სიკვდილი“ და „თავისუფლება, განსაზღვრო საკუთარი სიკვდილი“ ამ მეორე მოთხოვნას ეწინააღმდეგებიან. რამდენადაც ვაშინგტონის კანონი კრძალავს „სხვა ადამიანის დახმარებას თვითმკვლელობაში“, ამ სასამართლოს მიერ პასუხგასაცემი კითხვა უფრო სათანადოდ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს, „თავისუფლება“, ჩაიდინო თვითმკვლელობა, რომელიც სპეციალურადაა დაცული კლაუზულით, მოცავს თუ არა იგივე უფლებას დახმარების მიღების გზით. ამ მოთხოვნილ უფლებას არავითარი ადგილი არ აქვს ჩვენი ერის ტრადიციებში, თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის თანმიმდევრულ, თითქმის საყოველთაო და განგრძობად უარყოფას ამ უფლებისა თვით ტერმინალურად დაავადებული, მენტალურად კომპეტენ-

ტური სრულწლოვანების შემთხვევაშიც. მოპასუხეების სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლოს მოუწევს საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული სამართლებრივი დოქტრინისა და პრაქტიკის დაძლევა და თითქმის ყველა შტატის განსჯით მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილების უარყოფა. მოპასუხეების მტკიცება, რომ მოთხოვნილი ინტერესი შეესაბამება ჩვენს არსებითი ჯეროვანი პროცედურის იურისპრუდენციას თუ ჩვენს ისტორიას და პრაქტიკას არა, არ არის დამაჯერებელი. კონსტიტუციურად დაცული უფლება სიცოცხლის შემანარჩუნებელ ჰიდრაციაზე უარისა, რომელიც კრუზანის საქმეში დადგინდა, არ გამომდინარეობდა ავტონომიის აბსტრაქტული ცნებიდან, არამედ ერის ისტორიასა და ტრადიციებზე იყო დაფუძნებული, თუ გავითვალისწინებთ საერთო სამართალში დამკვიდრებულ წესს, რომ იძულებითი მკურნალობა სხეულის დაზიანებად ითვლებოდა და გრძელ სამართლებრივ ტრადიციას, რომელიც იცავდა გადაწყვეტილებას არასასურველ მკურნალობაზე უარის თქმაზე. მიუხედავად იმისა, რომ ქეისის საქმემ დაადგინა, ჯეროვანი პროცედურის გარანტიით დაცული უფლებებიდან და თავისუფლებებიდან ბევრი ეხმიანება პერსონალურ ავტონომიას, აქედან არ გამომდინარეობს, რომ ყველა მნიშვნელოვანი ინტიმური და პირადი გადაწყვეტილება ამგვარად არის დაცული“.<sup>35</sup>

გლუქსბერგის საქმეში სასამართლოს კონსერვატორულმა ფრთამ სცადა დაეინროებინა ის სფერო, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ახალი ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების „აღმოჩენა“. სასამართლომ პირდაპირ მიუთითა საკუთარ განზრახვაზე, ამით შემოეზღუდა საკუთარი ინსტიტუციური კომპეტენციის ფარგლები და არ დაეშვა ის, რაშიც არსებითი ჯეროვანი პროცედურის იურისპრუდენციას განსაკუთრებით სდებენ ბრალს – მოსამართლეების საკუთარი მორალური პრეფერენციების კონსტიტუციური გამყარება.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გლუქსბერგის ტესტი არ არის ორიგინალისტური საკონსტიტუციო ინტერპრეტაციის თეორიის ანალიზი და არ შემოიფარგლება მხოლოდ კონსტიტუციის მნიშვნელობის ან სამართლებრივი ტრადიციის ანალიზით მხოლოდ კონსტიტუციის შესაბამისი ნორმის რატიფიკაციის პერიოდისათვის. გლუქსბერგის ანალიზისთვის შესაძლოა, ბოლო დეკადებში თუ წლებში რომელიმე უფლების სამართლებრივი აღიარების თანმიმდევრული ტენდენცია მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს თუნდაც საუკუნეებით დამკვიდრებული სამართლებრივი ტრადიციის თუ პრაქტიკის საპირწონედ. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიდგომით გლუქსბერგის საქმის

<sup>35</sup> Supra, „Glucksberg“.

სასამართლო ცდილობს, თავი დააღწიოს ქეისის საქმეში შემოტანილი ინდივიდუალისტური, მორალური და პოლიტიკური ფილოსოფიის აბსტრაქტულ პრინციპებს, იმის შიშით, რომ შესაძლო შედეგი განუსაზღვრელად ფართო იქნება, თავადაც არანაკლებ განუჭვრეტელ და რთულად კონტროლირებად ტესტს ამკვიდრებს ისტორიისა და ტრადიციის სტანდარტის სახით.

ის, თუ რამდენად შემზღუდავია ისტორიისა და ტრადიციის ანალიზი ახალი ფუნდამენტური უფლებების აღმოჩენისას ყველაზე უკეთ მოსამართლე კენედის მიერ გეი პირთა უფლებებზე იურისპრუდენციაში ამ სტანდარტის გამოყენებაში დემონსტრირდება. როგორც ლოურენსის<sup>36</sup> ისე ობერგეფელის<sup>37</sup> საქმეებში იმისათვის, რომ კონსენსუალური ჰომოსექსუალიზმის კრიმინალიზაცია და ლგბტ წყვილთა ქორწინების დაუშვებლობა ჯეროვანი პროცედურის არსებითი გარანტიით დაცულ თავისუფლებაში მოექცია, მოსამართლე კენედის მოუწია ისტორიისა და ტრადიციის არგუმენტის გათვალისწინება იმდენად, რამდენადაც სასამართლოს გლუკსბერგის გადანყვეტილება არ დაუძლევია და ის მოქმედი პრეცედენცია.

მოსამართლე კენედის, ცხადია, გაუჭირდებოდა იმის დასაბუთება, რომ ჰომოსექსუალური სექსის კრიმინალიზაციის აკრძალვა ან ლგბტ პირთა ქორწინების დაშვება ამერიკელი ერის ტრადიციასა და სამართალში ღრმად იყო გამჯდარი. თუმცა მისი გვერდის ავლის გზა, ერთი მხრივ სერიოზულად იღებს ისტორიას და ტრადიციას და ცდილობს აჩვენოს ამ ტრადიციის ევოლუცია სრული აკრძალვიდან თავისუფლების აღიარებამდე (თუნდაც ამაზე აზრთა სხვადასხვაობა ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, როგორც მაგალითად, გეი ქორწინების შემთხვევაში), ხოლო, მეორე მხრივ, შეამციროს ისტორიისა და ტრადიციის ანალიზის გავლენა თავისუფლების განმარტებისას და მას მეორადი ფუნქცია მიანიჭოს. როგორც მოსამართლე კენედი ობერგეფელის საქმეში წერს ლოურენსის ციტირებით, არსებითი ჯეროვანი პროცედურის ანალიზის „მეგზური და დისციპლინის შემქმნელი არის ისტორია და ტრადიცია, თუმცა მის გარესაზღვრებს არ ადგენენ. ეს მეთოდი პატივს სცემს ჩვენს ისტორიას და სწავლობს მისგან, ისე რომ ნება არ მისცეს წარსულს, წარმართოს ანმყო“.<sup>38</sup>

უფრო მეტიც, როგორც მოსამართლე კენედი შემდეგ პარაგრაფში ამტკიცებს, უსამართლობის გამჟღავნებას ისტორიულად დრო შეიძლება დასჭირდეს და მაშინვე არ იყოს ცხადი. ამიტომაც, მისი აზრით, როდესაც ცხადი ხდება, რომ საკითხის ისტორიულად დამკვიდრებული გადანყვეტა

<sup>36</sup> Lawrence v. Texas, 539 U.S. 558 (2003).

<sup>37</sup> Obergefell v. Hodges, 576 U.S. (2015).

<sup>38</sup> იქვე.



უსამართლო კონსტიტუციის ძირითად პრინციბთან და სულისკვეთებასთან მიმართებით, ეს ისტორია და ტრადიცია მისი შეცვლის ხელისშემშლელი ვერ უნდა გახდეს.<sup>39</sup>

შესაბამისად, ობერგეფელის საქმეში დიდწილად შეგვიძლია ვენდოთ განსხვავებული აზრის მოსამართლეებს მტკიცებაში, რომ მოსამართლე კენედიმ შეცვლა გლუქსბერგის მიერ დამკვიდრებული პრეცედენტი ისტორიისა და ტრადიციის ანალიზისა.<sup>40</sup> გლუქსბერგის საქმეში ცხადი იყო, რომ ისტორიას და ტრადიციას გადამწყვეტი ადგილი ჰქონდა თავისუფლების არსებითი გარანტიის ანალიზში, მაშინ როდესაც კენედის მიდგომაში მას მხოლოდ მეორეული და დამხმარე მნიშვნელობა ენიჭება.

ამრიგად, ობერგეფელის საქმე ქმნის წერტილს, სადაც ინდივიდუალისტური მორალური და ფილოსოფიური პრინციპები განსაზღვრავენ თავისუფლების არსებითი გარანტიის შინაარსს პოლიტიკურ ხელისუფლებასთან მიმართებით, ყოველგვარი საზოგადოებრივი წესრიგის ცნებაზე მითითების გარეშე. ობერგეფელის საქმეში ოჯახის როგორც საზოგადოებრივი წესრიგის მნიშვნელოვანი ელემენტის მნიშვნელობა, მათ შორის ისტორიული, აღიარებულია, თუმცა ამ ინსტიტუტის ფორმები და ფარგლები განისაზღვრება ინდივიდის ავტონომიაზე მითითებით და არა ინდივიდის ავტონომია განმარტება ოჯახის და ქორწინების საზოგადოებრივ წესრიგში დაკავებული ადგილის მიხედვით.

შესაბამისად, არსებითი თავისუფლებით დაცული სფერო მე-14 შესწორებაში, ერთი მხრივ, განისაზღვრება ინდივიდის ავტონომიაზე ცენტრალური მითითებით, მეორე მხრივ, მოწყვეტილია ყველა იმ ასპექტს, რომელსაც პირადი ან ინტიმური მნიშვნელობა არ აქვს და არსებითადაა დაკავშირებული საზოგადოებრივი წესრიგის ფართო ინსტიტუციურ ცნებასთან, როგორც ეს „მონესრიგებული თავისუფლების“ ტრადიციული ცნებით იყო განსაზღვრული.

<sup>39</sup> იქვე.

<sup>40</sup> იქვე. იხ. სასამართლოს თავმჯდომარე რობერტსის, მოსამართლეების სკალიას, თომასის და ალიტოს განსხვავებული აზრები.

#### 4. შეჯამება

მთავარი მსგავსება აშშ-ის და საქართველოს სასამართლოების მიდგომას შორის არის რეზიდუალური გარანტიების (ჯეროვანი პროცედურის კლაუზულა, კონსტიტუციის მე-16 მუხლი) გამოყენება თავისუფლებისა და ავტონომიის იმ ასპექტების დასაცავად, რომელიც კონკრეტულ კონსტიტუციურ უფლებებში არ არის დაცული. ეს გადანყვეტა, ერთი შეხედვით, ამცირებს ამ გარანტიების ფარგლებს, თუმცა როგორც ორივე იურისდიქციის ანალიზი გვიჩვენებს, ეს მოლოდინი ნაკლებად მართლდება. რეზიდუალური გარანტიების შემთხვევაში, ისევე როგორც განსახილველ შემთხვევებში, გარანტიების ღია ბუნება მათი განმარტებისა და გამოყენების რთულ პრობლემებს ქმნის. შესაბამისად, ორივე იურისდიქციის შემთხვევაში მნიშვნელოვანია იმგვარი დოქტრინული საშუალებების განვითარება, რომელიც რეზიდუალური გარანტიის ფარგლებს გამოკვეთდა ან/და მასში თავისუფლების ახალი ასპექტის მოქცევისთვის მეტ-ნაკლებად ცხად სტანდარტს ჩამოაყალიბებდა.

შეერთებული შტატების სასამართლო პრაქტიკის განხილვა ამ მხრივ გვიჩვენებს, რომ ისტორიისა და სამართლებრივი ტრადიციის სტანდარტის გამოყენება იმის განსასაზღვრად, თუ რა შეიძლება მოექცეს მე-16 მუხლით დაცულ სფეროში, არ არის მიზანშეწონილი. ეს დასკვნა გამომდინარეობს არა მხოლოდ ხსენებული ანალიზის პრობლემურობით, არამედ საქართველოს სამართლებრივი ტრადიციის სიმწირითაც. მეორე მხრივ, მხოლოდ აბსტრაქტული კონსტიტუციური თეორიის ლოგიკის გამოყენება მე-16 მუხლის სფეროს განსასაზღვრად ასევე პრობლემური შეიძლება აღმოჩნდეს. სასამართლოს უნდა შეეძლოს, მაქსიმალური სიცხადითა და დამაჯერებლობით მოაქციოს თავისუფლების ესა თუ ის ასპექტი კონსტიტუციური დაცვის ქვეშ. იმდენად, რამდენადაც სამართლებრივი ტრადიცია სასამართლოს, სავარაუდოდ, ვერ დაეხმარება იმის გადანყვეტაში, უნდა ამოიკითხოს თუ არა კონკრეტული თავისუფლება მე-16 მუხლის რეზიდუალურ გარანტიაში, ერთადერთი ალტერნატივა კონსტიტუციის ძირითადი სტრუქტურის ანალიზის მოშველიება შეიძლება იყოს.

## წყაროები

1. Barnett Randy E., *The Ninth Amendment: It Means What It Says*, 85 *Tex. L. Rev.* 1-82 (2006);
2. Charles M. Mathias Jr., *Ordered Liberty: the Original Intent of the Constitution*, 47 *Md. L. Rev.* 174 (1987).

### აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები

1. *The Slaughter-House Cases, The Butchers' Benevolent Association of New Orleans v. The Crescent City Live-Stock Landing and Slaughter-House Company*; Paul Esteben, L. Ruch, J. P. Rouede, W. Maylie, S. Firmberg, B. Beaubay, William Fagan, J. D. Broderick, N. Seibel, M. Lannes, J. Gitzinger, J. P. Aycock, D. Verges, *The Live-Stock Dealers' and Butchers' Association of New Orleans, and Charles Cavaroc v. The State of Louisiana, ex rel. S. Belden, Attorney-General; The Butchers' Benevolent Association of New Orleans v. The Crescent City Live-Stock Landing and Slaughter-House Company*, 83 U.S. (16 Wall.) 36 (1873);
2. *Lochner v. New York*, 198 U.S. 45 (1905);
3. *Meyer v. Nebraska*, 262 U.S. 390 (1923);
4. *Bartels v. Iowa*, 262 U.S. 404 (1923);
5. *Pierce v. Society of Sisters*, 268 U.S. 510 (1925);
6. *Skinner v. State of Oklahoma, ex rel. Williamson*, 316 U.S. 535 (1942);
7. *Griswold v. Connecticut*, 381 U.S. 479 (1965);
8. *Roe v. Wade*, 410 U.S. 113 (1973);
9. *Cruzan v. Director, Missouri Department of Health*, 497 U.S. 261 (1990);
10. *Planned Parenthood v. Casey*, 505 U.S. 833 (1992);
11. *Washington v. Glucksberg*, 521 U.S. 702 (1997);
12. *Lawrence v. Texas*, 539 U.S. 558 (2003);
13. *Obergefell v. Hodges*, 576 U.S. (2015).



**გამოცემის კოორდინატორები:**

ირაკლი გვარამაძე  
ალექსანდრე კუპრაძე  
ანა მილაშვილი

**კორექტორი:**

ევა ჩიკაშუა

**დიზაინი:**

ნატალია ლლონტი

**დაკაბადონება:**

ლიკა სხირტლაძე

თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების გამომცემლობა

კახა ბენდუქიძის კამპუსი, დავით აღმაშენებლის ხეივანი 240

0159 თბილისი, საქართველო

ტელ.: +995 32 220 09 01

[www.freeuni.edu.ge](http://www.freeuni.edu.ge) [www.agruni.edu.ge](http://www.agruni.edu.ge)

Free and Agricultural Universities Press

Kakha Bendukidze Campus, Alley David Aghmashenebeli 240

Tbilisi 0159, Georgia, Tel.: +995 32 220 09 01



თავისუფალი და აგროკულტურის  
უნივერსიტეტების გამომცემლობა  
FREE AND AGRICULTURAL  
UNIVERSITIES PRESS